

766
1986

ISSN 0234-7385



ქართული რეკლამა

XIII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. კაპელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი



ქართული
რეკლამა

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

XIII



თბილისი
„მეცნიერება“

1986

კრებულში შესულია ქართული ფილოლოგიისა და საისტორიო წყაროთმცოდნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები. ცალკე განყოფილებაში ქვეყნდება მასალები კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული პირადი საარქივო ფონდებიდან (ე. თაყაიშვილის, ირ. სონღულაშვილის, კ. ცინცაძის, ქრ. შარაშიძის). აქვე მოთავსებულია საინფორმაციო მასალა.

კრებული გათვალისწინებულია ფილოლოგთა და ისტორიკოსთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია: ც. აბულაძე, მ. მამაცაშვილი (მდივანი),
ელ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), მ. ქავთარია, ც. ჭურციკიძე,
მ. შანიძე, ე. ხოშტარია

ტომის რედაქტორი ე. ხოშტარია

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ე. გაბიძაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ცაგარეიშვილი

6. ბილიკოვილი

კალკები იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა
სიძველეთა“ ქართულ თარგმანში

საბერძნეთში არსებულ ქართულ სამწერლობო კერებში მოღვაწე ქართველი მთარგმნელები ბერძნული ენის დიდ გავლენას განიცდიდნენ.

მაღალი პროფესიული დონისა და განათლების მქონე მთარგმნელებმა თარგმნის ძირითად პრინციპად, მართალია, დედანთან უღარესი სიახლოვე მიიჩნიეს, მაგრამ ეს პრინციპი მათ მეცნიერულ დონემდე აიყვანეს. ამის შესანიშნავი მაგალითია XI საუკუნის უდიდესი მოღვაწის, დიდი ერუდიციის მქონე მთარგმნელის, ეფრემ მცირის მოღვაწეობა. „ეფრემის თარგმანი „მასვე პირსა იტყოდა“, რაც დედანში იყო მოცემული — არც ორიგინალის აზრი იცვლებოდა, არც მისი ლიტერატურული ღირსებანი იზრდილებოდა და არც ქართული ენის კანონები ირღვეოდა“¹.

ეფრემის საქმის გამგრძელებელმა, იოანე პეტრიწმა, რამდენადმე კორექტივი შეიტანა ეფრემის მიერ შემუშავებულ მთარგმნელობით მეთოდში: იოანე პეტრიწისთვისაც, ისევე როგორც მისი დიდი წინამორბედისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედანთან სიახლოვეს, მაგრამ იგი ამას ეფრემისაგან რამდენადმე განსხვავებულად აღწევს — ქართული ენის კანონების ფარგლებში ქმნის ახალ, მანამდე უცნობ ენობრივ ფორმებს². ამიტომ მკვლევართა ერთი ნაწილი პეტრიწის ენას ხელოვნურად მიიჩნევს³.

ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი ძველი ქართული მწერლობის უდიდესი ფიგურები არიან. ბუნებრივია, ყველა მთარგმნელი ვერ იქნებოდა მათ ღონეზე. ეს უკანასკნელნი, ცდილობდნენ რა დაეცვათ ამ დიდი ავტორიტეტების პრინციპი დედანთან სიახლოვისა, უკიდურესობაში ცვიოდნენ და თავიანთ თარგმანებს ბერძნული ფორმების კალკებით ავსებდნენ. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანი, რომლის მთარგმნელს თარგმნის ძირითად მეთოდად კალკირება გაუხდია. თარგმანის ენის შესწავლა ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ აძნელებს ტექსტის გაგებას დედანთან უკიდურესი სიახლოვის მიღწევის ცუდად ხორცშესხმული ცდა.

¹ პეტრიე ი ბერძელი, შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 0147.

² დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1961, გვ. 6; ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ენა, იოანე პეტრიწის წყაროები, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, თბ., 1940, გვ. 211.

³ Марр Н. Я., Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века (ЗВО, т. XIX), СПб., 1909, с. 34; კ. კეკელიძე, ქართული თარგმანი ვიოტი ამარტოლოს ხრონოგრაფისა, ეტიუდები, 1, 1956, გვ. 252; კ. კეკელიძე, თარგმანებზე ეკლესიასისტრსაჲ მიტროფანე ზმკრინელ მიტროპოლიტსაჲ, ტფ., 1920, გვ. 12; კ. კეკელიძე, ქართულა ლიტ.-ის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 292.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



1. ნაცვალსახელს ეკისრება ქცევის კატეგორიის გამოხატვა

ბერძნულ ზმნაში ქცევის კატეგორია არ გამოიყოფა და კუთვნილებით დამოკიდებულებას ხშირად ნაცვალსახელი გამოხატავს⁴. ის, რაც ბუნებრივია ბერძნული ენისათვის, არაბუნებრივია ქართული თარგმანისათვის, რადგან ქართულ ზმნას გააჩნია ქცევის კატეგორია და სრულიად ზედმეტია ამ ფუნქციით ნაცვალსახელის ხმარება. მაგ.: „იიუს... მოყუარეთა თანა გან უს უ ე ნ ე ბ და თ ა ვ ს ა თ ვ ს ს ა მოგზაურობისაგან“ (წ. 9 თ. 6,4) *Ἰησοῦς ...σὺν τοῖς φίλοις ἔαυτὸν ἐκ τῆς δόξης ἀνεχάται* (A, 9₁₂₃). უ. ი.: განისუენებდა. „და წამალი შთადევა ენასა მისსა ქუეშე“ (წ. 1 თ. 1,4) *...ὕψις ἐντρυφήσιν ὑπὸ τῆς γλῶτταις ἀντῆ* (A, 1₅₀). უ. ი.: შთაიდვა.

მსგავს შემთხვევებზე, კერძოდ, ბერძნული დედნის გავლენით „თავი“ პირის ნაცვალსახელის ზედმეტ ხმარებაზე მსჯელობს ზ. სარჯველაძე და სათანადო მაგალითები მოჰყავს ნათარგმნი ტექსტებიდან⁵, მაგრამ ყველა შემთხვევაში „თავი თვის“ იხმარება ზმნასთან, რომელშიც გამოხატულია ქცევის კატეგორია, ე. ი. „თავი თვის“ აქ კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვის დამხმარე და არა ძირითადი საშუალებაა.

ბერძნულ ენაში ზმნაში კუთვნილების გამოხატვა ზოგჯერ არც ნაცვალსახელის მეშვეობით ხდება. ამგვარ შემთხვევაში ხშირად ქცევა თარგმანში წარმოდგენილ ზმნაშიც არ აისახება: „რამეთუ ესე... განადგა მაკედონთა“ (წ. 13, თ. 10,1) *...τὸν Μακεδόνων ἀπέστη* (A, 13₂₇₃). უ. ი.: განუდგა. „ათორმეტთა უკუე წელთა მმონებელნი... მეათსამეტესა განადგეს (წ. 1, თ. 9,1) *...ἀπέστησαν* (A, 1₁₇₃). უ. ი.: განუდგეს.

2. ზმნაში ობიექტური პირი არ აისახება

„ქართული ზმნის ფორმაში, თუკი ზმნა საზოგადოდ დამატებას მოითხოვს, აუცილებლად გამოხატული უნდა იყოს ქვემდებარის გარდა დამატების პირიც (შინაგანი დამატება). ამიტომ ქართული ზმნის ფორმა ზოგჯერ მთელს ვრცელ წინადადებას შეიცავს ხოლმე: ქვემდებარითა, შემასმენლითა და დამატებითურთ“⁶.

ბერძნული ენა ერთ-ერთი იმ ენათაგანია, სადაც ზმნას აქვს აბსოლუტური (სუბიექტური) აგებულება. კ. დანელიამ დაწვრილებით შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვლინდა უცხოენოვანი წყაროების გავლენა ამ სფეროში ქართულ ზმნაზე და დაასკვნა, რომ: „ქართული რელატიური (სუბიექტურ-ობიექტური) აგებულების ზმნასთან უცხო ენათა აბსოლუტური (სუბიექტური) აგებულების ზმნის კონსტრუქციის შეწყობის შედეგად“

4 ა. შანიძე თვლის, რომ ქცევის კატეგორიის გვარიდან გამოთიშვა იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ბერძნულში ეს კატეგორია მკაფიოდ გამოხატული არ არის, ბევრგან წაშლილია განსხვავება სათავისო ქცევის ფორმასა და ვნებითი გვარის ფორმას შორის (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 353).

5 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობა უცხო ენებთან (ხელნაწერი), გვ. 30—31.

6 ა. შანიძე, სუბიექტური პრედიკატი მეორე პირისა და ობიექტური პრედიკატი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზ., I, თბ., 1957, გვ. 117.



გად მიღებულია ნარევი, კონტამინაციური სინტაქსური კონსტრუქცია⁷. მოხდა შერწყმა ბუნებრივი ქართული კონსტრუქციისა (ზმნაში ჩანს ობიექტის ნიშანი) და იმ ენის კონსტრუქციისა, საიდანაც ხდებოდა თარგმნა (თანდებულობის კონსტრუქცია). მაგ.: განმეშორენით ჩემგან (განმეშორენით მე + განეშორენით ჩემგან)⁸.

რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, ბერძნული ენის გავლენა ამ სფეროშიც უკიდურესობამდე არის მიყვანილი: ადგილი აქვს არა უბრალო გავლენას უცხოენოვანი კონსტრუქციისა და გამოსავლის სახით ენისათვის ასე თუ ისე მისაღები ფორმის გამომუშავებას, არამედ წმინდა სახის კალკს: იმის გამო, რომ ბერძნულ ზმნაში ობიექტური პირი არ აისახება, ქართული ზმნის რამდენიმე ნათარგმნ ფორმაშიც მთარგმნელმა არ წარმოადგინა და ამით ზმნას დაუკარგა I ობიექტური პირი, შეუცვალა მას შინაარსი: იქმნება შთაბეჭდილება, რომ საუბარია არა I, არამედ III პირზე: „არამედ რომლისა დიდისა ბოროტისა მოქმედი წარწყმედად დასაჯეს მოყუარეთა შენთა, ეტყოდა... (წ. 10, თ. 7,6). „...ἀλλὰ τὴ δὴ μέγα κακὸν εἰργασμένον ἀποίστασθε ἔδειγασθαι οἱ σοὶ φίλοι, φησὶ... (A, 10₁₂₄). აქ იერემია წინასწარმეტყველი ეუბნება მეფეს, რომ არაფრის ჩამდენი სასიკვდილოდ გამწირესო.

„არა ამას მხოლოდ ეუსამართლოა ჩემსა შენდა მიმართ, მეუფეო, პატივმოყუარებასა, არამედ და შეეასმინაცა და იცრუმეტყუელა ბოროტის-მოქმედმან“ (წ. 7, თ. 11,3). ὁμοῦ δὲ μόνον ἦδη: καὶ μεσὶ τῆς πόλεως σου, ἔδειξαι, εὐσεβείαν, ἀλλὰ καὶ περιστέλλε καὶ καταψέσασθαι κακοεργῶν (A, 7₂₈₉). უ. ი.: „შემასმინაცა“.

3. ნაცვალსახელთა კალკირება

ბერძნულ ენაში ხშირად *ἕνθα* ზმნიზედა, რომელიც ნიშნავს „პირადად თავისთვის“, იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად და იძლევა კუთვნილებითი ნაცვალსახელის გავებას. იოსებ ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს შეეძლო ამგვარ შემთხვევაში ეხმარა მარტივად კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, მისი, მათი. მაგრამ მან სხვა გზა აირჩია: აზრის უფრო ზუსტად გადმოცემის მიზნით მთარგმნელმა ორი ნაგენეტივარი კუთვნილებითი ნაცვალსახელის შეერთებით მიიღო ახალი სიტყვა, ისევ და ისევ კუთვნილების გამოსახატავად: მისი + თვისი = მისთვისი; ჩემი + თვისი = ჩემთვისი; მათი + თვისი = მათთვისი და ეს მიღებული ერთეულები ბრუნებად სიტყვებად აქცია. მაგ.: „მრავალთა ნიჭთა მიმცემელმან ჩემთვისთაგან, ორთავე სარგებელ ვიზრუნევე“ (წ. 15, თ. 5,3)... *ἕνθα το μὲν* (A, 15₁₃₂) = ჩემი საკუთრებიდან, ჩემთაგან. „ხოლო ექორწინა ცოლსა, ... სახელით იეზაველას, რომლისაგან მისთვისთა ღმერთთა თაყუანისცემამ ისწავა (წ. 8, თ. 13,1) ... *τοῦ ἕνθου ἀντὶς* (A, 8₃₁₇) = მისთა, მისი მშობლიური. „... ხოლო ძლევასა არა უმცირეს მათთვისად იტყოდა, ვიდრე აღმკვედრებულთად“ (წ. 5, თ. 6,6) ... *ἀντὶν...* *ἕνθων* (A, 5₂₃₀) = მათთვის.

თარგმანში „მისთვისთა“, „მისთვისნი“-ს ხმარების ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როდესაც ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას ფიგურირ-

7 კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, მაცნე, 1975, № 4, გვ. 79.
8 იქვე, გვ. 81.



რებს მხოლოდ ნაცვალსახელი ან ზმნიზედა *ἐχέιν* და არა ჩანს „*ἔδωκε*“ ზედა. ე. ი. მთარგმნელმა, გააკეთა რა ერთხელ ბერძნულის კალკი და ორი ნაცვალსახელის შეერთებით მიიღო ახალი ფორმა, დანერგა მისი ხმარება: „... ყოველთა შეკმზადებდა თანადღვრომად იევეოსთოსა და დადგრომილ იევენეს კმასაყოფელსა ჟამსა მის თვისთა მნებებელნი“ (წ. 7, თ. 1,9) ...*τὰ ἐχέινου* (A, 7₂₃) = მისებურად, მისდაგვარად. „და მიუტევა მას ლავინიოს ესენი, რომელთათვის ევედრებოდა და განაგნა მის თვისნი ყოველნი“ (წ. 14, თ. 5,4) ...*καὶ δι᾿ ἐκκλησιᾶς αὐτῆς* (A, 14₉₀).

საინტერესოა „ვითარ“ ზმნიზელისა და „თვს“ თანდებულის შეერთების მეშვეობით წარმოქმნილი ახალი ერთეული: „ვითართვს“, რომელსაც აქვს მნიშვნელობა „სათანადო, სწორედ ის, რაც საქირთა“: „არამედ განზრახვათა მათთა, ღმრთისმბრძოლთა, რომელნი შეიწყნარნა მაკედონიამან, ვითართვს მათდა არს აერი უსახურთა ნაკადრებთათვს“ (წ. 14, თ. 12,3) ...*καθ᾿ ἑαυτὸν* (A 14₃₁₀) = ზუსტად ისე.

ახალი სიტყვების წარმოება არ არის უცხო იოანე პეტრიწისთვისაც, ოღონდ პეტრიწთან რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა: ის არაბრუნებად სიტყვებს აბრუნებს, შლის საზღვრებს მეტყველების ნაწილებს შორის და ყოველ სიტყვას ყოველგვარ ცვლილებას უქვემდებარებს. მაგ.: გამონი, ისეობს, გვჩუენშორისა. ხოლო მაშინ, როდესაც მას საქმე აქვს *ἐαυτὸ* ნაცვალსახელთან, აიგივებს მას *ἑδωκε* = თუთება, გათუთებულთან და ქართულ „თვს“ ნაცვალსახელს უმატებს სხვა სიტყვებს, თვლის რა, რომ იგი ვერ ამოწურავს *ἐαυτὸ*-სის მნიშვნელობას⁹. ჩვენი მთარგმნელი ახდენს არა გაიგივებას ნაცვალსახელისა *ἑδωκε* სიტყვასთან, არამედ თარგმნის რეალურად, ტექსტში არსებულ *ἑδωκε* სიტყვას ასევე ტექსტში არსებულ ნაცვალსახელთან ერთად, ე. ი. ახდენს კალკირებას.

4. კალკირებული რიცხვითი სახელები

რიცხვითი სახელების გადმოღებისას მთარგმნელი ძალიან ხშირად მიმართავს თავის ნაცად მეთოდს — კალკირებას. ზოგიერთი რიცხვითი სახელი თარგმანში ორი ფორმით იხმარება: კალკირებული და ბუნებრივი ქართულით, ზოგი მხოლოდ კალკირებულით, ზოგიც — მხოლოდ ქართულისათვის ორგანული ფორმით. კალკირება ვრცელდება როგორც რაოდენობით, ისე რიგობით რიცხვით სახელებზე, როგორც შედარებით მარტივ (100-ის ფარგლებში), ასევე რთულ სახელებზე. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: „ორ და ათთაჲ“ (წ. 10 თ. 4,1) *δισκαίδεκα* (A, 10₅₀)=12. „რვა და ათთა“ (წ. 5 თ. 4,1) *Ὀκτωκαίδεκα* (A, 5₁₈₇)=18. „ოთხნი და ათნი“ (წ. 2 თ. 7,4) *τέσσαρες καὶ δέκα* (A 2₁₈₀)=14. შუდა და მეთესა (წ. 2. თ. 8,1) *ἐπτακαίδεκατον* (A, 2₁₉₄)=მე-17. „მეხუთესა და მეთესა“ (წ. 2 თ. 15,2) *πεντεκαίδεκάτη* (A,2₃₁₈)=მე-15. „ცხრა

⁹ ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იოსებ ფლავიოსის განსაზივლელი ძეგლის მთარგმნელი არის იოანე პეტრიწი. იხ.: ჩვენი სტატია, იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ მთარგმნელის ვინაობისათვის, მაცნე, ენისა და ლიტ.-ის სერია, 1984, № 4, გვ. 103—115.

¹⁰ ნ. კეჭალმაძე, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“, ძვ. ქართ. თარგმანი (ფილოლოგ. ნარკვევი), საკანდ. დისერტაცია, თბ., 1948, ხელნაწერი, გვ. 245, 279—280.



და სამეოც და ცხრასათამან“ (წ.1 თ. 3,4) *ἐνέα καὶ ἐξήκοντα καὶ ἐναγχοσίαις* (A,1₈₆)=969. „ხუთთა და ოთხმოცდაათთა და რვაასთა თანა (წ. 1 თ: 3,4) *πέντε καὶ ἐνεήκοντα καὶ ἑκατάχσια* (A,1₈₄)=895.

5. სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენა მხოლოდითი რიცხვის ნაცვლად

თარგმანში არის შემთხვევები სახელის მრავლობით რიცხვში ხმარებისა მაშინ, როდესაც ამ სახელს ან საერთოდ არ გააჩნია ქართულ ენაში მრ. რ.-ის ფორმა (მაგ.: ძილი), ან კონკრეტულ კონტექსტში მოსალოდნელი იყო მისი დაყენება მხ. რ.-ში. ყველა ამგვარ შემთხვევაში თარგმანში დაშვებული ამ შეცდომის წყარო აღმოჩნდა ბერძნული დედანი, სადაც შესატყვისი სიტყვა ან ფიგურალურ გამოთქმაშია და ამიტომ დგას მრ. რ.-ში, ან, შესაძლებელია, ბერძნულ დედანში უბრალოდ შეცდომა იქნა დაშვებული და ეს შეცდომა კალკირებულია თარგმანში. მოვიტანთ ყველა დადასტურებულ მაგალითს: „... ნუ იხილოს მზემან ქმნილად, რაფთა მე ზ უ რ გ ნ ი ჩ ე მ ნ ი ვ აჩუენნე მბრძოლთა“ (წ. 12, თ. 11,1) ...*τὰ νῦτα μου δὲξῶ τοῖς πολεμίοις* (A, 12₄₂₄). *τὰ νῦτα ἐντρέπειν* არის ფიგურალური გამოთქმა, ნიშნავს „დამარცხებას“ და *τὰ νῦτα* არის სიტყვა „ზურგის“ მრ. რ.-ის ფორმა.

„... აღესრულებოდეს რაჲ ქ ო რ წ ი ლ ნ ი“ (წ. 13, თ. 4,2) ...*τῶν δὲ γάμων* (A, 13₈₃). „გამოჩინებულმან მისდა ძ ი ლ თ ა შ ი ნ ა მის ღამისათა, უბრძანა“... (წ. 8, თ. 2,1) ...*ταὺς ἕπινους* (A, 8₂₂). „... დღესასწაულსა აღვასრულებთ რვათა დღეთა შინა, უ ფ ო ვ ო რ თ ა დ სახელდებულსა (წ. 2, თ. 15,1). *τῶν δὲ γάμων* (A, 2₃₁₇).

ბერძნულში არის ორი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა მოეპოვებათ. ესენია — *αἱ Ἀμφίαι* და *αἱ Θήβαι*¹¹. ერთ-ერთი ამათგანი, თებე, ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც არის წარმოდგენილი მრ. რ.-ის ფორმით: „... და წარვიდა თ ი ვ ა თ ა ზ ე და“ (წ. 5, თ. 7,5) ...*ἔπει Θήβαι* (A, 5₂₅₁). შესაძლებელია, სწორედ ამ სახელისა და იმ ფაქტის გავლენით, რომ ბერძნულში ზოგი გეოგრაფიული სახელი დასტურდება მრ. რ.-ის ფორმითაც, იოსებ ფლავიოსმა, წარმოშობით არაბერძენმა, რამდენიმე გეოგრაფიული სახელი თხზულებაში შეცდომით მრ. რ.-ის ფორმით წარმოადგინა. ეს სახელები თარგმანშიც მრ. რ.-ის ფორმით არიან გადმოსულნი: „... ხოლო ითქუმის ნავისათჳს სომხეთს შინა, მახლობელად მთასა კ ო რ ჯ დ ე ო თ ა ს ა“ (წ. 1, თ. 3,5) ...*τῶν Κορδουαιῶν* (A, 1₉₃). „განეშორა ... არა შორს გ ე რ ა რ ო ნ თ ა გ ა ნ“ (წ. 1, თ. 18,2) ...*ὁ μακρὰν Γεράρου* (A, 1₂₈₀). „... დაიპყრა ამან ი ე რ ო ს ო ლ ჯ მ ა ნ ი“ (წ. 12, თ. 1,1). *τὰ Ἱεροσολύμα* (A, 12₄).

აი, როგორ იქცევა მსგავს შემთხვევებში ეფრემ მცირე: ეფრემ მცირის ასეთივე სტილისტიკური თავისუფლების შედეგია ისიც, რომ ორიგინალის მრავლობით რიცხვში მოცემული სიტყვა თარგმანში ზოგჯერ მხოლოდითი რიცხვით არის გადმოცემული და, პირიქით, დედნის მხოლოდითის ნაცვლად თარგმანში გვაქვს მრავლობითი... ბერძნული ტექსტის მრავლობითის გადმო-

11 ა. უ რ შ ა ძ ე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969, გვ. 33:

6. პასიური კონსტრუქცია

თარგმანში მრავლად მოიპოვება ისეთი შემთხვევები, როდესაც ბერძნული დედნის პასიური ფორმების კალკირების შედეგად ნახმარია აგრეთვე პასიური ფორმები იქ, სადაც ქართული ენისათვის გაცილებით ბუნებრივი და ორგანული იქნებოდა ზმნის აქტიური ფორმების ხმარება, რადგან, როგორც ა. შანიძე მიუთითებს, „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა, პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს“¹³. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს თარგმანიდან: „... იმე ფებო დეს საულთსით“ = საული მეფობდა მათზე (წ. 11, თ. 4,8). *ἐβασίλευσθαι* (A, 11₁₁₂). „... და იცეებოდა დასჯისა მიმართ“ (წ. 10, თ. 7,3) = იცავდნენ, რათა დაესაჯათ. *... ἐφύλαττετο* (A, 10₁₁₅). „... მიიყვანებოდა იოსიპოს მიმართ“ (წ. 2, თ. 6,6) *κατάγονται* (A, 2₁₂₀). „ვიიძულე მითხრობად“ (წ. 1, შეს. № 1) *... ἐβιάσθη ἔκδηγησασθαι* (A, 1₄) და სხვ. მრ.

ისევ და ისევ ბერძნული დედნის გავლენით თარგმანში საპირისპირო მოვლენაც დასტურდება: ნახმარია მოქმედებითი გვარის ფორმები იქ, სადაც ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა ვნ. ან საშ. გვარის ფორმების ხმარება. მთარგმნელი, ახდენს რა ბერძნული ფრაზების ზუსტ კალკირებას, თარგმნის „აბრ“ განსაზღვრებით ნაცვალსახელს, რაც ნიშნავს „თვით, თვითონ“ და უხდება ამ ნაცვალსახელთან კონტექსტში მოქმედებითი გვარის ზმნის გამოყენება: „ხოლო ამას ეამსა შინა მსმენელმან დავიდის პალესტინელთა მოწევნასა კელანონთა სოფლად და ამას მიტაცებად, მისცა თავი თვისი მხედრობად მათ ზედა“ (წ. 6, თ. 13,1) *... ἐξῆλθον ἐαυτὸν στρατεύειν ἐπ’ αὐτοῦς* (A, 6₂₇₁) = გაილაშქრა. „არამედ და თავიცა თვისი განაპარა სახედველსა მმეფობადლთასა“ (წ. 6, თ. 4,5) *... τῆς ὄψεως αὐτὸν τῆς τῶν βασιλευσθησομένων ἐξέλεψεν* (A, 6₆₃) = გაეპარა. ბერძნულ დედანში „თავი თვისი“ ნაცვალსახელი იხმარება ისევ და ისევ კუთვნილებითი დამოკიდებულების აღსანიშნავად, რადგან ზმნა მოკლებულია უნარს ამ კატეგორიის (ქცევის) გამოხატვისა.

II. სინტაქსური კალკები

1. უშემასმენლო წინადადება

ა) მეშველი ზმნა არ არის წარმოდგენილი

ბერძნული ენისათვის რიგ შემთხვევაში ბუნებრივია შედგენილი უშემასმენლის მხოლოდ სახელადი ნაწილის ხმარება მეშველი ზმნის გარეშე. მაგ.: *καὶ κοινὸν ἦμιν αἶμα* (A, 2₁₀₂). ასევეა ქართულ თარგმანშიც: „რამეთუ ვართ ძმანი და ზიარ ჩუენდა სისხლი“ (წ. 2, თ. 6,3) *ἵστε μέντοι μέγαν τὸν Θεόν* (A, 14₁₇₉) „უწყოდეთ უკუე, დიდი ღმერთი, ვითარმედ ამან... გტანჯნეს თქუენ...“ (წ. 14, თ. 9,4).

¹² ს. ენუქაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 0155.

¹³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 283.



მსგავსი მაგალითები ბევრია ჩვენს თარგმანშიც და, საზოგადოდ, ბერძნულიდან მომდინარე ძველ ქართულ თარგმანებშიც. ჩვენ ამჟამად ისინი გვინტერესებს, რადგან ამ შემთხვევაში, მეშველი ზმნის ჩავარდნის მიუხედავად, აზრი მინც ვასაგებია. უფრო საინტერესოა სხვა რიგის მოვლენა: ბერძნულში მიმღეობას რიგ შემთხვევებში აქვს ზმნური ძალა. თარგმანში კვლავ კალკია ვაკეთებული: მიმღეობა ვადმოღებულია მიმღეობით, ხოლო მეშველი ზმნა, რომელიც ქართული თარგმანისათვის სასურველია აზრის გასაგებად, არ არის წარმოდგენილი ისევე, როგორც ბერძნულ დედანში, სადაც არც არის მისი საჭიროება. ე. ი. ამ შემთხვევაში საუბარია არა მეშველი ზმნის კარგვაზე, არამედ ბერძნული კონსტრუქციის კალკირებაზე: „ოჲ ყრმაო! ბევრთა ლოცვათა მიერ მთხოველ შენი ქმნად ჩემდა ღმრთისა მიერ“ (წ. 1, თ. 13,3) ἢ παῖ, μῦραις εὐχαίς ἀίτησάμενός σε γυνάμαι μοι παρὰ τῶν Θεῶν (A, 1²²⁸).

„არამედ მე უმჯობეს, ვიდრელა ბოროტისმოქმედება, ხოლო ღმერთმან არამცა უგულუბელს-ყოს თავი თვის შეურაცხყოფილი, არცა თქუენ უმეცარნი, ვითარ რომლისა მოქმედნი მიმნიჭებელ იყვნეთ მისდა (წ. 4, თ. 2,4) ἀλλ' ἐγὼ τε χρεῖττων ἢ κακουργεῖν, ὃ τε Θεὸς οὐκ ἂν περιεῖδεν ἕαυτὸν καταφροῦσμενον ὁδ' ἡμᾶς ἀγνοῖοντας (A, 4²⁸).

„ხოლო მან, „არამედ უმცირეს, თქუა, მე მეუფეო, ესევეითარისა სასოებისა და ნათესავისა უმცირესისაგან, რაოდენ მეფესა ქმნად და მამულისა უმდაბლესისაგან სხუათა მამულთაჲსა (წ. 6, თ. 4,1). „ἀλλ' ἦ ττων“, εἶπεν, „ἐγὼ, δέσποτα, ταύτης τῆς ἐλπίδος καὶ φυλῆς μικροτέραις ἢ βασιλείαις ποιεῖν καὶ πατριᾶς ταπεινοτέραις τῶν ἄλλων πατριῶν (A, 6⁵¹).

2. შეთანხმების დარღვევა წინადადების წევრთა შორის

ა.) შეთანხმება დარღვეულია ბრუნვაში

მთარგმნელი ძალიან ხშირად ინარჩუნებს ბერძნული წინადადების წევრთა რიგს და სიტყვებიც იმავე ბრუნვის ფორმით ვადმოაქვს, რომლითაც ისინი დედანში დასტურდება. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უგულუბელყოფილია ქართული ენის კანონები. მაგ.: „და იგი ვიდრემე კეთილსასოებაჲ წარვიდა ქორწილისათს“ (წ. 8, თ. 1,2). καὶ ὁ μὲν εὖ ἔλπιδε ἀπαλλαττεται περὶ τῶν γάμου (A, 8⁶) (უ. ი. კეთილსასოებით), „და ელისეოს უკუე მომავალსა დღესა აღუთქუმიდა... ქმნაჲ მრავალსა იეფობასა საზრდელისასა და განსყიდაჲ... სიკლოდ ერთად ორთა სატათა ქრთილისათა, ხოლო მოსყიდაჲ სემინდალსა სატასა ერთსა სიკლოდ“ (წ. 9, თ. 4,4). ...ἔσεισμαι ...πραΐψεσμαι ...ἀνψεσμαι (A, 9⁹⁷). ... არამედ წარმავლენელმან ტარიგი გლახაკისაჲ მისტაცა (წ. 7, თ. 7,3) უნდა ყოფილიყო ან: ტარიგი გლახაკს მისტაცა ან ტარიგი გლახაკისაჲ მიიტაცა. ამ შემთხვევაშიც მოხდა ბერძნული დედნის შესატყვისი ადვილის ზუსტი კალკირება: τῶν πένητος დგას ნათ. ბრ.-ში (=გლახაკისაჲ), ἀπέσπασε კი არის მოქმედებითი გვარის ზმნა, აორისტის მე-3 პ., მხ. რ.

ჩვენ ადრე შევეხეთ სახელებს, რომელთა ნომინატივის ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ბერძნული სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა



წარმოადგენს¹⁴. მაგალითებს აქ აღარ მოვიტანთ, აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მსგავს შემთხვევებშიც ამავე მოვლენას აქვს ადგილი: ხდება ბერძნული დედნის საკუთარი სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმის კალკირება.

ბ) შეთანხმება დარღვეულია რიცხვში

ძველ ქართულ ენაში სინტაქსურ ნორმად არის მიჩნეული ნარ-თანთან მრავლობით რიცხვში მდგომი სახელის მიერ ზმნის შეთანხმება მრ. რ.-ში¹⁵. ამასთან ეს წესი საკმაოდ ხშირად ირღვევა¹⁶. ასეთი დარღვევა განსახილველ თარგმანში ძირითადად ისევ ბერძნული დედნის გავლენით ხდება. „პირველად კაცნი საწყაულთა და საწონთა მოგონებით გარდაცვალა“ (წ. 1, თ. 2,2). ...*οἱ ἀνθρώποι ...μαρτυροῦνται* (A, 161). „... ხოლო ჭაბუკნი ყოველნი, რომელთა სათნობისა ქონებულ-იყო და კეთილ-მოყუარებისა... მოსრიდეს, მიმღებელნი მიზეზსა ზამერიაჲს მსგავსთასა“ (წ. 4, თ. 6,12); *οἱ δὲ νότι πάντες, οἱς ἀρετῆ; ἀντιποίησας ἦν* (A, 4154). ამ მაგალითში ორმაგი დარღვევა ხდება და ორივე ამ დარღვევის წყარო ბერძნული დედანია, სადაც *οἱς* ღვასნათ. ბრ.-ში და *ἦν* მხოლოდით რიცხვში. „აღწერილ არს უკუე წელიწადნი სამღდლოთა წიგნთა შინა“ (წ. 1, თ. 3,3). *ἀναγέγραπται δὲ ὁ χροῖος* (A, 182).

განსახილველი თარგმანის მიხედვით მსჯელობა ზემოთ აღნიშნული სინტაქსური მოვლენის რღვევაზე ძნელია, რადგან თარგმანის ენა ბერძნული დედნის სინტაქსის გავლენის ქვეშ არის მოქცეული.

3. მისამართი სიტყვის პლეონასტური გავრცობა

„როდესაც მისამართი სიტყვა შორს აღმოჩნდება შემასმენლისაგან, ეს უკანასკნელი ცდილობს ახლოს იქონიოს სასაზღვრო სიტყვა ნაცვალსახელის სახით“¹⁷.

ეს მოვლენა არ არის უცხო იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანისთვისაც. მაგრამ ასეთივე გავრცობა ხდება ბერძნული დედნის შესატყვის ადგილსაც. ე. ი. ეს მოვლენაც ბერძნულის კალკს წარმოადგენს. „ხოლო ღმერთმან, თანად ძვრხილულთა შემწყნარებელმან და დანიილოსს, სიბრძნისათჳს შემწყნარებელმან, საცნაურ-უყო მას ჩუენებაჲ“ (წ. 10,

10,3) *ὁ δὲ θεὸς ἔμα τῶς τε κινῆσεν αὐτῶς ἐλῆψας καὶ τὸν Δανιήλον ἣς σοφίας ἀγαταμεινός τὸ τε θναρ ἄστῆ ἰωάνριμον ἐποίησε καὶ τὴν κρῖσιν* (A, 10₂₀₀).

14 ნ. მელიქიშვილი, საკუთარი სახელები იოსებ ფლავიოსის ერთი თხზულების ქართული თარგმანის მიხედვით, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 3, გვ. 114.

15 არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრ.-ის სახელობითი დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში: ტფ. უნ. მოამბე: IX, 1928, გვ. 107—119; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 186—187; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 270; ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, თბ., გვ. 147.

16 ზ. სარჯველაძე, ქართული სელიტერატურა ენის საკითხები, თბ., 1975, გვ. 223—229.

17 კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები, თბ., სახ. უნივ. ძვ. ქ. ენის კათედრის შრომები, 20, თბ., 1977, გვ. 86.

„და ვანოს ვიდრემე, ბრძანებულთა მოქმედი, იგი განიხიან მკვლარითა მყვანებელად ყოვლისა ძალისა“ (წ. 8, თ. 1,4). και Βαναίας μὲν τὰ κελεισθῆντα ποιήσας αὐτὸς ἀποδεικνυται στρατηγὸς πάσης τῆς δυνάμεως (A, 8₁₆).

4. მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა

მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა არ არის უჩვეულო ძველი ქართული-სათვის, თუმცა არც მაინცადამაინც გავრცელებულ მოვლენას არ წარმოადგენს¹⁸. იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა ძირითადად ხდება ბერძნული დედნის გავლენით, სადაც წინადადების წევრთა ამგვარი წყობა არ არის უჩვეულო. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს თხზულების ქართული თარგმანიდან:

„... მ რო კ ვ ა ლ ი ს ა, შესრულსა სამოსუმუროდ, შეუენიერისა ტრფიალებულმან, ძმასა მიუმცნო ესე...“ (წ. 12, თ. 4,6). ὀρχηστρίδος εἰσελθόντης εἰς τὸ συμπόσιον εἰπρεποῖς ἐρασθῆεις... (A, 12₁₈₇).

„ხოლო რომელსა უამსა იწყო შენებად ტაძარმან, წელიწადი ტუროსს შინა მეფობისა მეთერთმეტე წარმოდგომილ იყო ირომთასა“ (წ. 8, თ. 3,1). ...κατ' ἐκείνων ἔτος ἦδη τῆς ἐν Τύρῳ βασιλείας ἐνδέκατον ἐνειστήχει Εἰρώμω A, 8₉₂). „ხოლო კეთილსა მქონებელი და საკუთარსა ივავსა სათნობისასა მამასა და დიდებასა მისსა...“ (წ. 8 თ. 7,5) κἀλλιστον δ' ἔχων καὶ οἰκεῖον παράδειγμα τῆς ἀρετῆς τὸν πατέρα καὶ τῆν ἐκείνου δόξαν... (A, 8₁₉₈).

„უზეკია მეფემან, ესრეთ საკრველად ვსნილმან შიშთავან, სამადლობელნი ყოვლისა ერისა თანა მსხუერპლნი შეწირნა ღმრთისა“ (წ. 10, თ. 2,1). „Ἐξείκας δ' ἑ βασιλεὺς παραβῆζας ἀπαλλαγεῖς τῶν φθῶν χαριστηρίοις σὺν ἅπανι τῷ λαῷ Θυσίας ἐπετέλεσε τῷ Θεῷ (A, 10₂₄).

„ხოლო ალექსანდროს თავსა, არავთა მძლავრმან, მომკუთეულმან, ზავილოს, წარუვლინა პტოლემოსს“ (წ. 13, თ. 4,8). τοῦ δὲ Ἀλεξάνδρου τῆν κεραιλῆν ὁ τῶν Ἀράβων δυνάστης ἀποτεμὸν Ζάβειλος ἀπέστειλε Πτολεμαῖω (A, 13₁₁₈).

ბერძნული დედნის გავლენით ამ წინადადებაში ორი წყვილი არის ერთმანეთისაგან გათიშული ა) არავთა მძლავრმან ზავილოს და ბ) თავსა მომკუთეულმან.

მსგავსი მაგალითი კიდევ ბევრი შეგვიძლია მოვიტანოთ. ამასთან, დაახლოებით თანაბრად არის შემთხვევები იმისა, რომ ატრიბუტული მსაზღვრელი წინ უსწრებს ან მოსდევს საზღვრულს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთრივ ქართული ენისათვის არ არის უცხო მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა. ეს ამაღლებულ ტონსა და საზეიმო ელფერს მატებს თხრობას. თხზულების ქართულ თარგმანში სულ თითზე ჩამოსათვლელია შემთხვევები, როდესაც ბერძნულში მსაზღვრელ-საზღვრული ერთადაა, თარგმანში კი — გათიშული. მოვიტანთ ერთ ამგვარ მაგალითს: „მერმეცა უმეტეს სავედრებელნი პირველთასა სიტყუანი მო-

¹⁸ ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1961, გვ. 116; ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართულში, თბ., 1963, გვ. 250, 277.

ართუნა მას“ (წ. 2, თ. 4,3) ...*λιπαρεστέριος* *ἔτι τῶν πρώτων ἀντὶ γκατο* *λόγιος* (A, 2₄₅).

რაც შეეხება რთული სიტყვების კალკირებასა და ზმნური მნიშვნელობის მქონე ინფინიტივისა და მიმღობის იმავე სახით გადმოღებას ქართულ თარგმანში, რა სახითაც არიან ისინი წარმოდგენილი ბერძნულ დედანში და ამით ტექსტის გაგების გაძნელებას, ამის შესახებ ჩვენ ადრე დაწვრილებით ვიმსჯელებთ¹⁹.

III. ფრაზიოლოგიური კალკები

როგორც ზემოთ დავინახეთ, იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ მთარგმნელი იმდენად ზუსტად მისდევს ბერძნულ დედანს, რომ კალკირებული ფორმები, მცდარი ქართული სამწერლობო ნორმების თვალსაზრისით, არის როგორც მორფოლოგიის, ასევე სინტაქსის სფეროში. მითუმეტეს, არ არის გასაკვირი, რომ თარგმანის ლექსიკა და ფრაზეოლოგია, აგრეთვე, ძალიან არის დამოკიდებული ბერძნულ დედანზე. გვინდა გამოვყოთ რამდენიმე სახის კალკი ამ სფეროში:

1) კალკირებული ფრაზების ერთი ჯგუფი აზრობრივად გასაგებია და, ამდენად, თარგმანში მკვეთრად არ გამოცალკევდება, თვალში საცემი არ არის. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს და დავკმაყოფილებით მხოლოდ კალკირებული ფრაზით ვრცელი კონტექსტის გარეშე:

„რაოდენთა წელთა ცხორებული მყოფობს“ (წ. 2, თ. 7,6) = რამდენი წლის არის. ...*πίστον ἦδε βεβαιακῶς εἶη χροῖον* (A, 2₁₈₈). „ღირსების ზედათა“ (წ. 5, თ. 1,28) = ყველაზე ღირსეულნი ...*ἀξιῶματος μάλιστα* (A, 5₁₁₅). „განიზინენს სხუაჲ სხუადმი“ (წ. 10, თ. 8,2) = გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს ...*ἄλλος ἄλλαχθιν* (A, 10₃₈) „ძალითა მოუთმენელნი“ (წ. 9, თ. 10,3) = დაუშარცხებელნი ...*τῆν ἀλκίην ἀνυπὸστατοι* (A, 9₂₂₀).

2) ბუნებრივი იქნება, თუ მეორე ჯგუფში გავაერთიანებთ ისეთ კალკირებულ ფრაზებს, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის უფრო ძნელად გასაგებია, ვიდრე I ჯგუფში წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ფრაზების კალკირება სრულიად გაუმართლებელია და მხოლოდ აბუნდოვანებს აზრს:

„ხოლო უამისა წარსრულობასა, რომელი უყუარს დიდთა შეხებად მგონებელთა, მცონარებაჲ და მომღოვრებაჲ იქმნა ჩემდა, ესე ვითარსა მიზეზსა გარდაღებად სხუსა მიმართ ჩუენგან და უცხოოსა ენისა ჩუეულებისა“ (წ. 1, შეს. № 2) ...*ὄπερ φιλεῖ τοῖς μεγάλοις ἀπειθεῖται διαουσιμένοις* (A, 1₇).

კალკირებული ფრაზის აზრი არის: როგორც ემართებათ იმათ, ვინც ხელს მოკიდებს რაიმე დიდ საქმეს.

„ხოლო სახილველ არიან და ჯერეთ აწცა ძუალნი ამათნი, არა მსგავსნი მოსრულთანნი სარწმუნოებისა ქუეშე“ (წ. 5, თ. 2,3) ...*μηδὲν τοῖς ἵπὸ πίστειν ἐρχομένοις ἐοικῶτα* (A, 5₁₂₆) = რომლებიც არ

¹⁹ ნ. მელიქიშვილი, სიტყვათწარმოება იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში, მაცნე (ენისა და ლიტერატ. სერია), 1981, № 4, გვ. 100—115; ნ. მელიქიშვილი, ინფინიტივი, მასდარი და მიმღობა ი. ფ.-ის თხზულების ქართულ თარგმანში, მაცნე, ენისა და ლიტ.-ის სერია, 1983, № 1, გვ. 125—134.

ამჟღავნებენ არავითარ მსგავსებას იმასთან, რაც ადამიანის ცოდნის ფარგლებშია (ე. ი. ის, რაც ადამიანმა შეიძლება ირწმუნოს, დაიჯეროს).

3) ბერძნული დედნის ფიგურალური გამოთქმების საკმაოდ დიდი ფი თარგმანში კალკირებულია და ამ უკანასკნელშიც ფიგურალურ გამოთქმას წარმოადგენს. ასე მაგალითად, „კელი“ სიტყვის შემცველი ხუთი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე გამოთქმა დასტურდება:

ა) „კ ე ლ ა დ მ ი ს ვ ლ ა“ = შებრძოლება

„და შემდგომად ვითარმედ უჯეროთა ქმნად კელ-ჰყოფენ მბრძოლთა, კ ე ლ ა დ მ ი ს ლ ვ ი ს ა არა მკადრენი“... (წ. 5, თ. 7,11) ...*ὁσ τοιμηχαντες εις χεირας ελθειν* (A, 5268).

„კ ე ლ თ ა თქუენთა მომართ მო ვ ი დ ე ნ“ (წ. 4, თ. 6,4) *τὰς ἡμετέρας χεირας ελθειν* (A, 4117). „გულისმსიტყუელი... არა პირველად ხანანელთა კ ე ლ ს ა მ ი ს ლ ვ ი ს ა დ“ (წ. 4, თ. 1,3) *εις χεირας ῥῆειν* (A, 410).

ბ) კ ე ლ ი ს ქ უ ე შ ე მ ყ ო ფ ი = დამორჩილებული

„მბრძოლთაცა კელისქუეშე ქმნილნი განგათვისუფლნა“ (წ. 6, თ. 5,6) *ἰποχειρίους* (A, 690), „არამცა კ ე ლ ი ს ქ უ ე შ ე ქ მ ნ ი ლ ი ყ ო ს, უკუეთუმცა ღმერთი მოტუნე იყო მისა“ (წ. 6, თ. 1,2) ...*ἰποχειρίον* (A, 69). როგორც ჩანს, ღღევანდელი „ხელქვეითიც“ ბერძნული ფორმის კალკია.

გ) ს ა ქ მ ე ნ ი კ ე ლ თ ა ნ ი (მამაცური საქმეები; ფიზიკური შრომა) „ხოლო ბრძოლად რად იქმნა, ს ა ქ მ ე ნ ი კ ე ლ თ ა ნ ი თანად და შეკადრებისანი მრჩობლთაგანვე დიდნი იხილევბოდეს“ (წ. 7, თ. 10,2) ...*ἔργαμυγάλα χεირῶν* (A, 7236) = მამაცური საქმეები.

„ს ა ქ მ ე თ ა მიმართ კ ე ლ თ ა მ ს ა და მოთმინებისა შრომათაისა იყვნეს სულკეთილ“ (წ. 2, თ. 1,2) ...*πρὸς ἔργα χεირῶν* (A, 217 = ფიზიკური შრომა).

დ) კ ე ლ თ ა მიერ მკნე = მამაცი

„ხოლო იყო კ ე ლ თ ა მიერ მკნე მამაკაცი“ (წ. 4, თ. 5,3) ...*κατὰ χεира ρευναίης ἀνὴρ* (A, 498).

ე) კ ე ლ თ ა შ ი ნ ა = ის, რაც ხელთ აქვს, თავისთვის უნდა, მისია

„ხოლო ამათი მიმთხუეული ეძიებდა და საჭურველსაცა რასავე კ ე ლ თ ა შ ი ნ ა (წ. 6, თ. 12,1) ...*τι μετὰ χεირας ριοφαιίαν* (A, 6244). „მრავალნი კ ე ლ ი ს ა შ ი ნ ა ღ მეფისა და კლეოპატრასა ძღუენნი წარავლინნა“ (წ. 12, თ. 4,5) ...*ἰπὸ χεира* (A, 12185) = თავისგან, თავისი სახელით. „ხოლო იგი... უდიდესთაცა ამათთა აღუთქუმიდა შემდგომად კ ე ლ თ შ ი ნ ა მ ს ა ბ რ ძ ო ლ ი ს ა, რამეთუ აწ ამისგან უცალოობს (წ. 13, თ. 5,2) ...*ἐν χεροι πῆλειμου* (A, 13134) = ბრძოლა, რომელშიც იგი ჩაბმულია.

ასევე, ფიგურალური გამოთქმა არის ბერძნულ ენაში „*ἐν ποισι*“ და

ნიშნავს „ამჟამინდელს, ახლანდელს“²⁰. *ποιον* სიტყვა დამოუკიდებლად წარმოადგენს *ποιός, ποιός* (= ფეხი) სიტყვის დატივს. მთარგმნელმა გააკეთა ფიგურალური, არამედ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი და „ფერკთწინა“ და „ფერკთა შინა“ გამოთქმას დააკისრა „ამჟამინდელის“ მნიშვნელობა: „უკუეთუ არა მათდა მიმართ მოქმედებდენ ფერკთწინაჲსა ძკრისათუს (წ. 3, თ. 1,4) ...*τά έν ποιοι κακά* (A, 215).

... „დაკრებად მისსა მიიძართეს, ვითარ მიზეხსა ფერკთწინაჲსა განსაცდელისასა“ (წ. 3, თ. 1,3) ...*τῆς έν ποιοι συμφοράς* (A, 312).

„მოკლვად აწვე... ფერკთა შინასა ეამსა მიიძართეს“ (წ. 2, თ. 3,1) ...*τον έν ποιοι υπερβαλέσθαι* (A, 220).

უთუოდ ფიგურალური გამოთქმაა ბერძნულში, როდესაც ავტორი ორი სავნის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის აღსანიშნავად მათ განსხვავებული სქესის წარმომადგენლების ურთიერთობას აღარებს. ეს ფიგურალური გამოთქმა კალკირების გზით ასევე ფიგურალურად არის გადმოსული თარგმანში: „ხოლო ათორმეტნი სხუანი მოსადებელნი, ... შესაყოფელად დედალთა და მამალთა შეერთებულ იყვნეს, ვიდრელა ერთ სავონებელ იყვნეს“ (წ. 3, თ. 6,4) ...*Θηλείας τε και ἀρρενος συνελεχτο* (A, 3130) (ეს გამოთქმა დასტურდება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც). „ხოლო უკუანაჲთ კერქოსა ზღუდესა ერთი მოზღუდვილ იყო, ყოველთად მიმწეგნელი სუეტთა, რომლისა შევიდოდეს გუერდნი და დასასრულნი ზროთანი თითოეულისა ზღუდისაგან, უფროჲსთაჲსა დაპყრობაჲ შეემთხუეოდა მათ კილოთა შინა, ვითარ დედალისა მამლისა თანამოსლევასა“ (წ. 3, თ. 6,3) ...*τῆ Θήλει τῶν ἀρρενος συλεθόντως* (A, 3121).

იატაკად დამხოზა = განადგურება, გაცამტვერება

თარგმანის ეს ფიგურალური გამოთქმაც სათავეს ბერძნულ დედანში პოულობს, სადაც საუბარია ქალაქის მთლიან, საფუძვლიან დანგრევაზე (*τῆ ἔδραφος* = ფსკერი, საფუძველი, ნიადაგი, იატაკი): „აღმომთხრელი იატაკად ქალაქისაჲ“ (წ. 5, თ. 7,4) *και κατασκάφας εις ἔδραφος τῆν πόλιν* (A, 5248). „ქალაქი იატაკად დაეცეს“ (წ. 10, თ. 7,6); „იატაკად დაამკჷა ქალაქი“ (წ. 5, თ. 5,4) „ნუცალა იატაკსა... უტევებენ“ (წ. 4, თ. 8,45).

როგორც დავინახეთ, მოხმობილი ფიგურალური გამოთქმები რამდენიმეჯერ მეორდება თარგმანში. ამიტომ განვიხილეთ ისინი ასე დაწვრილებით. დანარჩენი ფიგურალური გამოთქმების მხოლოდ ჩამოთვლით დაკმაყოფილებით, რადგან ისინი თარგმანში თითო-თითოჯერ დასტურდება (არ მოგვაქვს არც მათი ბერძნული შესატყვისები, რომელთა ზუსტ თარგმანსაც წარმოადგენენ ისინი):

„დედაკაცი, შეგინებული ბუნებითაგან“ (წ. 3, თ. 12,1) = წესის მქონე ქალი.

„მთავრობისა მიერ სნეულებდეს“ (წ. 5, თ. 4,1) = მთავრობა მოიკოკლებდა.

²⁰ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., 1958, с. 530.

„პასაკის უძღურება“ (წ. 2, თ. 3,1)=ახალგაზრდა ასაკი.

„განჭაბუქენს ეგვიპტესა ზედა“ (წ. 2, თ. 11,1)=შეცვალეს ეგვიპტეში მმართველობა.

„მაღლად მომავალი“ (წ. 1, თ. 3,7)=წინაბარი.

„მკუდარი... უნაწილოა ქუეყანისა“ (წ. 4, თ. 8,24)=დაუმარხავი მიცვალებული.

„სულისა მათსა დადღლებსა“ (წ. 4, თ. 8,40)=გალაჩრება.

4) თარგმანში არის დედნიდან კალკირებული ფრაზების ერთი რიგი, რომლებიც იმდენად დამკვიდრდნენ ქართულ ენაში, რომ ხშირად ორგანულ, ქართულ გამოთქმებადაც კი არიან მიჩნეულნი. მაგ.:

„და მიიახლებულნი მათნი სიტყუად, ევედრებოდეს არა შურგებად მათდა მიღებასა შეუენიერებისა მათისასა“ (წ. 4, თ. 6,7 ...και παραγενόμενοι εις λήγους αὐταῖς (A, 4₁₈₁).

„შიში შევიდა იუდისსა“ (წ. 5, თ. 4,2) ...και θῆξις εἰσῆξει τὸν Ἰουδαίον (A, 5₁₉₂). „და მმთავრობმან წელთა ორმოცთა, დააქცია ცხორებამ“ (წ. 5, თ. 3,3) ...καταστρέψει τὸν βίον (A, 5₁₈₄). „და ავიაჲსთს ვიდრემე, როგორც ამოჲს სოლომონოჲსისა, ესრეთ მიმდებელ ვართ“ (წ. 8, თ. 11,4) ...περὶ Ἀβίαν τὸν Ῥοβιάμου τὸν Σολομώντος (A, 8₂₈₇) და ა. შ.

ზემოთ მოტანილი კალკირებული ფრაზები ბუნებრივი ქართული ენით შემდეგნაირად შეიძლება იქნეს გადმოცემული: 1) მისული მათდა; 2) იუდა შეშინდა; 3) აღესრულა; 4) ავიაჲსთს, როგორამის ძის და სოლომონის შვილი-შვილისა.

5) გვინდა შევჩერდეთ თარგმანის ისეთ ფიგურალურ გამოთქმებზე, რომლებიც რამდენადმე თვით მთარგმნელს შეიძლება მიეწეროს და მის მხატვრულ გემოვნებაზე უნდა მეტყველებდეს. ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელს ჰქონდა არჩევანის შესაძლებლობა: ბერძნული დედნის გამოთქმა გადმოელო პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით. იგი ირჩევს ამ უკანასკნელ გზას და იძლევა ფიგურალურ გამოთქმას: „... ჯერ-არს... სიბერისა მიმართ პოხილისა და კეთილბედნიერისა მიწვევად მთავრობასა“ (წ. 8, თ. 1,1). შესატყვისი ბერძნული სიტყვა λιπαρόν ნიშნავს როგორც ა) მსუქანს, მდიდარს, ასევე ბ) უზრუნველყოფილს, წყნარს. ე. ი. მთარგმნელს შეეძლო ამ აზრის მარტივად გადმოღება „უზრუნველყოფილი სიბერის“ სახით, მაგრამ მან ფიგურალური გამოთქმა აირჩია.

ასევე: „და სიბერე უდაბნოსა შინა გულვებადი ცხორებად და სიკუდილად ჩუენ წარწყმედილთათს შეიკდიმე“... (წ. 2, თ. 6,8) ...και γηρας ἐν ἐρημία βιωσάμενον (A, 2₁₈₁). ἡ ἐρημία ნიშნავს როგორც „უდაბნოს“, ასევე „მარტობას“. ე. ი. მთარგმნელს შეეძლო ეთქვა „სიბერე მარტობაში“, მაგრამ აქაც მან ფიგურალური გამოთქმა აირჩია.

დანარჩენი გამოთქმები კიდევ უფრო მთარგმნელისეული ჩანან, რადგან ისინი ბერძნული ფრაზის კალკირებით არ არიან მიღებულნი. ჩამოვთვლით მათ ბერძნული კონტექსტის მოტანის გარეშე:

„სიკუდილად ჰგონებდა დაძინებასა ვენიამენისსაცა“ (წ. 2, თ. 6,5).

„უქმ-ქმნეს დედაკაცი“ (წ. 4, თ. 8,33)=მუცელი მოუშალეს.

„მდინარე... არღა შეუღღვილ იყო“ (წ. 5, თ. 1,3)=მდინარეს ხიდი არა ჰქონდა.

„თმასა ღრმასა და უგულებელსქმნილსა მქონებელი“ (წ. 7, თ. 11,3)=დაუვარცხნელი.

„თმათა თსთა განუსაკუთრებდნენ“ (წ. 4, თ. 4,4)=მსხვერპლად შესწირა
რავდნენ.

„კნილა და მოაკლდებოდა“ (წ. 2, თ. 7,5)=კინლამ მოკვდა.

„ფიქრობთ, მოტანილი მასალა საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რო-
გორ თარგმანთან გვაქვს საქმე იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა
სიძველეთა“ ქართული ტექსტის სახით.



Н. Г. МЕЛИКИШВИЛИ

КАЛЬКИ В ГРУЗИНСКОМ ПЕРЕВОДЕ
«ИУДЕЙСКИХ ДРЕВНОСТЕЙ»
ИОСИФА ФЛАВИЯ

Резюме

В статье показано, что язык грузинского перевода XII века сочинения Иосифа Флавия «Иудейские древности» во многом зависит от греческого подлинника: в тексте перевода встречаются кальки морфологического, а также синтаксического и фразеологического характера. Переводчик прибегал к калькированию в целях сохранения близости к оригиналу.

მ. სურგულაძე

ორწივრიანი გვარსახელები ქართულ ისტორიულ
საბუთებში

საკუთარ სახელთა ისტორიული კატეგორიაა გვარსახელი. ფეოდალურ ეპოქაში გვარსახელი, ისევე როგორც პირის საკუთარი სახელი, სოციალური ნიშანია¹. იგი უჩვენებს მისი მფლობელის წარმოშობას, ნათესაურ და ოჯახურ გარემოს, სოციალურ ფუნქციას.

ფეოდალურ საზოგადოებებში ინდივიდის კოლექტივიდან გამოსაყოფად გვარსახელების ტიპოლოგიურად მსგავსი სემანტიკური მოდელები არსებობს. ესენია: საერთო მეურნეობის მქონე დიდი ნათესაური ჯგუფის აღმნიშვნელი ე. წ. ფილიაციონური გვარსახელი; ძეობის გამომხატველი ანუ პატრონიმული გვარსახელი²; წარმოშობის ადგილისა ან მამულზე საკუთრების მიმანიშნებელი გვარსახელი; თანამდებობიდან და გარკვეული ხელობის სახელიდან ნაწარმოები გვარსახელები. ამ მოდელთა ერთობლიობა ქმნის ფეოდალური საზოგადოების ანთროპონიმულ სისტემას. სიჭარბე ან ნაკლებობა რომელიმე სემანტიკური მოდელისა ამა თუ იმ ქვეყანაში განპირობებულია ფეოდალიზმის განვითარების ადგილობრივი, სპეციფიკური გზებით.

გვარსახელთა სემანტიკურ მოდელებს ყოველ ენაში შესაბამისი გრამატიკული მოდელი შეესაბამება. მაგრამ გარდა საკუთრივ ენობრივი მახასიათებლებისა, გვარსახელის აღნაგობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ის მოთხოვნები, რომელსაც ფეოდალური საზოგადოება თავისი სოციალური განვითარების კვალობაზე უყენებს ინდივიდს მისი კოლექტივიდან გამოსაყოფად³.

გვარსახელების გრამატიკული მოდელების საწარმოებლად ქართულ ენაში გამოყენებულია სუფიქსაციის წესი. ძეობის გამომხატველი (პატრონიმული) გვარსახელი იწარმოება სუფიქსებით -ძე, -შვილი. გეოგრაფიული ადგილის მიხედვით შექმნილ გვარსახელებს (ტოპონიმურს) დაერთვის -ელ სუფიქსი, დინასტიურობის მაჩვენებლად არის მიჩნეული -ეთ⁴. ნათესავთა დიდი ჯგუფის, ან კრებულობის, კოლექტიურობის (ფილიაციონური) გვარსახელები-სათვის გამოიყენება -ურ//-ულ და -ან სუფიქსები⁵.

გვარსახელთა გრამატიკულ მოდელებზე დაკვირვებამ შესაძლებლობა მისცა საქართველოს ისტორიის მკვლევრებს განესაზღვრათ ქართული საზოგადოების განვითარების სოციალური ეტაპები. ს. ჯანაშიას -ან ფორმანტიანი

¹ В. А. Никонов, Имя и общество, М., 1974, с. 7—8.

² А. В. Суперанская, А. В. Суслова, Современные русские фамилии, М., 1981, с. 17.

³ Т. В. Бахвалова, Из истории развития личных имен в Белозерье, Проблемы ономастики, Вологда, с. 119—120.

⁴ ე. დონდუა, საისტორიო ძეგლები I, თბ., 1967, გვ. 101—129.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბ., 1975, გვ. 126, ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარნი, იბერი, ენიმის მოამბე, ტფილისი, 1937, გვ. 185—245.

წარმოება ქართველური გვარსახელების ყველაზე ძველ და გავრცელებულ წესად მიაჩნია, რამდენადაც -ან სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციონირების თობის, სიმრავლის, კორპორაციულობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. -ან სუფიქსიანი გვარსახელები მას ფეოდალიზმამდელი, გვაროვნული საზოგადოების ნიშნად მიაჩნია, რაც, შემდგომში, ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა განდევნა.

გვარსახელთა სოციალური ასპექტების კვლევის აუცილებლობა და მნიშვნელობა ქართული ფეოდალიზმის ბუნების დასახასიათებლად მკაფიოდ გამოჩნდა ნ. ბერძენიშვილის შრომებში. მან გააღრმავა ს. ჯანაშიას დაკვირვება -ან სუფიქსიანი გვარსახელების ქართული საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან კავშირის შესახებ. მისი შეხედულებით, -ან და მასთან ერთად -ურ// -ულ სუფიქსიანი გვარსახელები საზოგადოების განვითარების ერთი ეტაპის ამსახველია. ისინი თავდაპირველად აღნიშნავდნენ კოლექტივთან მისი ერთი წევრის მიმართებას გვაროვნული ურთიერთობის რღვევის საფეხურზე. უფრო ადრე კი, თვით გვაროვნული ურთიერთობის დროს, როცა ინდივიდი, როგორც სოციალური მოვლენა არც არსებობდა, ინდივიდსა და კოლექტივს ერთი სახელი უნდა ჰქონოდა. გვარსახელის განვითარების შემდგომ საფეხურად მკვლევარს -ელით ნაწარმოები გვარსახელები მიაჩნია, რომლებიც ჩნდებიან ისტორიულ-გეოგრაფიული სახელიდან და საქართველოში „ქვეყნების“, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების გაჩენისა და დამკვიდრების პროცესს ასახავენ. ყველაზე გვიან განვითარებულ ფორმად ქართულ გვარსახელთა შორის ნ. ბერძენიშვილი თვლის -ძესა და -შვილზე დაბოლოებულ გვარსახელებს. ასეთი ფორმის გავრცელება, მისი აზრით, უკვე ინდივიდის კოლექტივისგან სრულ მოწყვეტას მოასწავებს და საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომი, ახალი ეტაპის მაჩვენებელია⁶.

ინდივიდის კოლექტივისაგან სრული მოწყვეტა, რომელზედაც ნ. ბერძენიშვილი ლაპარაკობს, გულისხმობს მიწაზე ინდივიდუალური ფეოდალური საკუთრების ფართო გავრცელებას. ეს პროცესი უსათუოდ უნდა ასახულიყო გვარსახელთა ფორმებზე, რასაც მოწმობს ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური წყაროების მასალა.

ფეოდალური ხანის კანონმდებლობა საკუთრების უფლების დოკუმენტურ მტკიცებას მოითხოვდა, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა იურიდიული პირის ზუსტი განსაზღვრის საჭიროება. ამავე დროს მიწაზე ფეოდალური საკუთრების ყველა ფორმა მემკვიდრეობითობის ძლიერ ტენდენციას ამჟღავნებს, რაც თავისებურად აისახა საკუთარ სახელთა სისტემაზეც. ფეოდალურ საგვარეულოში პირის საკუთარი სახელი მემკვიდრეობითია, ხოლო გვარსახელი, რომელიც პიროვნების ინდივიდუალიზაციას და მისი იურიდიული უფლებების გამოხატვას ემსახურება, გვარად ქცევის ცოცხალი ტენდენციის მაჩვენებელია. ყოველივე ამის გამო გვარსახელთა შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული შინაარსის დოკუმენტურ წყაროებს. მათში გვარსახელები ისეთი ფორმითაა შენახული, როგორსაც ქმნიდა თანადროული საზოგადოების მოთხოვნა.

დოკუმენტურ წყაროებში დადასტურებულია გვარსახელები XI საუკუნიდან (იმავე დროიდან, რა დროიდანაც ასეთი წყაროები მოგვეპოვება).

6 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 210—212.

7 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 126—127.



ყველაზე უფრო გავრცელებულია დოკუმენტური მასალის მიხედვით პატრონიმული გვარსახელი, ანუ -**შვილ** და -**ძე** სუფიქსებიანი გრამატიკული მოდელები. პატრონიმული გვარსახელი, რა თქმა უნდა, სრულებით არ გულისხმობს ამა თუ იმ პირის უსათუოდ მამის სახელზე მინიშნებას. შესაძლოა გვარსახელმა დაიცვას პაპის ან კიდევ უფრო შორეული წინაპრის სახელი. შესაძლოა, იგი აღსანიშნავი პირის მამის სახელზეც მიუთითებდეს. ამიტომ, ჩვეულებრივ, ძნელი გასარჩევია (ბევრი მასალის უქონლობის შემთხვევაში), ჩვენთვის საინტერესო გვარსახელი რამდენ თაობას გადაჰყვება, ანუ მამის სახელია იგი თუ უფრო ძველი წინაპრისა.

პატრონიმული გვარსახელის არსებითი ნიშანია მისი არასტაბილურობა. ხშირ შემთხვევაში ერთი ოჯახის ყოველი ახალი თაობა ატარებს ახალ გვარსახელს მამის სახელის მიხედვით. გვარსახელის სიცოცხლის „გახანგრძლივება“ განსაკუთრებული ხელისშემწყობი პირობების ერთობლიობა ესაჯიროება, რაც საბოლოოდ, აყალიბებს გვარს, ასევე, არახელშემწყობი პირობების გავლენით უკვე გვარადქცეული გვარსახელი შეიძლება სამუდამოდ გაქრეს.

ერთი და იმავე პირის ვინაობის აღსანიშნავად ისტორიულ საბუთებში, არც თუ ისე იშვიათად, ორი სხვადასხვა გვარსახელი გამოიყენება: შესაძლოა ეს ორი გვარსახელი ერთადაც იხმარებოდეს და ცალ-ცალკეც. ასეთ შემთხვევებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა მივაგნოთ იმ კონკრეტულ მიზეზებს, რომლებიც ახალი გვარსახელების, პოტენციურად კი ახალი გვარების ვაჩენას იწვევენ.

ორწევრიანი გვარსახელების წარმოქმნის მიზეზების ძიება სოციალური ურთიერთობის ერთ რომელიმე კერძო გამოვლინებაში არ შეიძლება. ასეთი მიზეზი იმდენადვე მრავალი შეიძლებაა ყოფილიყო, რამდენადაც მრავალფეროვანია ფეოდალური საზოგადოების იურიდიული პრაქტიკა.

ორწევრიან გვარსახელებს თავადაზნაურობასთან ერთად იყენებს ქალაქის დაბალი წოდებაც. იურიდიული პირის სახელდების ეს წესი ერთი რომელიმე ფენის პრივილეგია არ არის. მისი გავრცელება წოდებრივ საზოგადოებაში უკვე თავისთავადი მოწმობაა ამ წესის აუცილებლობისა.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მივუთითოთ რამდენიმე კონკრეტულ მიზეზზე, რომელიც ხელს უწყობდა ორწევრიანი გვარსახელის წარმოქმნას.

ერთ-ერთი ასეთი მიზეზი იყო შეწყალების გზით იურიდიული პირის სოციალურ კიბეზე დაწინაურება. 1297 წ. დავით მეფემ სოფელი ლაუშაი „სამამულოდ“ უბოძა ვინმე ჭარმაულ-ჭაჭნიასშვილ გრიგოლს⁸. საბუთში ვკითხულობთ: „მოვიდა ჩუენ წინაშე ჭარმაული ჭაჭნიასშვილი გრიგოლ და გუეჰაჯა და მოგუჰაჯენა, რაჲთამცა შევიწყალნეთ და ჟინოვნისა შესავალი შუანის ჰევს, სოფელი ლაუშაი, სიგლითა ამით სამამულოდ მიუბოძეთ... დაგუაჯირა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოკსენებაი ჭაჭნიასშვილისა გრიგოლ ჭარმაულისაი და მიუბოძეთ ჟინოვნის პირს სოფელი ლაუშაი და გამოვიდეთ ჟინოვნისაგან და მისისა შესავლობისაგან და ჟინოვნისა პატრონთა და ამირათაგან გრიგოლისა შვილთა და ყოველითა მომავალთა მისთა, შუანისკეცეს სოფელი ლაუშაი, მისითა მიმდგომითა მთითა, ბართა, ტყითა, ველით...“

როგორც ცნობილია, მონღოლთა ბატონობამ საქართველოში ხელი შეუწყო მეფის თვითმპყრობელობის დასუსტებას, რასაც თან მოჰყვება დიდებულის აზნაურებისა და ერისთავთ-ერისთავების გამთავრება⁹. XIII ს. ბოლოსა-

⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, ფ. Hd, № 1330.
⁹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 129.

თვის უკვე რამდენიმე დიდი სამთავრო ჩნდება¹⁰, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებიან. ასეთ ვითარებაში საქართველოს მეფეები მეტნაკლები წარმატებით ცდილობდნენ შეექმნათ ერთგულ ქვეშევრდომთა ახალი კონტიგენტი, რისთვისაც იყენებდნენ ისევ და ისევ წყალობის მინიჭების ტაქტიკას. დასახელებული სამეფო სიგელის ადრესატი გრიგოლ ჭარმაულ-ჭაჭინასშვილი ახლად დაწინაურებული ფეოდალი ჩანს. მას მეფე ძველად ნაქონ სამკვიდრო მამულს კი არ უმტკიცებს, არამედ ახალ წყალობას აძლევს, თან, როგორც საბუთიდან ირკვევა, ეს ნაწყალობევი სოფელი ჟინოვნის შესავალი ყოფილა და მეფეს იგი ჟინოვნის მეპატრონეთათვის ჩამოურთმევია. გრიგოლ ჭარმაულ-ჭაჭინასშვილის გვარსახელი ორწევრიანია. პირველი წევრი — ჭარმაული — არქაულია (კრებიითობის გამომხატველი), როგორც ჩანს, მთიან რეგიონებში გავრცელებული ანთროპონიმია და იგი მისი მფლობელის დაბალ სოციალურ წარმოშობას ამჟღავნებს. ასეთი სტრუქტურის ანთროპონიმს არც შეიძლება ფეოდალური არისტოკრატის გვარსახელთა გვერდით მოქალაქეობრივი უფლება უცებ მოუპოვებინა და იურიდიული პირის განსასაზღვრავად საკმარის ნიშნად ჩათვლილიყო. ამიტომაც ემატება გვარსახელს „ჭარმაული“ პატრონიმული გვარსახელი — „ჭაჭინას-შვილი“.

თუკი ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში ფეოდალთა გვარსახელი ქვეყნების გეოგრაფიული სახელიდან იწარმოება - ელ სუფიქსის დამატებით, გვიანდელ შუასაუკუნეებში (დაახლ. XV ს-დან), შეიმჩნევა საწინააღმდეგო მოვლენა: გვარსახელი თავად იქცევა ქვეყნის აღმნიშვნელ სახელად. უფრო ზუსტად, გვარსახელი გამოხატავს ტერიტორიულ ცნებას და ამ ტერიტორიაზე ფეოდალურ უფლებასაც. სამისო მაგალითები გვხვდება დოკუმენტურ წყაროებში. ნიმუშისათვის დაეასახელებთ მცხეთის საკათალიკოსო ტახტისადმი კუთვნილ სამცხე-საათაბაგოს თავადთა ნუსხას¹¹, რომელიც შედგენილია XV ს. დასაწყისში. ამ ნუსხაში ჩამოთვლილია სამცხე-საათაბაგოს 23 სავარეულო სახლი, რომელთაც დაუკავებიან ადრე სხვა ფეოდალური სახლების კუთვნილი მამულები. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ახალ მეპატრონეთა მამულების ჩამოთვლის წესი, რომელიც საერთოა 23 შემთხვევისათვის. მაგ. „ბოცოსძენი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ოლადას-შვილთა აქუს“¹². ამ მაგალითში „ბოცოსძენი“ — გვარსახელი, ისეთსავე კონტექსტშია მოცემული, როგორშიც, ჩვეულებრივ, საბუთში დასახელებულია ხოლმე ტოპონიმი. „ბოცოსძენი... ოლადასშვილთა აქუს“ გაუგებარი ფრაზა იქნება, თუ „ბოცოსძენი“ არ ვიგულისხმებთ ბოცოსძეთა აღრინდელ ტერიტორიას. მაგრამ „ბოცოსძენი“ აქ არც ჩვეულებრივი ტოპონიმია. მას გვარსახელის ფუნქციაც აქვს შენარჩუნებული. გეოგრაფიული შინაარსი ამ სახელში მხოლოდ იმ ნიშნით მოიპოვება, რომ ამ ტერიტორიაზე ბოცოსძეთა უფლებები ვრცელდებოდა.

ტერიტორიის ძველი მეპატრონის გვარსახელი უცებ არ კვდებოდა, გარკვეულ ხანს განაგრძობდა სიცოცხლეს ახალი მფლობელის გვარსახელის წევრად.

1405 წ. ხიმშია ამილახორი შეწირულებას აძლევს სვეტიცხოველს. საბუთის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი ორ გვარსახელს ატარებდა: „... მარი-

10 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 625.

11 ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, ფ. Ad, № 91.

12 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 243.

ლელმან აბაზასძემან თათარსა შვილითა (sic) ჩემად უღირსად მეფეთაგან დიდად აბულეთისძედ დასმულმან ამირახორმან ხიმშიამან და ჩემმას ცოლმეფეთაგან ესნამან... პირველ აბაზასძემან მარილელმან და თქუენ მიერთთავე შეწყობნა... თა მეფეთაგან დიდად და საბატოდ შეწყალებულმან აბულეთისძემან ამირახორმან ხიმშიამან...“ შესწირა სვეტიცხოველს ძაგნაკორნას გლეხი შერგილას-შვილი¹³.

ამრიგად, შემწირველი თავის თავს უწოდებს აბაზასძე მარილელს და აბულეთისძე ხიმშიას. როგორც ტექსტიდან ჩანს, მეფეს იგი ახალ მამულზე დაუსვამს. ეს გარემოება მას ავალდებულებდა „აბულეთისძე“ თავის გვარსახელადაც მიეღო. აბულეთისძეთა საგვარეულო სახლი ცნობილია ისტორიული წყაროებიდან. ამ საგვარეულოს სამოხელეოდ ეკუთვნოდა მუხრანისა და ხერკის ქვეყანა. ცნობილია ისიც, რომ მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ძაგანი, დავით აღმაშენებელმა დასაჯა და სამოხელეო ქვეყანა წაართვა¹⁴. ნ. ბერძენი-შვილი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ ძაგანს სამოხელეო ქვეყნის დასაკუთრება სურდა და მეფის ხელისუფლებას ეურჩებოდა¹⁵. შემდგომში ამ სახლს მოუხერხებია დაებრუნებინა წინანდელი სამოხელეო ქვეყანა. 1260 წ. ახლო ხანებში გაცემულ შეწირულების წიგნში ჩანან აბულეთისძენი: ერისთავთ-ერისთავი ივანე, ძაგანი, გიორგი¹⁶. ნ. ბერძენი-შვილი ფიქრობს, რომ დავით აღმაშენებლის დროინდელი ძაგანი არა მხოლოდ მოსაკარგავე, არამედ ამ ქვეყნების (ხერკი, ზედაზნის ციხე) მკვიდრი ფეოდალიც იყო, რასაც იგი ადასტურებს ხიმშია ამილახორის საბუთში აბულეთისძეთა მოხსენებით¹⁷.

ძნელია XV საუკუნის რამდენიმე მაგალითის მიხედვით მტკიცება იმისა, მხოლოდ მკვიდრი მამული იძენდა მისი ადრინდელი პატრონის გვარსახელს, თუ სამოხელეო ქვეყანაც. ამ ეპოქაში სამოხელეო ქვეყნების მკვიდრად გადაქცივის ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ზღვარის გავლება მკვიდრსა და ნაწყალობე მამულებზე განხორციელებულ ფეოდალურ უფლებებს შორის. სხვის მამულზე „დასმა“ და ამ „სხვისი“ მამულის გვარსახელით აღნიშვნა საუკეთესო მოწმობაა იმისა, რომ ორივე სახის საკუთრებაზე — მკვიდრზეც და ნაწყალობეზეც (სამოხელეოზე) — თანაბრად ვრცელდებოდა მისი მფლობელის იურიდიული უფლება. სხვის მამულზე „დასმა“ რომ ორივე სახის საკუთრების ერთდროულ გადაცემას გულისხმობდა, ამას ადასტურებს ივანიასძეთა საქადაგო მამულის მაღალაძეთათვის გადაცემის მაგალითიც. 1470 წ. დავით კათალიკოსი მცხეთის ქადაგის თანამდებობას და საქადაგო მამულს აძლევს მახარებელ მაღალაძეს. ეს სახელო და მამული ადრე უმემკვიდროდ გადაგებულ ივანიასძეთა სახელს ეკუთვნოდა. ივანიასძეთა შემდგომ მცხეთის ქადაგად დიმიტრი [მაღალაძე] დაუდგენიათ, რომელიც აგრეთვე უძეოდ გადავარდნილა. ამის შემდეგ მცხეთის საქადაგო მამულს უწყალობებენ მახარებელ მაღალაძეს: „... ვინათგან შენ მცხეთასა და კათალიკოზთა მცირე ყრმა აღეზარდე და თქუენი სახლი და მამული ძუელითგან სხუაგანითა მცხეთისა იყო, ივანიასძეთა და ქადაგისა დიმიტრის შედეგად მათსა სახლსა და მამულსა ზედა შეგიყუანეთ და დაგაუთო ივანიასძედ ივანიასძისა და ქადაგისა დიმიტრისა წესითა, რიგითა და საქმიოთა“.

13 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, გვ. 3—5.

14 დავით აღმაშენებლის ანდერძი, იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 13.

15 ნ. ბერძენი-შვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბ., გვ. 352.

16 ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, ფ. Ad, № 5.

17 ნ. ბერძენი-შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.



შემდეგ ჩამოთვლილია ივანისძეთა და ქადაგ დიმიტრის ნაქონი მამულები, რომლებიც „სამკვიდროდ“ მიცემული ყოფილა... და კელი მათივე მკვიდრობის საქონებელი ქადაგობა და სამამთავრო სამწყსო, რაცა და რაგუარაცა ივანისძეთა ჰქონებია, მით წესითა“¹⁸. ამ საბუთის მიხედვით გარჩეულია ერთმანეთისაგან ივანისძეთა მკვიდრი მამული და „კელი მკვიდრად საქონებელი“, ხოლო ორივე ერთად ივანისძეთა საერთო განუყოფელ საქონებელს გულისხმობდა, რაც ამ განუყოფელი ქონების — მამულების (ნაწყალობების, მკვიდრის, შეიძლება ნასყიდისაც) და სახელოს გადაცემას გულისხმობს ერთდროულად, ამ საბუთის მიხედვით მახარებელ მალაქაძე ივანისძეთაა, რადგან იგი „ივანისძეთა დასმული“.

ორწევრიანი გვარსახელის გაჩენას დიდად უწყობდა ხელს ფეოდალური ოჯახების გაყრა. გაუყრელი ოჯახის ყოველი მამაკაცი წევრი იურიდიულ გარიგებებში მონაწილეობს ოჯახის უფროსთან ერთად. ასეთ შემთხვევებში მისი გვარსახელი ემთხვევა ოჯახის უფროსის პატრონიმულ გვარსახელს (მიუხედავად იმისა, ძმია, შვილია, ძმისწულია თუ ბიძაშვილი). ე. ი. გაუყრელი ოჯახის წევრები განიხილებიან როგორც ერთი იურიდიული მხარე. გაყრის შემდეგ ოჯახის ყოველი წევრი ისაკუთრებს თავ-თავის წილ მამულს და დამოუკიდებლად მონაწილეობს სხვადასხვა იურიდიულ გარიგებებში (ხშირად ერთმანეთს შორის). ასეთ შემთხვევაში ოჯახის გაყრილი წევრების პირველ შთამომავლობას მაინც უჩნდება დამატებითი პატრონიმული გვარსახელი. ერთია ის პატრონიმი, რომელიც მათ ოჯახებს გაყრამდე ჰქონდათ, მეორე — გაყრის უშუალო მონაწილე წინაპრის საკუთარი სახელიდან მომდინარე.

მაგალითები გაყრის შედეგად ორწევრიანი გვარსახელების გაჩენისა საბუთებში მრავლად არის დაცული. ორწევრიანი გვარსახელები უჩვენებენ იმ საგვარეულო შტოებს, რომლებიც ერთი ოჯახის დაშლის შედეგად წარმოიქმნა. ეს იმდენად კანონზომიერად ვლინდება, რომ შესაძლებელია, პირდაპირი ცნობების უქონლობის შემთხვევაში ორწევრიანი გვარსახელით აღკადვინოთ გაყრილი ოჯახის ადრინდელი საგვარეულო ბუდე.

სანიმუშოდ მოვიტანთ ორიოდ საგვარეულოს გენეალოგიას, რომელიც აშკარად უჩვენებს ახალი გვარსახელების წარმოქმნის პროცესს.

ელიოზისძე-გედევანიშვილი.

1141 წ. ალექსანდრე მეფემ დაადგინა მწირველად და მეეკვდრედ დიმიტრი ელიოზისძე მახარებელთან, ზაქარიასთან და ელიოზთან ერთად¹⁹. ეს პირველი საბუთია, რომელშიც ელიოზისძენი იხსენიებიან.

მომდევნო წლებში ამ პირებთან ერთად იხსენიება ელიოზისშვილი დანიელ²⁰. XVI ს. შუა ხანებში საბუთებში ჩანან ძმები გულბაად და ელიოზ ელიოზისძენი, რომლებიც 1573 წ. ეყრებიან. გულბაადის შვილი, გედევანი, ისევ ელიოზისძეა, ხოლო ამ უკანასკნელის შვილები: დავით, როსტე, ქაიხოსრო, პეტრე, გიორგი, აბიათრ იხსენიებიან ორი გვარსახელით — ელიოზისძე-გედევანისშვილი. დროთა განმავლობაში ორწევრიანი გვარსახელიც ერთწევრიანად იქცევა. XVII ს. მეორე ნახევრიდან ამ შტოს წარმომადგენლები უმეტესწილად მხოლოდ გედევანიშვილებად იწოდებიან.

1616 წ. ქრისტეფორე კათალიკოსმა დავით ელიოზისძე-გედევანისშვილს უწყალობა მისი ბიძის — ლაზარეს შვილ მამუქასეული სამამამთავრო მამუ-

18 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., გვ. 215.

19 თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრ. II, თბ., გვ. 249.

20 ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, ფ. Sd, № 527. სსცსა, ფ. 1448, № 9233.



ლი (Sd—543, Qd—39). იგივე მამუკა იხსენიება 1622 წ. ისევ ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ დავით ელიოზისძე-გედევანისშვილისათვის ბოძებულ წყალობის განახლების წიგნში სადაც მამუკა უკვე ელიოზისძე-გეშაშვილად იწოდება²¹. რამდენიმე საბუთი (Sd—543, Qd—39, 1448—9214, Hd—14686) იმეორებს ამ წყალობის შინაარსს და ყოველ მათგანში დავით ელიოზისძე-გედევანისშვილის ბიძა (თუ ბიძაშვილი?) მამუკა ხან ლაზარეს შვილად მოიხსენიება, ხან ელიოზისძე-გეშაშვილად. ეს მონაცემები ბადებს ეჭვს, რომ ელიოზისძე-გეშაშვილი ისეთივე განაყარი შტოა ელიოზისძეთა საგვარეულოსი, როგორც ელიოზისძე-გედევანისშვილი.

ვინმე გეშაშვილი გვხვდება 1498 წ. გაცემული ერთი ნასყიდობის წიგნის მოწმედ²². უფრო გვიან, 1531 წ. საბუთის მიხედვით ქერობინ გეშაშვილმა მიჰყიდა გიორგი ჭარმაულს მეძლეით, ფონთხელაზე ჭალა და საგუდეს მიწა²³. 1492 წ. საბუთის მოწმობით, ელიაზარ ელიოზისშვილმა შიომღვიმის მონასტერს მიჰყიდა ფონთხელას ზედა ვენახი, შესწირა ამავე მონასტერს გიორგი ჭარმაულისაგან ნასყიდი ვენახი. მეძლეთში ელიოზისძეებს რომ წილი ჰქონდათ, ეს უფრო გვიანდელი, 1689 წ. საბუთითაც დასტურდება. ელიოზისძე-ხუცისშვილმა ბახუტამ რევაზ მაღალაძეს მიჰყიდა თავისი წილი მამულები ახოტში 6 ნასოფლარით, აგრეთვე ნასოფლარები: მეძლეთი, გოგასგვერდი, სახტენი, ღანბიბა, შეხვეტილა²⁴. ამ საბუთთა მიხედვით მეძლეთში მამულები ჰქონიათ ქერობინ გეშაშვილსაც და ელიაზარ ელიოზისშვილსაც. ეს ცნობაც შეიძლება არაპირდაპირ მოწმობად გამოვიყენოთ გეშაშვილთა და ელიოზისძეთა ადრინდელი ერთობის შესახებ. როდის მოხდა მათი გაყრა, ჩვენ ეს არ ვიცით. სავარაუდოა, რომ XV ს. ბოლოსათვის ეს ორი შტო უკვე გამოყოფილია ერთმანეთისაგან.

XVII ს. ბოლო მეოთხედში, 1689 წლის ზემოთ მოყვანილი დოკუმენტის მოწმობით, ელიოზისძეთა საგვარეულოდან გამოყოფილი ჩანს ელიოზისძე-ხუცისშვილის საგვარეულო შტო.

საინტერესო მასალა ორწევრიანი გვარსახელების გაჩენის პირობებისა და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ჩანს გოგობაშვილთა ფეოდალური საგვარეულოს მაგალითზე.

გოგობაშვილები პირველად ჩანან 1516 წლის დოკუმენტში — სამცხე-საათაბაგოს თავადთა ნუსხაში (Ad—91). ამ საბუთის მიხედვით მათ სამძივართა ადგილი დაუკავებიათ. გოგობაშვილების ერთ შტოს ეკუთვნოდა სადგერის ხეობა, რომელიც შემდგომ, 1672 წ. ახლო ხანებში როსტომ ფაშამ უწყალობა ქაიხოსრო ციციშვილს²⁵.

ვახუშტი გოგობაშვილებს მოიხსენიებს ძველი გვარის გაუყრელ აზნაურთა შორის²⁶. 1560 წლის საბუთში იხსენიებიან ვახუშტი და იოსაფატ გოგობაშვილები. ვახუშტის ცოლად ჰყოლია ლეონ მეფის ასული ქეთევანი²⁷.

XVI ს. მეორე ნახევარში გოგობაშვილთა ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, სამცხე-საათაბაგოდან ქართლში გადმოსულა და ქვემო ქართლში დამკვიდრებულა. XVII ს. დასაწყისში ჩანს ვინმე აიდოლმში გოგობაშვილი, რომელსაც

21 თ. ჟორდანიას, ქრ. II, გვ. 445.
 22 იქვე, გვ. 312.
 23 ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, ფ. Sd, № 733.
 24 სსცს დოკუმენტი, ფ. 1450, დ. 30, № 135.
 25 სსცსა, ფ. 1449, № 2224.
 26 ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973, გვ. 35.
 27 სსცსა, 1449, № 1500.

ლუარსაბ მეფემ უწყალობა სომხითში ნასოფლარი ტანდუტი, მომდევნო ხანებში კი ჯაპანბანუ დედოფალმა — შუა ბოლხისთან სოფელი ახოთა

XVII ს. დასაწყისიდან გოგებაშვილები იხსენიებიან მეორე გვარსახელითაც — შანშიაშვილები. როდის შეიძინეს ეს გვარსახელი გოგებაშვილებმა, დოკუმენტური წყაროების მიხედვით ძნელი დასადგენია. 1589 წლის ერთ საბუთში მოიხსენიება აიდოლმიშ შანშიაშვილი, რომელსაც სვიმონ მეფემ უწყალობა სომხითში სოფელი ზიკრეტი²⁸.

გ. აკოფაშვილმა, რომელმაც საგანგებოდ შესწავლა აზნაურთა ფენის მდგომარეობა XV—XVIII საუკუნეების ქართლში, ასე შეაფასა შანშიაშვილთა საგვარეულოს დაწინაურება: „შანშიაშვილები სამეფო აზნაურები არიან. XVII ს. ისინი სამეფო კარზე ხშირად იკავებენ სამოხელეო თანამდებობებს, ხშირად იღებენ წყალობას მეფეთაგან, განსაკუთრებით როსტომის ხანაში. იძენენ მამულებს. ეკონომიური დაწინაურების წყალობით, შანშიაშვილთა სახლის წევრებს შორის სათავისთავო ქონება მატულობს. ეს აძლიერებს სახლის წევრებში ტენდენციას განცალკევებისაკენ, ქონებრივი გამოყოფისაკენ. XVII ს. შუა ხანებში შანშიაშვილთა სახლი ორად იყოფა. ორივე ოჯახის მეთაურს თანამდებობა უჭირავს სამეფო კარზე, ორივე ინტენსიურად აფართოებს თავის ყმა-მამულს“²⁹.

საგვარეულოს ეკონომიური გაძლიერება, რაც, საბოლოო ჯამში, ოჯახის გაყრას იწვევდა, ახალი გვარსახელის წარმოშობისათვისაც ქმნიდა პირობებს. შანშიაშვილთა საგვარეულოდან ბევრი საგვარეულო შტო გაჩნდა, რაც ამ საგვარეულოს ფარგლებში არაერთგზის მომხდარ გაყრაზე მეტყველებს.

შანშიაშვილთა ოჯახის წარმომადგენლები XVII ს. განმავლობაში, განსაკუთრებით კი ამ საუკუნის პირველ ნახევარში, სისტემატურად იწოდებიან ორი გვარსახელით: შანშიაშვილებად და გოგებაშვილებად. ზოგჯერ ეს ორი გვარსახელი ერთადაა ჩაწერილი ერთ დოკუმენტში, ზოგჯერ კი ცალცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. შანშიაშვილთა და გოგებაშვილთა კონკრეტული წარმომადგენლების გასაიგივებლად გვეხმარება თითოეული მათგანის მოღვაწეობის მიახლოებითი თარიღების, უახლოესი ნათესავების: მშობლების, ძმების, შვილების, დაკავებული თანამდებობისა და სამამულე მფლობელობის დადგენა.

რამდენადაც XVII ს. დასაწყისში გოგებაშვილები თანაბარ შემთხვევებში შანშიაშვილებადაც იხსენიებიან, ამდენად შესაძლებლად მიგვაჩნია, ზემოთ დასახელებულ საბუთებში შანშიაშვილი აიდოლმიშისა და გოგებაშვილ აიდოლმიშის იგივეობა. თუ როგორ დაიბადა გვარსახელი „შანშიაშვილი“ გოგებაშვილთა საგვარეულოში, დოკუმენტური წყაროების მიხედვით არა ჩანს. შესაძლოა, აქაც გაყრამ ითამაშა თავის დროზე გარკვეული როლი. თუ ეს გოგებაშვილ-შანშიაშვილები, მართლაც სამცხე-საათაბაგოდან გადმოსული საგვარეულოა, მაშინ გვარსახელი გოგებაშვილი შესაძლებელია ძველი ქვეყნიდან იყოს გადმოყოლილი და მას შემდეგ შეემატა „შანშიაშვილი“ ახალ ადგილებზე დამამკვიდრებელი თაობის პატრონიმის მიხედვით. XVII საუკუნის დასაწყისიდან საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ გოგებაშვილ-შანშიაშვილთა საგვარეულოს ისტორიას.

28 სსცა, ფ. 1450, დ. 38, № 31, დ. 10, № 12, დ. 10, № 12.

29 იქვე, დ. 5, № 64.

30 გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 49.

XVII ს. პირველ ნახევარში დოკუმენტებში იხსენიება ქალაქის ნაცვალთა გიორგის³¹. გიორგის ჰყავს ძმები: ბეჟან, ელიზბარ, დონმაზ, განაყოფი ტატე. ესტატე გაყრია გიორგის, ამიტომ მისი შთამომავლები იხსენიებიან ტატეშვილებად, ზოგიერთ საბუთში „გიორგიშვილებად“ პაპის სახელის მიხედვით, ზოგშიც „პაპიასშვილებად“ პაპის მამის სახელის მიხედვით. ამ სამიდან გვარსახელის ფუნქცია აქვს ერთს — ესტატეშვილს, რამდენადაც საერთო საგვარეულო გვარსახელისაგან განმასხვავებელი ფუნქცია მას აკისრია. უმრავლეს შემთხვევაში ესტატეს შთამომავლები იხსენიებიან შანშიაშვილ-ესტატეშვილებად³². გიორგის შვილი ყაფიჩი პაპია შანშიაშვილ-გოგიაშვილი ეყრება 1667 წელს თავის ძმას — დოლმაზას³³ და ამ ხანიდან ერთმანეთს ემიჯნება კიდევ ორი ახალი საგვარეულო შტო პაპიაშვილ-შანშიაშვილებისა და შანშიაშვილ-დოლმაზაშვილებისა. საუკუნის ბოლო ათეულ წლებში, როგორც ჩანს, ესტატეშვილებს გამოეყო ავთანდილაშვილების და დარისპანაშვილების შტოები. დროთა განმავლობაში ახლად გამოყოფილი საგვარეულო შტოების გვარსახელები მეტ მოქალაქეობრივ უფლებებს იძენენ და იხმარებიან დამოუკიდებლად. ამრიგად, გოგიაშვილთა საგვარეულო ბუდიდან წარმოიქმნა შემდეგი განშტოებები: შანშიაშვილი, პაპიაშვილი, ესტატეშვილი, დოლმაზაშვილი, ავთანდილაშვილი, დარისპანაშვილი³⁴. ასეთი პროცესი ახალი საგვარეულო განშტოებების ჩამოყალიბებისა შეიძლება გაგრძელდეს და უსრულებლად, მაგრამ არა ყოველგვარ პირობებში. მას უსათუოდ სჭირდება გარკვეული წინამძღვრები ამა თუ იმ საგვარეულოს სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროში.

М. К. СУРГУЛАДЗЕ

ДВУХКОМПОНЕНТНЫЕ ФАМИЛИИ В ГРУЗИНСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ДОКУМЕНТАХ

Резюме

Статья посвящается изучению некоторых социальных аспектов происхождения грузинских фамилий. В ней использованы документальные материалы, в частности юридические акты, наиболее четко отражающие те требования, которые предъявлялись к личному имени, как социальному знаку.

В грузинских актовых источниках часто встречаются фамилии, состоящие из двух компонентов (из т. н. «фамильных имен»). Изучение документального материала дает возможность установить условия их возникновения в феодальном обществе, которое нуждалось в строгой юридической документации.

Необходимость употребления двухкомпонентной системы фамилий для наименования одного юридического лица способствовало в перспективе рождению новых фамилий. В статье дается попытка определить некоторые факторы юридического порядка, которые способствовали возникновению двухкомпонентных фамилий.

³¹ სსცსა, ფ. 1450, დ. 7, № 8, დ. 10, № 34, ფ. 1449, № 1001.

³² სსცსა, ფ. 1449, № 1001. ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტები, ფ. Hd, №№ 9282, 1823.

³³ ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, ფ. Hd, № 9292.

³⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტები, ფ. Hd, №№ 2296, 1780, 9370, 9350, სსცსა, ფ. 1450, ფ. 16, № 27.

დ. ლომიძე

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან

(დოკუმენტური წყაროები ელენე დედოფლის შესახებ)¹

XVIII საუკუნის პირველი ნახევარი ქართველი ხალხის ისტორიაში მეტად რთული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობებით ხასიათდება. აღნიშნულ ეპოქაში შეინიშნება „სოციალურ კლასთა და დაჯგუფებათა გაცხოველებული ანტაგონიზმი, კერძოდ გლეხთა მყრელობისა, მამულთ მიტაცებისა და სხვა მსგავს საფეოდალო ვენებულებათაგან ახალი ძალით გამწვავებული ჭიდილი, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში სპარსულ და თურქულ გავლენათა სასარგებლოდ ხეპრული თავგამოდების ნიშანდობლივი მავალითები, ერთი მხრივ, და რუსული ორიენტაციის განადღებისათვის გაბედული მოქმედება, მეორე მხრივ. ხოლო წინა პლანზე დასაწახ მოვლენათაგან — პროგრესული წრეების ბრძოლა (ვახტანგ VI მეთაურობით) ქართველი ერის გათათრებისაგან გადაარჩენისათვის... ინდივიდუალიზმმა, „საკუთარი ქუჩით“ პოლიტიკური ჩიხიდან გამოსასვლელებისა და მეტადრე კარიერის ძიებამ, როგორც ვიცით, ადამიანური სახე მოუღრიჯა იესე ბაგრატიონს, ვახტანგის მეორე ძმას, რომელიც ისტორიის შუქზე მოჩანს, ვახტანგისავე ჩანაწერების თანახმად, როგორც მულამ განდგომილი მტერი და ეშმაკი“². იესე მეფემ ვახტანგ VI-ის დინასტიური უფლებების ხარჯზე ორჯერ მოასწრო გამეფება: 1714—1717 წლებში ირანის შაჰისა და 1724—1727 წლებში ხონთქარის წყალობით და შესაბამისად იწოდებოდა ჯერ ალიყული-ხანად, შემდეგ — მუსტაფა ფაშად.

იესე მეფის გვერდით მეტად მკაფიოდ მოჩანს მისი თანამეცხედრის, დედოფალ ელენეს ნათელი პიროვნება. მან განსხვავებით მეუღლისაგან გამოიჩინა სულიერი სიმტკიცე, უარყო მეუღლის პოლიტიკური კურსი, პროგრესულად მოაზროვნე თანამედროვეების მსგავსად ორიენტაცია აიღო რუსეთზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან საქართველოს „ძნელბედობის“ ყამს მოახერხა აღეზარდა სახელოვანი ქართველი მამულიშვილი (თეიმურაზ ბატონიშვილი, იგივე ანტონ კათალიკოსი).

დედოფალ ელენეს ცხოვრება და მოღვაწეობა საგანგებო კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა. თუმცა მას სხვა საკითხებთან დაკავშირებით ეხებიან თავიანთ შრომებში პ. კარბელაშვილი³, კ. კეკელიძე⁴, ს. ყუბანეიშვილი⁵, მ. ქაე-

¹ წაკითხულია მოხსენების სახით ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარზე 1983 წლის ივნისს.

² ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745), მიომზილველი III, თბ., 1953, გვ. 29—30.

³ პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, თბ., 1900.

⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980.

⁵ ს. ყუბანეიშვილი, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, ლიტერატურული ძიებანი X, თბ., 1956.

თარია⁶ და სხვები, როგორც ანტონ კათალიკოსის დედასა და იესე მეფის თანამეცხედრეს.

ნაშრომის მიზანია, შეძლებისდაგვარად, ჩვენს ხელთ არსებული დღემდე უცნობი თუ ცნობილი დოკუმენტური და ნარატიული წყაროების საფუძველზე წარმოვადგინოთ დედოფალ ელენეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათი, განვსაზღვროთ მისი ადგილი და როლი XVIII საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წყაროებში ელენე დედოფლის (ერეკლე I-ის ასულის) დაბადების თარიღი არ ჩანს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს პირველად შეეხო აკად. კ. კეკელიძე. 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ის დაბადებულია დავითის შემდეგ ირაკლის გამაჰმადიანების (1687) წლამდე“⁷.

ამ თარიღის დადგენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ელენე დედოფლის მშობლების ცხოვრებიდან ზოგიერთი ფაქტის მოშველიება.

როგორც ცნობილია, ვახტანგ V-ისა (1658—1675 წწ.) და მისი ძის არჩილის (1664—1675 წწ.) მეფობა ქართლ-კახეთში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმართული ღონისძიებებით ხასიათდებოდა, რაც ირანის მთავრობის შემფოთებას იწვევდა. ქართლ-კახეთის უკეთ დამორჩილების მიზნით შაჰ სულეიმანმა „ვახტანგ და არჩილ მეფისათა მეტოქად“ რუსეთიდან მოიწვია ერეკლე (ნიკოლოზ) ბატონიშვილი.

1674 წელს ერეკლე მოსკოვიდან კახეთს დაბრუნდა. არჩილ მეფე მას დიდი პატივით შეხვდა და რამდენიმე ხნის შემდეგ შესაფერისი ამალით ბატონიშვილი შაჰთან გაისტუმრა⁸.

1681 წელს ირანიდან მოსკოვში ჩასულ მატვეი ივანოვის მიერ საელჩო „პრიკაზში“ მიცემული ჩვენების ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ერეკლე შაჰს ყაზვინში სამჯერ მიუღია და დიდი პატივით გაუსტუმრებია ისპაანში. ჩვენებიდან ისიც ირკვევა, რომ ერეკლე ბატონიშვილი საიდუმლოდ დანიშნულა ქართველი თავადის ასულზე, რომელიც საქართველოდან ჩამოუყვანია დანიელ მოძღვარს⁹.

საბუთის ამ ცნობას მხარს უჭერს და ნაწილობრივ ავსებს კიდევ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „ოდეს ერეკლე მყოფობდა ისპაანს, მოითხოვა კახეთიდან ქალი და არავინ წარჩინებულთაგანმან ინება წარვლინება, რამეთუ ჰგონებდენ ხარჭად. არამედ რომელი ვახსენეთ ალავერდელი, მისგან იყო ჩოლაყაშვილი და მან წარუვლინა ასული თვისი ანა“¹⁰. ერეკლეს, „განუგჳდა ყოფა ისპაანს, უიმედომან წამოსვლისამან იქორწინა (ანაზე — დ. ლ.) მუნ მის თანა“¹¹. ანასთან მას შეეძინა ვერ დავითი და შემდეგ ელენე.

6 მ. ქავთარია, ბაგრატიონთა სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია XVII—XVIII სს., მრავალთავი V, VI, თბ., 1975, 1976. მისივე, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977.

7 კ. კეკელიძე, მეფეთამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 231.

8 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 349.

9 გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის საისტორიო მოამბე 23—24, თბ., 1940, გვ. 184—185.

10 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ..., თბ., 1973, გვ. 609.

11 ვახუშტი..., გვ. 609—610.



1688 წელს შაჰმა ერეკლე (ნაზარალი-ხანი) არჩილის შემდეგ ქართლში გამეფებულ გიორგი XI-ს დაუპირისპირა და „წარმოავლინეს რა ერეკლე, ესე ანნა დაუტევა მუნავე ძით და ასულით გამაჰმადიანებულნი ყოველნი ერეკლეს თანა და დავითს უწოდეს იმამყული და ელენეს ბანჯანუმი. ხოლო იმამყული და მაჰმადყული იყვნენ საქურისთა თანა ყენისათა და მუნ იზრდებოდნენ. შემდგომად ანნა და ასული ელენე წარმოუვლინეს ქართლს და უშვა ერეკლეს ტფილისს ანნამ ძე თეიმურაზი“¹².

ამგვარად, ზემოაღნიშნული ცნობების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ელენე ერეკლეს ასული დაბადებულია 80-იან წლებს დასაწყისში ისპაანში. ისპაანში მისთვის დაურქმევიათ მაჰმადიანური სახელი ბანჯანუმი. ისპაანში დაბადებულან აგრეთვე ელენეს ძმები დავით (იმამ ყული) და კონსტანტინე (მაჰმად ყული)¹³. ერეკლეს საქართველოში გამოგზავნის შემდეგ შაჰმა სამშობლოში გამოისტუმრა აგრეთვე ანა დედოფალი და ელენე ბატონიშვილი. მათი საქართველოში დაბრუნების თარიღი ცნობილი არ არის.

აკად. მ. ბროსეს ვარაუდით, ანა დედოფალი და ბატონიშვილი ელენე საქართველოში დაბრუნდნენ დედოფალ ელენეს (ერეკლე I-ის დედის) გარდაცვალების შემდეგ, 1665 წლის ახლო ხანებში¹⁴.

ჯ. ოდიშელის ცნობით, ანა დედოფალი საბუთებში პირველად მოხსენიებულია 1689 წლიდან¹⁵.

ჩვენი დაკვირვებით, ანა დედოფალი და ელენე ბატონიშვილი საქართველოში 1691 წლისათვის უნდა დაბრუნებულ იყვნენ. ამაზე მიგვანიშნებს 1691-1692 წლიდან ერეკლე მეფისა და ანა დედოფლის მიერ ერთად გაცემული საბუთები¹⁶. ჩვენს ამ ვარაუდს მხარს უჭერს აგრეთვე სფრაგისტიკული მონაცემები. ანა დედოფლის ბეჭდით დამოწმებულია 1692 წელს ქართლის სამეფოში გაცემული დოკუმენტები¹⁷.

ამგვარად, დოკუმენტური მონაცემები გვაძლევს უფლებას ელენე ბატონიშვილის საქართველოში ჩამოსვლა 1691-1692 წლებით დავათარილოთ.

1711 წელს ქაიხოსრო მეფის, ვახტანგ VI-ის უფროსი ძმის, სპარსეთში დაღუპვის შემდეგ ვახტანგ VI-ს, ქართლის ტახტის კანონიერ პრეტენდენტს, შაჰის კარზე დაუპირისპირდა მისი ძმა იესე. 1714 წელს შაჰმა იესეს დაუმტკიცა ქართლის სამეფო ტახტი და გამოისტუმრა საქართველოში. 1715 წელს იესე მეფემ იქორწინა ერეკლე I-ის ასულ ელენეზე.

ელენე ბატონიშვილის ქორწინების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. აკად. მ. ბროსეს მიხედვით, 1715 წელს კახეთის მეფე დავითი სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნდა. ის შაჰის შეგონებით დაუმოყვრდა იესე მეფეს და მიათხოვა მას თავისი და ელენე, რომელიც იესეს დიდი ხნის და-

¹² ვახუშტი..., გვ. 610.

¹³ კონსტანტინე ერეკლეს შესქენია მხევისაგან. ის ელენეს ნახევარი ძმაა. იხ. ვახუშტი, გვ. 619.

¹⁴ ა. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II (ნათარგმნი ს. ლოლობერიძის მიერ), ტფ., 1900, გვ. 117.

¹⁵ ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 115.

¹⁶ იხ., Ad 69, 89; Hd 2593. ცსსა ფ. 1448, საბ. №№ 54, 81, 10035; ფ. 1449, საბ. 2686, ფ. 1450, საბ. 37, საბ. 65; საქართველოს სიძველენი I (ეპ. თაყაიშვილის რედაქტორობით), ტფილისი, 1899, საბ. 188.

¹⁷ ა. ბაქრაძე, მასალები ქართ. სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 35.

ნიშნული ჰყავდა¹⁸. აკად. კ. კეკელიძე ქართლის ცხოვრების მონაცემებზე დაყრდნობით ქორწინების თარიღად 1715-1716 წელს იძლევა¹⁹.



სრულიად განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული აღნიშნულ საკითხზე მ. ქავთარიას მიერ. იგი ეყრდნობა ნარატიული წყაროს ცნობას: „წინათ ნათხოვი იყო მეფის ერეკლეს ასული ბეგუმ*, გაშვება მისი არ ეგებოდა“. ამ ცნობას მ. ქავთარია მიაწერს ვახუშტი ბაგრატიონს²⁰. სინამდვილეში ის ეკუთვნის სეხნია ჩხეიძეს²¹. მ. ქავთარიას ვარაუდით „წინათ ნათხოვი იყო“ უნდა ნიშნავდეს შემდეგს: მარიამ ყაფლანიშვილის თხოვნისა თუ ხარკად მოყვანისას ელენე ნათხოვი ჰყავდა იესეს და მისი გაშვება არ ეგებოდა. მ. ქავთარიას დასკვნით, იესეს ელენე უთხოვია 1712 წლამდე, ხოლო 1712-1714 წლებში კი მარიამი ჰყოლია და შემდეგ კვლავ ელენეს დაბრუნებია. ავტორი თავის ამ მოსაზრებას ამაგრებს ხატის წარწერით, რომელიც გვამცნობს, თითქოს იესე მეფესა და ელენე დედოფალს 1712 წელს გარდაცვლილად ვაჟი იოანე. აღნიშნული მოსაზრება საჭიროებს დაზუსტებას.

„უამნის“ ერთ-ერთი მინაწერის ცნობით, „ქ. ქართველმა ბატონმა, ძემან ლეონისამან (იესემ — დ. ლ.) ქორწილი ქნა, ჯვარი დაიწერა (ხაზი ჩემია — დ. ლ.) მარტყოფს, ხეცა ნორიისასა, საყდარსა დიდად სახელოვანის მეფის ერეკლეს ასულთან პატრონს ელენესთან და ჩაიყუანა ქალაქსა ტფილისისა ქრონიკონსა უგ, თვესა ოკტომბერსა“²².

ზემოაღნიშნულს მხარს უჭერს ვახუშტი ბაგრატიონიც: ქქსა ჩლიე, ქართულ. უგ, იმამყული-ხანი ისპანიდან დაბრუნდა კახეთს. მოსული „ისტუმრა იესემ ტფილისს, ანადირებდა და ანადიმებდა და განუსუენა, იმზახლენ და მისცა ელენე, დაი თვისი, ცოლად იესეს, ბრძანებთა ყუენისათა“²³. „ქქს უგ, შემოდგომამხედ ქორწილი ქნა იესე მეფემ მარტყოფს, ერეკლე მეფის ქალს ელენეზედ“²⁴.

სეხნია ჩხეიძის მიხედვით, „გამოხდა ხანი, ქქს უგ, მეფეს იესეს წინათ ნათხოვი იყო მეფის ერეკლეს ასული ბეგუმ (ელენე — დ. ი.), გაშვება მისი არ ეგებოდა. წაბძანდა მარტყოფს, ქნა ქორწილი, მოიყვანა ქალაქსა თვისსა, შეიქნა ქორწილი სიმხიარულსა“²⁵.

მაშასადამე, სეხნია ჩხეიძის ცნობა ეთანხმება ზემოაღნიშნულ ცნობებს

18 მ. ბ. ო. ს. ე., გვ. 119—120.

19 კ. კეკელიძე..., გვ. 231.

20 მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფოს სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია XVII—XVIII სს., შრაველთაჲი V, თბ., 1976, გვ. 215.

21 სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. უ. ჩუბინოვისაგან სპბ, 1851, გვ. 327.

22 ხ. ი., S 4548, გვ. 3.

23 ვახუშტი..., გვ. 615.

24 იქვე, გვ. 615—616, 910.

25 სეხნია ჩხეიძე..., 327.

* გიულდენშტედტის ცნობით, ბეგუნ არის ტიტული თათრულ ენაზე, რაც ნიშნავს თავად ქალს ან პრინცესას. სიტყვიდან ბეგი-პრინცი ანუ თავადი. ელენე ატარებდა თათრულ ტიტულს ბეგუნ. იხ. ამის შესახებ გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 197. ს. ჯიქიას აზრით, სიტყვა ბეგუნს თურქულ და, ალბათ, სხვა, და მათ შორის, ქართულ ენაშიც ჰქონდა „ქალბატონის“, „საბატო მანდილოსნის“ მნიშვნელობა. აქედან კი ქართულსა და სხვა ენებშიც ქალთა საკუთარ სახელად განვითარდა. ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები II, თბ., 1960, გვ. 10.

1715 წლის შემოდგომაზე იესე მეფისა და ელენე ბატონიშვილის ჯვარი წერის შესახებ და დამატებით კიდევ ვიგებთ, რომ იესე მეფეს ბეგლმურის ნათხოვი "ჰყოლია და მისი „გაშვება არ ეგებოდა“.

ისმის კითხვა, რას უნდა ნიშნავდეს „წინათ ნათხოვი იყო“. ჩვენი აზრით ეს იმას ნიშნავს, რომ იესე მეფეს ქორწინებამდე ელენე ბატონიშვილი დანიშნული ჰყოლია. მათ ნიშნობაზე მიუთითებს აგრეთვე აკად. მ. ბროსე²⁶. აღნიშნულ მოსაზრებას ამაგრებს ეთნოგრაფიული მონაცემები. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ დაქორწინებას წინ უსწრებდა გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც რამდენიმე საფეხურს მოიცავდა: 1. სარძლოს არჩევა, 2. დანიშვნა (ხელის თხოვა), 3. დასამოყვრებელი ოჯახების ურთიერთობა ნიშნობიდან ქორწილამდე და 4 ქორწილი. ნიშნობიდან ქორწილამდე პერიოდი რამდენიმე თვიდან ორ წლამდე დროს მოიცავდა. დანიშვნა კი საკითხის სრულ გადაწყვეტას ნიშნავდა. მისი ჩაშლა არ შეიძლებოდა, თუ კი ასეთი მოხდებოდა მას გარდაუვალად მოსდევდა ოჯახებს შორის უკმაყოფილება და მტრობაც²⁷.

ამგვარად, ზემოაღნიშნულ ცნობათა შეჯერების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იესე მეფე, ჯერ კიდევ ადრე, დანიშნული ყოფილა ელენე ერეკლეს ასულზე. იესეს, შესაძლოა, მასთან ქორწინება შემდეგ აღარ მოსურვებოდა, რადგან მას უკვე ჰყავდა არაოფიციალური ცოლი მარიამ ყაფლანიშვილი და მასთან ვაჟი გიორგი²⁸, მაგრამ იძულებული შეიქნა დაეწერა ჯვარი ელენეზე „ბრძანებითა ყენისათა“²⁹. როგორც ჩანს, ელენეს ძმამ დავითმა, თავისი დისა და იესე მეფის ქორწინების საკითხში ყენი ჩარია. ცნობილია, რომ კახეთის მეფეები მიისწრაფოდნენ, რათა დაახლოებოდნენ ბაგრატიონთა ქართლის შტოს. ეს ქორწინება იესე მეფესა და ელენეს შორის ამის დასტური უნდა იყოს. ჩვენს ამ ვარაუდს უნდა ეთანხმებოდეს ელენეს დედის, დედოფალ ანას, საფლავის წარწერა: „... დედა კახთა მეფისა და სასურველი მშობელი საქართველოს დედოფალთ-დედოფალ ელენესი, რომელმან შემიმკო საფლავი ესე ჩემი, ქართლისა და კახეთის შეერთებისა მოსურნე მხევალი და მსასოებელი“³⁰. ისიც ცნობილია, რომ 1712 წელს დავით მეფემ პოლიტიკურ მოსაზრებათა კარნახით თავისი უმცროსი ძმა თეიმურაზი გააშორა ბავშვობაში დაწინდულ ერისთავის ქალს და ჯვარი დასწერა ვახტანგ VI-ის ასულ თამარზე³¹.

ნარატიული წყაროს ცნობას 1715 წელს ელენე დედოფლისა და იესე მეფის ქორწინების შესახებ ეწინააღმდეგება ალავერდის ხატის ქორონიკონის აკად. მ. ბროსესეული ამოკითხვა: „... ჩვენ საქართველოს მპყრობელი მეფე იესე და თანამეცხედრემა ჩვენი დედოფალი ელენე მას ეამსა, ოდეს მიგვეცვალა ძე ჩვენი იოანე და მიიღეთ ალავერდს, საფლავსა მისსა, ხატი ესე და-

26 მ. ბროსე..., გვ. 119—120.

27 მ. ბეჭიაი, საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტიციისათვის, თბ., 1981, გვ. 29, 31, 33.

28 სეხნია ჩხეიძე..., გვ. 327, ვახუშტი..., გვ. 494.

29 ვახუშტი..., 615.

30 კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველი, თბ., 1961, გვ. 18.

31 ვახუშტი..., გვ. 613; გ. ქიქოძე, ერეკლე II, თბ., 1947, გვ. 36.

ვასვენეთ ქქს უ³². ხატის ეს წარწერა უცვლელი სახითაა შეტანილი ქრონიკების III წიგნში³³ და გაზიარებული მ. ქავთარიას მიერ.



ალავერდის ხატის წარწერის ცნობა იმის შესახებ, რომ 1712 წელს იესე მეფესა და ელენე დედოფალს გარდაეცვალათ ვაჟი იოანე, საეპეოდ გამოიყურება შემდეგ გარემოებათა ვაშო: 1. ცნობილია, რომ იესე მეფემ და ელენე დედოფალმა ჯვარი დაიწერეს და დიდი ქორწილი გადაიხადეს 1715 წლის 5 ოქტომბერს. ქრისტიანული ეკლესია ჯვრისწერის უფლებას მხოლოდ ერთ-ხელ იძლევა, ხოლო როგორც ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, განქორწინების შემდეგ მეორედ დაქორწინება ნიშნობისა და ქორწილის დღესასწაულის გარეშე ხდებოდა³⁴, 2. დოკუმენტური და ნარატიული წყაროები 1714 წლამდე იესეს მეფედ არ ახსენებენ. როგორც ცნობილია, გიორგი XI-ის შემდეგ ქართლის მეფედ 1709 წელს ინიშნება ქაიხოსრო, რომელიც შაჰმა ირანში დატოვა, ხოლო ქართლს განაგებდა მისი ძმა ვახტანგ VI (ჯანიშინი). 1711 წელს ქაიხოსროს მოკვლის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად სპარსეთში მიემგზავრება ვახტანგ VI, ხოლო ქართლს კი მისი ძმა სვიმონი განაგებდა (1712—1714 წლებში).

აკად. მ. ბროსეს შემდეგ, ალავერდის ხატის წარწერა სრული სახით გამოაქვეყნა თ. ბარნაველმა: „ში ასულო მღთიე მონიჭებულო და ევას პირველისა დედისა წყევლასა დამხსნელო ყდ წმინდაო ღთის მშობელო აჰა ესე რა გიმეკობო (გიმკობ) ხატსა შენსა ჩვენ საქართველოს მპყრობელი მეფე და თანამეცხედრე ჩვენი კახის ბატონის ასული დედოფალი ელენე მას ჟამსა ოდეს მიგვეცვალა ძე ჩვენი იოანე და მიიღეთ ალავერდს და საფლავსა მისსა ხატი ესე დავასვენეთ ქქს უე“³⁵.

ამგვარად, თ. ბარნაველის მიერ ამოკითხული თარიღი იოანეს გარდაცვალების შესახებ ასწორებს აკად. მ. ბროსეს წაკითხვას და ამდენად მხარს არ უჭერს არსებულ თვალსაზრისს 1712 წელზე ადრე იესე მეფისა და ელენე დედოფლის ქორწინების შესახებ.

მაშასადამე, ელენე ქართლის დედოფალი გახდა 1715 წლის ოქტომბერს. ოფიციალურ დოკუმენტებს ელენე დედოფალი ქართლის სამეფოში გასცემს 1715 წლის ნოემბრიდან³⁶. საბუთებში ელენე იწოდება „კახთ მეფის ასულ დედოფალთ-დედოფალ პატრონ ელენედ“³⁷.

ელენეს ქართლის დედოფლად ყოფნა მოიცავდა ორ პერიოდს: პირველად ის დედოფლად 1715 წლის ოქტომბრიდან 1717 წლის ჩათვლით ჩანს, ხოლო მეორედ 1724 წლიდან 1727 წლამდე. თავის ცხოვრების სხვა პერიოდებში ელენე იწოდება „ბატონიშვილად“³⁸, „მეფეთ-მეფის ასულად“, ან „კახი ბატონიშვილად“³⁹.

³² Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie exécuté en 1847—1848, par M. Brosset, St.-Petersbourg, 1850, p 69.

³³ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, III, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 46.

³⁴ მ. ბეჭაია, გვ. 41.

³⁵ თ. ბარნაველი, გვ. 18.

³⁶ ცსსა, ფ. 1448, საბ. 3; ხ. ი., Hd 1376.

³⁷ ცსსა, ფ. 1448, საბ. I; 1450, 12—120; 1450, 26—82; 1450, 26—221; 1450, 30—141; ხ. ი., Hd 4076, 5188; საქართველოს სიძველენი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ტფ., 1910, გვ. 132.

³⁸ ხ. ი., Ad 467; Hd 9726; Sd 1917.

³⁹ ხ. ი., A 100, გვ. 150.

1717 წელს, შაჰმა ქართლის მეფობა ჩამოართვა იესეს და მაჰმადიანობის მიღების შემდეგ უწყალობა ვახტანგს. ის, როგორც ირანის მთავარსარდლად დატოვებულ იქნა სპარსეთში, ხოლო ქართლის გამგედ დაინიშნა ბაქარ ვახტანგის ძე (1717—1719). იესე მეფე კახეთს გაიხიზნა. ის შაჰის ბრძანებით დააპატიმრეს და ჩასვეს თბილისის ციხეში. ელენე დედოფალმა არ ისურვა მეუღლესთან განშორება და პატიმრობის პერიოდი მის გვერდით გაატარა⁴⁰.

იესეს მეფის მიერ გაცემულ საბუთებში იესე მეფისა და დედოფალ ელენეს შვილებად იხსენიებიან „პირმშო და სასურველი ძე, პატრონი თეიმურაზ, პატრონი დავით, პატრონი გიორგი და პატრონი აბდულაბეგ“⁴¹. თეიმურაზს მშობლები ყოველთვის პირველს ასახელებენ და მხოლოდ მას უწოდებენ პირმშოსა და სასურველ ძეს. თეიმურაზის შემდეგ საბუთებში ელენესა და იესეს შვილებად დასახელებული არიან დავითი, გიორგი და აბდულაბეგი. დავითის შესახებ წყაროები მეტად ძუნწ ცნობებს იძლევიან, ამიტომ ძნელია გადაჭრით იმის თქმა, ყავდა თუ არა იგი იესე მეფეს ელენე დედოფლისაგან. თუკაც არც უარყოფის საფუძველი გაგვაჩნია. რაც შეეხება გიორგის, ის როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარიამ ყაფლანის შვილისა და იესეს ვაჟია⁴², ხოლო აბდულაბეგი კი ხარჭის ნაშობი⁴³. ელენე დედოფლისა და იესე მეფის შვილია აგრეთვე იოანე, რომელიც 1717 წელს გარდაიცვალა. გარდა ვაჟებისა ელენე დედოფალს ჰყოლია ქალიშვილები — ანასტასია და მარიამი⁴⁴.

ცნობა ელენე დედოფლის შვილების შესახებ დაცულია იერუსალიმის გოლგოთის ტაძრის კვარცხლბეკის შემკულობის წარწერაში: „ჩვენ მეფეთმეფის ერეკლეს ასულმან ელენე, შევამკე კუ(ა)რცხლბეკი ადგილისა, წმინდისა გოლგოთისა, რომელსა ზედა აღიმართა ძელი ჭუარისა, რათა მეოხ და მფარველ გვეყოს მეუღლით, ძით და ასულით. ქრისტეს აქეთ ჩღკგ“ (1723 წელი)⁴⁵. როგორც წარწერიდან ირკვევა, 1723 წელს ელენე დედოფალს მხოლოდ ერთი ვაჟი (თეიმურაზი) და ერთი ასული ჰყოლია.

3. კარბელაშვილის აზრით, 1731—1733 წლებში ელენე დედოფალს დაეხოცნენ ქალიშვილები და ის მონაზვნად აღიკვეცა⁴⁶. ხოლო აკად. კ. კეკელიძის მიხედვით: „დაქვრივების შემდეგ ის მონაზვნად შედგა და ეწოდა ელისაბედი“⁴⁷.

ელენე დედოფლის მონაზვნად აღკვეცის შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. 1727 წელს იგი დაქვრივდა. ამის შემდეგ ელენე დედოფალი დოკუმენტებში ელენე ბატონიშვილად იწოდება. ასე მაგალითად, 1735 წლის ერთ-ერთ საბუთში მისი უმცროსი ძმა თეიმურაზი ელენეს შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ქ. ბატონიშვილი თეიმურაზ გიბძანებ, როგორც კურთხეულ მამა ჩვენს, ჩვენის დის (ელენე — დ. ლ.) ბატონიშვილისათვის მიუერთმევიხართ

40 ვახუშტი..., გვ. 495, სეხნია ჩხეიძე..., გვ. 324.

41 ცსა, ფ. 1448, საბ. I, ფ. 1450, 12—120; 1450, 26—82, 221; ხი., HI 5186, 4076.

42 სეხნია ჩხეიძე..., გვ. 327.

43 ვახუშტი..., გვ. 516.

44 3. კარბელაშვილი..., გვ. 144.

45 კვარცხლბეკის ზემოაღნიშნული შემკულობა ენახება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, რომლის ფოტო აშშ-დან გამოგვიგზავნა კალიფორნიის შტატის ლოს-ანჯელისის უნივერსიტეტის პროფესორმა, ვახტანგ ჯობაძემ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ. წარწერის წაკითხვა ეკუთვნის პროფ. ვ. ჯობაძეს. კვარცხლბეკის შემკულობის ფოტო დაბეჭდილია მ. თამარაშვილის ნაშრომში: Michel Tamarati, L'Église georgienne..., Rome, 1910, p. 314.

46 3. კარბელაშვილი..., გვ. 144.

47 კ. კეკელიძე..., გვ. 231.



და ხელი აუმართავთ, იმ რიგათ ჩვენც ჩვენის დისათვის მიგვირთმევიხართ. ჩვენი მოხელეები ჩვენს სათხოვარში არას ვაგრევენ, რომელიც ეპრიანებრძენს დესთ, იმათ ისე გიმსახურონ. ქკს უკგ, ბეჭედი: თეიმურაზ⁴⁸. 1736 წელს ბატონიშვილ ელენეს კაცია მახარობლიშვილი აძლევს თავნასყიდობის წიგნს⁴⁹.

როგორც ზემოდასახელებული დოკუმენტებით ირკვევა, 1737 წლამდე ელენე ბატონიშვილი ჯერ კიდევ არ იყო მონაზვნად აღკვეცილი.

ბასილი დიდის ეთიკის ერთ-ერთი მინაწერის ცნობით, ელენე ბატონიშვილის მონაზვნობის სახელი ყოფილა ელისაბედ⁵⁰. ელენე „მონაზონ ელისაბედად“ იწოდება აგრეთვე 1738 წელს მის მიერ იმპერატორ ანასა⁵¹ და ასტრახანის გუბერნატორ ბუნინისადმი⁵² გაგზავნილ წერილში.

ამგვარად, კ. კეკელიძისა და პ. კარბელაშვილის ვარაუდი ელენე დედოფლის 1737 წელზე ადრე მონაზვნად აღკვეცის შესახებ დოკუმენტური მონაცემებით არ დასტურდება. ზემოაღნიშნულ ცნობათა შეჯერების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის 1737 წლისათვის უნდა აღკვეცილიყო მონაზვნად ელისაბედის სახელით.

1738 წელს ელენე-ყოფილი ელისაბედი ამალით ერთადერთ ვაჟ თეიმურაზთან ერთად მიემგზავრება რუსეთში. გზაში მათ დიდი ვაჭირების გადატანა მოუხდათ⁵³.

1738 წლის 1 აპრილს, ელისაბედი საკმაოდ შემცირებული ამალით ასტრახანში ჩასულა. 11 აპრილს მას შეატყობინეს იმპერატორის ბრძანება, „რომლითაც გზით მოსულხართ, იქითვე უნდა გაბრუნდეთ“⁵⁴. თეიმურაზ ბატონიშვილი ასტრახანიდან კვლავ საქართველოში დაბრუნდა⁵⁵, ხოლო მისი დედა მონაზონი ელისაბედი უგზავნის იმპერატორს წერილს თავის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ და სთხოვს დახმარებასა და რუსეთის საზღვრებში შეშვებას⁵⁶. ელენე-ყოფილ ელისაბედს რუსეთის მთავრობის წინაშე შუამდგომლობდა და ეხმარებოდა დარეჯან არჩილის ასული⁵⁷.

1738 წლის 3 აგვისტოს გამოვიდა იმპერატორის ბრძანება ელისაბედისა და თეიმურაზის რუსეთის საზღვრებში შეშვების შესახებ. ელისაბედი ასტრახანის გუბერნატორს პოდპოლკოვნიკ ბუნინს მიმართავს თხოვნით — დაეხმაროს საქართველოში გამობრუნებული შვილის მასთან მიყვანაში⁵⁸. ელისაბედმა რუსეთში შეიტყო თეიმურაზის ბერად შედგომის ამბავი. თავზარდა-

48 ხი., Hd 9726.

49 ხი., Sd 1904.

50 ხი., A 100, გვ. 150; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. I, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიაშვილმა და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 452—453; მცირე უწყებანი ქართველთა მწერლობის XVI—XIX სს., გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1982, გვ. 112—114.

51 რსპა ფ. 110/1, 1738—1742 წწ., ს. № 3, ფრ. 15—17; იხ. აქვე დანართი, საბ. № 2.

52 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 174.

53 რსპა, ფ. 110/1, 1738—1742 წწ., ს. № 3, ფრ. 15—17; იხ. აქვე დანართი, საბ. № 1.

54 დანართი საბ. № 1.

55 თეიმურაზ ბატონიშვილის მიღებაზე რუსეთის მთავრობამ თავი შეიკავა, რადგან იგი მიიჩნეეს ნადირ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყებულ თეიმურაზ II. იხ. Г. Г. Паичадзе, Русско-Грузинские политические отношения в первой половине XVIII в., Тбилиси, 1970, с. 202; М. Броссе, Переписка..., с. XXXVIII.

56 დანართი საბ. № 1.

57 რსპა ფ. 110/1, 1738—42 წწ., ს. № 3, ფრ. 18rv, 13rv.

58 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 174.

ცემული დედა შვილს უგზავნის წერილს: „რად შვილო ჩემო მახვილ ეც გულ-
სა ჩემსა, მწუხარესა უტყობობით. ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქვეყნად,
ჩუწნსა მოქცევისა. ძმა შენ არა გჰყავს და რად დაჰკარგე სამეფო დამხმარედ
მეფობისა, რომელსაცა გამოიხსნის ღმერთი რუსთა ძალითა...“⁵⁹. ჩანს, ელი-
საბედი შვილთან განშორების შემდეგ თავს იმით ინუგეშებდა, რომ მისი
პირმშო უპატრონოდ დარჩენილ სამემკვიდრეო ქართლს დაეპატრონებოდა
და შეძლებდა რუსეთის დახმარებით დამპყრობელთა გაადევნას.

1739 წლის 9 მაისს, ელისაბედი ასტრახანიდან მოსკოვს ჩასულა და და-
ბინავებულა დარეჯან არჩილის ასულთან. ამის შესახებ დარეჯან ბატონიშვი-
ლი ატყობინებდა იმპერატორს⁶⁰ და ვიცე-კანცლერს⁶¹, ოსტერმანს, ხაზს
უსვამდა თავის ხელმოკლეობას და სთხოვდა მათ დაენიშნათ მონაზონ ელი-
საბედისათვის ყოველდღიური სარჩო.

მონაზონი ელისაბედი საგარეო საქმეთა კოლეგიაში აგზავნიდა მეტყო-
ბინებასა და თავის მსახურთა სიას და გამოსთქვამდა სურვილს, რომ ნება
დაერთოთ მისთვის ეცხოვრა „ახალ დევიჩის მონასტერში“⁶².

1745 წელს ანტონ კათალიკოსი (თეიმურაზ ბატონიშვილი) რუსეთში გი-
ორგი ბატონიშვილს (ვახტანგ VI-ის ძეს) სთხოვდა დახმარებასა და მისი დე-
დის ელისაბედის საქართველოში გამოგზავნას: „გამოისტუმროთ, ეგ ჩემი უნა-
ხავი არ მოკვდეს და მე მაგისი უნახავი, ამისათვის შემობრალეთ და თუ მა-
გისი ნახვა არ შედირსა, ჩემს სიცოცხლეში ვეღარ მოვისვენებ და არც ჩემი
სიცოცხლე იქნება“⁶³. ზენონის ცნობით, დედოფალი გარდაცვლილა 1749
წლის 27 აპრილს და მისი სურვილისამებრ დაუკრძალავთ მოსკოვში დონის
მონასტერში. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ამაღლის წევრები ბრუნდე-
ბიან საქართველოში⁶⁴.

დედოფალ ელენეს მოღვაწეობის შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც
ანდრძ-მინაწერებში, ასევე ეპიგრაფიკულ და დოკუმენტურ წყაროებში.

ოფიციალური დოკუმენტებით დგინდება, რომ ელენე დედოფალი აქ-
ტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლის სამეფოს საშინაო საქმეებში. მას იესე
მეფესთან ერთად აქვს გაცემული საბუთები ზაზა ავალიშვილის⁶⁵, მანუჩარ
ციციშვილის⁶⁶, როსტომ ნამანგლელავიშვილისა⁶⁷, ამილდაბარ გოსტაშაბიშვი-
ლისა⁶⁸ და სხვებისადმი. დედოფალი ელენე თავის შესაძლებლობების დიდ
ნაწილს ქართული ეკლესიების მოვლა-პატრონობას ახმარდა. ასე მაგალითად,
1716 წლის 10 მარტს, იესე მეფესთან ერთად დედოფალმა ელენემ სიონის
ტაძარს უბოძა სითარხნის წიგნი და გაათავისუფლა სამეფო და სადედოფლო
გამოსაღებისაგან⁶⁹. 1726 წლის 27 აგვისტოს დედოფალმა ელენემ იტრიის

⁵⁹ ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, თბ.,
1853, გვ. VII.

⁶⁰ რსპა, 110/1, 1738—42 წწ., ს. № 3, ფრ. 38.

⁶¹ რსპა, ფ. 110/1, 1738—42 წწ., ს. № 3, ფრ. 40.

⁶² იქვე, ფრ. 45.

⁶³ ხი., ფ. Hd, 1454, მ. ქავთარიძე..., გვ. 104—105.

⁶⁴ რსპა, 110/1, 1750 წ., ს. № 7, ფრ. 2rv, 3r.

⁶⁵ ცსსა, ფ. 1448, საბ. 3.

⁶⁶ იქვე, საბ. 1.

⁶⁷ ხი., Hd 5188.

⁶⁸ ხი., Hd 4076.

⁶⁹ ხი., Hd 1376.

ეკლესიას დაუმტკიცა შეწირულების წიგნი⁷⁰. როგორც ირკვევა, ელენე დედოფალი დიდ მზრუნველობას იჩენდა დავით გარეჯის მონასტრის მიმართ და დავით გარეჯის მონასტრისათვის ელენე დედოფლის მიერ ნაბოძებ წიგნში ვკითხულობთ: „ესე მცირედი ძღვენი მოგახსენეთ ჩვენ, ბატონიშვილმა ელენემ თქვენ, მონასტერსა წმიდისა მამისა ჩვენისა დოდოსათა და მის შინა მყოფთა კრებულთა, რათა ჩვენი შემოსავლის თეთრის ათისთავს ნიადაგ წელს მოგართმევდეთ ხოლმე...“⁷¹. ელენე დედოფლის ზრუნვას დავით გარეჯის მონასტერზე ადასტურებს აგრეთვე ერთ-ერთი ანდერძი-მინაწერი, რომლის მიხედვითაც ოსმალობის, ყიზილბაშობისა და ლეკიანობის დროს მონასტრის კრებულის ნაწილი თავს აფარებდა „დედოფალთან, კახი ბატონიშვილთან, რომელსა ეწოდებოდა სახელად ელენე და მოლოზნობასა ელისაბედ. დიად დიდი ჭირნახული იყო მონასტრისა, რაც ამ მონასტერში იყო, სულ იმისი იყო...“⁷².

ანდერძის ცნობა, რომ „კახი ბატონიშვილი“, ელენე-ყოფილი ელისაბედი, დავით გარეჯის მონასტრის მოჭირნახულე იყო, ეჭვს არ იწვევს. თუმცა გაზვიადებულად გვეჩვენება ცნობის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ამ მონასტრის მთელი ქონება სულ ელისაბედის იყო. ცნობილია, რომ 1705 წელს ვახტანგ მეფემ თავის ძმებთან ერთად დიდი ქონება შესწირა დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერს⁷³.

ამგვარად, ოსმალთა და ყიზილბაშთა მიერ „გარყვნილი“ ქართული მონასტრების შენარჩუნებასა და მოვლა-პატრონობას პატრიოტი ქართველი დედოფალი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მას ახმარდა შესაძლებლობის დიდ ნაწილს.

ელენე განათლებული და მაღალი ინტელექტის პიროვნება იყო. ის საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად ზრუნავდა ქართული წიგნების გამრავლებაზე. ამაზე მიუთითებს გადამწერ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ანდერძი: „ანუ ვინცა ხელად მოიღოთ კითხვად, პირველად ღმერთს მადლობაი მიეცით და მერმე ბრძანებელი და მიზეზი ამის ღმრთის მოყუარე, კეთილ ჰაეროვან ქმნილი და ყოვლად ქებისა უმეტესი ქართველთა და კახთა მეფეთ-მეფის ასული ელენე დღეკეთილობით და მრავალყამიერობით მოიხსენიეთ...“⁷⁴.

ელენე დედოფლის მზრუნველი ხელი საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ქართულ ეკლესია-მონასტრებსაც სწვდებოდა. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 1723 წელს ელენე დედოფალს იერუსალიმში გოლგოთის ტაძრის კვარცხლბეკი შეუქვია.

საერთოდ ერეკლე I-ის ოჯახის წევრი ქალები ქრისტიანული ღვთისმოსაობით გამოირჩეოდნენ. ერეკლე მეფის ცოლმა ორჯერ იმოგზაურა იერუსალიმს და თავისი დღენი დაასრულა მონასტერში, როგორც მონაზონმა. დაქვრივების შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა ერეკლეს ასული მაკრინე, რომელმაც შემდეგში თავი ისახელა, როგორც ქართულ საეკლესიო საგალობელთა შემქმნელმა და შემკრებმა⁷⁵. ხოლო ერეკლე I-მა თავისი დედის ელენეს ხე-

70 ცსია, ფ. 1448, საბ. 5008; საქართველოს სიძველენი III, გვ. 131—132.

71 ხ. ო., Ad 467.

72 ხ. ო., A 100, გვ. 150rv.

73 ვ. დონდუა..., გვ. 31.

74 ხ. ო., Q 430, გვ. 50r.

75 ვლ. ტატიშვილი..., გვ. 166; მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII—XVIII სს., თბ., 1977, გვ. 202—243.

ლით ისპანიდან იერუსალიმში ორჯერ გაუგზავნა დოსითეოზ პატრიარქს ფული ქართული მონასტრების ვალებისაგან დასასხნელად⁷⁶.

რუსეთში ემიგრაციაში ყოფნისას ელენე-ყოფილი ელისაბედის ზრუნვის საგანი ისევ მაჰმადიანთა მიერ დარბეული ეკლესია-მონასტრები ყოფილა. ამას მოწმობს 1746 წლის 7 ოქტომბერს დედოფალ ელისაბედის მიერ საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი მოხსენება, საიდანაც ვიგებთ, რომ ელისაბედს ლუკა ბარათაშვილისათვის მოსკოვიდან საქართველოში ანტონ კათალიკოსთან გაუტანებია საკუთარი ძვირფასი ნივთებისაგან გაკეთებული პატრიარქის ქუდი, ვერცხლის საეკლესიო ჭურჭელი და სამი ვერცხლის ყლიანი სახარება და ორი ცალი ბაჭარის ქართული ბიბლია. როგორც აღნიშნული საბუთებიდან ირკვევა, ასტრახანში ლუკა ბარათაშვილი გაჩხრიკეს, ნივთები ჩამოართვეს და დაუღუპეს. დედოფალი ელისაბედი საგარეო საქმეთა კოლეგიას უგზავნის ახსნა-განმარტებით ბარათს და სთხოვს ნივთების საქართველოში გაგზავნის ნებას. აღნიშნულ საქმეს ის ანდობდა იერომონახ ეფრემს, რომელსაც ატანდა წერილსა და ნივთების სიას⁷⁷.

ამგვარად, ზემომოტანილი მასალის მიხედვით ელენე-ყოფილი ელისაბედი გვევლინება თავისი დროის პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებად, რომელმაც არ გაიზიარა თავისი მეუღლის პოლიტიკური არჩევანი და მოწინავე ქართველ მოღვაწეთა მსგავსად საორიენტაციო გზად აირჩია რუსეთი, სადაც მისი აზრით კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის რეალური პირობები უნდა ყოფილიყო.

წინამდებარე წერილს თან ვურთავთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონდიდან ამოკრებილ რამდენიმე საბუთს, რომლებიც დედოფალ ელენე-ყოფილი ელისაბედის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხებიან. საბუთები (გარდა № 1 საბუთისა) პირველად ქვეყნდება. საბუთების ენა დაცულია. პუნქტუაცია ჩვენ გვეკუთვნის. აღდგენილი ადგილები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. ასომეტობა აღინიშნება ტეხილი ფრჩხილებით, ხოლო ქარაგმები გახსნილია მრგვალ ფრჩხილებში. ყველა საბუთისათვის ნახმარია ქაღალდი. ქართული საბუთი დაწერილია მხედრულით. საბუთები დაზიანებული არ არის.

№ 1

[1738.V.11-ის შემდეგ* წერილი მონაწილე ელისაბედისა იმპერატორ ანასაფში

ქ. მპყრობელი სრულიად რუსეთისა იმპერატრიცა ანა იოანოვნა, დიდებულისა და აღმატებულისა და კელმწიფება უფლებათა ზეშთა ქმნილებითა, ღ(მრ)თივ ცხებულისა, ნებითა ღ(მრ)თისათა გამორჩეულისა, ღ(მრ)თივ გვირგვინოსნისა და ღ(მრ)თისაგან კურთხეულისა და ზეშთა ძლიერება მონიჭებულისა და ყოველთა წინააღმდეგთა მათთა ძლიერად შემუსრველ მათებელი-

76 ელ. მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე მონასტრის დათარიღების ცდა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 235.

77 რსპა, ფ. 110/1, 1746 წ., ს. № 1, ფრ. 54r-v, საბუთის შიფრის ჩვენების გარეშე აღნიშნული ცნობები მოყვანილია ს. ყუბანეიშვილის ნაშრომში: რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 224—225.

* საბუთს თარიღი არ უზის. თარიღდება შინაარსისა და იმპერატორის მიერ 1738 წლის 3 აგვისტოს პოდპოლკოვნიკ ბურნაშვილისათვის მიცემული ბრძანების მიხედვით, დედოფალ-ყოფილი ელისაბედის რუსეთის საზღვრებში შესვების შესახებ.

სა, ყოველთა მართლმადიდებელთა პატრიარქთა და მიტროპოლიტთა და ყოველთა სამღვდელთა კრებულთა მათად სიჭადდულად საქადაგებელისა და მარადის წინაშე ღ(მრ)თისა ძლევისა მისანიჭებლად სათხოველისა, ზღვათა და ხმელთა თვითმპყრობელობითა მდიდარ ქმნილისა და კეთილად მსაჯულობითა, ღ(მერ)თისა მიერ საყვარელად ჩინებულისა ზეშთა ცათაცა უმაღლესად უდიდებულესისა ღირსთა და გლახაკთა ზედა სწორად მოწყალების მიმნიჭებელისა და მზეებრ ბრწყინვალეებისა მიმფენისა დიდებულებისა მათისა შემავედრებელი მიწა მათი, ტირილით ფერკთა ქვეშე მათთა შევედრობითა ნუგეშინისეცემ თავსა ჩემსა და ჩვენს სავედრებელს სიტყვას შიშითა და მოწიწებით ძნად შევკადრებ. აწ ამას ნოვანსენებთ მაგათს დიდებულობას, საბრალომ მონაზონმა ერთი შვილი ვავზარდე, რას ძნელს თათრის დროს ასე მოვყარე თვრამეტის წლისა თათრისათვის არ დამინახებია. რაც საცხოვრებელი მქონდა, სულ ამისი სჯულისათვის გავიღე. ამდენს ვეცადე, რომ არც ხონთქრის ყმას და არც ყოზილბაშს თვალით არ დავანახე. ჩემი დღენი ამისი მოწადე ვიყავ, რომ ცოცხალს ეს მღირსებოდა დიდებულისა და მართლმადიდებლის კელმწიფის საფარველში მამეწივა თავითა და შვილით. ქრისტიანის კელმწიფის სამსახური ღირსებოდა. სანამ სულდგმული ვიყვენით, კელმწიფე გველოცა. ახლა რასაც ღმერთსა ვთხოვდი დიდის ჭირით და გარჯით საწადელი სიბერის ყამს აღმისრულდა. ერთთა შვილი შემრჩა, მაგათ საფარველს ქვეშ მოვაწიეთ და აპრილის ერთს კელმწიფის საფარველს ქვეშ ასტრაბანს ვიახელით. ვიყვენით დიდებულის კელმწიფის მლოცველი გულმხიარულად მყოფი ქრისტიანობაში მოწვევისათვის, რაც უსჯულოთაგან სასჯელი, ჭირი და აკლება გარდაგებდა ამ გზაზე, თუ ჩვენ ყამათ რაც ავი გვენახა აქამდი, რადღან მოწვევა გვეღირსა, ყოველი ჩვენი ავი დღე დავიწყებულნი გვექონდა. ახლა კიდემ მძლო ჩემმა აუარებელმა ცოდვამ და უბედურობამ, მაისის თერთმეტს კელმწიფის ბრძანება და უკაზი გამოგვიცხადეს, რომ ბრძანება არისო, რომ რომლითაც გზით მოსულხართ, იქითვე უნდა გაბრუნდეთო. ღ(მერ)თ(მან) ამისთანა ღ(მრ)თის რისხვა მოუვლინოს დიდებულის კელმწიფის ორგულსა და სჯულის წინაღმდეგსა, როგორც დღე ამ ამბვის მოსმენით მე დამიდგა რა, რა მოეხსენება ამ ჩვენის მწუხარებისათვის ტირილისა და თავცემისათვის, რომ ამ სიტყვისათვის და დიდისა და ჩვენთვის საშინელისა ამბვის სმენისათვის ბერმა დედაკაცმა თავი უნდა მოვიკლა, სული ეშმაკს შეეწირო. ქვეყნად თქვენი მოწყალება დიდთა და წერაღთა, ღირსთა და მდაბალთა, გლახაკთა და მდიდართა მზეებრ მომფინებელო, ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელო, სჯულისა და ქრისტიანობის განმამდიერებელო, დიდებულო კელმწიფე. თქვენს ცათა მიბაძავს კელმწიფობას ვეკედრები და ვთხოვ. რადგან ჩვენც ნათლისღებისა და თქვენის სარწმუნოებასანი გახლავართ, სჯულისათვის ღ(მრ)თის ბრძანების აღსრულებისათვის, რადგან ღ(მერ)თ(მან) გ<ა>ვღირსა თქვენ საფარველს ქვეშ მოწვევა, ნუ დამავდებ შვილით და თავით, გვიხსნას თქვენმა მოწყალებამა ყოვლის წინაღმდეგის მტრისაგან, ეგება დიდებულს კელმწიფეს მოხსენებოდეს, [მეც ნამსახურის კაცის მეფის ნიკოლოზის ქალი ვახლავარ და ჩემი შვილიც ოჯახობით ნამსახური და თავდადებულნი არიან. ბიძა ამისი, მეფე ვახტანგ თქვენ სამსახურს ქვეშ მიიცივალა. ჩემმა უბედურობამ აღარც იმის ნახვა მაღირსა. კიდევ ამისი ბიძაშვილი მეფე ბაქარ და ბიძა და სახლისკაცები თქვენს ბედნიერს კარზე იმსახურებიან, ვითხოვ თქვენის აურაცხელის მოწყალებისაგან, რომ ჩემ შვილს თქვენს კარზედ მოაწვიონოთ და უსჯულოს ხელში არ ჩამივიარდეს, ერთს მდაბალსა და უკანასკნელს ალაგს სამსახური ეღირსოს. ბედნიერს კელმწიფეს, ეგება ჩვენი

საქმე ავით გა(ა)სინჯეს. თამას-ხანს ჩემი შვილი არც უნახავს, არც იცის და არც უკითხავს; რა ის განჯას მოვიდა, მას უკან ჩემი შვილი საქართველოში ვერ გამოიტარებია. ხან სად მალეველი და ხან სადა. უფროსი ერთი იმერეთს შეგასა და. ამის მოწადინე და მცდელი ვიყავ, რომ გზა მეშინა და თქვენს საფარველის ქვეშ მამეწივა. ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ დიდებულის კელმწიფისაგან თავის ქრისტეს სიყვარულისათვის და თავიანთ გაძლიერებულის ჯარის გამარჯვებისათვის ცოცხალს ჩემი შვილის გაურჯულოებას ნუ მაჩვენებთ და ნულარც თათრის კელში ჩავგადებთ. ძლივ დიდის ჭირითა და გაჭირვებითა ქრისტიანობაში მოვაწიე. ბედნიერს კელმწიფეს უწინაც მოვახსენეთ ამ გზისა და ჩვენი გაჭირვების ამბავი, რაც ჩვენ კელმწიფისა და შჯულის წინააღმდეგს ქვეყნებში რაც გარდავებდა, სულს აქათი აღარა შეგევარჩინეს რა სამი ათასის თუმნის საქონელი უფრო წამართვეს, ტყვეები წამართვეს, ყმითა და თავით ამიკლეს, რამდენი პატიოსანი ჯვარი, ხატი და ნაწილები წამართვეს. სამგან-ოთხგან კინაღარ დაგვყიდეს, ყირიმში მიუდიოდით, კიდევ კელმწიფის იმედით გასყიდვას მოურჩით. ამას ვეუბნებოდით, დიდი კელმწიფე შჯულისათვის და ქრისტიანობისათვის ჩვენს ასე მოპყრობას ხელმწიფე მოიკითხავს. ამ სიტყვის ძალით შვილიც მოვარჩინე და ქრისტიანობაში მოვაწიე. ყიზლარში, რომ მოველ, კიდევ იქაც ჩერქეზები ორას თუმანს მთხოვდნენ, რომელსაც გზაზე მოველ, ეს ჭირი მიჩვენეს.

ახლა ასე მეუბნებიან, კელმწიფის ბრძანება ასე არისო, რომლისაც გზით მოსულხარო, იქითვე უნდა წახვიდეთო. ამას მოვახსენებ და ვევედრები დიდებულს კელმწიფეს, როდესაც დიდებულის კელმწიფის მოწყალებისაც მოიმედენი ვიყავით, ცოტა რამ მცირე სიმდიდრეც იყო ჩვენთან, არცეთით არ გაგვიკითხეს. ახლა კელმწიფისაგანაც შერისხულნი და ღარიბნი რო არასფერის ილაჯი არასი გვაქუს და კიდევ ჩემი თავი და შვილი იმათ კელში ჩავავდო, რა კარგი უნდა მიყონ, რომელიც დასახოცი ვართ, დაგვზოცნ და ვინც ცოცხალი დავრჩებით, ყირიმში დაგვყიდნან. არას გზით ცოცხალს მე იმ გზაზე წასვლა არ შემიძლია. ნება კელმწიფისა, ვევედრებით და ვებგვეუბით ჩვენი შეჭირვებული ვედრება მოისმინოს, თუ დიდებულს კელმწიფის კარსა და ტახტის თაყვანისცემის უღირსნი შევიქნეთ, ეს მაინც გვეღირსოს, დრომდე ასტრახანში ვახლდეთ და გაგვეძლებოდეს და დიდებულის კელმწიფის მლოცველნი ვიყვნეთ. თქვენმა მოწყალებამ ასეთი შვება გვაღირსოს, რომელსაც კელმწიფის ალაგში იქნებოდეს, ოღონც ქრისტიანობა იყოს და კელმწიფის კელდებული ალაგი და გაგვაძლებინოს. ამ დროული დედაკაცი უსჯულოს კელში თავითა და შვილით არ ჩავარდე. არც შჯულით დავიკარგო, არც წასვლა სადმე შემიძლია და გაც(ა)კრცილი და ღარიბი მოვსულვარ ქრისტიანი კელმწიფისა და შჯულის სიყვარულისათვის, თუ რომ ჩვენი შებრალევა. კელმწიფის საფარველს ქვეშ ყოფნა დიდის კელმწიფისა და თახტისა და სახელმწიფოს დასაკლისი იყოს და ან ჩვენი თათარში მიცემა დატყვევება კელმწიფის შესამატი იყოს, ჩვენი თავიცა და ჩემი შვილისაც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს. ბრძანება კელმწიფისა აღსრულდეს, როდესაც ჩვენი მათხოვარი კაცი ხელმწიფეს იახლოს, ჩვენი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს და კელთ მიგვეცით, თუ რომ ყოვლის მოწყალებისაგან უიმედო და სასოწარკვეთილი შევიქმნეთ და აღარა გვეშველოს რა, ერთი გემში ჩავსხან და თათრის ქვეყნებში ან გილანს, ან დარუბანდს, ან ბაქოს გაგვიყვანონ და იმას იქით ვინც უნდა დავატყვევოს და ჩვენ ჩერქეზსა და ოსეთში და ლეკში წასვლა არ შეგვიძლია. ნება დიდებულის კელმწიფისაა. ჩვენმა მრავალგზის დაჭირვებამ და სიგლახაკემ დიდებულს კელმწიფეს მრავალგზის თავი აწყინა

და არც ვიქნებით სულდგმულნი მაგათის მღთულებ მოწყალებისაგან უიმედონი.

მეფის ნიკოლას ასული ელისაბედი.

დედანი დაცულია მოსკოვში. — რსპა, ფ. 110, ან. 1, 1738—1742 წწ., ს. № 3, ფრ. 15—17, ფოტოპირი: ხ. ი., ფ. რსპა, საბ. № 421.

საბუთის რუსული თარგმანი იხ. რსპა, ფ. 110, ან. 1, 1738—1742 წწ., ს. № 3, ფრ. 19—22. ფოტოპირი: ხ. ი., ფ. რსპა, საბ. № 423. გამოქვეყნებულია მ. ქავთარაია, XVIII ს-ის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 176—178.

№ 2

1739.IV. უწყება დედოფალ-ყოფილი ელისაბედისა მის თანხლებ მსახურთა რაოდენობის შესახებ

ქ. საეკლემწიფოს ინოსტრანნა კალეგის* კანტორიდან შეტყობა დედოფალ-ყოფილისაგან მოლოზნის ელისაბედისა უწყება, რამეთინც იმასთან მამაკაცი თუ დედაკაცი მოსამსახურენი და {ა}ნ რომელს მონასტერში უხმდეს ყოფა ესენი ამას ქვეშ სწერია სახელდობ:

ქ. ყოფილი კნენინა მონაზონი თეკლა ერთის მხლებლით.

ქ. მონაზონი თეონია.

ქ. გამდელი ყადაშში ერთი მხლებლით.

ქ. კნეჟნა მარია ორის მხლებლით.

ქ. ორი ბარიშნა** ზაზუა, მარინე.

ქ. ილუმენი გერმანე.

ქ. მთავარდიაკონი ეფრემ.

ქ. კნიაზი ელისე ჯანდიერისშვილი.

ქ. კნიაზი დავით ჯორჯაძე.

ქ. კნიაზ ნიკოლა ბარათასშვილი

ქ. კნიაზ ზურაბ აბაზაძე, ერთის კაცით.

ქ. აზნაური გიორგი გიგინასშვილი.

ქ. აზნაური შიო ჯობაძე.

ქ. აზნაური საბა.

ქ. მსახური გიორგი.

ქ. მსახური ალექსი.

ქ. ერთი მზარეული.

ქ. ერთი ხაბაზი.

ქ. და როდესაც მის იმპერატორის დიდებულობისაგან მოწყალების ბრძანება მოგვივა, ჩემი სურვილი ამისა არის, რომ ახალ დევიჩის მონასტერში ვიყოფებოდე. ამ ნუსხაში დედოფალ ელისაბედს ხელი მამიწერია.

დედანი დაცულია მოსკოვში. რსპა, ფ. 110/1, 1738—1742 წწ., ს. № 3, ფრ. 45r-v. ფოტოპირი, ხ. ი., ფ. რსპა, საბ. № 428.

დედნის აღწერა: ქალადი. განკვეთილობის ნიშანი წერტილი, იშვიათად ორწერტილი.

საბუთს ახლავს პარალელური რუსული თარგმანი.

Г(осу)д(а)рственн[о]и иностранн[о]и коллегии ис канторы по требованию от бывшей ц(а)рицы монахини Елисавет ведомости,

* დედანშია კალელის.

** დედანშია ბაირაშნი.

сколько при не[й] мужеска и женска полу служители[й] и в которую м(о)н(ас)тирю намерение имеет жить, о том писано ниже сего. А именно:

Бывшая кн(я)гиня монахиня Фекла, да при не[й] служительница одна.

Монахиня Феона.

Мамка кадамши, при ней служительница была.

Княжна Мария Жандиерова, да при не[й] две служительницы.

Две баришни — Схазуя да Марина.

Игумен Герман.

Иеродиякон Ефрем.

Князь Елисе Жандиеров.

Князь Давид Жоржадзе.

Князь Никола Баратаев.

Князь Зураб Абасадзе, да при нём служитель один.

Дворянин Егор Гигинаев.

Дворянин Шно Жобацзе.

Дворянин Сава.

Служитель Егор.

Служитель Алексей.

Повар да приспешник.

А когда от его императорского величества указ м(и)лостиво получу, то желание моё есть жить в Новодевичем м(о)н(ас)т(и)ре.

№ 109. 1739 год Майя. Записано. Записав в книгу и списал копию в подлинное при доношении послано в коллегию.

№ 3

1739.111.21 [თხოვნის წიგნი] დარეჯან ბატონიშვილისა იმპერატორისადმი დედოფალ-ყოფილი ელისაბედისათვის ბინისა და უძოვლელიური სარკოს ბოძების შესახებ

Всепресветлейшая державнейшая великая г(о)с(у)д(а)р(и)ня императрица Анна Иоанновна самодержица всероссийская.

Вашего императорского величества высокощедротным, м(и)л(ос)-тивным указом сестра моя, бывшая ц(а)р(и)ца монахиня Елисавета, в Россию впущена, которая из Астрахани в Москву сего настоящего марта 9-го дня прибыла, токмо квартиры и дневного пропитания ей без указу в(а)шего императорского величества не определено.

Всем(и)л(о)стивейшая г(о)с(у)д(а)р(и)ня императрица, прошу в(а)шего императорского величества, чтоб оную сестру мою высокощедротною в(а)шего императорского величества м(и)л(о)стию в том не оставить. А я истинно её содержать в пропитании не могу, едва и себя в нынешнее моё бедственное время пропитать с нуждою имею.

Вашего императорского величества
Всенижайшая раба Дария Имеретинская.
იმ(ე)ლუტინსკა(ია) ც(არ)ევნა(ა) დ(ა)რა.

Из Всесвятского, Март 21 день.
1739 год.

დედანი დაცულია მოსკოვში. რსპა, ფ. 110/1, 1738—1742 წწ., ს. № 3, ფრ., 38. ფოტო-ბირი: ბ. ი., ფ. რსპა, სპ. № 425.

1746. X. 7. მოსენება წარდგინილი დედოფალ-ყოფილი ელისაბედის მიერ
გერო საჰმეთა კოლეჯის კანტორაში.

В г(осу)д(а)рственную иностранной коллегии кантору.
Покорнейше доношение*.

Доносит монахиня ц(а)р(и)ца Грузинская Елисавета, а о чем,
тому следует пункты:

1

В ны(не)шнем 746 году его высочество грузинский ц(а)р(е)в(и)ч,
артиллерии генерал-лейт(е)нант и кавалер Бакар Вахтангович по
поданному своему доношению просил государственной иностранной
коллегии в канторе о пропуске отправленного от него в Грузию князя
Луку Баратаева и с ним несколько грузинцов, которой приезжают к
дому его высочеста ради свидания с своими сродственниками.

ამ მოსენებაზე

2

И по выше объявленному доношению о пропуске помянутого
кн(я)зя Баратаева и с ним обретающихся грузинцов г(осу)д(а)рствен-
ной иностранной коллегии ис канторы сообщено в государственную
иностранную коллегию представлением, откуда о пропуске реченного
кн(я)зя Баратаева и указ получен и отдан оному Баратаеу.

დედოფალს

3

И по неже со оным кн(я)зем Баратаевым послано от меня к сыну
моему патриарху Антонию в Грузию зделанная из собственных моих
вещей патриарша шапка, да о грузинского же архимандрита Николая
ц(е)рковные серебряные сосуды, в ц(е)рков Николая Пиргебулскаго
от иеромонаха Моисея три обложенные серебром грузинские
евангелии, одно евангелие из ивы (?) сплетяно с роснским еванге-
лием, да две библии Грузинской литеру послалы с ним.

ელისაბედს

4

Будучи же вышеобъявленному кн(я)зю Баратаеву в Астрахане
оныя посылки задержаны и не отпущены с ними в Грузию, которые и
ныне находятся в Астраханской губернской канцелярии за печатью и
при том же за печатью же грузинского архимандрита Арсения.

მეფის

5

А хотя об оных посылках и надлежало было мне его высочеству
ц(а)р(е)в(и)чу объявить чтоб и об оных посылках в своём доношении
о пропуске с оным кн(я)зем Баратаевым упомянул, однако ж будучи
в чаянии таком, что означенные вещи, надлежащие к ц(е)рковнослужи-
нию и** тамо нужду имеющим за разарением и о скудении оных,
задержано быть не имеет и за неведением по иностранству со оным
кн(я)зем Баратаевым просто и без всякого оябъявления и послано.

ბიკოლას

Того ради сим доношением покорнейше прошу дабы повелено было
о пропуске и об отдаче иеромонаху Ефрему, которому и письмо от

* მინაწერი საბუთის თავზე: № 299 записано. Подано октября 7, 1746, записал.

** შემდეგი სიტყვა არ ირჩევა.

меня дадётся. Ежели отдадут*, отдам с роспискою. Послал Г(осу)-
д(а)рственной иностранной коллегии из канторы ея императорского
величества в Астраханскую губернскую канцелярию указ(у).

Октябрь день, 1746 год. ასულს ხელი მამიწერია**.

დედანი დაცულია მოსკოვში. რსპა, ფ. 110, ან. 1, 1746 წ., ს. № 1, ფრ. 45რ. ფოტო-
პირი ხ. ი., ფ. რსპა, საბ. № 537.

№ 5

1750. V. მოხსენება, წარდგენილი მოძღვარ ზენონის მიერ საგარეო საქმე-
თა კოლეგიაში დედოფალ ელენეს გარდაცვალებისა და მისი ამაღის საქარ-
თველოში დაბრუნების შესახებ.

В Г(осу)д(а)рственную коллегию иностранных дел Доношение***

доносит Грузинской игумен Зенон, а о чем тому следуют пункты:

Понеже в прошлом 1738-м году выехала из Грузии царица грузин-
ская монахиня Елисавет, которая была покойной имеретинской
царевне Даре Арчиловне двоюродная сестра. По выезде оной царицы
находилась она при покойном грузинском царевиче Бакаре, Россиинской
артиллерии генераль-лейтенанте, и обоих орденов кавалере. А прошлаго
749 г(о)да апреля 27 дня волею Божиею умре и погребена по ее
желанию в Донском М(о)н(а)стыре, где и протчие их фамилии
погребены действительно. А по окончании жизни ее остались мы
бедные и странные и поднесе находимся без всякого пропитания и
едва за неимуществом пропитания неостаеваем (sic) г(о)лодом.

ამ დონოშენიაზე

2

А понеже оставшие как я именованной, также и оставшие после
означенной царицы монахи, дворяне, служители, служительницы и
монахини, которые при оной царице пребывали, состоим все без
всякаго пропитания и надежды, кроме бога и Ея Императорскаго
Величества никакого не имеем.

მე იღუმენს

3

Того ради Г(о)с(у)д(а)рственной коллегии иностранных дел
прошу дабы повелено было мне именованному и с вышеозначенными
находящимся при покойной Грузинской царице монахине Елисавете
монахам, монахиням, дворянам, служителям и служительницам,
которые в свите покойной ц(а)рицы находились и потом выехавшим
присланным от сына ее Грузинского католикоза: дать ямских
пятнадцать подвод и для нашего иностранства и бедности пожа-
ловать прогонные д(е)нги, откуда Ея Императорскаго Величества
высочайшим матерным указом яко иностранным повелено будет також
указом Ея Императорскаго величества повеленоб было дать нам

* დედანშაა გადადუდ.

** საბუთის თითოეული აბზაცის ბოლოს მიწერილია ქართული ტექსტი, რომელიც
მოტიანობაში ასე იკითხება: „ამ მოხსენებაზე დედოფალს ელისაბედს მეფის ნიკოლას ასულს
ხელი მამიწერია“.

*** მინაწერი საბუთის თავზე: № 581 записано. Прислано из секретной экспедиции
июля дня, 1750-м году. Записать.

ბედნым и яко стражным позволение купить в Кизлярской крепости лошадей, сколько потребно будет, для проезде со всею нашею свитою до Грузии и о том куда надлежит повелено было послать указ, а сколько ко отезду состоит персон как духовных також свецких мужеска и женска полу, о том при сем моем доношении приобщаю реэстр и о сем моем доношении прошу м(и)л(о)стивое решение учинить яко иностранном.

Маия дня, 1750-м году, ზენონს ხელი ჩამირთავს.*

დედანი დაცულია მოსკოვში. რსპა ფ. 110/1, 1750 წ., ს. № 7, ფრ. 2რ—3რ, ფრ. 3რ-ზე წარმოდგენილია დედოფლის მსახურთა სია, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ბრუნდებიან საქართველოში.

Д. И. ЛОМИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ
ГРУЗИНО-РУССКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ
В I-ой ПОЛОВИНЕ XVIII ВЕКА (ДОКУМЕНТАЛЬНЫЕ ИСТОЧНИКИ
О ЦАРИЦЕ ЕЛЕНЕ)

Резюме

В предлагаемой статье на основании изучения данных нарративных, документальных и эпиграфических источников представлены некоторые основные моменты биографии царицы Елены и показано значение ее деятельности в общественной жизни Грузии в первой половине XVIII века.

Отдельных сторон жизни и деятельности этой личности, в связи с другими вопросами, касались в своих трудах П. Карбелашвили, К. Кекелидзе, С. Кубаненишвили, М. Кавтария и др.

Царица Елена — дочь Ираклия I, супруга царя Иэсея (брата Вахтанга VI), царившего в Картли в 1714—1717 гг. под именем Али-Кули Хана и затем в 1724—1727 гг., именуемого Мустафа Пашой.

В статье установлено, что царица Елена (Банджанум-Бегум в детстве, Елисабед-Елизавета в монашестве) родилась в Испагане в начале 80-х гг. XVII века. В 1691—1692 гг. она вместе с матерью, царицей Анной, возвращается в Грузию. В 1715 году вступила в брак с царем Иэсеем. Имела сыновей Иована и Теймураза (в будущем каталикоса Антония) и дочерей — Анастасию и Марию (Мариам).

По источникам она царствовала в Картли в 1715—1717 и 1724—1727 гг.

Царица Елена принимала активное участие в политической жизни страны.

Радикально отвергнув проиранский и протурецкий политический курс супруга, царица Елена примкнула к прогрессивно мыслящим ее современникам — взяла ориентацию на Россию, где и провела последние годы своей жизни.

К статье приложено несколько документов, касающихся эмиграции царицы Елены в Россию, поселения её в Москве и погребения в Донском монастыре. Прилагается также список сопровождавших ее в Россию лиц.

* საბუთის თითოეული აბზაცის ბოლოს მიწერილია ქართული ტექსტი, რომელიც მთლიანობაში ასე იკითხება: „ამ დონაშენაზე მე ილუმენს ზენონს ხელი ჩამირთავს“.

მ. ხოშტარია (ბროსა)

„წიგნის“, როგორც დიპლომატიკური ტერმინის,
მნიშვნელობის გაზიარებისათვის

„წიგნის“, როგორც დიპლომატიკურმა ტერმინმა, ბუნებრივია, მიიქცია ივ. ჯავახიშვილის ყურადღება მის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, სადაც ვკითხულობთ: „თუ „სიგელი“ მე-X ს-ითგან და „გუჯარი“ მე-XV ს-ის პირველი ნახევრის დამლევდგან მე-ფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღსანიშნავად იხმარებოდა და ამავე დროს „დაწერილი“ დანარჩენ პირთა და დაწესებულებათაგან შედგენილს საბუთს ერქვა, „წიგნი“ ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო. ეს გარემოება თითქოს საბა ორბელიანსაც უგრძენია და ნათქვამი აქვს: „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა ვისიცა იყოს“-ო (ლექს. „წერილი“). მაგრამ, სხვა მხრივ განმარტება ბუნდოვანია. როდესაც საუბარი სხვადასხვაგვარ საბუთებზე გვექნება, იქ მოყვანილი მაგალითები ცხად-ჰყოფენ, რომ ყოველნაირი და ვისგანაც არ უნდა იყოს მიცემული საბუთის საზოგადო სახელად „წიგნი“ იყო, რომელსაც შინაარსის მიხედვით მხოლოდ მისი თვისების აღმნიშვნელი სახელიც ემატებოდა“¹. ქვემოთ მკვლევარი აღნიშნავს: „მართლაც, უძველეს ქართულ ძეგლებში „წიგნი“ საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა. დაბადების ქართულ თარგმანში სწორედ ეს ტერმინია მიღებული“².

თავის მეორე კაპიტალურ გამოკვლევაში „ქართული პალეოგრაფია“ ივ. ჯავახიშვილი სათანადო მაგალითებზე დამყარებით აღნიშნავს, რომ „ყოველ ცალკე ხელნაწერს, დანიშნულებისა და შინაარსის მიუხედავად „წიგნი“ ეწოდებოდა“³ და უფრო ქვემოთ დასძენს: „ქართული „წიგნის“ პირვანდელი გრაგნილის აღმნიშვნელობის ნიშნად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართულად ყოველგვარ საბუთებს „წიგნი“ ეწოდებოდა“⁴.

ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა ტერმინ „წიგნთან“ დაკავშირებით საგანგებოდ განიხილა ნ. ბერძენიშვილმა სხვა დიპლომატიკურ ტერმინებთან მიმართებაში („დაწერილი“, „ქელი“) და დაასკვნა: „ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „წიგნი“ „სიგელისა“ და „დაწერილის“ მიმართ გვაროვნული ცნებაა, „სიგელი“ და „დაწერილი“ „წიგნის“ სახეობანია. ამავე დროს ავტორი გული-სხმობს თითქოს, თუ ჩვენ სწორად გვესმის მისი, რომ „დაწერილი“ და „სიგელი“ თანაბარი ფასის ცნებებია“⁵.

ნ. ბერძენიშვილი ამ დებულებათაგან პირველს სწორად მიიჩნევს, თუმცა თვლის, რომ იგი „შევსებას საჭიროებს იმ მხრით, რომ „ყველას და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი“ ყოველთვის მხოლოდ „წიგნი“ არ ყოფი-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფილისი, 1926, გვ. 30.

² იქვე.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 60.

⁴ იქვე, გვ. 61.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 247.



ლა. ეს გარემოება აღნიშნული აქვს საბა ორბელიანს „წერილის“ კლასიკურ განმარტებაში“ (მოტანილია საბას განმარტება, რომელიც ივ. ჯავახიშვილსაც აქვს მითითებული)⁶.

მკვლევარი ასკვნის: „ასე რომ საბას აზრი „წერილისა“ და „წიგნის“ შესახებ შემდეგია: „წერილი“ გვაროვნული ცნებაა, ყოველი „წიგნი“ „წერილია“ („წერილთაგან ერთი“). ამიტომ მართალია „ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი“ „წიგნი“ იყო, მაგრამ თვით წიგნი „წერილთაგან ერთი“ იყო. ასე რომ საბუთების საერთო სახელი „წიგნის“ არსებობის პირობებშიაც კი შეიძლებოდა „წერილიც“ ყოფილიყო, ხოლო უფრო ძველად, ვიდრე წიგნი შემოვიდოდა (ავტორისეული შენიშვნა სქოლიოში: ჩვენ ვვარაუდობთ, რომ წიგნი უცხოურია და შედარებით გვიან შემოსული), „წერილი“, სავარაუდებელია, ერთადერთი საერთო სახელი იყო „ყველასი და ყოველგვარი საბუთებისა“.

ასეთ დასკვნას (საბას მონაცემთა საფუძველზე მიღებულს) მხარს უჭერს ძველ ქართულ მწერლობაში შემონახული საამისო მასალა (ავტორისეული შენიშვნა სქოლიოში: უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის ძველების გამოუცემლობისა ან კიდევ მეცნიერულად შეუწყნარებელ გამოცემთა გამო, ჩემი საამისო მასალა არც სრულია და არც ყოველთვის უეჭველი)⁷.

ამგვარად, ნ. ბერძენიშვილიც მიიჩნევს, რომ „წიგნი“ საბუთის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო, მაგრამ არა ერთადერთი. იგი ვარაუდობს, რომ ასეთივე მნიშვნელობა უფრო ადრე „წერილს“ უნდა ჰქონოდა.

იგივე ნაშრომში, უფრო ადრე, ნ. ბერძენიშვილს მოაქვს XV საუკუნის დიპლომატიკური მასალები, საიდანაც ჩანს, რომ „წიგნმა“ შეცვალა „დაწერილი“. მკვლევარის დაკვირვების შედეგი ასეთია: „XV საუკუნის შუა წლებისათვის აღნიშნული ტერმინოლოგიური ცვლილება ქართულ დიპლომატიკაში უკვე დადასტურებულია. იურიდიული დოკუმენტის ზოგად სახელად შემოდის „წიგნი“. „სიგლის“ არე ფართოვდება და ამ ტერმინით აღნიშნება არა მარტო მეფის მიერ გაცემული საბუთები, არამედ ყოველგვარი იურიდიული საბუთი და ყველას მიერ გაცემული. ასე რომ „სიგელში“ სახსებით თავსდება XII—XIII საუკუნეთა „დაწერილი“. XV საუკუნის შუა წლებიდან „დაწერილი“, როგორც ცოცხალი დიპლომატიკური ტერმინი, ქრება“⁸.

კიდევ უფრო ადრე ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: XIV—XV სს. „იურიდიულ-დიპლომატიკური ფაქტების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად შემოდის „წიგნი“, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება და საბოლოოდ განდევნის „დაწერილს“. ამავე დროს ის ხშირად „სიგლის“ მაგივრადაც იხმარება“⁹.

ამრიგად, თუ კი ივ. ჯავახიშვილის აზრით, „წიგნი“ ყოველთვის ერქვა ყოველგვარ საბუთს, „რომელსაც შინაარსის მიხედვით მხოლოდ თვისების აღმნიშვნელი სახელიც ემატებოდა“, რაც, ივ. ჯავახიშვილისავე თანახმად, არ გამორიცხავს იმასაც, რომ „წიგნი“ ზოგადი მნიშვნელობით ეწოდებოდა საერთოდ ყოველ ხელნაწერს დანიშნულებისა და შინაარსის მიუხედავად¹⁰, ნ. ბერძენიშვილის დაზუსტებით, „წიგნი“ იურიდიულ-დიპლომატიკური ფაქტების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად შემოდის XIV—XV საუკუნეებში, მა-

6 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 248.

7 იქვე, გვ. 248—249.

8 იქვე, გვ. 217.

9 იქვე, გვ. 210.

10 ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., გვ. 60.

ნამდევ გავრცელებული ტერმინის „დაწერილის“ მაგივრად. „წიგნი“ ამიერიდან იხმარება „სიგელთან“ ერთად, ანუ უფრო ზუსტად „მის მაგივრად“ „სიგელი“ და „წიგნი“ ამიერიდან ტოლფარდი მნიშვნელობის ტერმინებადაა მიჩნეული.

„წიგნი“, როგორც დიპლომატიკური ტერმინი, ჩვენ ხელთ არსებულ საბუთებში XV საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება; ერთდროულად გვაქვს როგორც „წიგნის“ საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევები, ასევე „წიგნის“ დანიშნულებისა თუ თვისების განმსაზღვრელ სიტყვასთან ერთად გამოყენების მაგალითები: „წყალობის წიგნი“, „იმედისა წიგნი“, „საერთგულო წიგნი“, „ანდერძის წიგნი“ და სხვა¹¹.

ამასთანავე, შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება: სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს „წიგნთან“ მისი განმსაზღვრელი დიპლომატიკური შინაარსის სხვა ტერმინის გამოყენებაც — „წიგნი და ნიშანი“, „წიგნი და ბრძანება“, „წიგნი და სიგელი“. ეს კი იმას უნდა მოწმობდეს, რომ „წიგნმა“ დამოუკიდებლად ფართოდ მაინც ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც ცალკე დიპლომატიკურმა ტერმინმა. ასეთი ვითარება ჩვენ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება, რადგან „წიგნი“ ყოველთვის ინარჩუნებდა თავის ზოგად მნიშვნელობას და არსებითად აღნიშნავდა „ყოველგვარი შინაარსის წერილობით ძეგლს, განურჩევლად მისი მასალისა და ფორმისა“¹². ამდენად, იგი დამოუკიდებლად საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად, როგორც წესი, ვერ გამოდგებოდა, და თუ კი გვაქვს „წიგნის“ საბუთის მნიშვნელობით დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევები, აქ ყოველთვის მოცემული კონკრეტული დოკუმენტი იგულისხმება (მაგალითად, „ესე წიგნი გიბოძეთო...“) და არა ზოგადად საბუთი. ამიტომაც არის, რომ გარკვეული კონტექსტის გარეშე „წიგნი“ არ აღიქმება როგორც საბუთი, განსხვავებით „სიგელისაგან“ და საბუთების აღმნიშვნელი სხვა საგანგებო ტერმინებისაგან.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა თვალი გავადევნოთ „წიგნის“, როგორც დიპლომატიკური ტერმინის, შემოსვლას ხმარებაში XIV ს. ძეგლებში (ნ. ბერძენიშვილს მისი შემოსვლა XIV—XV საუკუნეებიდან აქვს აღნიშნული, მაგრამ სათანადო საბუთები XV ს-დან მოაქვს). მხედველობაში გვაქვს ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მე-60 მუხლი, სადაც, არსებული გამოცემების თანახმად¹³, წერია:

60. თუ კაცმან კაცსა წიგნი მისცეს, და ანუ ბატონმა[ნ] უბოძოს, და კელი ერთოს საჯერობისა, მისივე კაცისაგან განცხადებით აგრეთვე კელი შიგ[ა] ერთოს, ისი უკანა წიგნი გაათავებს პირველსა.

თუ მალვით მიცემულია და კელი არ[ა]ერთოს, იგიც[ა] დია პირველივე უმტკიცეა.

60. რა გინდა სასაქმოე წიგნი მისცეს, გინა პატრონმან უბოძოს რაისათვისვე, და ერთოს საპატიოთა კაცთა, მოლოზანთა კელი ერისგანთ საჯერობისათვის, კელი, მისვე კაცისაგან განცხადებითა წერილი, და აგრეთვე კელებიცა ერთოს. და მალვითა მისცეს, იგი უკანის გააცუდებს მას პირველსა.

და თუ მალვით და ქვე უამით

11 იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 213—216.

12 მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978,

13 ი. დოლიძე, ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ.313—314.



როგორც ვხედავთ, ამ ამონაწერში „წიგნის“, როგორც დიპლომატიკური ტერმინის, ხმარება სავსებით უეჭველია, თანაც, ერთ შემთხვევაში, მისი განმსაზღვრელ სიტყვასთან — „სასაქმესთან“ ერთად, მაგრამ, მანამ თვით ამ ფაქტზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებოდეთ, გვინდა განვიხილოთ ბექას სამართლის თვით ეს მუხლი შინაარსობრივი თვალსაზრისით, რათა უკეთ გავერკვეთ მის არსში.

საქმე ის არის, რომ მოტანილი მუხლი არ არის მთლად გამართული და მასში მოცემულ ზოგიერთ ნიუანსში გარკვევა ჭირს. სახელდობრ ბუნდოვანია ის, თუ რა უპირისპირდება პირველ შემთხვევაში კაცის მიერ კაცისათვის მიცემულ ან ბატონის თუ პატრონის მიერ ვაცემულ საბუთს, მითუმეტეს, რომ ბექას ერთი და იგივე მუხლის ერთ ვარიანტში წიგნის „გათაყვება“ მოცემულია და მეორეში „გაცუდება“.

ბექას სამართლის მე-60 მუხლის მოკლე ვარიანტს (რომელსაც მისი გამოცემელი ი. დოლიძე ლიტერი A-თი აღნიშნავს, განსხვავებით B-ვრცელი ვარიანტისაგან) ი. დოლიძე და ვ. დონდუა შემდეგნაირად თარგმნიან: „Если человек дает человеку деловую бумагу или патрон жалуует ее и к ней приложена утверждающая рука, причем к ней приложены руки и свидетелей, то такая бумага делает недействительной ранее данную“.

А если бумага дана скрытно, и рука к ней не приложена, то, конечно, ранее выданная будет действительной»¹⁴.

გაუგებარია, თუ კი თარგმანის საფუძვლად A ნუსხა აღებული, რატომღაც მოტანილ თარგმანში ტექსტის „გათაყვება“ რუსულად გააზრებული, როგორც „делает недействительной“. ასე რომ, საქმის არსის გარკვევაში ეს თარგმანიც ვერ გვშველის. ცხადია, რომ ჩვენ ან ერთ ვარიანტს უნდა მივცეთ უპირატესობა, ან მეორეს, ვინაიდან „გათაყვება“ „გაცუდებას“ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შინაარსის მატარებელი სიტყვაა და ნიშნავს შესრულებას, დამტკიცებას (შეადარე ბექას სამართლის 57-ე მუხლი: „ანდერძი რომელმან კაცმან თქვას, მისსა სიკვდილისა შემოდგომადლა იქნების მტკიცე და დადასტურებული, თუ არა, სიცოცხლესა შინა ორივე ველეწიფების — გინა მოშლა, გინა გათაყვება“).

ვფიქრობთ, რომ განსხვავება ბექას სამართლის მე-60 მუხლის სხვადასხვა ვარიანტში გადამწერის შეცდომით ან ტექსტების სხვანაირი გაგებით თუ გააზრებით არის გამოწვეული, მაგრამ რომელი ვარიანტია სწორი, ვადაპირით ამის თქმა ჭირს მთელი ძეგლის შესწავლის გარეშე.

ერთი კი ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში მე-60 მუხლის ტექსტი ნაკლული სახითაა მოღწეული და მას შინაარსობრივი გამართვა ესაჭიროება.

აღსანიშნავია, რომ ბექას სამართლის ტექსტის A ვარიანტი (Q 206) ნაწერია ნუსხურად და 1672 წლით თარიღდება, ხოლო B ვარიანტი (S—3683) ნაწერია მხედრულად და შესულია ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში.

ი. დოლიძის დაკვირვებით, A ნუსხაში „ძეგლის თავდაპირველი ტექსტი ყველგან დაცული არ არის და საკმაოდ დაზიანებულია... მუხლების ზოგი ნაწილი უკეთესად იკითხება ვახტანგისეული კრებულის ხელნაწერებში“... ამა-

¹⁴ Судебник Бека и Агбуга, Грузинский текст. введение И. С. Долидзе, перевод В. Д. Дондуа и И. С. Долидзе, Тбилиси, 1960, с. 57—58.

ვე დროს ი. დოლიძეს მიაჩნია, რომ „ვანტანგის საკოდიფიკაციო კომისიის ტექსტში ვრცელი ახსნა-განმარტებანი შეუტანია... კომენტარების სახით შეტანილია მთელი რიგი წინადადებანი და ზოგიერთი ძველი ტერმინი შეცვლილი ახალი ტერმინებით“¹⁵.

ჩვენ ძალიან გაგვიჭირდებოდა ამჯერად მთლიანად ძეგლის შესახებ მსჯელობა, მაგრამ რაც შეეხება, კერძოდ, მე-60 მუხლის რედაქციებს, შემდეგის თქმა შეიძლება: როგორც ჩანს, A ვარიანტი უფრო ლაკონური და შინაარსობრივად უფრო გამართული უნდა იყოს, მაგრამ აქაც იბადება კითხვა — თუ ერთხელ ვაცემულია სათანადოდ გაფორმებული საბუთი, რა პირობებში იქმნება რაღაც მეორე საბუთი, რომელიც „გაათავებს პირველსა“? ასე, რომ არც მოკლე (A) ვარიანტია ბოლომდე გასაგები და იგი ვერ გვშველის B ვარიანტის ვახსნაში.

ის გარემოება, რომ ვანტანგის კანონთა კრებულში წარმოდგენილი ბექას სამართლის მე-60 მუხლი აზრობრივად ძალზე ბუნდოვანია, არ უნდა უჭერდეს მხარს ვარაუდს მისი კომენტირებული სახით მიღწევის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში კომენტატორი (ვანტანგ VI) მასში რაღაც ლოგიკური აზრის ჩადებას ეცდებოდა. ჩვენს აზრით, B ვარიანტი მომდინარეობს ბექას სამართლის რომელიღაც ვრცელი ნუსხიდან, რომელიც შესაძლოა A ნუსხაზე ძველიც კი ყოფილიყო და იგი ვანტანგმა უცვლელად შეიტანა თავის კრებულში, კომენტირების გარეშე. აღნიშნული ტექსტის წყაროს სიძველეს A ნუსხასთან შედარებით ისიც უნდა მოწმობდეს, რომ A ვარიანტში მე-60 მუხლში სიუზერენის მნიშვნელობით, სიტყვა „ბატონია“ ნახმარი, B-ში კი „პატრონი“.

ჩვენ საგანგებოდ დაუკვირდით ამ სიტყვების — „ბატონის“ და „პატრონის“ ხმარებას A და B ნუსხებში, რის შედეგადაც აღმოჩნდა შემდეგი: ორივე ვარიანტში შესავალ ნაწილში ბექაცა და აღბუღაც „პატრონებად“ არიან მოხსენებულნი, თუმცა A ნუსხაში გვხვდება „პატონიც“. პირველ მუხლებში A ვარიანტი სიუზერენის მნიშვნელობით ხმარობს „პატონსა“, B ვარიანტი კი „პატრონს“. უფრო ქვემოთ A ვარიანტის გადამწერი სულ უფრო და უფრო ხშირად „ბატონს“ იყენებს, ხოლო B ვარიანტის გადამწერი თანამიმდევრულად ისევ „პატრონს“ ხმარობს, გარდა ცნებისა „მკვიდრი ბატონი“, რომელიც ორივე ვარიანტში ყოველთვის ასეა წარმოდგენილი. რაიმე საქონლის თუ ნივთის მფლობელად ორივეგან „პატრონია“ ნახმარი.

ამგვარად, სიუზერენის გაგებით „პატრონი“ B ვარიანტებისათვის უფრო კანონზომიერი ტერმინია; გამოჩაკლისს ვხვდებით მხოლოდ 84-ე მუხლში, სადაც A ვარიანტში „საპატრონო სამღურავი“ გვაქვს, B ვარიანტში კი „საბატონო სამღურავი“, რაც ზემოთ შენიშნული კანონზომიერებისაგან ერთადერთი გადახვევაა. სხვა მხრივ კი ამ თვალსაზრისით ვანტანგის ხელი ძეგლში არ შეინიშნება. ნიშანდობლივია, რომ თვით ვანტანგ VI-ის სამართლის წიგნში, სიუზერენის მნიშვნელობით სწორედ „ბატონი“ იხმარება, ხოლო „პატრონი“ უფრო მფლობელის, მეპატრონის მნიშვნელობით გვხვდება („მამულის პატრონი“ — მუხლი 55,244, „საქონლის პატრონი“ — მუხლი 245, „ქალის პატრონი“ — მუხლი 69 და სხვა).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რიგ შემთხვევებში B ვარიანტს ახასიათებს A-სთან შედარებით არქაული ტერმინების გამოყენება. მაგალითად:

15 ი. დოლიძე, ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 72—73, შეადარე: გვ. 286.



A — „მუახლე“, B — „სეფე ქალი“ (მუხლი 24),

A — „უკეთესი ცოლი“, B — „უსაბატიოესი ცოლი“ (მუხლი 30),

A — „მიწა მიჰყიდოს“, B — „საგლებო ფუძე მიჰყიდოს“ (მუხლი 56),

A — „თეთრი აილოს“, B — „თეთრი ავალოს“ (მუხლი 94).

ვახტანგის მიერ B ვარიანტის კომენტარების (თუ შევსების) საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის სხვაობა, რომელიც 33-ე მუხლის A და B ვარიანტს შორის არსებობს:

A

B

33. თუ კაცმან კაცსა ციხესა ანუ საჯდომსა უღალატოს, რა ბატონმან შეიგნეს, საჯდომი მემამულესავე მისცენ...

33. თუ მინდობილმან კაცმან დედა-წულთა გვერდით ციხესა ანუ ვაკისა საჯდომსა უღალატოს, რა ბატონმან მაწყვერელმან სცნას, ციხე და საჯდომი განალამცა მემამულესავე მისცენ...

საეჭვოა, რომ ვახტანგ VI-ის მაინც და მაინც აუცილებლად ეცნო A ვარიანტის „ბატონის“ „პატრონი მაწყვერლით“ შეცვლა. ჩანს, ასეთი რედაქცია ძველთაგანვე მიმდინარეობდა.

მოტანილი მუხლის B ვარიანტში მაწყვერლის მოხსენება თავისთავად ამ ტექსტის სიძველეზედაც მიუთითებს შედარებით A ვარიანტთან. ამდენად, B ვარიანტი არამარტო უფრო სრულია, არამედ უფრო ძველიც ჩანს¹⁶.

ქვემოთ ვეცდებით წარმოვადგინოთ მე-60 მუხლის აღდგენის ცდა. ჩვენი აზრით, მუხლის პირველ ნაწილში ორ საბუთზეა ლაპარაკი, რომელთაგანაც მეორე საბუთი გარკვეულ პირობებში აცულებს პირველს. ეს პირობებია საბუთის მეორედ გაცემა სათანადო ხელრთვების ჩართვით და ამასთან „განცხადებით“ და „არა მალვით“ (თუმცა ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში წერია „მალვით“). თუ ეს მსჯელობა სწორია, მე-60 მუხლში შემდეგი შინაარსი შეიძლება ჩაიდლოს: თუ კაცი კაცს სასაქმოე წიგნს მისცემს, ან ის პატრონის მიერ გაიცემა, და ეს წიგნები სათანადოდ არის დამტკიცებული კელრთვებით, ხოლო ამავე დროს იგივე კაცი (ან პატრონი) მეორე საბუთსაც გასცემს განცხადებით და არა მალვით, ასევე სათანადო ხელრთვებით, ეს უკანასკნელი საბუთი გააცულებს პირველს. ხოლო თუ უფრო გვიან გაიცემა მეორე საბუთი, მალვითა და კელჩაურთველად, მაშინ მხოლოდ პირველი საბუთია მტკიცე.

მაგრამ A ვარიანტის გათვალისწინებით არ არის გამორიცხული მეორე შესაძლებლობაც: თუ კაცი კაცს სასაქმოე წიგნს მისცემს, ან ის პატრონის მიერ არის გაცემული და ესენი სათანადოდ არის დამტკიცებული კელრთვებით და ამავე დროს იგივე კაცი (ან პატრონი) მეორე საბუთსაც გასცემს განცხადებით და არა მალვით, ასევე სათანადო ხელრთვებით, ეს უკანასკნელი საბუთი გაათავებს პირველს (ე. ი. დაამტკიცებს მას). ხოლო თუ უფრო გვიან გაიცა მეორე საბუთი, მალვითა და კელჩაურთველად, მაშინ ისევ პირველი საბუთია მტკიცე.

ე. ი. ორივე შემთხვევაში რაღაც მეორე საბუთის გაცემასზეა საუბარი — ერთხელ ხელრთვებით, განცხადებით და არა მალვით, ხოლო მეორეჯერ კელ-

¹⁶ იხ. ე. ხოშტარია (ბროსე), ბეჟასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეულა ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, 1985, № 4.

როგორც ვხედავთ, მათგან, ამჯერად ჩვენ არ შეგვიძლია დაველოდო-
ბით იმის მტკიცება, სათანადოდ გაფორმებული და განცხადებით და აქვეყნებულ
ვით გაცემული მეორე საბუთი „გაათავებს“ თუ „გააცუდებს“ პირველს. როგორც
გორც ცნობილია, პრაქტიკაში არ იყო გამორიცხული არც ერთხელ გაცემულ-
ლი საბუთის ხელშეკრულად დადასტურება და არც ამ საბუთის პირობის და-
რღვევა.

ერთი კი ცხადია, რომ მოცემული მუხლის მიხედვით საბუთი მტკიცეა
მამინ, როდესაც იგი სათანადოდ არის გაფორმებული კელის ჩართვითა და
იგი გაცემულია განცხადებით და არა მალვით და ასეთ საბუთს „სასაქმოე
წიგნი“ ეწოდება.

„სასაქმოე წიგნი“, როგორც დიპლომატიკური ცნება-ტერმინი არ გამბდა-
რა სპეციალური მსჯელობის საგნად. მხოლოდ ი. დოლიძეს ბეჭას სამართლის
ტექსტის გამოცემისას მე-60 მუხლის აღდგენილ სათაურად კვადრატულ
ფრჩხილებში აღნიშნული აქვს: „სასაქმოე წიგნის ასრე იქნების“, რაც უდა-
ვოდ ნიშნავს ამ ცნებაზე ყურადღების გამახვილებას და მასვე თავისი მონო-
გრაფიის — „ძველი ქართული სამართალი“ — ლექსიკონში მოცემული აქვს
განმარტება: „სასაქმე წიგნი“ — „სხვადასხვაგვარი წერილობითი აქტი“ (მითი-
თებულია ბეჭას სამართლის მე-60 მუხლი), მაგრამ „ქართული სამართლის
ძეგლების“ I ტომის ტერმინთა საძიებელში ი. დოლიძეს საგანგებოდ „სასაქ-
მე წიგნი“ აღარ გამოუტანია ისეთი ტერმინების გვერდით, როგორიცაა „აზა-
ტობის წიგნი“, „ანდერძის წიგნი“, „მამობის წიგნი“, „სამდივნო წიგნი“, „შე-
ფიცების წიგნი“, „შვილობის წიგნი“, „წესისა და რიგის წიგნი“ და სხვა. აქ
მხოლოდ მითითებულია, რომ „წიგნი“ იხსენიება ბეჭას სამართლის მე-60
მუხლში, ხოლო ლექსიკონში „სასაქმე“ განმარტებულია, როგორც „სადავო
საქმე, სასარჩლო საქმე“ (მითითებულია „ძეგლის დადების“ შესავალი და არა
მე-60 მუხლი).

ასე, რომ ი. დოლიძეს ცნება-ტერმინი „სასაქმე წიგნის“ არსებობა არ
გამორჩენია მხედველობიდან, მაგრამ, ჩანს, ბოლომდე აღარ გასდევნებია ამ
ცნების მნიშვნელობის გახსნას.

ვფიქრობთ, რომ „საქმე“ (აქედან „სასაქმე“, „სასაქმე“) გამოხატავს
ყოველგვარ იურიდიულ ურთიერთობას, რასაც „სარჩელი“, „დავა“ შეიძლება
მოჰყვეს.

„ძეგლის დადების“ შესავალში ჯადა-ცხაოტის ჯევისბერთა და ჰეროვანთა
შეყრაზე საუბრის შემდეგ წერია: „და გავიგონეთ მათნი საქმენი, დაესხე-
დით მათსა სასაქმოსა“...¹⁷, ხოლო 43-ე მუხლში ვკითხულობთ: „ამი-
ერნი ჯევისბერნი და ჰეროვანნი იმიერთ ნოოდეს მიუდგებიან, ნურც სალა-
შქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმევენ ერთმანეთთანა, თავის თავისასა საე-
რისთათავან კიდე“¹⁸.

აქედან ცხადია, რომ ბეჭას სამართლის მე-60 მუხლში მოცემული ცნება-
ტერმინი „სასაქმე წიგნი“ ფართო მნიშვნელობის იურიდიულ დოკუმენტებს
აღნიშნავდა.

არ არის გამორიცხული ისიც, რომ იგივე მე-60 მუხლის B ვარიანტში კი-
დევ ერთი დიპლომატიკური ტერმინია შემორჩენილი — „კელი“ („კელი, მი-
სივე კაცისაგან განცხადებითა წერილი, და აგრეთვე კელებიცა ერთოს“), რო-
მელიც კაცისაგან კაცისათვის მიცემულ ან პატრონისაგან გაცემულ მეორე

17 ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 401.

18 იქვე, გვ. 419.



საბუთს აღნიშნავს. აქ რომ კელი კელრთვის მნიშვნელობით გავიგოთ, უხარობა იქნება, რადგან გამოირიცხულია, რომ კელრთვის „ველრთვებიცა მტრთოს“. თუ ეს ასეა, ჩვენ სახეზე გვაქვს „ველის“, როგორც საბუთის აღმნიშვნელი უძველესი ზოგადი ტერმინის, ხმარების ერთ-ერთი გვიანდელი შემთხვევა (შეადარე: „ველი წერილი“)¹⁹.

ეხლა დავეუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო დიპლომატიკურ ტერმინს „წიგნს“. როგორც ითქვა, იგი აქ მის განმსაზღვრელ ცნება „სასაქმოსთან“ ერთად გვაქვს მოცემული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ „წიგნი“ კი შემოსულა იურიდიული საბუთის აღსანიშნავ ტერმინად, მაგრამ სათანადო განმარტებით — „სასაქმოე“, რომელიც განსაზღვრავდა თუ რა სახის „წიგნთან“ გვაქვს საქმე.

სხვათა შორის იგივე ბექას სამართლის მე-60 მუხლის გაგრძელებაში კვლავ იჩენს თავს „წიგნი“, ასევე დიპლომატიკური ტერმინის მნიშვნელობით: „სხვად, თუ კაცი რასმე ესაქმებოდეს სამართლითა და საჯეროთი, შუათა პირითა ნაზავები პირი და წიგნი არა მოეშლების უკანის, ანუ სარგებლის დახედვისათვის, ანუ ძალისა შოებისათვის“.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე იურიდიული საბუთის მნიშვნელობით სახეზეა „პირი და წიგნი“, რომელიც ღებდა იმ შემთხვევაში, როცა კაცს „კაცი რასმე ესაქმებოდეს სამართლითა და საჯეროთი“ და ეს „პირი და წიგნი“ არ მოიშლება არც ანგარებით და არც ძალით. ნიშანდობლივია, რომ არც ამ შემთხვევაში „წიგნი“ დამოუკიდებლად არ გვხვდება და იგი „პირთან“ კომბინაციშია გამოყენებული.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ „წიგნი“ თუ კი დამოუკიდებლად იხმარებოდა საბუთის აღსანიშნავად, ეს როგორც წესი, გარკვეულ კონკრეტულ საბუთებს გულისხმობდა. იმის დასტურად, რომ „წიგნის“ მნიშვნელობა მხოლოდ გარკვეულ კონტექსტშია გასაგები, შეიძლება მოტანილი იქნეს მაგალითები ვახტანგ VI-ის სამართლიდან. ამ ძეგლის მე-7 მუხლის თანახმად, უდანაშაულობის სამტყიცებლად ღმერთის მიმართ ხვეწნის „წიგნს“ წერდნენ „კმალში გატანებული“ პირები, ხოლო შემდეგ ეს „წიგნები“ ან ყელზე ან შუბის ბოლოს უნდა შეეხათ, შებრძოლების წინ. მე-15 მუხლის თანახმად კი ძველად ხმარებული ფულის წონა „ძველ წიგნებში სწერია“; მე-17 მუხლში თვით თავის სამართალს ვახტანგი „წიგნს“ უწოდებს. და ბოლოს, ვახტანგის სამართლის 161-ე მუხლში მითითებულია, რომ კაცმა რაიმე სავანი „კაის მოწმით, წიგნით და ბეჭდით უნდა იყიდოს“. აქ „წიგნი“ უდავოდ. საბუთს ნიშნავს, მაგრამ სხვა შემთხვევაში კანონმდებელი თვითონვე აუხსტებს თუ რა სახის წიგნთან გვაქვს საქმე. „გაცვლილობის წიგნი“ (მუხლი 167), „სასამართლოს წიგნი“ (მუხლი 205), „გარდაწყვეტების წიგნი“ (მუხლი 263) და სხვა.

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ მას შემდეგ რაც დიპლომატიკურ პრაქტიკაში „დაწერილი“ შეცვალა „წიგნმა“, ამ უკანასკნელმა დამოუკიდებლად არ მიიღო ყოველგვარი საბუთის საერთო სახელი თუ ფუნქცია და იგი, როგორც წესი, მის დამაკონკრეტებელ ტერმინებთან კომბინაციაში იხმარება.

საინტერესოა, რომ ფეხს ვერ იკიდებს ვერც „წიგნის“ განმსაზღვრელი შედარებით ადრინდელი ზოგადი ტერმინი „სასაქმოე“ („სასაქმოე წიგნი“) და იმთავითვე „წიგნი“ ან საბუთის აღმნიშვნელ სხვა ზოგად ტერმინებთან („სიგელი“, „ნიშანი“, „ბრძანება“) ან მის დამაკონკრეტებელ ცნებებთან კომ-

19 იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 176—179.

ბინაციაში იხმარება. გვიანფეოდალურ ხანაში უფრო მიღებული ხდება/სა-
ბუთის მნიშვნელობით „წიგნის“ კონკრეტულ სახეობათა მითითება: „წიგნ-
ლობის წიგნი“, „ნასყილობის წიგნი“, „ზატობის წიგნი“, „სითარხნის წიგნი“
და სხვა ასეთი.

Э. В. ХОШТАРИА (БРОССЕ)

О ЗНАЧЕНИИ «ЦИГНИ» (БУКВ. «КНИГА») КАК ДИПЛОМАТИЧЕСКОГО ТЕРМИНА

Резюме

В статье уточняется значение термина «цигни» в применении к документу: установлено, что цигни, обозначая с XIV в. всякого рода юридические документы, как правило, не употреблялся в этом значении самостоятельно, а применялся вместе с другими дипломатическими терминами («цигни да сигели», «цигни да нишани», «цигни да брдзанеба»), либо с конкретизирующим значение «цигни» каким либо термином («сасакмое цигни», «цкалобис цигни», «шецирлобис цигни», «наскидобис цигни», «ситархнис цигни», «азатобис цигни» и т. п.).

ბ. გვილიძე

გულარეხის მონასტრის ისტორიისათვის

„გულარეხს არს მონასტერი უფუგმათო, ბენდერის მთის ძირას, ფრად შუენიერი, შუენიერს ალაგას...“ ვახუშტი

ფეოდალურ საქართველოში მრავალი მონასტერი არსებობდა, რომელთაგანაც ზოგი მცირე, ხოლო ზოგი დიდ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა. ერთ-ერთი ასეთი სამონასტრო სენიორია იყო გულარეხის მონასტერი, რომელიც მსხვილ სამონასტრო კომპლექსს ქმნიდა და მდებარეობდა ქვემო ქართლში, ახლანდელი თეთრი წყაროს რაიონში, მდინარე გულარეხისწყლის სათავეებში.

ადრე გულარეხის მონასტრის გვერდით სოფელი გულარეხი ყოფილა. დღეს სოფელ გულარეხში მოსახლეობა აღარ არის. გულარეხი საუცხოოდ ნაგები ზღუდით გარშემორტყმული სამონასტრო კომპლექსია, რომელიც დაახლოვებით 4,5 ჰექტარ ფართობს მოიცავს და ხშირი ნანგრევებით არის დაფარული. სამონასტრო კომპლექსი შედგება მთავარი ტაძრის, სამრეკლოს, სასახლის, საჯინბოს, ეკლესიის, ბერების საცხოვრებელი სენაკების და სხვადასხვა სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების შენობათა ნანგრევებისაგან.

გულარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი იმ იშვიათ ტაძართა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ხუროთმოძღვარი და მაშენებელიც ვიცით. გულარეხის დეთისმშობლის სახელობის ტაძრის სამხრეთ კედელზე გაკეთებულია ასომთავრულით შესრულებული საამშენებლო წარწერა:

„სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისა გიორგი მთავარ მოწამისათა აეშენა ესე ეკლესია კელითა ფრად ცოდვილისა ჭეჭაფორისძისათა სალოცველად და სადიდებლად დედოფალთ-დედოფლისათვის, რუსუდან დედოფლისა, და შვილთა მისთა დღეგრძელობისა და ჩემის სულისათვის. ესე წმიდა ეკლესიაჲ მე გლახაკმან ანტონი მანგლელმან ვაკურთხე უფასოდ სულისა ჩემისა“¹.

საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი XII ს-ის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწედ, თამარ მეფის გამზრდელად და მამიდად მიიჩნევა. ბაქრაძეს² და მარი ბროსეს³, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილმა რუსუდან დედოფალი თამარ მეფის ასულად მიიჩნია და მონასტრის აშენების თარიღად 1223—1247 წწ. მიიღო. ეს დათარიღება ცოტათოდენი ცვლილებებით (1222—45 წწ.) დღეს გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და გულარე-

¹ Е. С. Такай швили, Археологические экскурсии, разыскания и заметки. в. 2. Тфл. 1905 с. 31—32.

² Д. Бакрадзе, Записки общества любителей Кавказской Археологии. к. I, 1857, с. 57.

³ М. Brosset. Melanges Asiatiques. T. II, 1852, pag. 107—09.



რეხის მონასტრის მთავარი ტაძრის მაშენებლადაც თამარ მეფის ასული სულან მეფეა მიჩნეული⁴.

გულარეხის სამონასტრო კომპლექსი იმითაც არის ცნობილი ქართული ხუროთმოძღვრობის ისტორიაში, რომ აქ არის აგებული პირველი თარიღიანი საამშენებლო წარწერის მქონე სამრეკლო.

„ადიდენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთ-მეფე დიმიტრი. მე მიწა მეფობისა მათისაჲ, უღირსი მღვდელი და ჯუარისმტვირთელი აბრაჰამ, ღირს ვიქმნე აღშენებად სამრეკლოთა მათ, სადიდებლად სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა... შეიწირენ ღმერთმან და ყოვლად წმიდამან მშობელმა მისმან, ამინ. ქრონიკონსა ჳჳჳ⁵ ე. ი. 1278 წ.“

მარი ბროსე⁶ და დიმიტრი ბაქრაძე⁷ „ზ“ დავითად კითხულობდნენ და სამრეკლოს აგებას დავით სოსლანს აწერდნენ, ხოლო ქრონიკონს კითხულობდნენ „ჳჳჳ“ და იღებდნენ 1202 წელს. მაგრამ ე. თაყაიშვილის მართებული წაკითხვით აქ იკითხება „დიმიტრი“ და ესეც არ იყო აბრაჰამ ჯუარისმტვირთველი ჟამთააღმწერლის წყალობით ცნობილია და ვიცით, რომ ის იყო ახლობელი ადამიანი მეფე დიმიტრისა და ქართლის კათალიკოსი ნიკოლოზ II-ის შემდეგ. 1297 წელს დავით მეფის მიერ გაცემულ წყალობის სიგელს გრიგოლ ჭარმაულისადმი, აბრაჰამ კათალიკოსი ამტკიცებს (ხ. ი. Hd—1330).

დაეუბრუნდეთ გულარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის საამშენებლო წარწერას, რომლის მიხედვითაც ჭიჭავჭავაძის ხელით რუსუდან დედოფლის სალოცველად და სადიდებლად აშენდა ეს ტაძარი, რომელიც ანტონ მანგლელმა აკურთხა.

ვფიქრობთ, საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი არ არის რუსუდან მეფე. და აი, რატომ: ცნობილი ფაქტია, რომ არც ერთი მეფის მიერ შესრულებულ საამშენებლო წარწერაში ხუროთმოძღვარი არ იხსენიება მეფეზე წინ. სხვა საკითხია, როცა ქტიტორი იხსენიება ჯერ, რომელმაც ამა თუ იმ პირის მეფობისას ააგო ესა თუ ის ტაძარი. მაგალითად: „ადიდენ ღ(მერთმან) მეფეთა-მეფე კონსტანტი(ი)ნე ძე დავითისი, ა(მე)ნ“⁸. ეს არის 1293—1327 წწ. დათარიღებული დავით ნარინის ძის კონსტანტინე მეფის ბედიის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, ან: „ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დავით და დავით, დედოფალი თამარ-ხათუნ და ძე მათი გიორგი, რომელთა წყალობითა ღირს ვიქმნე აღშენებად ეკლესიისა ამის... მე გლახაკი არსენი მშეიდაისძე, მანგლელი მთავარებისკობოსი“⁹ ეს კი აბელიის ეკლესიის საამშენებლო წარწერაა, შესრულებული 1250—68 წწ.—ში. ან [სახელითა ღმრთისაჲთა მამისა და ძი]

1. სა და სულისა წმიდისაჲთა შეწევნი
2. თა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და
3. წმიდისა კურიკესითა (ან კონსტანტინესითა)
4. მე გლახაკი იოანე მოძღვარი(!) ღირს მყო ღმერთმან და აღვაშენნე კან

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, თბ., 1979, გვ. 508. გულარეხის ტაძრის აშენების თარიღად ნ. ჩუბინაშვილმა 1231—1237—38 წწ. მიიღო. იხ. Н. Г. Чубинашвили, Архитектура Гударехского храма в ансамбле средневекового города, 1945 г. с. 5.

⁵ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

⁶ იქვე, გვ. 34.

⁷ მ. ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 108—109.

⁸ ლაპიდარული წარწერები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, II, თბ., 1980, გვ. 176.

⁹ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

5. კელნი ესე
6. დაამყარენ ღმერთმან მეფეთა მეფისა
7. გიორგისათჳს, და სახსრად ფრიად ცოდვილი...
8. სა სულისა ჩემისა მოი
9. ქსენე უფალო
10. [ღ]მერთო, სული მამ-

[ისა იოვანესი, ან ეგებ „მამისა ჩემისა“...]¹⁰

ეს არის სათხის ეკლესიის წარწერა კანკელზე, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება. ეს კანკელი ამჟამად სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

თანაც რუსუდან მეფე არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც სიგელგუჯრებში არსად არ იხსენიება მარტო დედოფალთ-დედოფლის ტიტულით. ყველგან ხაზგასმულია, რომ ის ატარებს მეფის ტიტულს და იშვიათად მეფე-დედოფლისას. მაგალითად, ჟამთაღმწერელთან 42-ჯერ არის ნახსენები რუსუდან მეფე, აქედან 27-ჯერ იხსენიება მეფე რუსუდანი, ხუთჯერ — მხოლოდ მეფედ უსახელოდ, ექვსჯერ — რუსუდანად, რამდენიმე ადგილას დავითი იწოდება რუსუდანის ძედ და მხოლოდ ერთგან იხსენიება — „დედოფალთ-დედოფალო მეფეო რუსუდან“¹¹. ასეა ლაშა-გიორგის დროინდელ მემატია-ნესთანაც. რუსუდანი არის „მეფე ღმრთივ-გვირგვინოსანი“¹². 1241—42 წწ. არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ მგელა აბულახტრისძისათვის ბოძებულ წყალობის წიგნს ამტკიცებს მეფეთა-მეფე რუსუდანი (ცსა ფ. 1448—5003). საერთოდ რუსუდანი იხსენიება სიგელებში დავით მეფის დედად, ან მეფეთა-მეფის ტიტულით¹³. ბუნებრივია იგი ერთიანი საქართველოს მეფეა და ამიტომ დომინირებს ყველგან მისი ტიტული — „მეფეთა-მეფე“.

უმთავრესი კი ის არის, რომ რუსუდანის მეფობისას ჯერ ხვარაზმელთა და შემდეგ მონღოლთა თარეშმა „იქმნაცა ყოველი სოფელი ქართლისა ოკრად“¹⁴. რუსუდანი ხვარაზმელთა თარეშამდე „ვიდოდა განცხრომითა და სიმღერითა“¹⁵, ხოლო შემდეგ დატოვა გავერანებული ქართლი და „დამკვიდრდა ლიხთ-იქით და ვერცა ლიხთ-აქეთ გარდამოვიდის და ვერცა ამერნი ვაზირნი მის წინაშე მოვიდიან“¹⁶ და „ჰერეთი და კახეთი, სომხითი და ქართლი... მწარესა ოხრებასა შინა იყო“¹⁷. ერთი სიტყვით რუსუდანის მეფობისას არ იყო იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ქართლში დიდი სამონასტრო კომპლექსის აშენება დაეწყათ. არის კიდევ ერთი არგუმენტი:

გუდარეხის მონასტრის ბერებში და XVII ს-ის საქართველოს სამეფო კარზე ცოცხალი ყოფილა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც გუდარეხის მონასტრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი გუდარეხის მონასტერში ყოფილა დამარხული. ამაზე მოგვითხრობს ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული საბუთების ფონდში დაცული დოკუმენტი, დედანი Hd 1554ბ — ლუარსაბ მეფის მიერ გუდარეხის მონასტრისათვის ბოძებული შეწირულობის სიგელი, სადაც ნათქვამია, რომ რუსუდან დედოფალი გუდარეხის მონასტერშიაო დამარხული.

¹⁰ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს წარწერები, II, თ. ს. უ. შრომები, ტ. 43, თბ., 1951, გვ. 161.

¹¹ იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 168, 169, 172, 174, 177, 180, 182, 187, 190—92, 195, 197, 198, 199, 203, 205.

¹² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 371.

¹³ ქრონიკები, II, გვ. 159, 160—162, ც. ს. ს. ა. ფ. 1449—1586, ხ. ი. Hd, 11243.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 187.

¹⁵ იქვე, გვ. 168.

¹⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 188.

¹⁷ იქვე, გვ. 190—191.

ჩვენ კარგად ვიცით, და მითუმეტეს XVII ს-ის დასაწყისში უკეთ ეცოდინებოდათ, რომ რუსუდან მეფე „დასწავლული გარდაიცვალა ტფილისსა და წარიყვანეს მთავართა დიდთა პატივითა და ტყეპითა... დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა მონასტერსა გელათს“¹⁸.

მაშასადამე, ცხადია, რომ გუდარების მონასტრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი არ შეიძლება რუსუდან მეფესთან გავაიგივოთ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშ ვინ არის გუდარების მონასტრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი? შევეცდებით ამ კითხვას პასუხი გავცეთ.

ცნობილია, რომ დემეტრე თავდადებულს ტრაპიზონის კეისრის კომნენის ასული ჰყავდა პირველ ცოლად, რომლის სახელი უცნობია და რომლისგანაც მას ოთხი ვაჟი (დავითი, ვახტანგი, მანუელი, ლაშა) და ერთი ქალი (რუსუდანი) ჰყავდა. მართალია, პირმშოდ დავითი ითვლება, მაგრამ ეს არ გამოირცხავს იმას, რომ პირველი შვილი რუსუდანი ყოფილიყო, და მეორე დავითი. პირმშოდ მხოლოდ ვაჟი ითვლებოდა.

დემეტრე თავდადებულმა თავისი ქალი რუსუდანი 80-იან წლებში გაათხოვა მონღოლთა დიდი ემირის ბუღას ვაჟზე. ამ ფაქტზე ძლიერ განრისხებულა კათალიკოსი ნიკოლოზი. აი, რას წერს უამთაღმწერელი ამის შესახებ: „მისცა ასული თჳსი რუსუდანი შვილსა დიდისა ბუღასა, რომლისათჳსაც დიდად განრისხებული ნიკოლოზ კათალიკოსი ფრიად აბრალებდა და ღმრთისა სასჯელთა თუალუხობასა აქადებდა“¹⁹. ხოლო როდესაც მე-3-ე ცოლად დიმიტრი მეფემ მანდატურთუხუცეს ბექა ჯაყელის ასული ნათელა მოიყვანა, კათალიკოსმა ნიკოლოზმა დატოვა კათალიკოსობა, ბერად წავიდა და „ქელითა თჳსითა აკურთხა ჯუარისმტურთველი მეფისა აბრაჰამ კათალიკოსად“²⁰. ეს კი 1284 წელს მოხდა და გუდარების სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის და სამრეკლოს აშენებაც მანამდე დაიწყო, ვიდრე აბრაჰამი კათალიკოსი გახდებოდა.

საერთოდ, დემეტრეს მეფობისას საქართველოში შედარებით მშვიდობიანი ხანა დაიწყო. დაპყრობის პერიოდი დამთავრდა და ქვეყანას ხარკის ძლევის პერიოდი დაუდგა. დემეტრემ „აღაშენა ქუეყანანი მოოხრებულნი“²¹ წერს უამთაღმწერელი. ცნობილია, რომ მან ააშენა მეტეხის ღვთისმშობლის მონასტერი და მანვე „იქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ“²². ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების კურსს ემსახურებოდა პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც გადადგა დემეტრე მეფემ და ამ ნაბიჯით დაუმოყვრდა მონღოლებში ისეთ გავლენიან კაცს, როგორიც დიდი ბულა იყო.

ეტყობა განრისხებული კლერიკალური წრეების გულისწყრომის დაცხრომის მიზნით ააგო ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძემ დემეტრე მეფის ასულის რუსუდან დედოფლის სახსრით გუდარების ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი.

ვფიქრობთ, გუდარების მონასტერი მაშინ აშენდა, როცა რუსუდან დედოფალი საქართველოში არც იყო. აშენება მისი სახსრებით მოხდა. ეს სულაც არ არის უცნაური. ცნობილია, რომ თიღვას მონასტრის მაშენებელი დედოფალი თამარი, დავით აღმაშენებლის ასულიც, რომელიც შირვანის დედოფალი იყო, თიღვას მონასტრის შენებისას არ ყოფილა საქართველოში.

18 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207.

19 იქვე, გვ. 281.

20 იქვე, გვ. 282.

21 იქვე, გვ. 272.

22 იქვე.



1289 წელს, როცა ბუღას შეთქმულება გამომყდენდა არღუნის წინააღმდეგ, ბუღა, როგორც შეთქმულების ინიციატორი, შოკლეს, ხოლო მისი ძველი ლეული წყალში ჩაყარეს და დაახრჩეს. ეტყობა, ამ დროს დაიღუპა რუსუდან დედოფლის მეუღლე და შვილები. რუსუდანი როგორ გადაურჩა სიკვდილს, ცნობილი არ არის. შესაძლოა, მშინ საქართველოში იმყოფებოდა და ამგვარად ასცდა დასჯას. დემეტრე მეფეც, როგორც დიდი ბუღას ახლობელი (მძახალი) და მისანდო კაცი, ამ შეთქმულებას ემსხვერპლა. შემდგომში რუსუდანი დაკავშირებული ჩანს ფანასკერტელთა საგვარეულოსთან. როგორც ე. მეტრეველმა გაარკვია, იგი თავა ფანასკერტელის მეუღლე გახდა²³. მანვე ააშენა ვაჩეძორის ტაძარი ოლთისში 1306 წელს²⁴, „დიდსა დაჭირებასა შიგან“ კი შვილი თათრი გაუგზავნა ჯვრის მონასტერს, რის გამოც მისთვის გაუჩინათ ალაპი²⁵.

რუსუდანი იხსენიება № 131²⁶ და № 250²⁷-ე ალაპებშიც.

მაშასადამე, გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძრისა და ვაჩეძორის ეკლესიის მაშენებელი რუსუდან დედოფალი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ და ქველმოქმედ პიროვნებად გვევლინება.

ვფიქრობთ, რომ ბუღას ვაჟზე მისი გათხოვების შემდეგ დაახლოებით 1282—83 წწ. დაიწყო მისი სახსრებით გუდარეხის მთავარი ტაძრის აგება, ხოლო როდესაც გარდაიცვალა რუსუდანი, ეს ალბათ XIV საუკუნის პირველ მეოთხედში მოხდა, თავისთავად აგებულ გუდარეხის მონასტერში დასაფლავეს.

გუდარეხის ტაძრის მკურთხებელი ანტონ მანგლელი წყაროებში დაცემბენთ. XIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში ანტონ იშხნელი, ანტონ ალავერდელი და „დიდიცა იგი მოღვაწე ანტონ ნაოჭრებელის ძე“²⁸ მოვიძიეთ. ანტონ იშხნელი²⁹ და ანტონ ალავერდელი³⁰ ჩვენთვის ცნობილია იერუსალიმის ალაპებიდან. საეპისკოპოსო კათედრების ცვლას კი ხშირად ჰქონდა ადგილი, მაგრამ რომელი ანტონი იგულისხმება ანტონ მანგლელის ქვეშ გადაჭრილ თქმა ძნელია, შესაძლოა სულ სხვა ანტონია იგი.

პალეოგრაფიულად გუდარეხის მთავარი ტაძრის წარწერა და სამრეკლოს წარწერა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. ეს იმით აიხსნება, რომ ისინი, ალბათ, თანადროული წარწერებია.

გუდარეხში 1938—1939 წწ.-ში მუშაობდა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ანგარიში 1954 წელს გამოქვეყნდა.

მთავარ ტაძართან მიშენებულ ეკვდერის ჩრდილო კედელში აღმოჩნდა ვერტიკალურად ჩასმული წარწერიანი ქვები: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი“ და „ქრისტე, შეიწყალე ადამ“. წარწერები პალეოგრაფიულად X საუკუნით თარიღდება³¹. ეტყობა, მთავარი ტაძრის ადგილას X—XII საუკუნეებში სხვა

²³ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962 წ., გვ. 136—137.

²⁴ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში, პარიზი, 1907, გვ. 58.

²⁵ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, თბ., გვ. 85.

²⁶ იქვე, გვ. 91.

²⁷ იქვე, გვ. 102.

²⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283.

²⁹ ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 94—95.

³⁰ იქვე, გვ. 84.

³¹ გუდარეხის პირველი და მეორე არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, შეადგინეს ლ. მუსხელიშვილმა, შ. ხიდაშელმა და ე. ჯაფარიძემ, თბ., 1954, გვ. 104.



ტაძარი იდგა, რომელიც, ალბათ, მტერთა შემოსევის შედეგად დაიქცა და ახალი ტაძრის აშენებისას ძველი ტაძრის ქვები, მათ შორის წარწერიანი ქვებიც გამოიყენეს საამშენებლო მასალად (ეს ადამი და გიორგი, ალბათ, ძველი ტაძრის ქტიტორები იყვნენ).

გულარების მონასტერი, რომელიც ხელახლა ააშენა დემეტრე მეფის ასულმა რუსუდან დედოფალმა, სამეფო მონასტერთა კატეგორიას განეკუთვნებოდა და ბუნებრივია სამეფო გამოსაღებებისაგან თავისუფალი იყო. შეწირულობის სიგელებიც მრავლად იქნებოდა, მაგრამ ჟამთა სიავის გამო სიგელ-გუჯართა ძველმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია: „ჩვენ მეფეთა-მეფე პატრონი თეიმურაზ მოვედით მონასტერსა გულარევისასა, ჩუენსა სალოცავსა შიგან, მრავალი ჭირნახულობა და განაკეთები ვიხილეთ ძველთა მეფეთა და მეპატრონეთაგან, დიად მრავალი შეწირულობა და დანახარჯი იყო“³². ეტყობა თეიმურაზ მეფემ გულარეხის მონასტერში ნახა ძველ მეფეთაგან გაცემული საბუთები გულარეხის მონასტრისადმი.

უძველესი სიგელი 1586 წ-ის 1 იანვრით თარიღდება. ეს არის სიმონ I-ის მიერ გაცემული სიგელი, რომლის მიხედვითაც გულარეხის მონასტერი, როგორც სამეფო საკუთრება, მან დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა³³. ჩვენ არ ვიცით, როდის მოხდა, ან როგორ, მაგრამ მალე გულარეხის მონასტერი ისევ დამოუკიდებელ ფეოდალურ სენიორიად გვევლინება.

1606—1615 წწ. ლუარსაბ II-ის მიერ გაცემულ სიგელში მოთხრობილია, რომ ლუარსაბ მეფემ რუსუდან დედოფლის მიერ აშენებული მონასტერი ინახულა და შესწირა გულარეხის მონასტერს: „5 თუმანი თეთრი ყოველ მარიაშობასა ჩვენი სალაროდან მოგვეცემით სანთელის, საკმელის და ზეთის ფასად, მის გარდა სოფელი ბედენის პირას ვერხუნალა სამართლიანის სამძღვროთა, ალგეთის პირსა ზედა სამი კომლი კაცი თავისი მამულთ... მოგვიცემია სითარხნე. არა ფერი, არა საბალახე, არა ჩაგეკითხოს რამე არა კოდის პური, არა ბზე, არა ნახშირი, არა რამე გეკითხებოდეს არა მუშა, არა ქეშიკი, არაფერი გამოსაღები სახელმწიფო არა გეთხოვებოდეს რა ლაშქარ-ნადირობის მეტი“³⁴. ლუარსაბ მეფემ გაიჩინა თავისთვის სამი ალაპი. სოფელი ვერხუნალი კი ისევ ბარათაშვილს შეუწირავს გულარეხის მონასტრისათვის 1680 წელს³⁵. XVII ს-ის 30-იან წლებში გულარეხის მონასტერი ინახულა თეიმურაზ I-მა ალექსანდრე იმერთა მეფესთან ერთად და შესწირა „აბელიის მონაკვეთზე“ მცხოვრები სამი კომლი (ხ. ი. Hd 1564, Hd 1554, Hd 10301).

1643 წლის 24 აგვისტოს როსტომ მეფემ ყოფილი სამეფო მონასტერი გულარეხი ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის უბოძა ვერმანოზ ბარათაშვილს და მის შვილებს: ოთარს, პაატას, ბერს და ვარაზას. „გულარეხის მონასტერი სასაფლაოდ დაგვიკვიდრეთ“ და განუახლა სოფელი ცოვრეთის წყალობაც (ესსა ფ. 1450, 14—9). 1660 წელს კი შაჰნავაზმა სოფელ ვერხუნალას წყალობა განუახლა გულარეხის მონასტერს (ხ. ი. Hd 14692).

მას შემდეგ რაც გულარეხის მონასტერი, რომელიც სამეფო მონასტერი იყო, გერმანოზიშვილთა საძვლედ და საკუთარ მონასტრად იქცა, იგი დაუქვემდებარდა მანგლელს, რადგან მის სამწყსოში შედიოდა ტერიტორიულად. 1699 წლის 26 მაისს იოანე ქართლის კათალიკოსმა გაბრიელ მანგლელს უბოძა ალგეთს ვალმა: ვაკე, ღორისთავი, გულარეხი, ციხისთავი, ვარზოვნა (იხ.

32 ხ. ი., Hd 1564.

33 ხ. ი., Ad 2233.

34 ხ. ი. Hd 1554ა.

35 ხ. ი., Hd 14667ა.



ბ. ი. Ad 647). ესენი გუდარების მონასტრის კუთვნილი მამულებია. 1652 წელს კი გუდარების მონასტრის წინამძღვარ დომენტი გერმანოზიშვილის მიერ შემოქმედებული სიგელიდან ჩანს, რომ სოფელი გუდარებიც გუდარების მონასტრის საკუთრება ყოფილა (ბ. ი. Hd 3397). საბუთებიდან ნათლად გამოიკვეთა, თუ როგორ კნინდება თანდათანობით და როგორ აკლდება შემოწირული მამულები გუდარების მონასტრის. ეკონომიური კრიზისებისა და ქვეყნად ღუბუბი-რი მდგომარეობის გამო ჩვეულებრივი მოვლენა იყო შემოწირული მამულების უკან გამოწირვა. ეს პროცესი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნეში. მაგალითად, გუდარების მონასტრის კუთვნილი სოფელი ვერხენალა რაღაც დამსახურების გამო როსტომ მეფემ მისცა დონდარა მესტუმრეს ჯილდოდ, 1662 წელს კი შაჰნავაზმა გამოართვა დონდარა მესტუმრეს და ისევ გერმანოზიშვილებს დაუბრუნა³⁶. XVII ს-ის მიწურულს კი პაპუნა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზიშვილებს დაეაქვთ პაპუნას ახობებზე ვერხენალაში (ბ. ი. Sd 577). გუდარების მონასტრის კუთვნილი სოფელი ღორისთავი გამოუწირავთ ისე, რომ დაეა ღორისთაველების სასარგებლოდ გადაწყვეტილა და გუდარების მონასტრის უღიარებია ხელი აღარ მაქვს გამოწირულ მამულთანო (იხ. Hd 692). მართალია, ეკონომიური კრიზისების დროს შეწირული მამულების უკან გამოწირვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ მონასტერი პოზიციას არ თმობდა და დაკარგული მამულების დაბრუნებას დავის გზით ცდილობდა ხოლმე.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოში საკმაოდ ბევრი ფეოდალური საგვარეულო იყო, რომელთაგანაც მრავალრიცხოვნებით სამართლიანად გამოარჩევენ ბარათაშვილების საგვარეულოს. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი საგვარეულო თავისი მრავალრიცხოვანი განშტოებებით. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, როგორც ამას გ. ჯამბურია ამბობს, რომ ეს გვარი „მრავალსათავადოდ დაიშალა“: საყაფლანიშვილოდ, საგერმანოზიშვილოდ, საგოსტაშაბიშვილოდ, სააბაშიშვილოდ და სხვა. ბარათაშვილებისაგან გამოყოფილ ერთ-ერთ ასეთ სათავადოს წარმოდგენდა გერმანოზიშვილთა სათავადო, რომელთაც დასაბამი მიიღეს გერმანოზ ქავთარის ძისაგან.

ვერ დავეთანხმებით გ. ჯამბურიას აზრს, რომლის მიხედვითაც 1537 წლის გაყრის წიგნით „მიხუდა იოთამს გუდარების [მონასტრის] ნახევარი და საუხუცესო“³⁷. „მონასტერი“ გ. ჯამბურიამ აღადგინა. აქ სოფელ გუდარებზეა საუბარი და სწორედ სოფ. გუდარების ნახევარი შეხვდა საუხუცესო წილად იოთამს. თორემ იოთამს „საუხუცესოდ ფიტარეთის თავსაყდრის ნახევარი ზეითი მხარი, გარეთ ორმოცთ ეკლესია ერგო წილში“³⁸. მაშინ გუდარების მონასტერი ისევ სამეფო მონასტერი იყო და ბარათაშვილებს მასზე ხელი არ მოუწვდებოდათ. გერმანოზიშვილთა საკუთრებად მონასტერი XVII საუკუნის I ნახევარში იქცა.

გუდარების მონასტერი რომ გერმანოზიშვილთა საგვარეულო საძვალე იყო, კარგად ჩანს იქ მოპოვებული საფლავის ქვების წარწერებიდან. საფლავის ქვების წარწერები გამოქვეყნებული აქვს მარი ბროსეს³⁹, ვიორგი ჩიტაიას⁴⁰

36 ბ. ი., Sd 621.

37 გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 19.

38 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, 1972, გვ. 20.

39 მ. ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 111—112.

40 გ. ჩიტაია, პიტარეთის და გუდარების საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 111, 1926 წ., გვ. 114—117.

და ექვთიმე თაყაიშვილს⁴¹. „საფლავსა ამას მდებარე ვარ კარაზაშვილი გიორგი“. „ამ საფლავს თარიღი არა აქვს, წერს გ. ჩიტაია, არ ვიცი კანონიერად რა კავშირში იყო გერმანოზიშვილებთან“⁴², ჩვენი აზრით აქ იკითხება არა კარაზაშვილი, არამედ ვარაზაშვილი გიორგი. გიორგი ვარაზა გერმანოზიშვილის ვაჟია. ვარაზას ორი ვაჟი ჰყავდა ლუარსაბი და გიორგი⁴³, რომელთაგანაც უფროსი გიორგი იყო. 1692 წლის 4.VII საბუთში გიორგი ცოცხალია, ხოლო 1693 წლის საბუთში⁴⁴ კი ვარაზას შვილად მხოლოდ ლუარსაბია მოხსენიებული და გიორგი შემდგომ საბუთებში აღარ ჩანს. ალბათ, 1693 წელს ვარაზას უფროსი ვაჟი გიორგი გარდაიცვალა და ამით აიხსნება საბუთებში გიორგის მოუხსენებლობა. მაგალითად, 1696 წ. გაცემულ საბუთში⁴⁵ მხოლოდ ლუარსაბი იხსენიება, 1698 წლის საბუთშიც⁴⁶ მარტო ლუარსაბი ჩანს. ამრიგად, გიორგი ვარაზას შვილის გარდაცვალების თარიღად 1693 წელი შეიძლება მივიღოთ.

შემდეგი საფლავის ქვის წარწერას გ. ჩიტაია ასე კითხულობს: „განსასვენებელს ამას და საფლავსა შინა მდებარე ვარ გერმანოზიშვილი პაატას ასული... ბოქაულთუხუცესმა პაპუნამ და თანამეცხედრემან ჩემმა არაგვის ერისთავის მდივანბეგის უდიშვილის ქალმა ანა ხანუმ ხელგყავით ეს ლოდი პატრონის ჩვენის საქებელად. ქვს ტღგ“⁴⁷ და კითხულობს 1616 წელს. პაატა გერმანოზიშვილი ჩვენთვის ცნობილია საბუთებიდან. პირველად 1638 წლის საბუთში იხსენიება, როგორც შვილი გერმანოზ ბარათაშვილისა⁴⁸. ჯერ მას შვილები არა ჰყავს, 1660 წლის დოკუმენტით კი უკვე ვიცით, რომ ჰყავს შვილები: პაპუნა, გუგუნა, იასე⁴⁹. პაატა მეჭინბეთუხუცესი იყო, ეს ამ საბუთიდანაც და სხვა საბუთიდანაც კარგად ჩანს. რაც შეეხება პაპუნა ბოქაულთუხუცესს იგი პაატას ვაჟი იყო⁵⁰ და თავისი დის საფლავის ქვა გაუქვებია. ჩვენი აზრით აქ ქრონიკონი არის არა ტღგ, არამედ ტღგ. ე. ი. 1645 წელი. ამ დროს შესაძლოა, მართლაც გარდაცვლოდა ასული პაატა გერმანოზიშვილს.

შემდეგ საფლავში დამარხულია: „თინათინ ძე ლიონისა, მეუღლე გერმანოზიშვილი იასესი“⁵¹. გ. ჯამბურის აზრით „ეს იასე უნდა იყოს იგივე იასე ბარათაშვილი, რომელიც 1630 წელს სოფ. ვერხვანალას სწირავს გუდარების მონასტერს (აქ მოხსენიებულია მისი მეუღლე მარეხი, მაგრამ იგი მეორე ცოლი უნდა იყოს)“⁵² წერს მკვლევარი.

იასე ბარათაშვილი, რომელმაც სოფელი ვერხვანლა შესწირა გუდარების მონასტერს, არ არის აქ დამარხული თინათინის მეუღლე და არც გერმანოზიშვილთა სახლის შვილია. სხვათა შორის საბუთი, რომელშიც ამ შეწირულობაზეა ლაპარაკი, არის დედანი Hd 14667ა და საბუთის ბოლოს სხვა ხელით და სხვა (ყავისფერი) მელნით წერია: „დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქრონიკონსა ტიჴ თვესა მარტისა ოთხასა, ამინ“ და აქვს ავთანდილის და იასეს

41 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37—38.

42 გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

43 ლახი, H 13—15, 16—17.

44 ცსსა 1450, 14—5.

45 იქვე, 8—79.

46 იქვე, 16—95.

47 გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

48 ხ. ი., Hd 6261.

49 ხ. ი., Hd 830.

50 ხ. ი., Hd 10 366.

51 გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

52 გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 56—57.

ბელრთვა. ზემოთ ნახსენებ საბუთში მას ჰყავს შვილები: გიორგი, გუგუნა, ავთანდილი, დავითი (იხ. ი. ი. Hd 14667ა). სინამდვილეში კი იასე ბარათაშვილი გოსტაშაბიშვილი 80—90-იანი წლების მოღვაწეა. მაგალითად, 1679 წლის 11 თებერვლის საბუთში⁵³ იხსენიება მისი შვილები: გუგუნა, ავთანდილი, გიორგი, ზოლო დავითი არ ჩანს.

ქრონიკონის წაკითხვისას „ი“ უნდა ჩავსვათ „ა“ რიცხვითი მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, „ა“ არ წერენ ქრონიკონის გადმოცემისას. იწერება „ნი“, ან „ი“ და უნდა მივცეთ მას მნიშვნელობა „60“. და სწორი იქნება თარიღი 1680 წელი. ამიტომ იყო, რომ 1679 წლის საბუთში (ხ. ი. Hd 8802) მისი ბოლო ვაჟი დავითი არ ჩანდა. ეტყობა ის იასეს და მის მეუღლეს მარგს 1680 წელს შესძენიათ.

რაც შეეხება იასე გერმანოზიშვილს, რომლის მეუღლეც თინათინი იყო, 1669 წლიდან იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში, როგორც ძე პაატა გერმანოზიშვილისა (იხ. ი. ი. Hd 1880). მას ჰყავდა ორი ვაჟი, ოთარი და გერმანოზი (იხ. ხ. ი. Hd 8810). მამასადამე, ნათელია, რომ სოფელ ვერხენელას შემწირავი იასე ბარათაშვილი არ არის იასე გერმანოზიშვილი, ის იასე გოსტაშაბიშვილია.

შემდეგი საფლავის ქვა კი დათუნა გერმანოზიშვილის მეუღლეს თამარს ეკუთვნის.

„მოიხსენიე უფალო მონა მლთისა საამის... ქალი და დათუნას ცოლი თამარ“⁵⁴.

ეს დათუნა გუგუნა გერმანოზიშვილის ვაჟია და XVII ს-ის 90-იანი წლებიდან ჩნდება ისტორიულ დოკუმენტებში (იხ. საქ. სიძვ. I, № 426, 1450 53—212, Hd 2885). და ეს საფლავის ქვაც XVII ს-ის მიწურულისა და XVIII ს-ის პირველი მეოთხედით დათარიღდება.

მარი ბროსეს გამოქვეყნებული აქვს გუდარეხის მონასტრის წინამძღვრის დომენტი [გერმანოზიშვილის] (აღდგენა ჩვენია — გ. მ.) საფლავის ქვის წარწერა: „ქ. მოიქსენე: უფალო: ამა: მონასტრის: მეორეთ გამკეთებელი: წინ. მძღო: დომენტი: ამნ ოფ“⁵⁵. დომენტი წინამძღვარი, რომელმაც მეორედ შეაკეთა მონასტერი, ჩვენთვის ცნობილია ისტორიული დოკუმენტების წყალობით. მაგალითად, წინამძღვარ დომენტი გერმანოზიშვილს ავთანდილ უსუბეგისშვილმა 1692 წლის 7 მაისს ტბისში ერთი არეკალი ვენახი მიჰყიდა⁵⁶. შემდეგ კი ეს ვენახი პაპუნა გოსტაშაბიშვილს მიჰყიდა დომენტი წინამძღვარმა (იხ. ხ. ი. Hd 1707ბ). მანვე მისცა გუდარეხელ თამაზა ლეკიშვილს კალოს პურის ამოკვეთის წიგნი (ხ. ი. Hd 3397). იგი ძმა პაპუნა და გუგუნა გერმანოზიშვილებისა (ცსსა 1450, 53—212; ლახი H 13—15, 16—17) და ბიძა დათუნა, პაატა, ოთარ, გერმანოზ გერმანოზიშვილებისა (იხ. ხ. ი. Hd 2825).

იგი, ალბათ, XVIII ს-ის 20-იან წლებში გარდაიცვალა, რადგან მისი საბუთები XVIII ს-ის 10-იანი წლებიდან წყდება.

მარი ბროსემ გამოსცა აგრეთვე მეჯინბეთუხუცეს ომან გერმანოზიშვილის საფლავის ქვის წარწერა:

„განსასვენებელსა ამას და საფლავსა შინა მდებარე ვარ მე გერმანოზის-შვილი, მეჯინბეთუხუცესი ომან, ყაენის მუსიბი, შვიდასის თვის, მიმრთმე

53 ხ. ი., Hd 8802.

54 ვ. ჩიტიია, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

55 მ. ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

56 ხ. ი., Hd 1707ა.

ყაზანგაბათისა... ესაუღლდრთ პატრონი ომან. ანდრის ოცდაათვერ შებმელი.
ვინცა მობძანდე შენდბანიო ბძანეთ. ქ. სამას ჟდ“ (1706 წ.)⁵⁷.

გაქრეწული
გვიგონიშება

ამავე წარწერას განსხვავებულად კითხულობს ე. თაყაიშვილი.

1. ქ. განსა: სვე(ნ)ებელსა ამას და საფ(ლა)ვსა შინ(ა) მდებარე ვარ ჰე გერმანოზ(ი).

2. სშვილი მეჭინიბეთუხუცე(სი) ომან ყაენის მუსიბი შვ(ი)დასის თ(ა)ვის

3. მიმრთმევე(ი) ყაზბაგათისა... ასსაუღლად პატრონი ომან (ყ)

4. ანდრის ოცდაათვერ შებმული ვინცა მობძ(ა)ნდე(თ) შენდობანი ბძანეთ ქკსა ამ(ა)ს ჟდ⁵⁸ (1716 წ.).

ე. თაყაიშვილს უნახავს პორფირე ბარათშვილის ოჯახში ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა:

1. ქ. მე ფდ ცოდვილმან (sic!) გერმანოზის: შვილმა: ომან შემოგწირე: შენ:

2. მღთის: მშობელსა: ხატი ესე: დედ

3. ი ჩემის: საოხად: ქკს: ჟ: ⁵⁹.

რაც შეეხება ომან გერმანოზიშვილის გარდაცვალების თარიღს უფრო XVIII საუკუნის 50-იან წლებში გვგონია საგულგებელი.

პირველად ომანი 1698 წლის საბუთში იხსენიება როგორც ძე გუგუნა გერმანოზიშვილისა (ცსა 1450 53—212), მაგრამ იგი პაატა გერმანოზიშვილის ვაჟია, ძის ძეა გუგუნა გერმანოზიშვილისა. მაგალითად 1729 წელს პაატა გერმანოზიშვილს და მის ვაჟებს ომანს და ქაიხოსროს მანუჩარ ციციშვილისათვის თაფანს ერთი თავი საკომლო მიუყიდიათ⁶⁰. ასევე იხსენიება ომანი 1737 წლის საბუთში⁶¹. 1745 წელს კი ძმებს ქაიხოსრო და ომან გერმანოზიშვილებს თავისი ბიძაშვილების გუგუნა და პაპუნა გერმანოზიშვილებისათვის მამული მიუყიდიათ⁶² და სხვა. ისე კი ეგების ომან ბოქაულოთუხუცესი მართლაც გუგუნა გერმანოზიშვილის ვაჟია, რომელიც 1716 წელს გარდაიცვალა და პაატას ვაჟი ომანი კი ბიძამისის სახელს ატარებს. ან გარდაცვალების თარიღია მცდარი და იქ XVIII ს-ის 50-იანი წლები უნდა ეწეროს.

ექვთიმე თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს კიდევ ერთი საფლავის ქვის ეპიტაფია:

„ქ. საფლავსა ამას მდებარე ვარ გვამი გერმანოზისშვილის იასეს ქალი დარეჯან, ამინ“⁶³.

ეს საფლავის ქვა, ალბათ, XVII ს-ის მიწურულით დათარიღდება. იგი იასე მოურავის⁶⁴ ასული იყო, ალბათ.

მაშასადამე, გუდარეხის მონასტერში დამარხული ჩვენთვის ცნობილი საგერმანოზიშვილოს ფეოდალური სახლის შვილები XVII ს-ის მეორე ნახევრის და XVIII ს-ის I ნახევრის მოღვაწენი ჩანან.

ვერ დავეთანხმებით გ. ჯამბურთას აზრს, რომლის მიხედვითაც: „რაიმე დიდი თანამდებობა გერმანოზიანთ სახლს არ ჰქონია“⁶⁵.

57 მ. ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 112—113.

58 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 37—38.

59 იქვე, გვ. 39.

60 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 352.

61 იქვე, გვ. 390.

62 ხ. ი., Qd 9037.

63 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

64 ხ. ი., Hd 14 306.

65 გ. ჯ ა მ ბ უ რ თ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

დიპლომატიკური მასალის გაცნობის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ XVII ს-ის II ნახევარსა და XVIII ს-ის I ნახევარში გერმანოზიანთ საეპისკოპოსოს დო სახლის წევრებს საკმაოდ მსხვილი თანამდებობანი ეკირათ სამეფო ეპარქიაზე. მაგალითად:

ოთარ გერმანოზიშვილი ბოქაულთუხუცესი იყო (ცსსა ფ. 1450, 14—8); მისი ძმა პაატა მეჯინბეთუხუცესის სახელოს ფლობდა (ხ. ი. Sd—794, Hd—14664, Hd—830); ასევე მეჯინბეთუხუცესის სახელოს ატარებდა პაატას შემდეგ მისი ძმა ვარაზა (ხ. ი. Hd—8809); მათი ძმა არსენი მანგლელი ეპისკოპოსი იყო (Ad—624, 1449—1825); პაატა მეჯინბეთუხუცესის უფროსი ვაჟი იასე ახალქალაქის, ტამალის და ყოშაგერის მოურავი იყო (ხ. ი. Hd—14306); პაატას მეორე ვაჟი გუგუნა მეჯინბეთუხუცესი იყო (ცსსა 1450 10—185; 1450 53—212); მისი მესამე ვაჟი პაპუნა — ბოქაულთუხუცესი (ხ. ი. Hd—10366); მისი უმცროსი ვაჟი დომენტი კი — გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი (ხ. ი. Hd—1707ა); იასე მოურავის ვაჟი ოთარი მამის სახელოს ფლობდა (ხ. ი. Hd—13349); ომანი მეჯინბეთუხუცესი იყო, ხოლო თამაზ გერმანოზიშვილი მილახრობაში (ხ. ი. Hd—6602); გოგია გერმანოზიშვილი კი მემანდარბაშის სახელოს ფლობდა⁶⁶.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან კი ვითარება შეიცვალა. ისე როგორც მთელი ქართლი, საბარათიანოც გაოხრდა და აიყარა. საგერმანოზიშვილოც თანდათან დაიშალა და გაპარტახდა. გერმანოზიშვილები ხშირად ყდიან მამულებს. ამას თან დაერთო ლეკების გაუთავებელი თარეში. „მოთარეშე ურდოებმა თითქმის დაასრულეს XVIII ს-ის 50-იან წლებში სომხით-საბარათიანოს საბოლოო განადგურება“⁶⁷. ამ პერიოდში გაოხრდა გუდარეხიც, მტერთა შემოსევის შედეგად დაინგრა და გუდარეხის სამონასტრო სენიორიამ არსებობა შეწყვიტა.

Г. Д. МЧЕДЛИДЗЕ

К ИСТОРИИ ГУДАРЕХСКОГО МОНАСТЫРЯ

Резюме

Гударехский монастырь, находящийся в Квемо Картли (Нижняя Картли) являлся одной из значительных феодальных сеньорий и представлял собой крупный монастырский комплекс.

В грузинской историографии принято мнение, что главный храм монастыря построен царицей Русудан, дочерью царицы Тамар.

Имеющиеся в нашем распоряжении материалы дают основание утверждать, что этот храм построен Русуданой, дочерью царя Деметре в 80-х годах XIII в.

Царь Ростов в первой половине XVII в. пожаловал царский Гударехский монастырь в качестве родовой усыпальницы фамилии Германозишвили.

Монастырские сооружения были разорены во второй половине XVIII века, в результате вражеских нашествий.

⁶⁶ საქართველოს სიძველენი, I, 1899, გვ. 464.

⁶⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 628.

დ. კლდიაშვილი

ხოვლის (ზახსხვის) წარწერები

ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ისტორიის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფეოდალურ საგვარეულოთა სოციალური წრის განსაზღვრას და ნათესაური ურთიერთობების შესწავლას.

XIII—XIV საუკუნეებისათვის სუსტი ცენტრალური ხელისუფლებისა და მონღოლთა ბატონობის პირობებში ჩამოყალიბდა ე. წ. კეთილმოყვრობა-მოდაწერილობის ინსტიტუტი. იგი წარმოადგენდა კეთილმოყვრობისა და კეთილმეზობლობის აქტს — შეყრილობის ინსტიტუტს, რომელიც ითვალისწინებდა: მოყვრობას, უღალატობასა და ურთიერთდამხრებას. იგი, თავისი სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობით და შინაარსით, სათანადო აქტით გაფორმებული იგივე „მოკიდული“ უნდა ყოფილიყო. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, „მოკიდული“ წარმოადგენდა თავისუფალ პირთა (თუ სახლების) გაერთიანებას ამა თუ იმ პირის გარშემო. ქართული ფეოდალიზმის განვითარების ყველა საფეხურზე „მოკიდულის“ ძირითადი შინაარსი (ინტერესთა თანხმობის ნიადაგზე მეტნაკლებად თავისუფალი გაერთიანება) უცვლელი დარჩა¹.

XVI—XVII სს-დან, ამ სახის კეთილმოყვრობის წიგნები ჩვენამდე საკმაო რაოდენობითაა შემონახული, რაც არ ითქმის წინა საუკუნეებზე. კეთილმოყვრობა-მოდაწერილობის შესახებ XIII—XIV სს-დან მხოლოდ ერთმა საბუთმა მოაღწია. ესაა ბექა მანდატურთუხუცესის კეთილმოყვრობის დაწერი-

¹ ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებულისათვის“, საქართველოს ისტორიის სკიოთხები, III, თბ., 1966, გვ. 134.

კეთილმოყვრობა-მოდაწერილობის შესახებ იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: ნ. ბერძენიშვილი, Из истории феодальных отношений в Грузии XV в., საქართველოს ისტორიის სკიოთხები, II, თბ., 1965; ა. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 37, თბ., 1949.

მოდაწერილობას შეეხო ბ. ლომინაძე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე წიგნში. მისი თვალსაზრისით, საერთო მამულის შექმნის პრინციპი უდევს საფუძვლად ამ პერიოდში გავრცელებულ ისეთ მოვლენას, როგორც მოდაწერილობა. მაგ, სამცხის სპასალარის ბექა მანდატურთუხუცესის შვილიშვილი ყვარყვარე და ჯავახიშვილი კახა ერთიანდებიან: „მოყვარე ვყოფილვართ... მოდაწერილენი და გაყურელნი ვიყვნეთ როგორც ძველად ვყოფილვართ“ — ბ. ლომინაძე, მსხვილი მამულის შინაგანი ორგანიზაცია, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 805.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა ამ მოსაზრებას არ უჭერს მხარს. აქვე დავძენთ, რომ ავტორის მიერ სამცხის სპასალარ(?) და მანდატურთუხუცეს ბექას შვილიშვილ ყვარყვარეს დაწერილის დამდებლად მიჩნევა კალმის ლაფსუსი უნდა იყოს.

ჩვენ შევამოწმეთ დაწერილის დედანი და გამოცემა. მიუხედავად დედანის დაზიანებისა, გარკვევით იკითხება საბუთის დამდებთა ვინაობა. იგი დადებულია ბექა მანდატურთუხუცესს, მის ვაჟებს: სამცხის სპასალარ სარგისს, ყვარყვარეს და კახა და გამრეკელ ჯავახიშვილებს შორის — იხ. ხ. ი. Hd 11625; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., II, ტფ., 1909, გვ. 7.

ლი მიცემული კახა თორელ-ჯავახიშვილისათვის. ე. თაყაიშვილი ამ საბუთს 1285—1308 წწ-ით ათარიღებს, ლ. მუსხელიშვილი 1300 წ-ის ახლო ხანებში ჩვენი აზრით, იგი 1305—1308 წწ-შია შედგენილი². ამ დაწერილის მიხედვით ბექა ჯაყელის (1285—1308) ერთ-ერთ ძეს კახა თორელ-ჯავახიშვილის და შეურთავს ცოლად.

ბექა I-ისა და კახა თორელ-ჯავახიშვილის დაწერილის ცნობებს ადასტურებენ ხოვლეს წარწერები, რომლებიც ქართლში, ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიაზე ყოფილა მოთავსებული. წარწერები ამჟამად დაკარგულია. მისი ტექსტები თავის დროზე ლ. მუსხელიშვილისათვის გადაუცია ივ. ჯავახიშვილს. ეს წარწერები ლ. მუსხელიშვილმა 1941 წ. „არქეოლოგიურ ექსკურსიებში“ დაბეჭდა³. წარწერები ერთი ხელით, ხუცური მთავრული დამწერლობით ყოფილა შესრულებული, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი „ჯავახურად“ ახასიათებდა.

ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულ საველე დღიურებში შემონახულია ხოვლეს წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის გრაფიტების ტექსტები⁴. ამ ტექსტების ლ. მუსხელიშვილისეული პუბლიკაცია განსხვავდება ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული გადმონაწერისაგან. ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული ტექსტები უფრო სრულია.

ლ. მუსხელიშვილის მიხედვით (ემყარება ივ. ჯავახიშვილის ცნობას), წარწერები მოთავსებული ყოფილა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩასმული ქვის სამხრეთ და აღმოსავლეთ წახნაგებზე⁵. ივ. ჯავახიშვილის საველე დღიურის მიხედვით ეს წარწერები წმ. თევდორეს ეკლესიის კედლებზე გარშემო ყოფილა მოთავსებული, რომელთა დიდი ნაწილი იმდროისათვის აღარ იკითხებოდა⁶.

ივ. ჯავახიშვილი
აღმ. კედელზე:

1. იშულნ მისცენ ზენრ ლო ყორყრს
2. ქორცკს შნ ღნ ივენს ღნ

ლ. მუსხელიშვილი
ეკლესიის სამხ.-აღმ. კუთხეში, გარედან ჩასმულ ქვის აღმოსავლეთ მხარეზე:

1. იშულნ მისცენ ზენრ ლო ყორყრს
2. ქორცკს შნ ღნ ივენს ღნ

² სიქართველოს სიძველენი, II, გვ. 7; ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 72; ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი, „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 47; დ. კლდიაშვილი, ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (XI—XIV სს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1981, გვ. 94—95.

³ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.

⁴ ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი № 633.

⁵ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.

⁶ ი. გომელაურის შენიშვნით, აქ, როგორც ჩანს, კარიბჭის SO კუთხე უნდა იგულისხმებოდეს. აღნიშნული ქვა ჩასმული უნდა ყოფილიყო კარიბჭის და არა თვით ეკლესიის O კუთხეში, ვინაიდან კარიბჭე ეკლესიას მთელ სიგრძეზე ჰქონდა მიშენებული და ეკლესიისა და კარიბჭის კედლები ერთ სიბრტყეს ქმნიდა. ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნებოდა წარწერიანი ქვის სამხრეთი წახნაგის დანახვა (ი. გომელაური, ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ხოვლეში, ძეგლის მეგობარი, № 3, თბ., 1964, გვ. 73).

⁶ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 633.



3. მველთ ამრსპრლთ და ჳყელთ

4. პტრონს თამარ აღლევრძლე ღო

5. ჩემნი ცდენ მოყრნ ესე მამო-
ლი გო ||

6. თავე და მტერნი დსცნ თმრის-
ნი |||||

სამხ. კედელზე:

1. მადლელ[მ]ოლზონს ავგრზს |||||

2. ||| შნ ღნ

3. ||| ოლსა კ¹ლ¹შესნ²ბოლის
მაროშიანისა |

|||| შნ ღნ |||||

4. |||| ნებლსა როდნასა შნ ღნ
ბასილს შნ ღნ ქობოლსძესა|||

მეორე ქვაზე:

1. ¹პტრონსა ამირსპრლს აღ-
¹ბლს¹

2. გ|მარჯოს ნამარვლ მი

3. || ღნ ჩემნ ცდენი მყნყრნი ყმ

4. ||| || შნ ღნ სრგის შნ ღნ ბე-
ქას შნ ღნ

5. შლვს შნ ღნ შვლნ ყოველ ჩა

6. ძოლთ ახლთ შნ ღნ

აღმოსავლეთ კედელზე:⁷

1. იშვე(ე)ლ(ენ) (უშველენ?), მისცენ ზენ(აა)რ(ი) ღ(მერთ)ო ყუ(არ)-
ყ(უარ)ეს — ე. ი. უშველე და დაუმკვიდრე სსსუფვეელი ყვარ-
ყვარეს⁸.

2. ქურც(ი)კს შ(ეუნდვენ) ღ(მერთ)მან, ივ(ა)ნეს [შეუნდვენ] ღ(მერ-
თ)მან.

3. მ(ო)მ(ა)ე(ა)ლთ ამ(ი)რსპ(ა)ს(ა)რ(ა)ლთ და ჳ(ა)ყელთ.

4. პ(ა)ტრონს (sic) თამარ აღლევრძ(ე)ლე ღ(მერთ)ო.

5. ჩემნი ც(ო)დვ(ან)ი(ი) მო(უ)ყ(არ)ენ(ი), ესე მამული გ(ა)უ-

6. თავე და მტერნი დ(ა)სც(ენ) თ(ა)მ(ა)რისნი |||||

7 ქარაგმების გახსნისას ვხმარობთ მრგვალ კაეებს (), აღდგენისას — კუთხურ კა-
ეებს [], ზედმეტი ასოების აღნიშვნისას — ტეხილ კაეებს { }.

8 ლ. მუსხელიშვილი, ტექსტს შემდგენაირად ხსნის: „შვილნი (იშვილენ?) მის-
ცენ, ზენარ(ი) ღმერთო, ყოყორეს“.

1. მ<ა>დღელმოლ(ა)ზონს ავე(ა)რ(ო)ზს ||||
2. ||| შეუნდვენ ღ(მერთმან
3. ||| [ს]ულსა კ(უ)ალ[აღ] შეს(უ)ენ(ე)ბულის მარუშოანისა ||||
შეუნდვენ ღ(მერთმან) ||||
4. ||| [შესუ]ენებ(უ)ლსა როდ(ან)<ა>სა შეუნდვენ ღ(მერთმან).
ბასილს შეუნდვენ ღ(მერთმან). ქობულ(ი)სძესა [შ(ეუნდვენ)
ღ(მერთმან)].

მეორე ქვაზე:

1. პ(ა)ტრონსა ამ(ი)რსპ(ა)ს(ა)რ(ა)ლს აღბ(უ)ღ(ა)ს
2. გ[აუ]მარჯოს ნამ<ა>რ(ა)ვლ(ი) მ(ი)სი
3. ||| ღ(მერთმან) ზემნ(ი) ც(ო)დვ(ანი) მ[ოუ]ყ(არ)ენი ყველაჲ
4. |||| შეუნდვენ ღ(მერთმან). ს(ა)რგ(ი)ს შეუნდვენ
ღ(მერთმან). ბექას შეუნდვენ ღ(მერთმან).
5. შ(ა)ლვ(ას) შეუნდვენ ღ(მერთმან). შვ(ი)ლნ(ი) ყოველ[თა]
ჩ(უ)ენთა
6. ძუ(ე)ლთ, ახ(ა)ლთ შეუნდვენ ღ(მერთმან).

ვინ არიან ხოვლეს წარწერებში მოხსენიებული ყვარყვარე, პატრონი თამარი, პატრონი ამირსპასალარი აღბულა, სარგისი, ბექა, შალვა? თვით წარწერაში პირდაპირაა აღნიშნული მათ შესახებ: „მომავალთ ამირსპასალართ და ჯაყელთ“. ამრიგად, ისინი ჯაყელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები არიან. ქართლში, ხოვლეში ჯაყელთა წარმომადგენლების წარწერები თორელ-ჯავახიშვილთა და ჯაყელთა კეთილმოყვრობის გამო უნდა გაჩენილიყო. თორელები მამულებს ქართლში ჯერ კიდევ XIII ს-დან იღებენ. XIV ს-დან თორელები და თმოგველები, ჯაყელთა ეს ორი ძლიერი მეტოქე ფეოდალური სახლი მესხეთში, ტოვებენ თავიანთ ძველ სამფლობელოებს თორში, თმოგვეში, ჯავახეთში და მკვიდრდებიან შიდა ქართლში. ნ. შოშიაშვილის აზრით: „ეს იყო ლოგიკური შედეგი ჯაყელთა ძლიერებისა ზრდისა და მათ მიერ თორელთა და თმოგველთა სამფლობელოების მითვისებისათვის ბრძოლისა“¹⁰. ამ შემთხვევაში ჯაყელებს ქართლში მამულები თორელებისაგან ნამზითვად უნდა მიეღოთ¹¹.

რაც შეეხება ხოვლეს წარწერების დათარიღებას, ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, წარწერები ერთი და იგივე ხელით ყოფილა შესრულებული და ერთ პერიოდს განეკუთვნება. ხოვლეს წარწერებს მასში მოხსენიებული პირების მიხედვით XIV ს-ის დამდეგით ათარიღებენ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხოვლეს წარწერების აღბულა რკონის სიგელში (1259 წ.) მოხსენიებულია ხოვლეს „მემამულედ“; ბექა, სარგის და ყვარყვარე ჯაყელები კი გვხვდებიან

⁹ ლ. მუსხელიშვილის გამოცემით: „ოლასა“, ხოლო ტექსტი ვახსნილია „[აღ]ულასა, რაც ივ. ჯავახიშვილის გადმონაწერით არ დასტურდება.

¹⁰ ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 55—56.

¹¹ ანალოგიური ცნობები სხვა მოგვეპოვება. ასე მაგალითად, 1348 წელს ანდრონიკე მეფემ წითლოსან ქვენიფნეველს ქართლში უბოძა სოფლები: კარბა და გარეჯარ ბაქურის უბანი, რომლებიც წითლოსანს თავისი ცოლის ძმის მუხუსქე სალარესაგან მიეღო ანდრონიკით, ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1965, გვ. 98—99.

1285—1308 წლების კახა თორელ-ჯავახიშვილისა და ბექა ჯაყელის კეთილ-მოყვრობის წიგნში¹².

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომ ხოვლეს წარწერები XIV ს-ის დასაწყისშია საწყისშია შესრულებული, გაზიარებულია ლ. მუსხელიშვილისა და ი. გომელაურის მიერ¹³. ი. გომელაური, რომელმაც არქიტექტურული თვალსაზრისით შეისწავლა ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესია, აღნიშნავს: „როგორც ჩანს, მომწიფებული შუა საუკუნეების გვიანდელ ეტაპზე, სახელდობრ XIII ს. მეორე ნახევარში, XIV ს. დასაწყისში ხოვლეში მდგომ ადრინდელი ეკლესიისათვის (შესაძლოა ძველი დანგრეული კარიბჭის მაგივრად) წარწერებში მოხსენიებულ ჯაყელებს ან მარუშიანთ, მიუშენებიათ ჩუქურთმებით შემკული თლილი ქვით მოპირკეთებული კარიბჭე, ხოლო თვით ეკლესიისათვის მდიდრულად მორთული კანკელი გაუკეთებიათ“¹⁴.

აღსანიშნავია, რომ ხოვლეს წარწერებში ჯაყელთა წარმომადგენლებიდან მხოლოდ აღბულა ამირსპასალარი იხსენიება ცოცხლად. შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით დამწერი გამარჯვებას ითხოვს აღბულასათვის და წარწერებიც მისი მთავრობის დროს უნდა იყოს შესრულებული: „პ(ა)ტრონსა ამ(ი)რსპ(ა)ს(ა)რ(ა)ლს აღბ(უ)ლ(ა)ს გ[აუ]მარჯოს ნამ<ა>რ(ა)ვლ(ი) მისი ღმერთთან, ჩემნ(ი) ც(ო)ლვ(ა)ნი მ[ოუ]ყარენი ყ(ველ)ამ. საფიქრებელია, რომ აღბულა ამირსპასალარი, რომელიც წარწერაში „პატრონად“ იწოდება, არის აღბულა I ყვარყვარეს ძე (XIV ს. 60—80-იანი წლები) და არა რკონის დაწერილის აღბულა (როგორც ამას ფიქრობდა ივ. ჯავახიშვილი), რომელიც ვაგელთა საგვარეულოს წარმომადგენელი და XIII ს-ის შუახანების მოღვაწეა. ამდენად, ხოვლეს წარწერები აღბულა ამირსპასალარის მიხედვით, XIV ს. 60—80-იან წლებშია შესრულებული.

ხოვლეს წარწერები რომ სწორედ XIV ს-ის 60—80-იან წლებს ეკუთვნის, ამაზე მიგვანიშნებენ მასში მოხსენიებული პირები, რომლებიც XIV ს-ის მოღვაწენი იყვნენ.

საფიქრებელია, რომ ხოვლეს წარწერაში მოხსენიებული ყვარყვარე არის ყვარყვარე II (1334—1361), ბექა I-ის (XIII ს. 80-იანი წლები — 1308) ძე და აღბულა ამირსპასალარის (XIV ს. 60—80-იანი წლები) მამა. ამაზე თვით წარწერაც მიგვანიშნებს: „მომავალთ ამირსპასალართ და ჯაყელთ“. როგორც ცნობილია, ბექა I-ის შვილებიდან სწორედ ყვარყვარეს ეჭირა ამირსპასალარის სახელი¹⁵. იგი წარწერაში „პატრონად“ არ იწოდება და ამიტომ გარდაცვლილად არის საგულისხმებელი.

ხოვლეს ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში, აღბულა ამირსპასალარის წარწერის შემდგომ, მოთავსებული ყოფილა ჯაყელების — სარგისის, ბექას და შალვას მოსახსენებლები. „შგ(ი)ლნ(ი) ყოველ[თა] ჩ(უ)ენთა ძუ(ე)ლთ, ახ(ა)ლთ შე(უ)ნდვენ ღმერთთან“¹⁶, აღნიშნავს დამწერი მათ შესახებ. აქ მოხსენიებული სარგისი და შალვა უნდა იყვნენ ბექა I-ის (XIII ს. 80-იანი წლები — 1308) ვაჟები: სარგის II (†1334) და შალვა. შესაძლებელია ბექა შალვას ვაჟია, რომელიც ადრევე გარდაცვლილა¹⁶.

12 ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 633.

13 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73; ი. გომელაური, ხერობ-მომდრეული ძეგლი სოფელ ხოვლეში, ძეგლის მეგობარი, № 3, თბ., 1964, გვ. 73.

14 იქვე, გვ. 74.

15 ლ. კლდიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78—79.

16 ბექა უნდა იგულისხმებოდეს ვანის სახარების ერთ-ერთ მინაწერში, სახარება შეუწერეს ნათია-ყოფილ ნინოს, თავისი მეუღლის — შალვა არტანუჯელის შვილის — ბექას სააღა-

ხოვლეს წარწერებში ყურადღებას იპყრობს პატრონი თამარის პიროვნება. ისევე როგორც აღბუღა ამირსპასალარისათვის, წარწერაში დამწერის ხოვს პატრონი თამარის დღეგრძელობას, მისთვის მამულის დამტკიცებას და მტრების დამარცხებას: „პ(ა)ტრონს (sic) თამარ აღდგერძ(ე)ლუე, ლ(მერთ)ო, ჩემნი ც(ო)დგ(ა)ნ(ი) მოუყარენ(ი), ესე მამული გ(ა)უთავე და მტერნი ლ(ა)ს-ც(ენ) თ(ა)მ(ა)რის(ა)ნი“. წარწერის მიხედვით, პატრონი თამარი ჯაყელთა სახლის წევრი და ადგილობრივი მემამულეა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბექა მანდატურთუხუცესისა და კახა თორელ-ჯავახიშვილის დაწერილით (1305—1308), ბექა I-ის ერთ-ერთ ვაჟს ცოლად შეურთავეს კახა თორელ-ჯავახიშვილის და. საფიქრებელია, რომ ხოვლეს წარწერებში მოხსენიებული თამარი არის კახა თორელ-ჯავახიშვილის და. ამრიგად, ხოვლეს ეკლესიის წარწერების მიხედვით კახა თორელ-ჯავახიშვილის დას თამარი უნდა რქმეოდა სახელად. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აღის მონასტრის აღაპები, საიდანაც შეიძლება გავარკვიოთ ბექა I-ის რომელი ვაჟის მეუღლე იყო თამარი. საყურადღებოა აქ გაჩენილი ერთი აღაპი, რომელიც შაშიას დედის თამარისთვისაა გაჩენილი: 22.XII „ამ(ა)ს დღესა აღაპი თამარისი შაშიას დედისაა“¹⁷. გამორიცხული არაა, რომ აღაპში მოხსენიებული შაშია არის ბექა I-ის შვილიშვილი და სარგის II-ის ძე — შაშია არტანუჯელი, ე. ი. სარგის II-ის მეუღლეს თამარი რქმევია სახელად¹⁸. ამდენად, კახა თორელ-ჯავახიშვილის და თამარი იყო ბექა I-ის უფროსი ვაჟის, სარგის II-ის მეუღლე. ვფიქრობთ, რომ ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ხოვლეს წარწერებში ასევე საყურადღებოა ვინმე ქურციკის მოხსენიება. იგი წარწერებში ყვარყვარეს შემდგომ იხსენიება. სავარაუდოა, რომ ქურციკი ჯაყელთა სახლთან დაახლოებული პირია. ქურციკი გვხვდება ზარზმის ფრესკულ წარწერებში. ზარზმის ტაძარში ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთში გამოსახულია ოთხი პირი. აქედან წარწერა მხოლოდ ორს აქვს შემორჩენილი „ქორციკ“ და „არ(ა)ბაჲ“. ვ. ბერიძის აზრით, ტაძრის მონაკვეთი, სადაც მათი ფრესკებიც მოთავსებული მშენებელთა ახლობლებს ეთმობოდა, რომელთაც შეიძლება რაიმე წილი ჰქონდათ ტაძრის აგებაში¹⁹. ეს ფრესკები აქვე გამოსახული სამცხის ათაბაგების: სარგის I-ის, ბექა I-ის, სარგის II-ის და ყვარყვარეს ფრესკების თანამედროვეა. გამორიცხული არაა, რომ ხოვლეს წარწერების და ზარზმის ტაძარში გამოსახული ქურციკი ერთი და იგივე პირია.

ამრიგად, ხოვლეს წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის წარწერებში იხსენიებიან ჯაყელთა სავარაუდო წარმომადგენლები: სარგის II, ყვარყვარე I, შალვა და აღბუღა I. ქართლში, ხოვლეში ჯაყელებს მამულები თორელ-ჯავახიშვილებისაგან ნამშობივად უნდა მიეღოთ, რაც თორელ-ჯავახიშვილთა და ჯაყელთა კეთილმოყვრობის დამამტკიცებელია. ხოვლეს ეკლესიის წარწერები, მასში მოხსენიებული აღბუღა ამირსპასალარის მიხედვით, XIV ს-ის 60—80-იან წლებშია შესრულებული.

ბედ — საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, შეადგინა ქრ. შარაშიძე მ, თბ., 1954, გვ. 406; დ. კლდიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—151.

17 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XII—XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, თბ., 1982, გვ. 59.


18 ქრ. შარაშიძე ფიქრობდა, რომ შაშია არტანელის დედა, თამარი, ბოცოსძეთა სახლიდან გათხოვილი ქალი იყო — სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.), გვ. 21—22.

19 ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები, თბ., 1954.

ბეკა I

XIII ს. 80-იანი წლები-1308

მანდატურთუხუცესი



(ჯაყელთა გენეალოგიური სქემა შედგენილია წერილში მოხსენიებული პირების მიხედვით)

Д. К. КЛДИАШВИЛИ

ГРАФФИТИ ХОВЛЕЙСКОЙ ЦЕРКВИ

Резюме

Эпиграфические надписи церкви Св. Тевдоре из села Ховле (Картли) дошли до нас только в записях И. Джавахишвили (Институт рукописей им. К. Кекелидзе АН ГССР, архив И. Джавахишвили, № 633). В этих надписях упоминаются представители рода Джакели: Кваркваре, атабаг-амирспасалар Агбуга, Бека, Саргис и Шалва. Можно предположить, что картлийские имена Джакели получили в приданное от Торел-Джавахишвили.

Ховлейские граффити датируются началом XIV века (И. Джавахишвили, Л. Мухелишвили, И. Гомелаури). Основываясь на том, что в надписях Ховлейской церкви упомянут амирспасалар Агбуга (1361—1391) дата этих надписей переносится нами к 60—80-ым годам XIV века.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის პირადი ფონდების მასალები

ბ. ოთხგეგზური

ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული ძველთა ეპიგრაფიკული ძეგლები

ე. თაყაიშვილის პირად არქივში დაცულია 158 ქართული ეპიგრაფიკული ძეგლის ტექსტი. აქედან ლაპიდარულია 109, ჭედური — 26 და ფრესკული — 23. ნაწილი ამ ძეგლებისა მის მიერვე გამოცემული, ნაწილი შესწავლილია სხვა მკვლევარების მიერ, ხოლო ნაწილი საერთოდ უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

არქივში დაცული და მისივე გამოცემული წარწერებიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერები:

1. მოსახსენებელი სტეფანოზ ქართლის პატრიარქისა
2. მოსახსენებელი თემესტიასი
3. მოსახსენებელი ქობულ-სტეფანოსისა
4. მოსახსენებელი დემეტრე უპატოსისა
5. მოსახსენებელი ადარნარსე უპატოსისა¹.

ამ წარწერების პუბლიკაცია ე. თაყაიშვილმა განახორციელა 1914 წელს გაზ. „სახალხო ფურცელში“, სადაც, ისევე როგორც არქივში, წარწერებს ათარიღებს 633—663 წწ-ით, სტეფანოზ II-ის ერისმთავრობის წლებით. ეს წარწერები მრავალჯერ იქნა შესწავლილი მ. ბროსეს, ა. ნატროვის, თ. ჟორდანიას, გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, ა. შანიძის, ი. აბულაძის და სხვათა მიერ. მკვლევართა უმრავლესობა ამ წარწერებს VI—VII სს-ის მიჯნით ათარიღებს. ბოლო პუბლიკაცია ამ წარწერებისა ეკუთვნის ნ. შოშიაშვილს². ამას მოყვება ფოცხოვის ხეობის სოფლების: ხუნამისის³, ყალა-ბონისა⁴, ალისა⁵ და ყველის⁶ წარწერები. დღეს ეს სოფლები თურქეთის ტერიტორიაზეა, ხოლო წარწერიანი ქვები ინახება სსმ-ში. ეს წარწერები ე. თაყაიშვილმა გამოსცა თავის ნაშრომში АЭРЗ, III (გვ. 3—7) და ИКОИМАО II (გვ. 65—95).

არქივში დაცული ხუნამისის წარწერის ტექსტი განსხვავდება მისივე გამოცემებისაგან. არქივის ტექსტში წარწერის თარიღი არ არის წაკითხული, გამოცემებში კი ე. თაყაიშვილი კითხულობს თარიღს: „ქრონიკონი ჰგ“, რის საფუძველზეც წარწერას 863 წლით ათარიღებს. ასევე ათარიღებს ამ წარწე-

1 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი №№ 559, 2259.

2 ლაპიდარული წარწერები, I, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, №№ 68—72. ამ წარწერების ლათარიღება წინა გამოცემებში და პუბლიკაციები ახ. აქვე.

3 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 573, გვ. 2რ.

4 იქვე, № 569, გვ. 1რ, № 573, გვ. 1რ, 2ვ.

5 იქვე, № 573.

6 იქვე.



რას მ. ჯანაშვილი⁷. სხვა მკვლევარების აზრით წარწერის თარიღია რიგ — 895 წ.⁸.

თარიღიანია აგრეთვე ყალა-ბონის წარწერა — ქრონიკონი სიგ—993 წ. თარიღს სწორად კითხულობენ ე. თაყაიშვილი, ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე⁹ და ნ. შოშიაშვილი¹⁰. მ. ჯანაშვილი შეცდომით კითხულობს „სგ“-ს და წარწერას 983 წლით ათარიღებს¹¹, ხოლო ა. ხახანაშვილი თარიღს საერთოდ ვერ კითხულობს და მასზე დაყრდნობით პ. უვაროვა წარწერას ბაგრატ IV-ის მეფობის ხანით — 1027—1072 წწ-ით ათარიღებს¹².

ყველისა და ალის წარწერებს მასში მოხსენიებული პირებისა და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მკვლევრები ათარიღებენ შესაბამისად IX—X სს-ით¹³ და XI სს-ით¹⁴.

არქივში ინახება აგრეთვე ბაგრატ მეფისა და გურანდუხტ დედოფლის წარწერის ფოტო¹⁵. წარწერა ე. თაყაიშვილს გამოცემული აქვს АЭРЗ-ის IV ტომში (გვ. 9—11), სადაც წარწერას ათარიღებს ბაგრატ IV-ის მეფობის წლებით — 1027—1072 წწ. წარწერის სხვა გამოცემლებს წარწერაში მოხსენიებული ბაგრატი ბაგრატ III-დ მიაჩნიათ¹⁶. ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მისაღებია, რადგანაც, როგორც ცნობილია, ბაგრატ III-ის დედა იყო გურანდუხტ დედაოფალი. წარწერიანი ქვა ჩამოტანილია თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ახალსოფლიდან. ამჟამად ინახება სსმ-ში № 30 (186).

არქივში დაცულია ორი წარწერის ტექსტი კალმახიდან. ეს წარწერები ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა კოლაოლთისში და ჩანგლში 1907 წ.“ (პარიზი, 1938 წ., გვ. 58). არქივში გადმოწერილი ტექსტები და პუბლიკაცია აბსოლუტურად იდენტურია. ერთი მათგანი თარიღიანია: ქრონიკონი ფკვ—1306 წ. (780+526). ე. თაყაიშვილის აზრით, მასში მოხსენიებულია დიმიტრი III-ის ასული რუსუდანი, რომელიც ცოლად გაჰყვა ბულა დიდს¹⁷ (აქ შესაძლოა მექანიკური შეცდომაა. დიმიტრი III საქ. ისტორიაში არაა ცნობილი. დემეტრე II-ს კი ყავდა ქალიშვილი რუსუდანი და წარწერის თარიღიც ამას უკერს მხარს). მეორე წარწერა ფრაგმენტულია¹⁸. პირველი წარწერა გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე თ. ბარნაველს¹⁹, ოღონდ მისი წაკითხვა ბევრად უფრო არასრულია. იგი ვერ კითხულობს, მაგალითად, წარწერის ბოლო — მეოთხე სტრიქონს, სადაც თარიღია მოცემული.

⁷ М. Джанашвили, Каталог предметов церковного музея, 1914, № 5, с. 61.
⁸ ა. შანიძე, ხუნამისის წარწერის განმარტებისათვის, საქ. მეცნ. აკად. მ-ზე, VII, № 4, 1946, გვ. 217; კატალოგი, № 15, გვ. 18—19; ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., 83, 108.
⁹ კატალოგი № 14, გვ. 16—17.
¹⁰ ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 267—269.
¹¹ М. Джанашвили, დასახ. ნაშრ., № 10, გვ. 62.
¹² П. С. Уварова, Христианские памятники, МАК, IV, 1894, с. 94—96.
¹³ Е. С. Такайшвили, АЭРЗ, III, с. 6, ИКОИМАО, II, გვ. 68; კატალოგი № 13, 83, 15—16; ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134—126.
¹⁴ Е. С. Такайшвили, АЭРЗ, III, с. 3, ИКОИМАО II, გვ. 65; კატალოგი, № 17, 83, 20.
¹⁵ ხ. ი. ე. თაყაიშვილის არქივი, № 571.
¹⁶ კატალოგი, № 30, ტაბ. VIII, 2, გვ. 27—28; ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., № 143.
¹⁷ ხ. ი. ე. თაყაიშვილის არქივი, № 577.
¹⁸ იქვე.
¹⁹ თ. ბარნაველი, რამდენიმე წარწერა სამხრეთ საქართველოს ისტორიული პროვინციებიდან, მაცნე, ისტორიის სერია, № 4, 1970, გვ. 156—157.



არქივში დაცულია აგრეთვე ე. თაყაიშვილის ნაშრომის — „სომხეთის ორბელოს ძეგლების წარწერები“, ნაწ. I, II — ხელნაწერი. პირველი ნაწილი ამ ნაშრომისა გამოქვეყნდა 1929 წ. ჟურნალ „კავკასიონში“, ხოლო მეორე — თსუ შრომებში, 1951, № 43. აქ შესულია ფიტარეთის²⁰, ტანძის²¹, თევდორწმიდანის²², ხატის სოფლის²³, წულრულაშენის²⁴, დმანისის²⁵, სათხის²⁶ და ქვევის²⁷ ლაპიდარული წარწერები, აგრეთვე ოთხი ქედური — ხატის წარწერა ქვევის ეკლესიიდან²⁸, და ექვსი ფრესკული წარწერა კაზრეთიდან²⁹. ამათგან ერთი თარიღიანი — (ქრონიკონი ტნი) 1673 წლის, სადაც მოხსენიებული იყო ბოლნელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი — დაღუპულია, ხოლო დანარჩენი ხუთი — საკურთხეველში წარმოდგენილ წმინდანთა განმარტებებია.

არქივში დაცული და ე. თაყაიშვილის გამოცემული ქედური წარწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ზარზმის ფერისცვალების ხატი XI საუკუნისა, ლაკლაკიძეთა წარწერით. ეს ხატი ზარზმიდან გადატანილი იყო შემოქმედის ღვთისმშობლის ეკლესიაში. ე. თაყაიშვილს იქ უნახავს და ამიტომ არქივში მითითებულია როგორც შემოქმედის³⁰. ამ ხატის წარწერა რამდენჯერმეა გამოცემული ნ. ჩუბინაშვილის³¹, დ. ბაქრაძის³², ნ. კონდაკოვის³³, ნ. ვახნაძის³⁴ და თვითონ ე. თაყაიშვილის³⁵ მიერ. აღსანიშნავია, რომ არქივში დაცული წარწერის ტექსტი ბევრად სრულია გამოცემასთან შედარებით.

დაბოლოს, ეს სია მთავრდება სოფ. ტაშბაში სახლის საძირკვლის თბრის დროს ნაპოვნი სპილენძის თეფშით, რომელზედაც არის ქართული მხედრული წარწერა: „ქ. ნადირას: შვილი: ელიზბარისია“³⁶. ეს წარწერა ე. თაყაიშვილმა გამოსცა АЭРЗ-ის IV ტომში (გვ. 78), სადაც წარწერას, ხასიათის მიხედვით, ათარიღებს არა უადრეს XVII ს.

არქივში დაცული წარწერების ნაწილის გამოქვეყნება, როგორც ჩანს, თვითონ ე. თაყაიშვილმა ვერ მოახერხა, მაგრამ ეს წარწერები ცნობილია სხვა მკვლევართა შრომებით. ყველაზე ადრეულია მათ შორის დავით ეპისკოპოსისა³⁷ და ხელოსნების (კარის შემბმელების)³⁸ მოსახსენებლები ბოლნისის სიონიდან. ორივე ეს წარწერა ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის თანადროულია და 494 წლით თარიღდება. ეს წარწერები მრავალჯერ იქნა გამოცემული სხვადასხვა მკვლევრების მიერ (მ. ბროსე, ივ. ჯავახიშვილი, ლ. მუს-

20 ხ. ი. ე. თაყაიშვილის არქივი, №№ 549, 556.

21 იქვე, № 450, გვ. 2; № 549.

22 იქვე, № 549, № 551, გვ. 6.

23 იქვე, № 549.

24 იქვე, № 549, № 556, გვ. 26.

25 იქვე.

26 იქვე, № 555, გვ. 1—8.

27 იქვე, № 553, გვ. 3—4.

28 იქვე, № 553, გვ. 4, № 554, გვ. 4.

29 იქვე, № 451, გვ. 2.

30 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 575, გვ. 2r.

31 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, გვ. 195.

32 დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1878, გვ. 137—138.

33 Н. П. Кондаков, Описание памятников в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1891, с. 121—123.

34 ნ. ვახნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, თბ., 1957, გვ. 116.

35 Е. С. Такайшвили, АЭРЗ, I, с. 76—77.

36 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

37 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 557, გვ. 7v.

38 იქვე, გვ. 7r.

ხელიშვილი, ილ. აბულაძე, შ. ამირანაშვილი, აკ. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი და სხვ.). უკანასკნელი პუბლიკაცია ამ წარწერებისა ეკუთვნის ნ. შოშიაშვილს³⁹.

კიდევ ორი წარწერის ტექსტია გადმოწერილი არქივში ბოლნისის სიონიდან. ერთი მათგანი „მღვდელთმოდღვარ ელია ბოლნელის წარწერა ღამისთვის დაწესების შესახებ“⁴⁰, რომელსაც მკვლევრები IX—X სს-ით ათარიღებენ, გამოცემული აქვთ მ. ბროსეს, ლ. მუსხელიშვილს, გ. ჩუბინაშვილს და ნ. შოშიაშვილს⁴¹. მეორე წარწერა (მხედრული) მოთავსებულია სამრეკლოს თაღის ქვეშ ჩაშენებულ ორ ქვაზე და ეკუთვნის ბოლნელ ეპისკოპოს ნიკოლოზს⁴². ე. თაყაიშვილი ამ წარწერას, მასში მოხსენიებული პირების მიხედვით (ნიკოლოზ ბოლნელი ეპისკოპოსი და გიორგი XI), ათარიღებს XVII ს-ის II ნახევრით. წარწერის გამომცემლები (მ. ბროსე, ლ. მუსხელიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი) წარწერას ათარიღებენ 1675—1688 წწ.-ით⁴³. ვფიქრობ, შეიძლება წარწერის ქრონოლოგიური ჩარჩოების დაეწროვება 1678—1688 წწ. ქართულ ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჯ. ოდიშელმა დაასაბუთა, რომ გიორგი XI გამეფდა 1678 წ. და მეფობდა 1688 წ-მდე, ხოლო შემდეგ 1690—95 და 1703—1709 წწ-ში⁴⁴. ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში (1678—1688 წწ.) თავსდება ნიკოლოზ ბოლნელის მოღვაწეობის წლები. ნიკოლოზი ამ პერიოდის სამ საბუთში მოიხსენიება ბოლნელად⁴⁵. 1677 წ. ბოლნელი ეპისკოპოსი რევიშვილი იოსები⁴⁶, ხოლო 1689 წ-დან რევიშვილი იოვანე⁴⁷.

ე. თაყაიშვილის მოჰყავს წრომის სტელა-ჯვრის სამი წარწერის ტექსტია. ეს სტელა-ჯვარი დღეს წრომის ეკლესიის საკურთხეველშია ჩატანებული და ერთ-ერთი წარწერა, რომელიც სვეტის ბაზისზე იყო მოთავსებული, ეტყობა, დაღუპულია, რადგანაც არც ერთი მკვლევარი მას არ იხსენიებს და შემორჩენილია მხოლოდ ე. თაყაიშვილის გადმონაწერი: „სახელითა ღვთისათა, წისარაჟღენისა...“⁴⁸. დანარჩენი ორი წარწერა გამოცემული აქვთ თ. ყორღანიას⁴⁹, ალ. ჯავახიშვილს⁵⁰, თ. ბარნაველს⁵¹, გ. ჩუბინაშვილს⁵², ვ. ცისკარიშვილს⁵³ და

³⁹ ამ წარწერების პუბლიკაციები და წინა გამოცემებში დათარიღება იხ. ნ. შოშიაშვილი დასახ. ნაშრ., № 3—4, გვ. 67—70.

⁴⁰ ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 556, გვ. 23r, 25r, 27r.

⁴¹ ამ წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში და გამოცემები იხ. ნ. შოშიაშვილი დასახ. ნაშრ., № 317, გვ. 248—250.

⁴² ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 557, გვ. 5r, 6r-v.

⁴³ M. Brosset, *Mellanges Asiatiques*, II, p. 321—322; ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიშის მ-ზე, III, 1938, გვ. 311—383; Г. Н. Чубинашвили, *Болнисский Сион*, ენიშის მ-ზე, IX, 1940, გვ. 77—78.

⁴⁴ ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს.), XIV—XVIII სს.-ის რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964, გვ. 111—112, 119.

⁴⁵ ცსსა, ფ. 1449, № 1805; ხ. ი. Hd—14178; ცსსა, ფ. 1450, დ. 6, № 13; იხ. გ. ჯანდიერი, XVII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), მრავალთავი, თბ., 1971, გვ. 347.

⁴⁶ ხ. ი., Sd—537, იხ. გ. ჯანდიერი დასახ. ნაშრ., გვ. 347.

⁴⁷ ცსსა, ფ. 1450, დ. 12, № 98; იხ. გ. ჯანდიერი დასახ. ნაშრ., გვ. 347.

⁴⁸ ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 563.

⁴⁹ თ. ყორღანია, ქრონიკები, 1892, გვ. 70.

⁵⁰ ალ. ჯავახიშვილი, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, 1949.

⁵¹ თ. ბარნაველი, უსანეთის და წრომის სტელების თარიღისათვის, მაგნე № 1, 1969, გვ. 202—208.

⁵² Г. Н. Чубинашвили, *Цроми*, 1969, ტაბ. 92; მისივე, ხანდისი, 1972, გვ. 80—85. ტაბ. 57.

⁵³ ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, 1959, გვ. 73.



ნ. შოშიაშვილს⁵⁴. გახსნავებულია როგორც ამ წარწერის წაკითხვა, ისევე თარიღება მკვლევართა მიერ. მაგ. ალ. ჯავახიშვილი ორივე წარწერას VI ს-ით ათარიღებს, ხოლო ნ. შოშიაშვილი IX ს-ით. ამ წარწერების ე. თაყაიშვილისეულ წაკითხვას⁵⁵ ემთხვევა თ. ჟორდანიას წაკითხვა.

ერთი წარწერის ტექსტია დაცული არქივში ატენის სიონიდან. ქარაგმების გახსნით ე. თაყაიშვილი ამ წარწერას ასე კითხულობს: „ქრისტე შეიწყალე ანტონის ქალი, ესე ზღუდეა შექმნა. ქორონიკონსა რაჲ“⁵⁶. ანტონის ქალის მაგივრად ამ წარწერის გამომცემელი ნ. შოშიაშვილი კითხულობს „ატენის სარქალი“⁵⁷, ხოლო სხვა გამომცემლებს (მ. ბროსე, თ. ბარნაველი)⁵⁸ ეს ადგილი ვერ გაუგიათ და კითხვის ნიშნით აქვთ დატოვებული. წარწერას აქვს თარიღი ქრონიკონი რაჲ, რაც უდრის 945 წელს.

რვა ლაბიდარული წარწერის ტექსტია გადმოწერილი მცხეთის სვეტიცხოვლიდან. ორი მათგანი საერთოდ არ იყო ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში: 1. ოსტატიადა მქლ — ოსტატი ადა(?) მ(ი)ქ(აე)ლ⁵⁹; 2. წ(მიდა)ო სტ(ე)ფ(ა)ნ(ე), წ(მიდა)ო ანგელოზო, უ(ფალო) შე(ი)წყ(ალე) მ(ი)ქ(აე)ლ⁶⁰ ალბათ იგივე მიქაელია მოხსენიებული ჩრდილოეთის კედლის წარწერაში: მქლ⁶¹; ა. ნატროევი „ლ“-ს მაგივრად „ზ“-ს კითხულობს და სახელს შიფრავს როგორც „მელქიზედეკ“⁶². უფრო ზუსტი ჩანს ე. თაყაიშვილის წაკითხვა, რადგანაც „მელქიზედეკი მცხეთის სვეტიცხოვლის კიდევ სამ წარწერაში მოიხსენიება და არსად ამგვარად დაქარაგმებული არაა. სამივე წარწერაში მელქისედეკი მოხსენიებულია როგორც აღმშენებელი. ერთგან, აღმოსავლეთის კედელზე, თორმეტ მრგვალ ქვაზე, რომელნიც მარაოს ბოლოს მსგავსად არიან გაწყობილნი, მელქისედეკი მოხსენიებულია არსაკიძესთან ერთად⁶³. მეორე წარწერაში იგი მოიხსენიება როგორც ეკლესიის მეორედ აღმშენებელი⁶⁴, ხოლო მესამეგან — როგორც სამთავროს ამშენებელი⁶⁵.

არის კიდევ ერთი წარწერა აშენების თანადროული, ჩრდილოეთის მხარეზე, ფანჯრის ზემოთ, კაცის ხელის გამოსახულებასთან, ასომთავრული: „ქ(ე)ლი მონისა არს(უ)კ(ი)ს ძ(ის)აჲ, შ(ე)უნ(დ)ე(თ)“⁶⁶.

ეს წარწერები რამდენიმეჯერ არის გამოცემული (მ. ბროსე, ა. ნატროევი, თ. ჟორდანია, ლ. მუსხელიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი)⁶⁷. პირველ

54 ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 133—134.

55 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 563.

56 იქვე, № 561.

57 ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

58 M. Brosset, Rapports, VI, გვ. 21; თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 36—37.

59 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 558, გვ. 1r.

60 იქვე, გვ. 1v.

61 იქვე.

62 А. Натроев, Мухет и его собор Светицховели, с. 178.

63 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 558, გვ. 3r-v, 4r-v, 5r-v.

64 იქვე, გვ. 3r.

65 იქვე, გვ. 1v.

66 იქვე, გვ. 1r.

67 M. Brosset, Rapport, VI, p. 20; А. Натроев, დასახ. ნაშრ., გვ. 176—178, 207; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 175—178; ლ. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდრძთან, ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. 136—139; ს. კაკაბაძე, როდის არის აშენებული სვეტიცხოვლის ტაძარი, საისტორიო კრებული, I, თბ., 1928, გვ. 99—107; ნ. ბერ-



სამ პუბლიკაციაში წაკითხვები არაზუსტია, ხოლო ბოლო სამში წაკითხვები სწორია და რაიმე არსებითი განსხვავება ე. თაყაიშვილის არქივში დაცულ გადმონაწერთან არაა.

გამომცემლები ამ მინაწერებს ძირითადად 1029 წლის ახლო ხანებით ათარილებენ. მხოლოდ ს. კაკაბაძეს „გარეთი ბჭის“ და ტაძრის მაშენებელი მელქისედეკი სხვადასხვა პირად მიაჩნია და ტაძრის საამშენებლო ნაწერებს 925—945 წწ-ით ათარილებს⁶⁸. ე. თაყაიშვილის არქივში დაცულ გადმონაწერში წარწერები არაა დათარიღებული⁶⁹.

სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ფანჯრის ქვემოთ, მოიპოვება XVII ს-ის მხედრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებული არიან გიორგი XI და ნიკოლოზ მალაღაძე⁷⁰. წარწერას აქვს სამი თარიღი: 1. ადამს აქეთ 7186—1678 წწ. (აქ გამოყენებულია 5508 წლიანი ბიზანტიური ერა 7186—5508); 2. „ქრისტეს აქეთ 1672 წ.“ და 3. „ქრონიკონი ტნიზ“ — 1679 წ. მეორე თარიღი — „ქრისტეს აქეთ 1672 წ.“, რომ სწორი არაა, ეს ცხადია, რადგანაც გიორგი XI გამეფდა 1678 წელს⁷¹. დანარჩენი ორი თარიღიდან უპირატესობა ალბათ, უნდა მიენიჭოს ქრონიკონით გადმოცემულს. ნიკოლოზ მალაღაძე მამამის პაპუასთან ერთად იხსენიება სოფ. წინარეხის ციხის საამშენებლო წარწერაში⁷². ამ წარწერას აქვს ორი თარიღი: ქრონიკონი ტნიზ (1679 წ.) და „ადამს აქეთ 7190 წ. „ადამს აქეთ“ წელთაღრაცხვით გადმოცემული თარიღი არაა ზუსტი, რაც ხშირი მოვლენაა ამ პერიოდის ძეგლებში⁷³. ეს წარწერა გამოცემული აქვს ა. ნატროვეს და მას 1674 წლით ათარილებს⁷⁴.

აგრეთვე ნაკლებად არის შესწავლილი სოუქ-სუს წარწერები. ერთი მათგანის შესახებ ცნობა აქვს გამოქვეყნებული დ. ბაქრაძეს თავის გამოცემულ ვახუშტის „საქართველოს ისტორიაში“⁷⁵. წარწერა წაკითხული აქვს დიდი შეცდომებით მ. ბროსეს⁷⁶. წარწერაში მოხსენიებულია გიორგი კურაპალატი⁷⁷, რომელიც დ. ბაქრაძის აზრით, არის ბაგრატ IV-ის მამა.

ჩემი აზრით, წარწერაში მოხსენიებული უნდა იყოს გიორგი II. გიორგი I ბიზანტიური ტიტულებით არც ერთ წყაროში არ იხსენიება. მანგლისის ტაძრის წარწერაში, რომელიც თარიღიანია, ქრონიკონი სმ—1020 წ. (დღეს ქრონიკონი აღარ იკითხება)⁷⁸ და ეკუთვნის გიორგი I-ს, ა. შანიძე აღადგენს სიტყვას „ნოველისიმოსისა“⁷⁹, ხოლო თ. ბარნაველი — „თუთმპყრობელისა-სა“⁸⁰. უფრო ზუსტი ჩანს თ. ბარნაველის აღდგენა, რადგანაც გიორგი I, რო-

ქ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI ს. საქართველოს მუზეუმის მ-ზე, ტ. VI, 1931, გვ. 251—254.

68 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99—107.
 69 ბ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 558, გვ. 1r—5v.
 70 იქვე, № 558, გვ. 2r.
 71 გიორგი XI-ის გამეფების თარიღზე ზემოთ გვექონდა საუბარი.
 72 ვ. ბერიძე, წინარეხელ მალაღაძეთა მშენებლობა XVII—XVIII სს-ში, საქ. სახ. მუზეუმის მ-ზე, XIV—B, 1947 წ., გვ. 197.
 73 იქვე.
 74 А. Натроев, დასახ. ნაშრ., გვ. 177.
 75 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., თბ., 1985, გვ. 162.
 76 M. Brosset, Rappports, VIII, 1849, გვ. 118.
 77 ბ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 565, გვ. 1r.
 78 M. Brosset, Mellanges Asiatiques, t. I, p. 252—256.
 79 ა. შანიძე, კლავ მანგლისის წარწერების შესახებ, მიმოძიებულნი, I, 1926, გვ. 227—228.
 80 თ. ბარნაველი, მანგლისის ტაძრის წარწერები, 1961, გვ. 8—9.

მელიც მთელი მეფობის მანძილზე ბიზანტიელების წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთ წყაროში ბიზანტიური ტიტულებით არ იხსენიება, ხოლო გიორგი II კი კესაროსის ტიტულამდე ავიდა და, ცხადია, კონსტანტინოპოლის ტიტულიც უნდა გაეკვლო. წარწერა მხედრული დამწერლობითაა შესრულებული და ძალიან დაზიანებულია.

მეორე წარწერა — „ვარსკვლავის გამოჩენის შესახებ“⁸¹ აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ მ. ბროსეს პუბლიკაციით⁸². ეს წარწერა თარიღიანია: დასაბამითგან ზქათ — 1065 წ. და ქრონიკონი სპვ — 1066 წელს. წარწერაში მოხსენიებული ბაგრატ I არის ბაგრატ IV. მითითებულია აგრეთვე მისი მეფობის ინდიკტიონი ლმ—38. ბაგრატ IV, როგორც ცნობილია, გამეფდა 1027 წ. ე. ი. მისი მეფობის ინდიკტიონიც უჩვენებს 1065 წელს. ეს წარწერა შესრულებულია ნუსხა-ხუცურით.

ასევე ნუსხა-ხუცურითაა შესრულებული სოუქ-სუს მესამე წარწერა: „მეფეთ მეფე გიორგი“⁸³, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ცნობილი არ იყო.

სამი წარწერა აქვს გადმოღებული ე. თაყაიშვილს ზედა თმოგვის ეკლესიიდან. ერთი მათგანი იხსენიებს ბაგრატს და მარიამ დედოფალს⁸⁴. ესაა ბაგრატ IV და მისი დედა მარიამ დედოფალი. ე. ი. წარწერა შეიძლება დათარიღდეს 1027—1072 წწ-ით (ბაგრატის ზეობის ხანა). მეორე წარწერაში მოხსენიებულია ერისთავთ-ერისთავი „ფრნ“⁸⁵, რომელსაც ე. თაყაიშვილი შიფრავს როგორც ფირანს (ფარსადანს), ხოლო თ. ჟორდანიას — როგორც ფარსმანს⁸⁶. თ. ჟორდანიას წაკითხვას იზიარებს რ. გვერდწითელი, რომელიც წარწერაში მოხსენიებულ ფარსმანს აიგივებს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ბაგრატ IV-ის თანამედროვე ფარსმან თმოგველთან⁸⁷. იგივე ფარსმანი ერისთავთ-ერისთავის ტიტულითაა მოხსენიებული სათხის ეკლესიის წარწერაში⁸⁸. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერა, ატენის, ბარმაქსიზისა და სათხის წარწერების მსგავსად, შესრულებულია 1059—72 წწ-ში, როდესაც ბაგრატ IV-მ ჩამოართვა ბაღვაშებს ატენი, თრიალეთი და ჯავახეთი⁸⁹.

მესამე წარწერა არის მოსახსენებელი „ნშსა“, რომელსაც ე. თაყაიშვილი ხსნის როგორც ნუშირვანისა (ანუ ნუგეშისა)⁹⁰. სინამდვილეში უნდა გავხსნათ ალბათ, როგორც „ნ(უ)შ (ი)ს(ა)ა“.

არქივში დაცულია რვა წარწერის ტექსტი სამთავისის ეკლესიიდან. აქედან ხუთი განეკუთვნება XI ს. ოთხში მოხსენებულია ვაჩე ყანჩაელის ძე ილარიონ სამთავნელი ეპისკოპოსი: 1. 1030 წლისა, როგორც ტაძრის ამშენებელი⁹¹; 2. 1050 წლისა, როგორც მარანისა და საწნახელის ამშენებელი⁹²;

81 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 565, გვ. 2.

82 M. Brosset, Rapports, VIII, გვ. 116.

83 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 565, გვ. 1r.

84 იქვე, № 566, გვ. 1r, 2r.

85 იქვე, გვ. 2r.

86 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 206—207.

87 რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, საქ. სახ. მუზეუმის მ-ბე, XIV—B, 1947. გვ. 241—242.

88 ე. ციხკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 38.

89 გ. ოთხმეზური, XII—XIII სს-ის მიჯნის ქართული ლაბიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 44.

90 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 566, გვ. 2r.

91—92 იქვე, № 562.

3. 1056 წლისა, გვამცნობს მის გარდაცვალებას⁹³ (ეს წარწერა დღეს თითქმის მთლიანად გადასულია, შეინიშნება მხოლოდ წარწერის მკრთალი კვადრატები).

4. უთარილო, ილარიონ ვაჩე ყანჩაელის ძის სულის მოსახსენებელი⁹⁴ (სახსენებელი).

მეხუთე წარწერა ფრაგმენტულია: „ღმერთი მის შორის და იგი არ“⁹⁵. უორნალ „ძეგლის მეგობარი“ არის ამ წარწერის და „ილარიონ ყანჩაელის სულის მოსახსენებლის“ გრაფიკული მონახაზები⁹⁷. ორივე წარწერას მიწერილი აქვს: „სამთავისის ტაძრის წარწერა 1035 წლისა“. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ორივე წარწერა იდენტურია და ამიტომ შეიძლება სამთავისის სხვა წარწერების ანალოგიურად XI ს-ის 30—50-იანი წწ-ით დათარიღდეს. „ილარიონ ვაჩე ყანჩაელის ძის სულის მოსახსენებელი“, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შესრულებულია ილარიონ ყანჩაელის გარდაცვალების — 1056 წლის ახლო ხანებში. გაუგებარია საიდან არის აღებული „ძეგლის მეგობარი“ თარიღი 1035 წ.

ორი წარწერა ეხება სამთავისის ტაძრის მეორედ აშენება-აღდგენას. ერთში მოხსენიებულია „მეორედ აღმშენებელი შვილი სიაოშისა“⁹⁸. ხოლო მეორეში „ამილახორის თანამეცხედრე, მეფეთ-მეფის ასული, მეორედ აღმშენებელი გაიანე“⁹⁹. როგორც დღეს მიღებულია, სამთავისის ტაძრის მეორედ აშენება-აღდგენა თავსდება XV ს-ის 80-იან—1513 წწ-ში და წარწერებიც ამავე დროით თარიღდება¹⁰⁰. ეს წარწერები გამოცემული აქვთ მ. ბროსეს¹⁰¹, თ. უორდანიის¹⁰² და გ. სოხაშვილს¹⁰³.

სამთავისის ტაძრის ერთი წარწერა ეხება კარიბჭის აშენებას¹⁰⁴. არქივში დაცულია გადმონაწერის შეჯერებით არსებულ პუბლიკაციებთან¹⁰⁵ უფრო ზუსტი ჩანს გ. სოხაშვილის წაკითხვა, რომ კარიბჭის აღმშენებელი არის იოანე სამთავნელი. წარწერაში მოხსენიებული არის აგრეთვე მეფე გიორგი, მინიშნებულია მისი მეფობის ინდიქტიონი — „იზ“ (12). მ. ბროსე ინდიქტიონს ვერ კითხულობს. წარწერას აქვს ქრონიკონი, რომელსაც ე. თაყაიშვილი და მ. ბროსე კითხულობენ როგორც „სჟთ“-ს და მიუთითებენ 1079 წელს, ხოლო გ. სოხაშვილი — როგორც „ტპპ“-ს და მიუთითებს 1168 წელს, რაც შესაბამისობაშია გიორგი III-ის მეფობის მეტორმეტე ინდიქტიონთან. დღეს ეს კარიბჭე აღარ არსებობს¹⁰⁶.

არქივში დაცულია XI ს-ის „გიორგი ბასილის ძის წარწერის“ მხედრული ტრანსკრიპცია¹⁰⁷. წარწერიანი ქვა ჩამოტანილია სოფ. ანუხვადან და ამჟამად ინახება სოხუმში, დ. გულიას სახ. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში. არ-

93 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 562.

94 გ. სოხაშვილი, სამთავისის ტაძარი, მაცნე, III, 1966, გვ. 186.

95 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 562.

96 იქვე.

97 ძეგლის მეგობარი, № 10—11, 1967, გვ. 41, 61.

98 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 562, გვ. 1r.

99 იქვე.

100 ს. ბარნაველი, სამთავისის ტაძრის მეორედ აღმშენებლის ვინაობა, საქ. მეცნ. აკადემიის მ-ბე, ტ. XIII, № 9, 1951, გვ. 572.

101 M. Brosset, Rapports, VI, 185i, გვ. 3—5; 122—123.

102 თ. უორდანი, ქრონიკები, I, გვ. 171, 201.

103 გ. სოხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183—185, 195.

104 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 562, გვ. 1r.

105 M. Brosset, Rapports, VI, გვ. 122—123; გ. სოხაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

106 გ. სოხაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

107 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

ქივში შეცდომით ჩამოტანის ადგილად რაჭაა მითითებული. წარწერა ოთხჯერაა გამოცემული: ორჯერ ხ. ბლაჟბას¹⁰⁸ და ორჯერ ვ. სილოგავას¹⁰⁹ მიერ. ასევე XI ს. განეკუთვნება „იოპაბის წარწერა“ სოფ. საყულის (წყალტუბოს რ-ნი) მთავარანგელოზის ეკლესიიდან¹¹⁰. წარწერა შესრულებულია ასომთავრულით. ე. თაყაიშვილს მოჰყავს წარწერის მხედრული ტრანსლიტერაცია. წარწერა ორჯერაა გამოცემული ვ. ბერიძის¹¹¹ და ვ. სილოგავას¹¹² მიერ. დღეს ეს წარწერიანი ქვა ინახება ხსმ-ში (№ 197). იქ გატარებულია როგორც კაცხიდან ჩამოტანილი, რასაც იმეორებენ გამომცემლები. მაგრამ ე. თაყაიშვილი ძალიან ზუსტად უთითებს როგორც წარწერის ჩამოტანის ადგილს (სოფ. საყულია, სადგურ მუხიანიდან 6 ვერსის მანძილზე), ისე მისი მფლობელის ვინაობასაც (ქვა ცალკე ჰქონია შენახული მღვდელ პლატონ ჭინჭველაშვილს), რაც გვაფიქრებინებს, რომ ე. თაყაიშვილის ცნობა ზუსტია. წარწერას ვ. სილოგავა XI ს-ით ათარიღებს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები — „კიდურწაისრულობა“.

ე. თაყაიშვილის გადმონაწერი აზუსტებს იკორთის ტაძრის ერთ-ერთ წარწერას, რომელიც ძეგლის აშენების თანადროულია — 1172 წ. „ძელოცხოველო შეიწყალენ სულითა ერისთავთ-ერისთავი ვარდან, არსენი, ჭიაბერი, ბასილი და თვალის გუგა“¹¹³. ოთხი გვერდი აქვს დათმობილი ამ წარწერის ტექსტის დაზუსტებას და მ. ბროსეს¹¹⁴ და თ. ჟორდანის¹¹⁵ წაკითხვების მცდარობის დასაბუთებას. წარწერას შემდგომში შეეხნენ რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე¹¹⁶, მაგრამ მათ მოჰყავთ მხოლოდ წარწერის მოკლე შინაარსი. ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა იკორთის ტაძრის წარწერების მოხსენების თეზისები¹¹⁷, მაგრამ მოხსენება არსად არ გამოუქვეყნებია.

ორი ლაბიდარული და ორი ფრესკული წარწერის ტექსტია დაცული არქივში ვარძიიდან. ერთი არის „სამშენებლო წარწერა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა“¹¹⁸ და როგორც ამ წარწერის უკანასკნელი გამომცემელი, ვ. ცინცარიშვილი ათარიღებს, განეკუთვნება 1051—1057 წწ.¹¹⁹. არქივში მოცემულია წარწერის მხედრული ტრანსლიტერაცია და მხედრული ტრანსკრიპცია.

¹⁰⁸ X. С. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXX, 1959, с. 253—254, მისივე, Из истории письменности в Абхазии, 1967, с. 16.

¹⁰⁹ ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაბიდარულ წარწერებში, მაცნე № 4, 1972, გვ. 148—149; მისივე, დასავლეთ საქართველოს ლაბიდარული წარწერები, ნაკ. I (IX—XIII სს.), ლაბიდარული წარწერები, II, თბ., 1980, გვ. 65.

¹¹⁰ ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

¹¹¹ ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, ქართული ხელოვნება, III, თბ., 1950, გვ. 68, შენ. 5.

¹¹² ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს ლაბიდარული წარწერები, № 80, გვ. 91.

¹¹³ ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

¹¹⁴ M. Brosset, Rapports, VI, p. 67.

¹¹⁵ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 259—260.

¹¹⁶ P. Мепшасвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Гruzии Шида-Картли, с. 111.

¹¹⁷ ე. თაყაიშვილი, იკორთის ტაძარი და მისი წარწერები, ისტორიის ანსტიტუტის და ხსმ-ის გაერთიანებული სესია, მიძღვნილი ს. ჯანაშას გარდაცვალების წლისთავისადმი, 1947 (მოხსენებათა თეზისები).

¹¹⁸ ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

¹¹⁹ ვ. ცინცარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 34.

ეს წარწერა ადრე გამოცემს მ. ბროსემ¹²⁰ და თ. ჟორდანიამ¹²¹, მაგრამ მათი წაკითხვები საკმაოდ არაზუსტია.

მეორე ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებულია „ტრაპეზის აღმშენებელი იოვანე“¹²². ე. თაყაიშვილი ვერ კითხულობს სახელს „იოვანე“-ს და საერთოდ შეცდომით აქვს წაკითხული ბოლო — მეოთხე სტრიქონი. ვ. ცისკარიშვილის¹²³ წაკითხვა აზუსტებს ამ ადგილს. წარწერას ვ. ცისკარიშვილი, მასში მოხსენიებული ივანე ათაბაგის მიხედვით, ათარილებს 1391—1444 წწ-ით.

ვარძიის ფრესკულ წარწერებში მოხსენიებული არიან გიორგი III¹²⁴ და თამარ მეფე¹²⁵. ე. თაყაიშვილი ვერ კითხულობს უკანასკნელი წარწერის ბოლო ორ სიტყვას. შ. ამირანაშვილის წაკითხვა აზუსტებს ამ ადგილს: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ-მეფე, შვილი გიორგისა თამარ, რომელი მრავალ-ჟამეულებსცა“¹²⁶.

ორი ფრესკული წარწერის ტექსტი მოჰყავს მკვლევარს ზედა ვარძიდან. ერთია „მოსახსენებელი ფრიად ცოდვილი ბლუშესი“ (?)¹²⁷. (ამ სახელს კითხვის ნიშნით კითხულობს), ხოლო მეორეში მოხსენიებულია გერმანოზიშვილი ნიკოლოზ¹²⁸. ნიკოლოზ გერმანოზიშვილი მოიხსენიება XVIII ს-ის ქართულ ისტორიულ საბუთებში, რომელთაგან ყველაზე ადრეულია 1736¹²⁹ წლის, ხოლო ყველაზე გვიანდელი 1785 წლის¹³⁰, რის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარწერა ამ პერიოდშია შესრულებული. ორივე წარწერა გამოცემული აქვს მ. ბროსეს¹³¹.

თამარის მეფობის პერიოდის ორი ლაპიდარული წარწერაა გადმოწერილი კაბენის მონასტრიდან. ერთ მათგანში მოხსენიებულია თამარ დედოფალი¹³², ხოლო მეორე „საამშენებლო ქტიტორული წარწერა გიორგის შვილთა“¹³³, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იდენტურია თამარის წარწერისა და ამიტომ ისიც თამარის მეფობის პერიოდით თარიღდება¹³⁴.

ადრინდელი პუბლიკაციები ამ წარწერებისა ეკუთვნით მ. ბროსეს¹³⁵, პლ. იოსელიანს¹³⁶ და ლ. მელიქსეთ-ბეგს¹³⁷.

ე. თაყაიშვილს მოჰყავს, აგრეთვე, XVIII ს-ის 6 ეპიტაფია კაბენის მონასტრიდან¹³⁸, რომელთაგან სამი მ. ბროსეს მიერაა გამოცემული¹³⁹.

ე. თაყაიშვილის ცნობით, კაბენის ეკლესიის საკურთხეველში იყო ფრესკები:

¹²⁰ M. Brosset, Rapports, II, p. 159.

¹²¹ თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 200.

¹²² ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

¹²³ ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 115.

^{124—125} ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

¹²⁶ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1971, გვ. 266.

^{127—128} ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

¹²⁹ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 101.

¹³⁰ ხ. ი. Hd 10213.

¹³¹ M. Brosset, Rapports, II, p. 164, 165.

^{132—133} ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 557, გვ. 1r, 3r.

¹³⁴ გ. ოთხშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93—94.

¹³⁵ M Brosset, Rapports, I, 1849, p. 17; Rapports, III, p. 302.

¹³⁶ П. Иоселиани, Кабенский монастырь, Кавказский календарь, 1854, с. 489—492.

¹³⁷ Л. Меликсет-Беков, Надписи Кабена, ИКИАИ, т. III, 1925, с. 34—35.

¹³⁸ ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2257, გვ. 3v.

¹³⁹ M. Brosset, Rapports, II, p. 18—19.

1. წა.: სილიბისტრ¹⁴⁰.

2. წა.: ევსტათე¹⁴¹.

დღეს ეს ფრესკები აღარ არსებობს. წარწერები არაა გამოცემული.

არქივში გადმოწერილია აგრეთვე ლიკანის სამრეკლოს საამშენებლო წარწერის ტექსტი ქიშვად ავალიშვილისა¹⁴². წარწერა გამოცემული აქვთ ვ. ბერიძეს¹⁴³ და ვ. ცისკარიშვილს¹⁴⁴. გამომცემლები მას ათარიღებენ XVI ს-ით. რაიმე არსებითი ვანსხვაება ე. თაყაიშვილისა და მათ წაკთხვაში არაა. იგივე ქიშვადი და თამარი არიან მოხსენიებულნი კოთელის წარწერაში¹⁴⁵.

ასევე საამშენებლო წარწერის ტექსტებია გადმოწერილი არქივში არადეთიდან¹⁴⁶ და ჭიათურის თირის ეკლესიიდან¹⁴⁷. ორივე წარწერა თარიღიანია: არადეთისა — 1666 წლის, ჭიათურის — 1708 წლის. არადეთის წარწერა გამოცემული აქვს ა. შანიძეს¹⁴⁸, ხოლო ჭიათურისა გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ¹⁴⁹.

არქივში დაცულია აგრეთვე ხუთი ეპიტაფიის ტექსტი ახალი შუამთიდან. ერთია ეკლესიის მამულებლის კახთა მეფის ლევანის მეუღლის თინათინის ეპიტაფია, რომელიც მოგვიანებით გააქეთებინა კირიონ ეპისკოპოსმა¹⁵⁰. დანარჩენი ოთხი ჭავჭავაძეების და სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ეპიტაფიებია და განეკუთვნებიან XIX ს-ის შუა წლებს და მეორე ნახევარს¹⁵¹. ყველა ეს ეპიტაფია გამოცემული აქვს თ. ბარნაველს¹⁵², ხოლო ორი მათგანი ს. მერკვეილაც¹⁵³.

ე. თაყაიშვილს გადმოწერილი აქვს შემოქმედის სამწერობელის წარწერა, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი X—XI სს-ით ათარიღებს¹⁵⁴. წარწერაში მოხსენებული არიან ოქრომჭედელი თეთაჲ და ერისთავი ლიბარტი გიორგობიანი¹⁵⁵. წარწერა გამოცემული აქვს აგრეთვე დ. ბაქრაძეს¹⁵⁶. გ. ჩუბინაშვილის ცნობით, ეს სამწერობელი დღეს აღარ არსებობს, ამიტომ ამ წარწერის შემოწმება შეუძლებელია, მაგრამ მასში მოხსენიებული ერისთავ ლიბარტი გიორგობიანის მიხედვით საეჭვოა, რომ X—XI სს. ეკუთვნოდეს.

ორი წარწერა მოჰყავს მკვლევარს ლომისას ეკლესიიდან. ერთია ლომისას ეკლესიის კარზე ამოჭრილი ხუცური წარწერის დასაწყისი: „სხელით:

140—141 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2257.

142 იქვე, № 548.

143 ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1956, გვ. 216—217.

144 ვ. ცისკარიშვილი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა, 1959, გვ. 119.

145 И. П. Ростовов., Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОПЖ, XXV, 1898, გვ. 77—78; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 216—217; ვ. ცისკარიშვილი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა, გვ. 119.

146 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

147 იქვე, № 568.

148 ა. შანიძე, არადეთის წარწერები, მიმოხილველი, I, 1926, გვ. 237.

149 ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ. II (XIV—XVIII სს.) ლაბიძარული წარწერები, II (ხელნაწერი).

150—151 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2231, გვ. 2გ.

152 თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 137—139.

153 ს. მერკვეილაც, შუამთა, გაზ. „ივერია“, 1900, № 139.

154 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, 1959, 134—135.

155 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

156 Д. Бакрадзе, Археологические путешествия по Грузии и Аджаре, с. 137.

დღისთ.: ესე.: კრი.: ლომისა: „157, ხოლო მეორე წარწერის ფრაგმენტია¹⁵⁸. ლო-
მისას წარწერები გამოცემული აქვთ მ. ბროსეს¹⁵⁹ და ჯ. გვასალიას¹⁶⁰.

არქივში ინახება აგრეთვე განჯის გუბერნიიდან ჩამოტანილი ზარენ-
წერის ტექსტი¹⁶¹, რომელსაც მისი გამომცემელი ვ. ცისკარიშვილი XVIII ს-ით
ათარიღებს¹⁶². ზარი ამჟამად ინახება სსმ-ში.

გარდა ზემოთ მოყვანილი რამდენიმე უცნობი წარწერისა, არქივში და-
ცულია 11 ლაბიდარული, 17 ჰედური და 10 ფრესკული წარწერის ტექსტე-
ბი, რომლებიც აგრეთვე უცნობია სამეცნიერო ლიტერატურაში. ყველაზე აღ-
რეული ამ წარწერებიდან უნდა იყოს სოფ. Джуджа-кед-ის (ჯუჯა ქედის)
წარწერა: „სახელითა ღმრთისათა ესე ჩვენ გრაკელთა ფიქოსანთა დაესწერეთ
ვინცა უწინ მოკვდეს იმათი ჟამი წირონ ყოველთა“¹⁶³. გადმოწერილია დედ-
ნის შრიფტით და მოცემულია მხედრული ტრანსკრიპცია. ხელის მიხედვით
შეიძლება მივაკუთვნოთ X—XI სს-ს. გრაკელი სოფელია ქართლში, კასპის
რ-ში.

ე. თაყაიშვილისათვის ვასილ ნიკოლოზის-ძე დეკანოზიშვილს გადაუცია
მის მიერ ხელით გადმოღებული ასომთავრული წარწერა ბოსელნის ეკლე-
სიის ართვინის მახლობლად: „ნ და ადნ შ“ნ მრ დამყარბლი ბგრტ კვრბტი
მრმ დედონის“¹⁶⁴. [შ](ეიწყალენ და ა(ღი)დ(ენ) შ(ენ) მ(იერ) დამყარ(ებ)ჟ(უ)-
ლი ბ(ა)გრ(ა)ტ კურ(ა)პ(ალა)ტი, მ(ა)რ(ია)მ დედ(ო)ფ(ა)ლი. (ქარაგმების ვახსნა
ჩემია — გ. თ.). აქ მოხსენიებული ბაგრატ კურაპალატი არის ბაგრატ IV
(1027—1072), ხოლო მარიამ დედოფალი მისი დედა. ტექსტს ახლავს წარწე-
რის პალეოგრაფიული პირი.

„კარი სამოთხისა“ — ე. თაყაიშვილის ცნობით, ხუცური წარწერა ჰქონ-
და პოლკოვნიკ ნადირჯინის მიერ არდაგანიდან ჩამოტანილ ქვას¹⁶⁵. როგორც
ჩანს, ეს წარწერაინი ქვა დაკარგულია.

მეტეხიდან უნდა იყოს „სერაპიონ ჩიჯავაძის სამამუენებლო წარწერა“¹⁶⁶.
ე. თაყაიშვილის არქივში მხოლოდ მხედრული ტრანსკრიპციით გადმოწერი-
ლი ტექსტი მოიპოვება. არავითარი კომენტარი არც ნაწერის სადატურობაზე
და არც მის თარიღზე არ არის. ამას ვიგებთ წარწერის შინაარსიდან. წარწე-
რაში იხსენიება მეტეხთა ღვთისმშობელი, რომელიც მდებარეობს თეძამის
ხეობაში. წარწერაში მოხსენიებული არიან აგრეთვე როსტომ მეფე და მარიამ
დედოფალი, რაც განსაზღვრავს კიდევ წარწერის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს
1634—58 წწ-ით.

ოთხი ეპიტაფიაა გადმოწერილი მცხეთის სამთავრო ეკლესიიდან. მათში
მოხსენიებულნი არიან წინამძღვარი სვიმონ ჩხეიძე¹⁶⁷, აბაშიძე ელენე¹⁶⁸, მო-
ნაზონი ელისე¹⁶⁹ და ეპისკოპოსი ევდემოს¹⁷⁰. ეს უკანასკნელი წარწერა თა-
რილიანია, აღნიშნულია, რომ 1710 წელს ევდემოს ეპისკოპოსი გარდაიცვალა

157 ბ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 564.

158 იქვე.

159 M. Brosset, Rapports, II, p. 47, 479.

160 ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს
ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967; ძეგლის მეგობარი, № 21, 1970, გვ. 17—18.

161 ბ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

162 ვ. ცისკარიშვილი, ქართული ზარები, მაცნე, ისტორიის სერია, № 1, 1982,
83. 163.

163 ბ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

164—166 ბ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 2259.

167—170 ბ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 560, გვ. 2r.

87 წლის ასაკში. წარწერის გვერდზე ე. თაყაიშვილის მინაწერია რუსულად, სადაც რატომღაც წარწერის თარიღად თვლის 1711 წელს¹⁷¹.



მიურატის კარის ეკლესიის სვეტზე ამოკვეთილია კაცია დადიანის წარწერა, ლექსად, რომელსაც თავში უზის თარიღი ჩღბ — 1782 წ.¹⁷².

ე. თაყაიშვილის არქივში დაცულია იმერთა მეფის სოლომონ II-ის საფლავის ქვის წარწერა ტრაპიზონიდან: „საფლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ“¹⁷³. ე. თაყაიშვილის ცნობით, ამ წარწერის ფოტო გადაღებული აქვს ფოტოგრაფ ერმაკოვს.

1806 წელს აუშენებია ხელთუბნის ეკლესია გიორგი თუმანოვს, რაზეც მოგვითხრობს ხელთუბნის ეკლესიის დასავლეთის კარებზე მხედრული წარწერა¹⁷⁴.

ამ ხელთუბნის ეკლესიისთვის შეუწირავთ მანუჩარ თუმანოვს წმ. გიორგის ხატი¹⁷⁵, სულხან დივანის შვილს ვერცხლის პატარა ჯვარი¹⁷⁶, ზურაბ მდივნის მეუღლეს და ხოჯა ბებუთის ქალს თინათინს ფეშხუმი¹⁷⁷ და თუმანიშვილ მროველ ყოფილ მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ბარძიმი¹⁷⁸. ყველა ეს ნივთი დაცულია ხსმ-ში (№ ქ. 857, ქ. 855, ქ. 853 და ქ. 852). წარწერა ყველა მხედრულია. ე. თაყაიშვილი სწორად კითხულობს წარწერებს.

ე. თაყაიშვილს გადმოუწერია ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში დაცული ვერცხლის კოლოფის მხედრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებული არიან გიორგი XI და მისი მეუღლე ხორაშან დედოფალი. წარწერას აქვს თარიღი — ქრონიკონი ტბ — 1694¹⁷⁹. ვერ მივაკვლიეთ ვერც გამოცემას და ვერც ადგილსამყოფელს კაცხისა¹⁸⁰ და ძვილეთის¹⁸¹ ხატებისას. კაცხის ხატის წარწერაში მოხსენიებულია მოლარეთუხუცესი მახარებელი და ე. თაყაიშვილი მას XVI—XVII სს-ით ათარიღებს, ოღონდ რა მოსაზრებით, არ აღნიშნავს.

ასევე დაკარგულია შიომღვიმის ორი ვერცხლის ჯვარი, 1804¹⁸² წლისა და 1808 წლისა¹⁸³ და ვერცხლის ბარძიმი¹⁸⁴.

არქივში დაცულია 7 ჰედური წარწერა ახალი შუამთიდან. ესენია: ვერცხლის საცეცხლური 1728 წლისა¹⁸⁵, იოანე ნათლისმცემლის ხატი¹⁸⁶, ვერცხლის ლამბაქი 1848 წლისა¹⁸⁷, ვერცხლის თასი¹⁸⁸, ვერცხლის დოქი¹⁸⁹, ვერცხლის ფეშხუმი 1802 წლის¹⁹⁰ და ვერცხლის დოქი (ჩარექი)¹⁹¹. ყველას ახლავს მხედრული წარწერა. ე. თაყაიშვილი უთარიღოებს XIX ს-ით ათარიღებს. როგორც ჩანს, ყველა მათგანი დაკარგულია, გარდა პატარა ვერცხლის დოქისა (ჩარექა), რომელიც ინახება ხსმ-ში № კ. 461. წარწერას ე. თაყაიშვილი სწორად კითხულობს. დაშვებული აქვს მცირე უზუსტობანი, რაც წარწერის შინაარსს არ ცვლის.

ახალი შუამთის საკურთხეველში ფრესკებია, ექვსი ფრესკული წარწერით. ამათგან ორი სახარებიდანაა, ხოლო ოთხი წირვის ლოცვის დასაწყისია¹⁹².

171 ხ. ი., ე. თაყაიშვილის არქივი, № 560, გვ. 2რ.

172 იქვე, № 570.

173 იქვე, № 580.

174—179 იქვე, № 2259.

180—181 იქვე.

182—184 იქვე, № 576, გვ. 2რ.

185—191 იქვე, № 2231, გვ. 1რ.

192 იქვე, გვ. 2რ, v.

არქივში ინახება აგრეთვე ორი ფრესკული წარწერის ტექსტი ატენიდან:

1. წ. აბრაჰამი¹⁹³.

2. მამა გიორგი მეფისა... მეფეთ მეფისა ნოველისიმოსისა¹⁹⁴ არქივული
კაპიტული

აქ მოხსენიებული უნდა იყოს გიორგი II. როგორც ზემოთ, სოუქ-სუს წარწერების განხილვისას აღვნიშნეთ, გიორგი I ბიზანტიური ტიტულებით არც ერთ წყაროში არ იხსენიება, ხოლო გიორგი II კი კესაროსის ტიტულამდე ავიდა და, ცხადია, ნოველისიმოსის ტიტულიც უნდა გაეეცა.

არქივში გადმოწერილია ბეთანიის ორი ფრესკული წარწერის ტექსტი¹⁹⁵. ორივეში იხსენიება რუსუდანი. ერთში — როგორც სომეხთ მეფის კვირიკის ასული. ე. თაყაიშვილის აზრით, კვირიკე III, ტაშირის მეფე, ცხოვრობდა XII ს-ის ბოლოს¹⁹⁶. ბეთანიის ფრესკულ წარწერებს მრავალი მკვლევარი შეხებია¹⁹⁷, მაგრამ ამ ფრესკებს არც ერთი არ იხსენიებს. ამჟამად გამოსაცემად მზადდება ე. პრივალოვას წიგნი ბეთანიის ფრესკებზე და შეიძლება იქ იყოს წარმოდგენილი ეს ფრესკული წარწერები.

არქივში დაცულია აგრეთვე ორი უცნობი ლაპიდარული წარწერის ფოტო. ერთია საჩხერის ეკლესიიდან¹⁹⁸. წარწერა ფოტოზე ფრაგმენტულად იკითხება: „წ(მიდა)ო მ(ი)ქ(ა)ელ მე ოხ ეყავ...“ ხელის მიხედვით წარწერა შეიძლება მივაკუთვნოთ XI ს.

მეორე წარწერა სოფ. ახალსოფლიდანაა¹⁹⁹: „ქ(რისტე) შე(ი)წყალე) მ(ი)ქ(ა)ელ“.

გარდა წარწერათა ტექსტებისა, არქივში დაცულია 27 წარწერის გრაფიკული მონახაზი, შესრულებული კალკაზე და ქალაღზე. ერთია ქავთარ ქაჯაფაძე-ძე ამირეჯიბის წარწერის გრაფიკული მონახაზი ფიტარეთიდან²⁰⁰. ამ წარწერის ტექსტიც და გრაფიკული მონახაზიც ე. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს თავის ნაშრომში: „სომხით-საორბელის ძეგლების წარწერების“ I ტომში. 11 წარწერის გრაფიკული მონახაზია იშხანიდან, 9 — ოშკიდან, და 6 — პარხალიდან. ყველა ეს წარწერა და მათი გრაფიკული მონახაზები ე. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომში „Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии“, 1952 г.

ე. თაყაიშვილის პირად არქივში დაცული წარწერების ტექსტები კითხვასხვაობებით, არსებული გამოცემებისა და დათარიღებების მინიშნებით გადმოწერილია ბარათებზე და ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში მოიპოვება დიდძალი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ტექსტები, რომელთა ნაწილი დაღუპულია, ხოლო ნაწილი საერთოდ უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. არქივში გადმოწერილი ზოგიერთი წარწერის ტექსტი აზუსტებს არსებულ გამოცემებს. ე. თაყაიშვილის არქივში დაცული ეპიგრაფიკული მასალა მნიშვნელოვნად აესებს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ფონდს და საჭიროა მათი მეცნიერული შეს-

193—194 ხ. ი., თაყაიშვილის არქივი, № 561.

195—196 იქვე, № 556, გვ. 24რ.

197 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, 1963; შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ს. კაპაბაძის რედაქციით, 1927, გვ. XXXVII, ლ. მელიქსეთბეგი, ლორე ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 318—319.

198 ხ. ი. ე. თაყაიშვილის არქივი, № 567.

199 იქვე, № 571.

200 იქვე, № 2260.

წავლა და პუბლიკაცია. ასევე საჭიროა ამ მასალის გათვალისწინება „ქართული წარწერების კორპუსის“ შედგენისას.

შემოკლებები

ენიშვილი — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი.

თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კატალოგი — ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ.

მ-ბე — მოამბე.

სსმ — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ცსსა — ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

ხ. ი. — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ხსმ — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

АЭРЗ — Археологические экскурсии, разыскания и заметки.

ИКИАИ — Известия Кавказского историко-археологического института.

ИКОИМАО — Известия Кавказского отделения Императорского Московского археологического общества.

МАК — Материалы по археологии Кавказа.

СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

Rapports—Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie.

მ. ჯანთარაძე

იროდიონ სონღულაშვილის არქივიდან

„ჩემო ძვირფასო, ბედს ტყვილად ემდური. სიკეთე, რომელსაც შენ აფრქვევ, ერთი ადამიანისათვის კმარის. ღვაწლი შენი საკულტურო საქმისათვის ერთობ დიდია. ნაწერებიც კარგა გაქვს. მარტო ენა რად ღირს. რაცა ბედმა გვარგუნა, იმას უნდა დავსჯერდეთ. ზეკაცად არავინ დავბადებულვართ და ჩვეულებრივი ადამიანობაც უნდა ვიკმაროთ და ის ვაკეთოთ, რაც ძალგვიძს. კეთილდღეობა ჩვეულებრივ ადამიანთა საერთო მუშაობით მყარდება“¹.

ამ გულთბილ სტრიქონებს მშობლიური მხარიდან შორს, პარიზში მყოფი ექვთიმე თაყაიშვილი იროდიონ სონღულაშვილს წერდა. იროდიონ სონღულაშვილი თვალსაჩინო მოღვაწე იყო, რომელმაც თავისი ცხოვრება ქართული კულტურისა და ხელოვნების უძვირფასესი ექსპონატების მოვლა-პატრონობას უძღვნა. ბედმა ასე ინება, რომ ამ ჭეშმარიტი მოქალაქისა და მამულიშვილის ცხოვრება იმთავითვე ქართველი ერის სათაყვანებელი კაცის ექვთიმე თაყაიშვილის სახელს დაუკავშირა.

იროდიონი ექვთიმე თაყაიშვილს პირველად სათავადანაურთ სკოლაში შეხვდა. ექვთიმე ამ სკოლის დირექტორი იყო. მისი აქტიური ჩარევით, რჩევითა და დახმარებით გააგრძელა სწავლა იროდიონ სონღულაშვილმა ჯერ ერევნის გიმნაზიაში, შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში. როდესაც 1909 წელს კურსდამთავრებული, პროფესიით ბუნებისმეტყველი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, ბედმა იგი ისევ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებულ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში მიიყვანა რიგით მუშაკად.

იმ დღიდან განუყრელად დაუკავშირდა მისი ცხოვრება და შრომა სამუზეუმო საქმიანობას. ექვთიმე თაყაიშვილი კი იქცა მის „სულიერ მოძღვრად“. „ჩემი სულიერი მოძღვარი“, „ჩემი სათაყვანებელი“, „წამისწამ საგონებელი ადამიანი“, „ჩემი სიყვარული“, „ჩემი გამკაცებელი“, „ჩემი ქურუმი“, — აი ეპითეტები, რომლითაც ექვთიმე თაყაიშვილს იხსენიებს. იგი თავის ყოველ ნაბიჯს, ყოველ ნაზრევს, ნათქვამს, ყოველ საქციელს, როგორც უნივერსალურ თარგზე, ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნების მაგალითზე ამოწმებდა. ექვთიმე მისთვის ზნეობრივი სიწმინდის, სულიერი სისპეტაკის, ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობის სიმბოლო იყო. ექვთიმეს პიროვნება სანთელივით ერთი იროდიონ სონღულაშვილის წინ. იგი ამ სანთლის შუქზე უყურებდა სამყაროს.

თავის პირველ ნაბიჯებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში იროდიონ სონღულაშვილი ასე იგონებს: „ექვთიმე თაყაიშვილის ნახვა ჩემთვის აუცილებელი გახდა. ჯერ ერთი, საზოგადოების თავმჯდომარე იყო, მერმე ერთადერთს ნავთსაყუდარს წარმოადგენდა ჩემთვის მისი პიროვნება. მე

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ირ. სონღულაშვილის არქივი, № 150.

ქართული საქმე გულმხურვალეობას მიკარნახებდა თავისადმი და არ ვლავლა² ტობდი მას².

ამ „გულმხურვალეობით“ ჩაება იროდიონ სონღულაშვილი იმ საქმიანობაში, რასაც საზოგადოება ეწვოდა ექვთიმეს მეთავეობით. ეს ძირითადად შემკრებლობითი მოღვაწეობა იყო. საზოგადოების წევრები იძენდნენ ქართულ ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ეთნოგრაფიულ ნივთებს. აგროვებდნენ ცნობებს ქართულ ისტორიულ ძეგლებზე. ასე რომ, იმ უმდიდრესი კოლექციის მოპოვებაში, რითაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქართული მუზეუმები ვამდიდრა, იროდიონ სონღულაშვილის წვლილიც არის. ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით იგი სამუზეუმო საქმის დიდ მცოდნედ იქცა. მოგვიანებით კი დამოუკიდებლად აწყობდა ექსპოზიციებს, ჰქონდა თავისი პრინციპული მოსაზრებანი, რომელთაც თავგამოდებით იცავდა. 1932 წელს ქართული ხელსაქმის მის მიერ მოწყობილ გამოფენაზე შეუვალი ბრძოლა მოუხდა (როგორც მისი „მოგონებებიდან“ ჩანს) მანეკენების თაობაზე. იგი სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა ექსპონატების მანეკენებით ჩვენებისა და გაიტანა კიდევ თავისი. ექსპოზიცია საინტერესო გამოვიდა, რაზეც ნათლად მეტყველებს გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილი სტრიქონები.

იროდიონ სონღულაშვილის მიერ ტერმინ „გზამკვლევის“ შემოღება სწორედ ამ გამოფენასთან არის დაკავშირებული. პირველად ამ გამოფენის კატალოგს უწოდა მან „გზამკვლევი“ რუსული „Путеводитель“-ის ნაცვლად. მის მიერ შემოღებული ეს ტერმინი დღეს დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაში და შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. იგი წერდა, აგრეთვე, მოთხრობებსა და რომანებს, რომელთა ნაწილი ქვეყნდებოდა კიდევ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.

იროდიონ სონღულაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ნათელი მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს მუზეუმის მუშაი, ერის საუნჯის, ერის ხელმეუხეხეელი განძის შემნახველი და დამცველი, დამფასებელი და მოამავე.

იროდიონ სონღულაშვილი გარდაიცვალა 1958 წელს. 1968 წელს მისი არქივი შევიდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, რომლის საფუძველზეც შეიქმნა იროდიონ სონღულაშვილის პირადი საარქივო ფონდი. ფონდში 365 ერთეულია. აქ დაცულია მისი პროზაული თხზულებების ავტოგრაფული ნუსხები; საქმიანი მიმოწერა დიდ საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან. აქ წარმოდგენილია მდიდარი მასალა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება არქივში დაცულ მოგონებების წიგნს. „მოგონებანი“ (№ 68) ხუთი მცირე მოცულობის წიგნისაგან შედგება, ავტოგრაფია, შესრულებულია სხვადასხვა ფერისა და ზომის ფურცლებზე, ნაწილი ფანქრით, ნაწილი მელნით. ხელნაწერი უთარილოა, წარმოადგენს შავს და შედგება სხვადასხვა დროის ჩანაწერებისაგან.

მოგონებებში გაცოცხლებულია იმ უამრავი საზრუნავითა და დაძაბული შემართებული ძიებებით აღსავსე დღეები, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ რომ გამოიარა დღიდან დაარსებისა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მისვლამდე. საზოგადოების მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული ძვირფასი ექსპონატების სხვადასხვა მუზეუმში გადანაწილების პროცესი, ეტყობა, მტკივნეულად გადაიტანა იროდიონ სონღულაშვილმა. იგი ხომ ათეული წლებით იყო მიჯაჭვული ამ ექსპონატებზე. სა-

² ირ. სონღულაშვილის არქივი, № 68.

კუთარი ცხოვრების აზრს და დანიშნულებას მათ მოვლა-პატრონობასა და დაცვაში ზედადდა. იგი, ამ საზოგადოების „უქანსაქნელი მოპიკანი“, შინაგანი, ამალღებული სევდით იგონებს წარსულს, ამ წარსულში დასახლებული ძვირფასი ადამიანების სახეებს. წიგნს აშკარად ეტყობა მწერლის ხელი და მხატვრული ალღო. „მოგონებების“ ფურცლებზე ამოკითხული ცნობები საინტერესო შტრიხებით ავსებენ ჩვენი სასიქადულო მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, ერისკაცების სულიერ პორტრეტებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს, რომლებიც ამოღებულია იროდიონ სონლულაშვილის მოგონებების წიგნიდან შერჩევით და შემოკლებით. კერძოდ, წარმოვადგენთ მასალას, რომელიც გამოხატავს ირ. სონლულაშვილის დამოკიდებულებას ე. თაყაიშვილთან, ალ. სარაჯიშვილთან, ივ. ჯავახიშვილთან, პ. ინგოროყვასთან, გ. ჩუბინაშვილთან და წარმოაჩენს მათი მოღვაწეობის ზოგიერთ ასპექტს.

* * *

ექვთიმეს გახსენება ჩემი გონების ეკრანზე იძლევა ჯერ მშვიდს, ცივს სახეს ჩემ მოწაფეობისას ნანახს და მერმე ისევ მშვიდს, ცივსაც, მაგრამ ჭალაროსნობით გაღვთისნიერებულსა. მისი მუქი მწვანე თვალები მოკრძალებას უნერგავდა გულში ადამიანს. ზურგსუკან მძრახველი პირში ვერაფერს ეუბნებოდა. ჩემ თავზე არ ვიტყვი ამას. კაცს, ექვთიმეს პირველად მნახველს, ეგონებოდა ექვთიმემ მღელვარება არ იცისო. კრებებზე გამოსვლისასაც მხოლოდ და მხოლოდ აუღელვებლობას ჰხედავდა მასში ადამიანი. ექვთიმემ იცოდა ლაბარაკში სიმკვეთრე და არა სიცხარე. ამის მნახველს, აბა სხვა რა უნდა ეწოდებინა მისთვის, თუ არა სალი კლდე.

სახლში მახლობელნი სულ სხვას ჰხედავდნენ ექვთიმეში და მეც რომ დავუახლოვდი, სულ სხვა დავინახე. ყოველი უსიამოვნება, კრებებზე მიყენებული, იქ თითქოს აინუნშიაც არ ჩავდებულე, სახლში ექვთიმეს არ ასვენებდა. როცა თავისიანად მიგულვდა, თავისი სულის მოუსვენრობას აღარ მიმაღავდა. არ გეგონოთ, რომ წინ მიშლიდა ყველაფერს, არა, ის გრძნობდა რომ უსიტყვოდ ვგრძნობდი მის სამართლიან აღშფოთებას და ამითაც კმაყოფილდებოდა. მასსოვს ვეახელ ერთ საღამოს, ვხედავ, ზის დივანზე თვალებჩაღრმავებული. მიგუახლოვდი, ხელი გამომიწოდა, წამავლო მარჯვენაში, სიმხურვალე ვიგრძენ. თითქოს სიცხე ჰქონდაო, ისე შეეპყრო მთელი მისი აგებულება აღელვებას. ხელი აღარ გამიშვა, დამწია და გვერდზე მომიხვია. ეს იყო მისი ჯავრის მხილება. ჩემთან მეტი აღარაფერი უთქვამს, უხმოდ გამინაწილა ვარამი და ამითი დაკმაყოფილდა.

1912 წელს ექვთიმე ზაფხულში ავარაკად მიდიოდა. მუზეუმში საკმარისი რიცხვი თავისუფალი კარადებისა გვექონდა. მთხოვა მისი წიგნები, ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები მუზეუმში ვადამეტანა. დაბრუნდა ექვთიმე.

— წიგნები ვადმოვიტანოთ, — ვეუბნები ყრუდ.

გაოცდა.

— განა ჩემი ქონება საზოგადოებას არ დარჩება? იქ უფრო არ შეინახება?

1912 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში შემოდგომისას შემოვიდა სტუდენტის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა. ხელნაწერების ჩხრეკას შეუდგა. გავიკვირვეთ მეცა და ექვთიმემაც. მალე



გავიცანით და თავისი ნიჭით გაგვაოცა. სასულიერო პოეზიას მიჰყო ხელი და ამან გაცემა გაგვიორკეცა. ექვთიმემ ხელი ჩასჭიდა. უხაროდა, რომ ხელს წერ ფოლიანტებს მკვლევარი გამოუჩნდა. ახალგაზრდა ჩემსა და ექვთიმეს ოჯახებში იწყებს სიარულს. ჯანსაღობა აკლდა და თავს არ უღელიდა. მოჰკიდებდა ხელს მუშაობას და თავს არ ანებებდა. თავისი გატაცებით, თავისი ნიჭით საბჭოს სხვა წევრებიც დააინტერესა. წაიკითხა მოხსენება შოთა რუსთაველზე და მის პოემაზე. საზოგადოებას გაეცნო. ბევრმა იცოდა ვხლავ ვინ იყო პავლე ინგოროყვა: რიგმა თუ თავიდანვე შურნარევი ექვის თვალთ გადახედა ამ ყმაწვილს, ჩვენ, მე და ექვთიმემ გატაცებით მივაპყარი თვალი. ზოგმა ზევიდან ქვევით გადმოხედა, რომ თავის საექვო მეცნიერული ღირსება არ შეემცირებინა. სერგი გორგაძე კი ამ შემთხვევაში მე და ექვთიმეს ამოგვიდგა გვერდში. სერგი გორგაძემ იცოდა ახალგაზრდების ხელის გამართვა. პავლეს არსება ყველა მიმართულების გზაზე გატაცებით დიოდა და როდის შეისვენებდა, ალღოს ვერ აუღებდი. მუშაობდა გულმოდგინებით ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაზე, გამოსცა ერთი წიგნი და მიანება თავი განზრახულ შემდეგ ტომს. დაიწყო „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა დიდის გეგმებით, გულმხურვალედ. პოემის ვარიანტების გამოცემასაც ხელი მოჰკიდა საზოგადოების საბჭოს დავალებით, მაგრამ ვარიანტების გამოცემა თუ უქალაღობამ შეაჩერა (ომი იყო), დანარჩენი ყველაფერი მისმა გულგრილობამ.

— პავლე, რად მიანებე თავი? — შევეკითხე დანაწებით.

— ნუ გეშინიან, მასალა ყველაფერი მზდა მაქვს, დანარჩენი შემდეგში იქნება. ეს შემდეგი საბჭოთა ხელისუფლებისას მოხდა, მაგრამ ნაწილობრივ. მისი დანარჩენი განზრახვები განზრახვებადვე დარჩა.



ღრმად შევტოპე საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ის ცხოვრებაში და მის მთავარ მორევში მოგხვდი, საიდანაც თავის დაღწევა ჩემთვის შეუძლებელი ხდებოდა. ექვთიმესა და ალექსანდრეს თავს ვერ ვანებებდი, ანდამატივით მიზიდავდნენ.

ექვთიმე საზოგადოებისათვის ბრძოლით შოულობდა ფულს და დიდი ხელმომჭირნობა სჭირდებოდა, რომ საქართველოს წარსულის მეტი ექსპონატისთვის მოეყარა თავი, რომ მრავალი სახის მეტი ისტორიული საბუთი შეეგროვებინა ჩვენი ქვეყნისა. თვითონ ექვთიმე და ალექსანდრე არაფერს იღებდნენ საქმის გაკეთებაში. ორივე სულსა და გულს აყოლებდნენ ამ ქართულ დიდ საქმეს. დიდი ადამიანები იყვნენ. სხვებსაც ვხედავდი ამავე ასპარეზზე. უეჭველად პატრიოტები იყვნენ, მაგრამ სულის ვაქანება დიდი არ ჰქონდათ. ფართო პატრიოტობის ლოგიკა აკლდათ მოქმედებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მუზეუმი და წიგნთსაცავი იქმნებოდა 1914 წლის ივნისამდე ექვთიმეს და ალექსანდრეს მარჯვენით და ივნისიდან კი, როცა ალექსანდრე სიკვდილმა გამოგვტაცა, მხოლოდ და მხოლოდ ექვთიმეს მარჯვენით.



ალექსანდრე სარაჯიშვილი, როგორც ერთ-ერთი ბურჯი სსსს-ისა მის მუზეუმ-ბიბლიოთეკას არასდროს არ ივიწყებდა მაშინაც კი, როცა მუზეუმ-



ბიბლიოთეკის გამგეც არ იყო. ვათავსებ აქ, საზოგადოების საბჭოს სხდომის № 37 ოქმიდან ამონაწერს (1909, 19.IX, მუხლი XV).

„მდივანმა სერგი გორგაძემ განაცხადა: რადგან გიმნაზიაში გადატანის შემდეგ მუზეუმი ჩემზე საკმაოდ დაშორებულია, ასე რომ არა მრჩება იმდენი თავისუფალი დრო, რომ იქ ვიარო, ვთხოვ საბჭოს გამათავისუფლოს მუზ-ისა და ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობისაგან. მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგეობა მიენდოს დავით კარიჭაშვილს, რომელმაც ამაზე უკვე თანხმობა განაცხადა“.

აქედან ჩანს, რომ 1909 წლის 19 სექტემბრამდე მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგე ყოფილა სერგი გორგაძე. სსსს-ის სხვა საბუთებიდან ვიცი ისიც, რომ ს. გორგაძემდე მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ ყოფილა 1907 წლიდან 1908 წლის 5 XI-მდე ილია ფერაძე, შემდეგ კი კალისტრატე ცინცაძე. ცინცაძეს ნოემბერშივე უარი უთქვამს მოუცლელობის გამო ამ თანამდებობაზე და ს. გორგაძესთვის მიუხდვიათ მისი ასრულება. 1909 წ. შემოდგომიდან კი, როგორც ოქმის ამონაწერი გვეუბნება, დავით კარიჭაშვილისათვის დაუკისრებულია მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობა.

მუზეუმ-ბიბლიოთეკის ნამდვილ მასაზრდოებლად ექვთიმე და ალექსანდრე გვევლინებოდნენ. დღე ისე არ გავიდოდა, ან ერთს ან მეორეს მუზეუმისათვის საგრძნობელი რამ არ შეემატნათ. მათ ბანს აძლევდა უსათუოდ სერგი გორგაძეც.

საქმიან დღეებში მუზეუმ-ბიბლიოთეკაში მხოლოდ მე და ალექსანდრე ვტრიალებდით და ამ მოვლენამ მომცა საშუალება უფრო ახლოს გამეცნო მისი პიროვნება. მისი მომდიმარე პირისაზე თუ ერთხელ თვალს გადაავლებდი, თავისი სხივოსნობით გაფიქრებინებდა, რომ გულსასვე ადამიანთან გქონდა საქმე, მაგრამ დააკვირდებოდი და მონისლულ ირონიას დაინახავდი გულნაკლული ადამიანისას, თითქოს გუბნებოდა, ნულარაფერს ელიო. საქართველოს ბედის გაღიმებას უარყოფდა. საქართველო ბოლომოღებულ ქვეყნად წარმოედგინა.

— მერმე რაღა გრჯით, რომ აშენებთ მუზეუმს? შეეკითხებ ერთხელ ალექსანდრეს მისი პესიმიზმით გულნატკენი.

«А мы памятник ставим, Ироднион, для Грузии. Народ, который во главе всякого дела ставит воров, не может жить».— მიპასუხა წყნარად.

ასეთი ადამიანი თავს იკლავდა მუზეუმისათვის და მის საქმეს სხვასაც ანაცვალებდა. ექსპოზიცია ექსპონატებისა მისი კარნახით სწარმოებდა და ერთადერთი შავი საქმის ამსრულებელი მე ვიყავი.

პესიმიზმი საქართველოს მიმართ ალექსანდრეს შეზავებული ჰქონდა. იუმორით და წერდა კიდევ იუმორისტულ იგავებს „რიზ-შაბას“ ფსევდონიმით. საინტერესო იყო 1912 წელს უფრო „კლდეში“ დაბეჭდილი იგავი „უკუდო ვირი“. კითხულობ უკუდო ვირის ამბავს, გეცინება და ბოლოს მორალი მახელსა გცემს გულში, შეუბრალებლად მიგიითითებს საქართველოს მწარე სინამდვილეზე. კარგად ახასიათებს იგავი „ქართველი მწერალი და ქართველი მკითხველი“ ქართველი მწერლებისა და მისი ნაწარმოებების ბედს. ქართველი მწერალი და ქართველი მკითხველი საიქიოსაც კი ერთმანეთის უცნობად გვევლინებიან ამ იგავში. ალექსანდრეს სხვა საინტერესო იგავებიც აქვს და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებიც. ცნობილია მისი სერიოზულ გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“. ამ ნაწარმოებს ჯერ რიგიანად არავინ მისდგომია არც წინათ, არც 1936 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე (1939 წ.).



იუმორი ალექსანდრეს თანდაყოლილი ჰქონდა და ჩვენი ცხოვრების ერთი ხაზგასმული მოვლენის იუმორისტული მხარე არ გამოეპარებოდა ნოლმე. კვიპატი სიტყვის თქმაც მოსდგამდა ალექსანდრეს. ირონიანარევი სევდიანი ღიმილი, ადამიანის მიმზიდველი, ხანდახან ცინიკურ ღიმილად იქცეოდა ხოლმე, სიტყვიერი ცინიზმიც ჰქონდა ზოგჯერ. მაგრამ მისი ეს თვისება იმდენად მცირედ მოსჩანდა მის მალალ ღირსებებთან, რომ ყურადღების ღირსად აღარ მიმაჩნდა.

1913 წლის შემოდგომისას ნორვეგიელ მხატვარს კრონს ექვთიმემა და ალექსანდრემ შეუკვეთეს ბეთანიის ტაძრის კედლის მხატვრობის პირები. ვიქირავე ეტლი და წავიყვანე კრონი ცოლითურთ ბეთანიას. დავათვალიერეთ მისი კედლის მხატვრობა. კრონი აღტაცებაში მოვიდა საკურთხეველის კედელზე გამოყვანილი წმინდა სახეების შესრულებით, მათი ცოცხალი გადმოცემით და წამოიძახა:

— ჩემ ხელს ეხლა დაეტყობა ქართული კედლის მხატვრობის გავლენაცო. შემდეგ აიღო ზომები სურათებისა ქვედა ჩარჩოების დასამზადებლად და გამომატანა თბილისში. ალექსანდრემ დაამზადებინა კრონის შემონაკვეთები და ჩამაბარა ბეთანიაში წასაღებად. ვიქირავე მთიულის ბოლოთრია, დავუდე ანაბარი ზედა და საბურთალოთი გავუდექი გზას საღამოს უამსა. სრული 9 საათი ვიარე ბოლოთრიათი და დილით მივადექი ბეთანიას კარზე. ჩავაბარე ჩარჩოები კრონსა და ფეხით დაგბრუნდი თბილისში. შინ მისვლას სულ ოთხნახევარი საათი მოვუნდი. ალექსანდრე გულლიად დამხვდა: საქმის უბრალოდ გადაწყვეტას მიეზიდნა:

— Иродион, ты герой, — მითხრა წყნარი ღიმილით, უირონიოდ.

ჩემმა სისადავემ ყოველ საქმეში ისე შეათვისებინა ჩემი თავი ალექსანდრეს, რომ ჩვენი დაშორება ერთ-ერთის ჩვენგანის სიკვდილსდა შეეძლო.

სიკვდილმაც არ დაახანა.

1914 წელს გაზაფხულის უკანასკნელ თვეს ალექსანდრეს დაეწყო ავადმყოფობა. იენისის პირველს გარდაიცვალა.

მისმა სიკვდილმა გული დამიკოდა. დავსაფლავეთ ალექსანდრე სრულიად უბრალოდ, უგვირგვინებოდ. ეს მისი სურვილიაო, გვითხრა მისმა მეუღლემ. მხოლოდ ყვავილები დავაყარეთ ბლომად.

არცერთი სიტყვაც არ უნდა ყოფილიყო წარმოთქმული, მაგრამ მის საფლავში ჩასვენებამდე დიდი მწუხარებით შეპყრობილმა საზოგადოების თავმჯდომარემ, ექვთიმემ ვეღარ მოითმინა გულში დაგუბებული ვარამი, თვალთაგან ცრემლი წამოსკდა და ცრემლებთან თავისდა უნებლიეთ პირიდან სიტყვის ნაკადი წამოადინა. დაკარგულ ცალს მწარედ მოსთქვამდა. მის ნამდვილ შემცვლელს ვერსად ჰხედავდა.

მართლაც, ექვთიმე ობლად დარჩა მუზეუმის ზრდის საქმეში. თუ წინათ ორის ძალ-ღონე მოქმედებდა სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებაში, ახლა, ალექსანდრეს საფლავში ჩასვლით, ერთის ძალღონედა რჩებოდა საამსაქმეოდ.



ალექსანდრეს და ექვთიმეს ჩაუვარდათ ხელში სპარსეთიდან მოტანილი ალექსანდრე ბატონიშვილის სურათი, მისი მსახურის ხელით ნახატი. მოცემულია ალექსანდრე ფეხზე მდგომარე, ხმლიანი, წოწოლა ქუდიანი, კალთებშემოკეცილი, გვერდით ცხენი ამოუყენებია. სურათი პრიმიტიულია, მაგრამ

საინტერესო. ალექსანდრე სარაჯიშვილმა ჩარჩოში ჩაასმევინა და გამოჰკიდა წინა დარბაზში.



— ნეტავ რა ნახა მაგ სურათში ალექსანდრემ? — იკითხა ერთმა თანამშრომელმა.

— ი ტორიაა, — ვუბნები შემიკითხველს, ერთადერთი პორტრეტია ალექსანდრე ზატონიშვილისა.

1915 წელს, იანვრის 26-ს გარდაიცვალა პოეტი აკაკი წერეთელი, რომელმაც ანდერძით ბევრი რამ გადმოსცა ჩვენს საზოგადოებას. ამ გადმოცემამ ბევრი ახალი საქმე გაუჩინა საზოგადოების ზოგიერთ თანამშრომელს და ტვირთი თვალსაჩინოდ გაუზარდა, მეტადრე მე. მასწავლებლობისაგან თავისუფალ ადამიანად ვითვლებოდი და ყოველი სარბენალი საქმე მე მქონდა აკიდებული. ამავე დროს მწერლობასაც ვეღარ ვანებებდი თავს. პოეტის სიკვდილმა ბევრს დააწერინა და მეც ჩამითრია ამ ბევრში, მაგრამ თუ ყველა მოსთქვამდა და ჩვენ ლიტერატურას აღსასრულს უჭადნიდა, მე სულ სხვა საწინააღმდეგო გზას დავადექი. ამის დამმოწმებელია ჩემი სამი ნაწერი: „ჩანგი დაიმსხვრა“ (კლდე, 1915, № 4, 1.11); „სსნული“ (კლდე, № 8, 1915) და „ოქროს საკრავი“ (გაზეთი „საქართველო“, № 58, 1915).

*
*
*

არზრუმს მომიხდა გამგზავრება.

დავბრუნდი არზრუმიდან და ექვთიმეც დაბრუნდა ისპირ-თორთუმის ხეობიდან და თან მოიტანა მრავალი სამეცნიერო მასალა. საზოგადოების მუზეუმში ახალი ნადავლით გაამდიდრა. საოცარი იყო ეს ადამიანი თავისი ენთუზიაზმით. იმისთანად თავის დადება „საზოგადოების“ საქმისათვის არავინ იცოდა, რაც ჩვენდა სამწუხაროდ მუდამ აღუნიშნავი რჩებოდა მის გარშემო მოტრიალეთაგან.

*
*
*

1929 წლის მაისში უნივერსიტეტის შენობიდან დავძარი საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმთან ერთად საზოგადოების წიგნთსაცავიც. დავუწყე ზიდვა საზოგადოების ამ ორ განაკვეთს ქონებას საქართველოს მუზეუმში „Главнаука“-ს განკარგულებით. წიგნთსაცავის გამგე ქრ. შ. (ქრისტიანე შარაშიძე) გავისტუმრე დასასვენებლად. 5 თვე მოეუნდი ზიდვას. ვზიდე ზაფხულის სიცხეში შემოდგომისას ნომბრამდე. საქართველოს მუზეუმის დირექტორის ნაცვლობას მაშინ ეწეოდა ჩემგან გულში ძმად ნაგულევი უცხო მხრიდან მოვლენილი ქართველი³.

გადავზიდე საქართველოს საისტ. და საეთნ. საზოგადოებისეული ქონებამუზეუმში და წიგნთსაცავი ქართული კულტურის მატერიალური ნაშთების ორმოდ ქცეულ საქართველოს მუზეუმში. დირექტორის ნაცვალმა ჩემი გადაზიდული არ გათქვიფა ახალ ბინაზე დახვედრილს ქაოსად ქცეულს ქონებაში. მხოლოდ ეს იყო, რომ ჩემგნით გადაზიდულს წიგნთსაცავს გამოაყოფინა ხელნაწერები და ცალკე ხელნაწერთა განყოფილება დააარსებინა საქ. მუზეუმის დირექტორისა. და მალე ამ ახლად დაარსებულს განყოფილებას სათავეში ჩაუდგა პაილე ინგოროყვა. საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოებისეული წიგნთსაცავის ნაბეჭდი წიგნები ამოუყენეს საქ. მუზეუმის წიგნთსაცავს, როგორც

³ იგულისხმება გიორგი ჩუბინაშვილი.

ცალკე განაკვეთი. საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი მისეული ქონება კი ცალკე განყოფილებად, საისტორიო-საეთნოგრაფიულ განყოფილებად იქნა აღიარებული. ახლად დაარსებული განყოფილების შემადგენელ მე დამნიშნეს.

ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნა თვალში არ მოსდიოდათ, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. მე ჩემს საქმეს ვუნდებოდი. დირექტორის ნაცვალის მოთხოვნით საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისეული ზოგიერთი თვალსაჩინო კოლექციის გამოფენას ვაწყობდი.

* * *

1912 წლის სექტემბერში ერთმა ჯგუფმა ახალგაზრდებისამ ჟურნალი „კლდე“ დააარსა და მეც ჩამითრია. უცხოურ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან თარგმანებს მაკეთებინებდნენ. რეზო [გაბაშვილი] რედაქტორობდა. რეზოს მშობლების სახლებში ე. წ. გაბაანთ შესახვევის მხარეს მდებარე ერთ ძირა სართულის ოთახში რედაქცია მოეწყო და იქ იყრიდა თავს კლდეულთა ჯგუფი. აქ ჩაეყარა საფუძველი ჩემ ლიტერატურულ მუღმივ ამოქმედებას. „კლდის“ წილში მოექცა ალექსანდრე ყიფშიძის ნაწარმოებთა საგრძნობი რიცხვი („ბეტრე ბაგრატიონი“, „მთის არწივი“ და სხვა). „კლდის“ წილშივე მოექცნენ ალექსანდრე სარაჯიშვილის ნაწარმოებნიც. რომ-ბაბას იუმორი პირველად მაშინ ვიგემე. იგავი „უკულო ვირი“ აღ. სარაჯიშვილისა წმინდა წყლის კლასიკური ნაწარმოებია.

თუ რამდენად მისაღები იყო ენის მხრივ ჩემი თარგმანები, ჩემით არას ვიტყვი. ერთი ცხადი იყო ის, რომ რედაქცია მათზე უარს არ ამბობდა, პბეჭდავდა თითქმის შეუსწორებელს. ალექსანდრე სარაჯიშვილი ქართული ენის კარგი მოკლდე იყო. ერთხელ მან მითხრა:

— იროდიონ, მოდი ერთი ესპანური შეისწავლე და „დონ კიხოტი“ გადმოთარგმნეო. ეს ისეთი დიდი ნაწარმოებია, რომ მისი გულისათვის ღირს ესპანურის შესწავლაო.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმეებში გაბმული მე კლდეილებს, რამდენადაც შემეძლო, ვშველოდი.

საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ გადაწყვიტა გამოეცა პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგის გამოცემისა და ხელნაწერების მიხედვით, უკრიტიკოდ, მხოლოდ და მხოლოდ ვარიანტების ჩვენებით, იმ მეცნიერთათვის, რომელნიც მოისურვებდნენ პოემის კრიტიკულ გამოცემას. მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ ამის მსურველნი საბჭოს წევრნი და საბჭოს მოწვევით საზოგადოების წევრნი. საბჭომ დაადგინა, აგრეთვე, ეთხოვა პ. ინგოროყვასათვის, რომ წაეკითხა მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების თაობაზე. რაკი საბჭომ გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა მხოლოდ და მხოლოდ ვარიანტებით და უკრიტიკოდ, ამასთან ის განაჩენიც გამოიტანა, რომ აღარავისათვის მიეცათ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავის ხელნაწერები „ვეფხისტყაოსნისა“ განზრახული გამოცემის დათავებამდე (სსსს საბჭოს სხდომის ჟურნალი № 76, 1913, 1.V).

* * *

1941 წელია, შემოდგომაა. 18 ნოემბერს საღამოს ჟამს ჩემ ყოფილ მასწავლებელს და ეხლა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ვეწვიე.

სასწავლებელში საღმთო წერილის მასწავლებლად ბედმა ის ადამიანი გარ-
გუნა, რომელიც ეხლა მწესობს სრულიად საქართველოს ეკლესიას. ადამიანი
გონიერი და ფრიად განათლებული, დიდი მიმდევარი ქრისტეს მოძღვრების
ფრიად სპეტაკი ზნეობის პატრონი, დიდი პატრიოტი და მათაყვანებელი თა-
ვისი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურისა. მასთან ბაასზე არც ერთი შეგ-
ნებული მოწოდებით სამშობლოს საზოგადოებრივ ასპარეზზე უარს არ იტყ-
ვის. მიყვარს ჩემ ყოფილ მასწავლებელთან ყოფნა. ის ქრისტეს მოძღვრებისა
და მისი დაწმენდილი მორალის მიმდევარია, მე კიდევ ადამიანი, რომელსაც
მშობელი ხალხი და სამშობლო ყველა თავისი წარსულისა და ახლის მონა-
პოვრით, რელიგიად გადაქცევია. მაგრამ ეს მოვლენა ჩვენ ერთმანეთთან შე-
ხვედრას სრულიად ხელს არ უშლის. მისთვის ჩემი გატაცება ჩემი სათაყვა-
ნებელი საგნით სავსებით მისაღებია. დიდი პატრიოტია, როგორც ვთქვი.
ჩემთვის კიდევ მისი რელიგია არაფერ საფრთხეს წარმოადგენს. იგი ჩემ ყო-
ფილ მასწავლებელში ათასეული წლების მანძილზე აკვიატებულის ზედნაშე-
ნების სიმძიმისაგან გათავისუფლებული წმინდა მორალია და მე მორალის
უარის არმყოფელი. რაკი ეს ასეა, მეცა და ჩემი ყოფილი მასწავლებელიც
გულხალვათად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს და 18 ნოემბერსაც შევხვდით
ასევე ერთმანეთს მის თანამოზიარეთა თანდასწრებით. ჩაიზე მიმიწვია, ბოთ-
ლი ღვინო მოატანინა. ლაპარაკი მეცნიერებაზე გააბა და ჩვენი მეცნიერნი და
მათი შრომები ვახსენეთ. ივანე ჯავახიშვილზე შევჩერდით. 11 საათზე შინი-
საკენ გამოვემართე. ჩემი ახალგაზრდა მოკეთე შემომხვდა.

— ივანე ჯავახიშვილი გარდაცვლილა, — მითხრა შეძრწუნებული კი-
ლოთი.

ვედარა ვიწამე რა. საშინელი სიცარიელე ვიგრძენი. ეს ხომ ლამპრის
დაქრობაა. ეს ხომ ბნელით მოცუვა ჩვენი კულტურის სარბიელისა. ვინ იცის,
როდისღა ეღირსება ჩვენს ქვეყანას ამგვარი ადამიანი! პირველად მის ვინაო-
ბაზე გავივინე მაშინ, როცა სათავადაზნაურო სკოლის უფროსი კლასის მო-
წაფე ვიყავი. ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი სინაიდან დაბრუნე-
ბული ჩემ მასწავლებელს ივანე რატიშვილს სწვეოდა, სინაის მთაზე მოპო-
ვებული თავისი ზოგიერთი მასალით. რატიშვილთანვე მისულ ჩემ მეგობრებს
ენახათ ძვირფასი ადამიანი და დიდი გაცეცხებით მიაშობდნენ, თუ მომავალი
დიდი მეცნიერი როგორ უფრთხილდებოდა თავის მასალებს.

პირადად გავიცანი ივანე ჯავახიშვილი მაშინ, როცა საქ. საისტორიო და
საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დავიწყე მუშაობა. ივანე ჯავახიშვილი ზაფხუ-
ლის პირს ეწვეოდა ხოლმე თბილისს და ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარის
ექვთიმე თაყაიშვილისა და საზოგადოების მუზეუმის გამგის ალექსანდრე
სარაჯიშვილის თხოვნით საზოგადოების კრებებზე რაიმე მოხსენებას ან ლექ-
ციას წაიკითხავდა. პირველი შეხვედრა ჩემი და ივანესი ერთმანეთთან 1910
წლის ზაფხულის პირს მოხდა. 1910 წლიდან მოყოლებული ჩემს თვალთა
სარბიელს აღარ მოსცილებია ეს უაღრესად პატივისაღები ადამიანი. ექვთიმეცა
და ალექსანდრეც გაცილებით უფროსნი ხნოვანობით და უკვე დიდი დამსა-
ხურების მქონენი ჩვენი ქვეყნის კულტურულ ასპარეზზე, დიდი პატივისცე-
მით იხსენიებდნენ თავისზე გაცილებით უმცროს ივანეს. შეჰხაროდნენ.

მუდამ მზად ვიყავი ივანეს დავალებანი ამესრულებინა.

— უნდა შეგაწუხოთ, ბატონო იროდიონ! — მეტყოდა ხოლმე ყოველ-
თვის, როცა კი ჰსურდა, რომ გამეკეთებინა რაიმე მისთვის.

— მზად ვარ ყველაფერი გაგიკეთოთ-მეთქი, ვუუბნებოდი პასუხად.

ბედმა ივანეს წრის გარეშე მატარა. ის ჩემთვის უფრო შორიდან მოციმციმე ლამპარი იყო. ბედმა მე ის შორიდან მოციმციმე ლამპარი ჩამიქრულ ჩვენ მეცნიერებას კიდევ გამოუნგრია მთავარი ბურჯი, რომლის ახლანდელ ცვლას ბევრი დრო დასჭირდება.



საქართველოს მუზეუმში შევხვდით ერთმანეთს [იგულისხმება გიორგი ჩუბინაშვილი], როგორც თანამშრომლები. ის დირექტორის ნაცვალი, მე უნივერსიტეტის შენობიდან საქართველოს მუზეუმში გადაზიდული საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმისეული ქონების შემნახველი. ყველაფერს ჩემ გაკეთებულს იჭვენულად ვუცქერდი, ნდობა აღარ მაქვს ჩემი თავისა. ჩუბინაშვილთან ყოფნამ და მისმა რწმენამ გაააზრიანა ჩემი მუშაობის მსვლელობა. ექვსი წლითა ვარ მასზე უფროსი, მაგრამ მე ამას არ ვგრძნობ. ის ჩემთვის ხელმძღვანელიც არის და ამხანაგიც. დავუახლოვდი მე მას ანგარების გარეშე. ხელმძღვანელობასა და ამხანაგობას სხვასაც ისევე გაუწევს, როგორც მე, თუ კი დაინახა, რომ ეს სხვა საქმის გაკეთების მოსურნეა და უდიერი ქცევით მას გულს არ ააცრუებინებს. ჩვენ ქვეყანას, შეიძლება ითქვას, ორგანულად მოწყვეტილი წინაპრის აყრით, უცხო მხარეში გაზრდილი გიორგი, უცხო მხარის ნიადაგთან თითქოს შეგუებული დაბადებიდანვე, საქართველოს მოსიყვარულე შვილად დაუბრუნდა. ჩვენი ქვეყნის ძველი კულტურის შვილად იჩინა თავი. ჩვენი ქვეყნის ერთი იმ ცოტა მეცნიერთაგანია, რომელთა რიცხვის ზრდა თვალსაჩინოდ წინ წაადგმევიანებს ფეხს ქართული მატერიალური კულტურის სიძლიერის მხილებასა.

კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მიმკვიდრეობა*

ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწე კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე (ლიტ. ფსევდ.: К. Георгиевский, А. Седой, კ. მ. ეკაშვილი) დაიბადა 1866 წლის 12 აპრილს სოფ. ტობანიერში (ვანის რაიონი). 1940 წ. დაწერილ მისეულ „მოგონებანში“¹ ვკითხულობთ: „მშობლები ჩემნი იყვნენ დიაკონი (1867 წლის ივნისის 30 შემდეგ მღვდელი) მიხეილ დავითის ძე და ეკატერინე (ეკა) მამუჯა გოგორიშვილის ასული. მამაჩემს განათლება ჰქონდა მიღებული ჯრუჭის მონასტერში (მიტროპოლიტ დავით წერეთლის კარზე), იყო საუცხოოდ მცოდნე საეკლესიო წიგნებისა, მამათა ცხოვრებისა და საღვთო წერილისა (განსაკუთრებით ძველი აღთქმისა), იყო ტკბილად მგალობელი (მომღერალიც) და შეუდარებელი მოკამათე, რისთვისაც ფრიად პატივცემული იყო ქუთაისელ ებრაელთაგან: არა იშვიათად ნახავდით მას ქუთაისის „ბულვარში“ ადგილობრივ ებრაელთა შორის მჯდომარეს და გართულს ცხარე კამათში ძველი აღთქმის ამა თუ იმ დებულებათა გამო. ვარდაიცვალა 1882 წელს, ორმოცდაშვიდი წლისა...“

ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძის) რჩევით მშობლებმა კალისტრატე 1875 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1882 წ.) თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა სწავლა.

ეს სემინარია იმხანად საქართველოში ერთადერთი ღონიერი სასწავლებელი იყო: ქართულ ლიტერატურას და დიდაქტიკას თედო ჟორდანიას კითხულობდა, ღვთისმეტყველებას — დეკ. პაველ სვეტლოვი (შმდ. კიევის უნივერსიტეტის პროფესორი). „აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა თ. ჟორდანიას: — გვიამბობს ყოფილი შეგირდი² — სემინარიაში გადმოყვანისას (1883 წ.) პაველ ეგზარხოსს მიეცა მისთვის წინადადება — შეედგინა ქართული ენის პროგრამა... ეგზარხოსს პროგრამაში მთაწმიდელთა მოღვაწეობის შემდეგ გამოუტოვებია ყველაფერი გარდა რუსთველისა, გურამიშვილისა და ბარათაშვილისა... პირველ ხანებში ჩვენ ძალიან გვაკვირვებდა ჟორდანიას „უსისტემობა“, დაიწყებდა ის, მაგალითად, საუბარს გურამიშვილზე და მიაყოლებდა, — „რუსეთშივე მოღვაწეობდა ერთხანს ბესიკიო“ და გაგვიცნობდა იმ მწერალსაც; „ბარათაშვილის გარდაცვალებაზე ესა და ეს დაწერა ილიამ“ და ახლა ილიას ნაწერებზე დაიწყებდა საუბარს. მერე

* კალისტრატე ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ეკეელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა შეიძინა 1965 წელს და დამუშავდა უფროსი მეცნიერი თანაშრომლის ელ. აბრამიშვილის მიერ. წინამდებარე სტატიაც ძირითადად ამ არქივში წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობითაა შექმნილი.

¹ კ. ცინცაძე, ნაწყვეტები (მოგონებანი არა შორეულ წარსულიდან), ხელნაწ. ინსტ. კ. ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი № 109, ფ. 2 (ამ ფონდს ქვემოთ ყველგან ასე მივუთითებთ: კ. ცინცაძე...).

² კ. ცინცაძე, 109, ფ. 17—18.

მივხვდით, რომ „უსისტემაობა“ დიდი სისტემა იყო: „კონტრაბანდულად“ გვაცნობდა იმ მწერლებს, რომლებზედაც მას აღკრძალული ჰქონდა ხმის ატარება.³



ჰაბუკი გულისხმიერებით შეუდგა მეცადინეობას. იგი იყო წევრი ე. წ. „სალიტერატურო სლამოებისა“, რომლებიც სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლისა და წიგნთსაცავის გამგის, იოსებ მექანარიშვილის, ხელმძღვანელობით ეწყობოდა, და დრამატულ ჯგუფშიც კი მონაწილეობდა როგორც მსახიობი. მისმა სადებიუტო მხატვრულმა თარგმანებმა: „ნარკვევი“ და „არაჩვეულებრივი შურისძიება“⁴ კრიტიკოსთა (ა. ნებიერიძის, ჟურნ. „თეატრის“ რედაქტორის) მოწონება დაიმსახურა.

1888 წელს სემინარიის პედაგოგთა საბჭომ კალისტრატე ცინცაძე სახელმწიფო ხარჯით კიევის სასულიერო აკადემიაში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. უმაღლესმა სასწავლებელმა (სწავლობდა ისტორიის განყოფილებაზე) იგი მდიდარი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ცოდნით აღჭურვა (ფილოსოფიას დ. ი. ბოგდაშევისკი, შმდ. იმავე აკადემიის რექტორი და პროფესორი, კითხულობდა). მან საფუძვლიანად შეისწავლა კლასიკური ენები (ძველი ბერძნული და ლათინური) და სლავური, გაეცნო კულტურისა და ეროვნული ლიტურგიკის მიღწევებს (ლექტორი სახელგანთქმული ალექსი ათანასეს ძე დიმიტრიევსკი). კალისტრატე ცინცაძე, აკადემიის წარჩინებული მსმენელი, თავადაც ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას... 1888 წლის სექტემბერში რუსეთის სამოქალაქო ისტორიის პროფესორს, ვლადიმერ ზენონის ძე ზავიტნევიჩს, წაუკითხავს ლექცია რუსეთის დიდ მთავარ ვლადიმირზე და აღუნიშნავს: რუსეთის მთავარმა ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა ჯარი აჯანყების ჩასაქრობად... და აჯანყებულ ბარდა სკლიარუსის მხარეზე ქართველთა ჯარიც იბრძოდაო. „ველარ მოვითმინე — მოგვითხრობს კ. ცინცაძე⁴ — ქართველების მოღვაწეობის ასეთი შეფასება (გაზეპირებული მქონდა აკაკის „თორნიკე ერისთავი“ და ეს საკმარისად მიმაჩნდა ისტორიის „ცოდნისათვის“) და... მოვახსენე: „თქვენ ქართველები „ბუნტოვშიკის“ მომხრედ გამოიყვანეთ, სინამდვილეში კი ბიზანტიის ტახტი ქართველებმა გაამაგრესმეთქი“... პროფესორი შეკრთა, გაჩერდა და დამიწყო საუბარი... უვიცის გამბედაობით მივმართე: თქვენ არც კი გინსენებიათ თორნიკე ერისთავი, რომელმაც გადაარჩინა საფრთხეს სამეფო გვარეულობა და იმპერიის მთლიანობა მეთქი.

— მართალია, არ მიხსენებია, რადგან მას არ იხსენიებენ ჩემი წყაროები: იახნია და ასოლიკი, თქვა პროფესორმა...

— რაღა უცხო მწერლებს დაეყრდენით და ქართული წყაროები დასტოვებთ ყურადღების გარეშე?.. ფრანგული ხომ იცით: ჩვენს წიგნთსაცავებში რამდენიმე ცალია „ქართლის ცხოვრებისა“ ფრანგულ ენაზე-მეთქი.

— არ მქონია შემთხვევა გავცნობოდი „ქართლის ცხოვრებას“. ამის შემდეგ კი გავცნობი, თუ თქვენც დამეხმარებით... საკანდიდატო თხზულებას დაგაწერინებთ საქართველოს ისტორიიდან და თქვენი თხზულებიდან გავცნობი ქართულ წყაროებს...

³ ჟურნ. „თეატრი“, 1887, № 12 და № 13—14. გამოქვეყნებულია მთარგმნელის ხელმოუწერლად. იხ. კ. ცინცაძე, 97, ფ. 211.

⁴ კ. ცინცაძე, 109, ფ. 31—34.

1891 წლის გაზაფხულზე პროფ. ზავიტნევიჩის შეეტანა აკადემიის საბჭოში ჩემთვის მოსაცემად ასეთი თემა: „Давид Возобновитель как церковный и политический деятель“... მაგრამ რექტორატს არ დაემტკიცებინა... შემინებოდათ სიტყვისა „политический“...

არქეოლოგიის პროფ. ნ. ი. პეტროვის დავალებით კ. ცინცაძემ სტუდენტობისას შეისწავლა და დაამუშავა გოლიცინისეული ხელნაწერი დოკუმენტისა „Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию 1650—52 гг.“. ამ გამოკვლევით გასწორდა რიგი ტექსტუალური შეცდომა, რაც ხსენებული ძეგლის ადრინდელ გამოცემებს ახლდა. ნაწილი შრომისა („Библиографическая заметка“) დაიბეჭდა გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“ (კიევი, 1890, 21.IV.№ 1278). ამ წარმატების შედეგად პროფ. პეტროვმა, რომელიც აკადემიის არქეოლოგიურ მუზეუმსაც განაგებდა, მე-2 კურსის სტუდენტი თავის თანაშემწედ დანიშნა.

ნაშრომით „იბერიის ეკლესია სასანიდების პერიოდში (265—570)“⁶ (ხელმძღვანელი პროფ. ზავიტნევიჩი) კ. ცინცაძეს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. თხზულება განიხილავდა საქართველოს ეკლესიის ე. წ. ანტიოქიურ პერიოდს. ავტორი წინასიტყვაობით აღნიშნავდა, რომ „მიდის რისკზე“ და ნაშრომს მიზნად უსახავს, შეძლებისამებრ გამოავლინოს და სათანადო შეფასება მისცეს ქართულ ენაზე არსებულ ყველა დოკუმენტსა თუ საკითხთან დაკავშირებულ გამოკვლევას და, ამდენად, გააადვილოს ხსენებული ამოცანის გადაწყვეტა. დისერტანტი იქვე შენიშნავდა, რომ მისთვის კვლევის ობიექტად ვერ ვახდება ლაზიკის სამეფო, რადგან დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში VIII—IX საუკუნეებამდე საკუთრივ ქართული ელემენტი არ შეინიშნება. თხზულებაში საუბარი იყო ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის სადავო საკითხებზე, იბერია-ანტიოქია-სომხეთის საეკლესიო ურთიერთობაზე, ვახტანგ გორგასლის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, სირიელ მამათა მოღვაწეობასა და სამონასტრო ცხოვრების პირველ ნაბიჯებზე საქართველოში. ეს გამოკვლევა საუკეთესოდ ცნეს აკადემიის პროფესორებმა: ი. ი. მალინევესკიმ (რუსეთის ეკლესიის ისტორიის ლექტორმა) და ა. ა. ოლესნიცკიმ (იხ. ჟურნ. „მწყემსი“, 1892, № 13—14, გვ. 10—11).

1892 წლის აგვისტოში კ. ცინცაძე დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა სამსახურს. განაგებდა დიდუბის ღვთისმშობლისა და, 1903 წლიდან, ქაშვეთის წმ. გიორგის სამრევლოებს.

⁵ როგორც კ. ცინცაძე ვგავსებობს, იგი პირველად გამოუქვეყნებია რუს ისტორიკოს ნ. ნოვიკოვს (XVIII ს.), შემდეგ — ნ. ნიკოლაძეს 1888 წელს გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“. ამ ძეგლს ქართული მკითხველი გაეცნო მ. კელენჯერიძის რეფერატით, რომლის პირველი ნაწილი სათაურით: „იბერიეთი 1650 წელს“ დაიბეჭდა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ჟურნალ „განათილში“ (1913, № 1, გვ. 221—244). ავტორმა იქვე მიუთითა სტუდენტ კ. ცინცაძის ხსენებული შრომის ღირსებაზე, მკითხველთ რეფერატის ბოლომდე მიყვანა აღუთქვა, მაგრამ ჟურნალმა არსებობა ვერ გააგრძელა, აღნიშნული მიმოხილვაც დაუმთავრებელი დარჩა. ეგვიპტე დოკუმენტი მეცნიერულად კვლავ გამოსცა მ. პოლივექტოვმა („Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию“. 1926, გვ. 114—192). ქართულად თარგმნა და გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა ი. ცინცაძემ („აღლესი იველიეის 1650—1652 წწ. იბერიეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა“, თბ., 1969).

⁶ Иверская Церковь в период Сасанидов (265—570), кандидатское сочинение Каллистрата Цинцадзе, Киев, 1891—1892 учеб. год (შავი პირი, კ. ცინცაძე, 96).



1893 წელს გაზ. „ივერიაში“ (1893, № 152) გამოქვეყნდა მისი სტატია: „რომელს წელს მიიღეს ქრისტიანობა ქართველებმა?“. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურად 335 წელს უნდა შემოეღოთ, ხოლო წმ. ნინოს აღსასრული 340 წელსაა სავარაუდებელი. ეს გამოკვლევა ავტორს ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერას უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ, თუმცა კ. ცინცაძეს ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება არასდროს შეუწყვეტია, მისი მოღვაწეობის ძირითადი სარბიელი მაინც ეკლესია და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობა იყო.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ცხადი გახდა, რომ კ. ცინცაძე „თერგდალეულთა“ მემკვიდრე იყო. ამ თაობის ნაწილის მიერ წამოყენებული აზრი საქართველოს ხსნისა და ვადაჩენის შესახებ ახალი როდი იყო: XVII—XVIII სს-ში, ეროვნული განსაცდელის ქამს, ქართული კულტურის მოღვაწენი ცსწორედ ეროვნულ-ეკლესიურ მოტივზე ამახვილებდნენ ყურადღებას. 1893 წლის 25 აპრილს, მრევლის წინაშე პირველად გამოსვლისას, ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ეპიტაფიით⁷ კ. ცინცაძემ პოეტის სულისკვეთება საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური საზრისით განმარტა: აღიარა, რომ განსვენებულის გენია სამყაროში მთვლემარე ღვთიური საწყისის შემეცნებაა... ამ „საწყისთან“ ზიარების გზით საზოგადოების კათარზისი კი კ. ცინცაძემ მოღვაწეობის ქვაკუთხედად დასახა: „ვინაიდან — ქადაგებდა იგი — სარწმუნოება დასცა და ზნეობა დაამხო ცრუმეცნიერებამ და ცრუგანათლებამ, მეცნიერებამ და ჭეშმარიტმა განათლებამ უნდა კვლავ აღადგინოს ივინა“⁸. და, მართლაც, მისი მოღვაწეობის ვრცელ ვაზზე არ გადადგმულა რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერის სულიერი წინსვლისა, საკუთარი კვალი რომ არ დაეჩინა მას სიტყვითა თუ საქმით. იგი იყო საეკლესიო მუზეუმის მდივანი (1897—1921 წწ.), ქართული საღვთისმსახურო წიგნების შემასწორებელი კომისიის წევრი (1876—1917), მცხეთის ტაძრების აღორძინების კომიტეტის მდივანი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წევრი 1910 წლის ნოემბრამდე, ქართული ფილარმონიული საზოგადოების დამაარსებელთაგანი. წარგზავნილი იყო სამღვდელოების დეპუტატად თბილისის ქალაქის საბჭოში 1895—1903 და 1916—1917 წწ-ში; თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღებისათვის თათბირზე 1909 და 1916 წწ-ში; 1905 და 1917 წწ-ში კი პეტერბურგს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მოსავგარებლად.

„ბიბლიის ქართული თარგმანისა და საეკლესიო წიგნების შემასწორებელი კომიტეტი“, რომლის დამსახურება ეროვნული ფილოლოგიის წინაშე უღდავოა, გასული საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა. კ. ცინცაძემ ჩაასწორა ქართული „კონდაკის“ ბოლო (1884 და 1899 წწ). გამოცემები⁹.

საზოგადოების ნაწილი უარყოფითად შეეგება „კომიტეტის“ საქმიანობას¹⁰, რის გამოც კ. ცინცაძემ ჟურნ. „შინაურ საქმეებში“ (1909, № 36, 37)

7 კ. ცინცაძე, 97, ფ. 122—125. დაბეჭდილია: „საღვთისმეტყველო კრებული“ (საქართველოს საპატრიარქოსთან შიდამონხარების წესით გამოცემული, რეპინტონზე), 1980, № 2, გვ. 63—68; ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1981, № 1, გვ. 28—29.

8 კ. ცინცაძე, „სამწყსოში პირველად შესვლისა გამო“, გაზ. „ივერია“, 1904, № 7.

9 კ. ცინცაძე, 133. კ. ცინცაძისა და კ. კეკელიძის ამ თვალსაზრისით თანამშრომლობის ამსახველი მასალები იხ. კ. ცინცაძე, 98.

10 იხ. ჟურნ.: „შინაური საქმეები“, 1909, № 20; 1910, №№ 2, 3, 20; „განათლება“ 1912, № 1, 2—6; „სახალხო გაზეთი“, 1912, № 502; „Тифлисский Листок“, 1906, № 31; „Закавказье“, 1913, № 66, და სხ.

გამოაქვეყნა „მცირე შენიშვნა ბ. ხელის მხილების გამო“¹¹, სადაც აღნიშნავდა, რომ „ყურის შეჩვევა“ არაა საფუძველი, ხელი ავიღოთ მისი გასწორებაზე.



„კომიტეტმა“, დაბრკოლებათა მიუხედავად, გამოსცა: 1908 წელს კ. კეკელიძისა და კ. ცინცაძის რედაქტორობით ქართულ ენაზე პირველად „სამღვდელმთავრო კონდაკი“ (თარგმნილი სლავურიდან XVII—XVIII სს-ში); მისივე დახმარებით „ბრიტანიულ და უცხო ქვეყნის ბიბლიურმა საზოგადოებამ“ 1912 წელს გამოაქვეყნა „ახალი აღთქმა“¹²; 1915 წელს, ხსენებულ რედაქტორთა და არქ. პიროსის მიერ „პარაკლისი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოასა“¹³ (შედგენილი ძველ სავალობელთა კომპილაციით) და მოსკოვს — „კურთხევანი“ (გიორგი მთაწმინდლის რედაქციის მიხედვით), რომლის ორადორი ეგზემპლარი შემოგვრჩა¹⁴. ამავე „კურთხევანის“ გამოცემის საქმე კ. ცინცაძეს 1927 წელსაც უტვირთავს: „გაუმზადებია დასასტამბდ, მარამ... 1928 წელს მას საკათალიკოსო სინოდისათვის წარუდგენია ოდნავ შემოკლებულ-გამარტივებული რედაქცია „იოანე ოქროპირის წირვის წესისა“¹⁵. უნდა შევნიშნოთ, რომ „კომიტეტმა“, გარკვეული მიზეზების გამო, დასახული ამოცანები (მაგ. გამოეცა ანტონ კათალიკოსის რედაქციის „თვენსადღესასწაულო“) ნახევრადაც ვერ შეასრულა. კ. ცინცაძის პირად საარქივო ფონდში ამასთან დაკავშირებით საყურადღებო მასალებია დაცული: მის მიერ ჩასწორებული ეგზემპლარი „დავითნისა“, „ჟამნისა“ და სხვ.

თვალსაჩინოა კ. ცინცაძის პედაგოგიური მოღვაწეობა: ასწავლიდა საღმრთო რჯულს თბილისის სათავადაზნაურო და ვაჟთა პირველ გიმნაზიებში, ლევანდოვსკის კერძო გიმნაზიასა და თბილისის მასწავლებელ ქალთა სკოლაში. თანამშრომლობდა სასულიერო სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში. იღვწოდა განათლების კერების დაარსება-განმტკიცებისათვის: 1900 წლის 14 ოქტომბერს, ქართული გიმნაზიის ახალი შენობის საძირკველის ჩაყრისას, იგი ამ სიტყვებით მიესალმა საზოგადოებას: „დღეს ჩვენ საფუძველს ვდებთ იმ ტაძრისას, რომელმაც თავის ზღუდეთაგან უნდა გამოუშვას მეცნიერების ნათლით შემოსილნი, სარწმუნოების ფარით აღჭურვილნი და ზნეობრივის სიფაქიზით გაბრწყინებულნი ქართველი მამულიშვილები“¹⁶. კ. ცინცაძესთან

11 შტრ. არქ პ ი რ ო ს ი (კომისიის თავმჯდომარე), კ. ცინცაძე, კ. კეკელიძე და იუსტ. აბულაძე, კურთხევის დაბეჭდვის გამო ბ. ბ. კეთილმოხუტრის, ალ. ხახანაშვილისა და სხ. წერილების პასუხად, ჟურნ. „განათლება“, 1912. გამოცემულია ბროშურადაც. ვაღმობეჭდილია: კ. კეკელიძე, ეტიუდები..., XIII, 1974, გვ. 152—160. იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი (შემოკ. სექ) (1982, გვ. 149—151).

12 იხ. აკ. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბ., 1964, გვ. 74.

13 რედაქტორთა ვინაობა დავადასტურებ კ. ცინცაძის პირად არქივში (№ 117, გვ. 100).

14 ამის შესახებ გვამცნობს ამავე წიგნის სატიტულო ფურცელზე კ. ცინცაძის მინაწერი: „კურთხევანი ესე დაისტამბა... მოსკოვს 2000 ცალი, მაგრამ არცერთი ეგზემპლარი ჩვენში არ ჩამოსულა: პიტრიმე მიტროპოლიტს მოუსურვებია მისი გადათვლიერება, — შეეცდომა ხომ არ არის რაო, — მაგრამ დარჩენოდა დაუთვალაიერებელი. ამის გამო სინოდს ვერც ფასი განუსაზღვრავს და ვერც უღა გაუკეთებია ყდსამღვდელო პიტრიმის გადათვლიერების მოლოდინში. დაშადებული ფურცლები 1917 წელს მოისპო. დარჩა კორექტურული ფურცლები, რომელთაგან გამოვიდა ერთი ცალი სრული (ის გადავეცი პროფ. კ. ავაკელიძეს უნივერსიტეტის მუზეუმში დასაცავად), მეორე კი — დეფექტური — წინამდებარე“ (ამჟამად დაცულია საქართველოს საპატრიარქო ბიბლიოთეკაში). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე ზემოხსენებული გამოცემა (1915 წლისა) არაა შტანილი კ. კეკელიძის შრომათა სრულ ბიბლიოგრაფიაში (თბ., 1979).

15 იხ. კ. ცინცაძის განცხადება № 6508, კ. ცინცაძე, 67.

16 კ. ცინცაძის მიერ თქმული სიტყვა... იხ. კ. ცინცაძე, 97. ფ. 89—90. იხ. მისივე, მოგონება ნიკოლოზ ზებედეგს ძე ცხვედაძეზე, კ. ცინცაძე, 109.



ერთად განათლების ეს კერა დალოცეს ნ. ცხვედაძემ (გიმნაზიის დამაარსებელმა), ს. კლიაშვილმა (არქიტექტორმა), ე. თაყაიშვილმა და არ. ქუთათელაძემ. მათი იმედი გამართლდა... 1918 წლის 26 იანვარს, იმავე გიმნაზიის პერქვეშ უნივერსიტეტის დაარსების ზეიმზე, კ. ცინცაძემ ქართულ ინტელიგენციას სანატრელი დღე მიულოცა¹⁷. მისივე თაოსნობით 1904 წელს ჩამოყალიბდა „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ქალთა კომიტეტი“¹⁸, 1922 წლის 27 აპრილს გაიხსნა სამოძღვრო კურსები¹⁹ (იარსება 1923 წლის იანვრის 12-მდე, დირექტორის მოვალეობასაც თვით ასრულებდა). მანვე შეადგინა დამხმარე სახელმძღვანელო საღმრთო რჯულისათვის²⁰.

კ. ცინცაძე სწავლა-აღზრდის სულხან-საბა ორბელიანისა და ეპ. გაბრიელის²¹ მიერ ნაქადაგებ პრინციპს — გარკვეულ შემთხვევაში აღსაზრდელთა ფიზიკურ დასჯას (телесное наказание) — იწონებდა. ზოგმა პადავოგმა ექვის თვალთ შეხედა ამ მეთოდს: ილია ფერაძის აზრით²², ბავშვთა ფიზიკურ დასჯას „ბოლო უნდა მოელოს, როგორც ძველი დროის გადმონაშთს, კუთვნილს ქრისტიანობამდელი პედაგოგიკისა“. კ. ცინცაძემ კი აღნიშნა²³, რომ ბავშვთა დასჯა, გარკვეულ ვითარებასა და შემთხვევაში, მართებული მეთოდია: მისი საფუძველი და მიზანი ჰუმანური.

ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის საყურადღებოა კ. ცინცაძის ეპიტაფიები (დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები) ცნობილი მასწავლებლებისადმი²⁴: ლ. ბოცვაძისადმი, ნ. ცხვედაძისადმი, ა. ხახანაშვილისადმი, თ. ყორღანიასადმი, არ. ქუთათელაძისადმი, ი. გოგებაშვილისადმი და სხვ. ამგვარი გამოსვლებით იგი კოლეგების ცხოვრებისა და მოღვაწეობის არსებით მომენტებს აანალიზებდა. მოკლედ, მაგრამ ამომწურავად, საკითხის ღრმა ცოდნით, წარმოაჩენდა და განსაზღვრავდა მათს ადგილს, დამსახურებას ეროვნული კულტურის წინაშე.

კ. ცინცაძე მიესალმებოდა ყოველ ახალ ნაბიჯს, რაც ჩვენი ერის ესთეტიკური გაფაქიზებისათვის გადაიდგმებოდა: განმარტავდა ხელოვნების საფუძვლსა და საბოლოო მიზანს — ამოღებდა მის ზნეობრივ ავტორიტეტს საზოგადოების თვალში. მაგალითად: ადამიანი ბედნიერებისთვისააო გაჩენილი, — მიულოცა მან სცენის ოსტატებს ქართული თეატრის შენობის განახლება (ამჟ. რუსთაველის სახ. თეატრი) 1909 წ. — მაგრამ „მუშაობის დროს იგი იღლება და საჭიროებს ძალთა მოკრებას, მოსვენებას... და, აი, ამ საჭიროების დაკმაყოფილება თავსუდვია ხელოვნებას საზოგადოდ და თეატრსა კერძოდ. ხოლო, სამწუხაროდ, ხელოვნება ამ მოვალეობის აღსრულებას ხშირად გაურბის და ადამიანს... გარეგანის სიმშვენიერით შემკობილს, ძლიერი

17 „სიტყვა...“ იხ. ვახ. „საქართველო“, 1918, № 25. შდრ. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ლეწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1981, გვ. 253.
 18 „სიტყვები...“ იხ. კ. ცინცაძე, 97, ფ. 91—92; ჟურნ. „განათლება“, 1912, № 8.
 19 „სიტყვა...“ იხ. კ. ცინცაძე, 97, ფ. 88.
 20 კ. ცინცაძე, ლოცვანი და შემოკლებული კატეხიზმი, მეექვსე გამოცემა, თბ., 1914.
 21 იხ. Слова и речи Гавриила, епископоса Имеретинского, Кутаис, 1893-93. 440—444.
 22 Ил. Ферაძე, Мысли Пресвященного Гавриила, Епископа Имеретии, о воспитаний детей, по его проповедям, жри. „Духовный Вестник Грузинского Экзархата“, 1896, № 21. გვ. 16—24 და № 23—24, გვ. 9—26.
 23 К. Цинцадзе, Заметка..., жри. „Пастирь“, 1897, № 5—6, გვ. 5—6.
 24 კ. ცინცაძე, 97; „განათლება“, 1916, № 8—9; „შინაური საქმეები“, 1911, № 37; 1912, № 25 და სხვ.

საწამლავეთ სავსე ფილას აწვდის და თავს მართლულობს მით, რომ ცხოვრების სარკეა... ხელოვნებამ უნდა დაგვისურათხატოს ნამდვილი ცხოვრება და მისი მახინჯი მხარე, ქვენა გრძნობათა ბოზობრობა და მრავალგვართა ვნებათა ღელვა, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს უმაღლესი ზნეობრივი მოთხოვნილება: აეს უწოდოს ავი და კარგს — კარგი, რათა ხელოვნების ტაძართგან არ წარვიდეთ სახილ ჩვენდა წამბილწველ-გამათახსირებელ ოცნება-წარმოდგენებით აღვსილნი, არამედ განმხნევებულნი, აღფრთოვანებულნი და განმზადებულნი ბრძოლად ბოროტისა და შედგომად კეთილისა...“ („შინაური საქმეები“, 1909, № 5). კვალიფიციურ თეატრმცოდნედ გვევლინება იგი აგრეთვე „კონსტანტინე (კოტე) მესხის გარდაცვალების გამო“ წარმოთქმულ სიტყვაში²⁵: „... ჩვენი სცენის მოღვაწეთათვის ფრიალ სანუგეშო უნდა იყოს ამოდენა ხალხის თავის მოყრა იქ, სადაც ბევრისაგან ბევრი მსახიობს სცენაზე სთვლის საზოგადოების გამართობელ, გამამხიარულებელ არსებად, ხოლო სცენის გარეშე თითქოს უმწიკვლო ზნეობით შემკულის საზოგადოების არა-სრულფლებიან წევრადა. ნუ გუუცხოვებთ ეს სიტყვები, ვინაიდან ამგვარი შეხედულება სცენასა და მსახიობზე არ შეადგენს მართო ქართველთა საკუთრებას... როცა ქალაქ ქენევაში განიზრახეს სამუდამო სცენის დაარსება, წინააღმდეგი გახდა სხვათა შორის განთქმული ჟან ჟაკ რუსოც. ის სწერდა ერთ მეგობარს: თეატრიო, ადამიანს ვნებათა ღელვას უცხოველებს, აქებებს წუთიერის სიტყვობების განცდისათვის. ანებიერებს და უღვივებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას, ქვენა გრძნობათა. თეატრიო... თავშესაფარია უსაქმო პირთათვის, რომელთა დავიწყებით თავიანთი ვინაობა და მოვალეობა და არ იციან, რა უყონ თავისუფალ დროსო. სხვები, განსაკუთრებით მორალისტები, უფრო შორს მიდიან, ისინი სამუდამო სცენას საზოგადოების ზნეობრივ დამღუპველად თვლიან... რადგანაც თეატრი ადამიანს აჩვევს ძლიერ გრძნობათა განცდას და მიმდინარე ცხოვრების უკულმართობას ჩვეულებრივ მოვლენად არაცხვინებსო... საბედნიეროდ, სცენის საუკეთესო მოღვაწეთა მეცადინეობით, ეს შეხედულება ირყევა და ფხვს იკიდებს სხვაგვარი, — თეატრმა საზოგადოება უნდა გაართოს და, თანავე, უნდა აღზარდოს, ადამალოს, გააკეთილშობილოსო. ამ დიადი მიზნის მისაღწევად კი თეატრი მართლაც საუკეთესო იარაღი და საშუალებაა: ის თავის ზღუდეთა შორის ჰკრებს ყველა წოდებისა და ჰასაკის წარმომადგენელთ, აკავშირებს მათ სიყვარულისა, გინა მძულვარების ერთგვარად განცდის გრძნობითა და უღვიძებს შეგნებას ადამიანის მაღლის დანიშნულებისას... მართალია, მსახიობი სცენაზე ჩვენ გადმოგვეცემს არა თავის აზრსა, გვიხატავს სხვის მიერ შექმნილ სურათსა, მაგრამ ძლიერის მეტყველებით, მოძრაობით და მოქმედებით სულს უღვამს, სისხლსა და ხორცს ასხამს მწერლის ნაწარმოებსა; იგი ამ სახედ ჰქმნარტი გამგრძობი და დამამთავრებელია ავტორისა. მაგრამ სანამ მსახიობი ამ სიმაღლეს მიღწევდეს, თვით გაიზრდებოდეს, საჭიროა მისთვის ბევრი შრომა, დიდი გულმოდგინება და განუწყვეტელის სწავლის ხალისი...“

1908 წ. ზ. ფალიაშვილის, ზ. მირიანაშვილის, კ. ცინცაძისა და ა. თოთიბაძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა „ფილარმონიულ საზოგადოებას“²⁶, რომლის ბაზაზეც ი. წ. 2 ნოემბერს დაარსდა „სამუსიკო სკოლა“²⁷. კ. ცინცა-

25 კ. ცინცაძე, 97, ფ. 164—167.

26 კ. ცინცაძე, მოგონება ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილზე (დაწერილია ქ. ბ. პუზოლის თხოვნით); კ. ცინცაძე, 109. გამოქვეყნებულია სათაურით: „დიდი კომპოზიტორის შესახებ“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, № 10, გვ. 18—22.

27 „სიტყვა...“ იხ. „შინაური საქმეები“, 1908, № 30.

ძის თხოვნით ზ. ფალიაშვილმა 1909 წ. ნოტებზე გადაიღო „წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი“ (დაისტამბა მოსკოვს) და ქაშვეთის ეკლესიისათვის შეადგინა (1910 წ.) ოთხ ხმაზე მგალობელი, 25 ქალ-ვაჟისაგან შემდგარი, მუდმივი გუნდი²⁸. „ფილარმონიული საზოგადოების“ როლი ქართული ხალხური სიმღერა-საგალობლების შემოქმედებითად ათვისების თვალსაზრისით მეტად დიდია. მისი საქმიანობის დროულობა და არსებითი მხარე სამუსიკო სკოლის გახსნის დღეს კ. ცინცაძემ ასე განსაზღვრა: „... ადამიანის სულისა და გულის განმაფაჩიზებელის და განმაზნებელის მუსიკა-გალობა-სიმღერის შესწავლა ჩვენს დროსა და ჩვენს ხალხს ფრიად ესაჭიროება, ვინაითგან... საუბედუროდ, უმეტესობამ ჩვენს ქვეყანაში შეისისხლბორცა ერთგვარი მუსიკა-სიმღერა, რომელიც, სიტყვისაებრ ფსალმუნთმაგალობელისა, შეშვენის მხოლოდ მათ, ვიეთნიც სმიდეს ღვინოსა (68,13)...“

1894 წ. ეურნალში „Пастырь“ ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა კ. ცინცაძის სტატია „Автокефалия церкви Грузинской“²⁹, რამაც სტიმული მისცა ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ამავე დროს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკლესიის ისტორიის რიგი საკითხის შესასწავლად.

ახალგაზრდა მკვლევარმა გულმოდგინედ გამოიძია მსოფლიო საეკლესიო კრებათა აქტები, ბერძნული, სირიული თუ სომხური წყაროები და ქართულ მონაცემებთან მათი შედარების გზით შეეცადა გაერკვია საკითხთა რიგი. სახელდობრ: VI საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს კათალიკოსად ქართველთა დადგინება; VII საუკუნის დასაწყისში ქართველ კათალიკოსთა ქართლშივე ხელდასხმა, წმ. მირონის მცხეთას მოხარშვა და ამ ფაქტთა ოფიციალურად დადასტურება ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე (VIII ს.); ანტიოქიის პატრიარქისაგან საქართველოს ეკლესიის მუდმივ მეთვალყურედ იღუმენების წარმოგზავნა და მათი (იღუმენთა) დამოკიდებულება ქართველ იერარქებთან; მეღქმისდეკ კათალიკოსის მიერ თავის კათალიკოს-პატრიარქად გამოცხადება და ამ აქტის კანონიზება (XI ს.).

სინოდის ოფიციაში საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალიის სიმართლე არ დაიჯერა. ვ. სამუილოვი, სინოდის კანცელარიის ობერ-მდივანი, კ. ცინცაძის წიგნზე დაწერილ რეცენზიაში აცხადებდა: „Мы не можем согласиться с автором и в том, что в XI веке Иверской церкви была дарована полная автокефалия. Патриарх Антиохийский даровал и вторую автокефалию с обязательством помнить на службах Антиохийского первосвященителя и тем самым, так же, как и в VIII веке, недвусмысленно намекал, что патриарх Антиохийский и есть собственно духовный глава Грузинской церкви, а не автокефальный ея католикос“³⁰.

²⁸ ა. ჯორჯაძე, ქართული მუსიკის შესახებ, „სახალხო გაზეთი“, 1910, 27-X. № 142; მისივე, თხზულებანი, წიგნი მესამე, თბ., 1911, გვ. 34—35.

²⁹ მცირედი დამატებით ცალკე გამოცა: К. Цинцадзе, Автокефалия церкви Грузинской (исторический очерк IV—XI вв.), Тифлис, 1905. აღსანიშნავია, რომ მის პუბლიკაციას „ველიკორუსთა“ გულისწყრომა მოჰყოლია (арх. Никандр, Об автокефальности грузинской церкви, газ. „Кавказ“, 1905, № 148, 155). ვლადიმერ ეგზარქოსი რედაქტორს, დეკ. დ. ლამბაშიძეს, ეურნალის დახურვითა და გადასახლებით დამუქრებია... მხოლოდ პროფ.: ოლენსონი ცკის და მალოშევსკის, თხზულების რეცენზენტთა, „სახელგმა დაამშვიდეს განრისხებული მღვდელთმთავარი, გადაარჩინეს ზიფათს რედაქტორ-ვამომცემელი, რისხვა ავტორზე იქმნა ვადატანილო: რა დროს ავტოკეფალიაზე ლაპარაკიო“ — იხსენებს კ. ცინცაძე წიგნაკში „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის“ (მცირე შენიშვნა), 1943, გვ. 4—5 (რეზინგტონზე).

³⁰ Прибавление к журн. „Церковные Ведомости“, С.-Пб., 1906, № 5. მსგავს აზრს



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ არსებულ შრომათაგან ყველაზე კვალიფიციურად უნდა ჩაითვალოს კ. ცინცაძის მონოგრაფია „Историческая справка по вопросу об автокефальности грузинской церкви“ (Тиф. 1906 г.), თუმცა მისი ზოგი კონცეფცია ისტორიის თანამედროვე სპეციალისტთაგან სადავოდაა მიჩნეული. ავტორმა ვ. სამუილოვის რეცენზიის შესახებ აღნიშნა: თვალსაზრისი, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის (1053—1057) მიერ ქართველთადმი ბოძებული ავტოკეფალია თითქოს მხოლოდ კათალიკოსთა ქართლშივე (მცხეთას) ხელდასხმით ამოიწურებოდა, ემყარება ბიზანტიელი ბერის, გიორგი კედრენის (XI ს.) თხზულებას და ოდნავადაც არ ითვალისწინებს ქართულსა და თვით სირიულ მასალებს, რომელთა მხედველობაში მიღებით აშკარა ხდება, რომ კედრენი ერთმანეთში ურევს VIII და XI სს-ის ამბებს (იხ. გვ. 9—15). კ. ცინცაძე ანტიოქიელი მწერალ-ისტორიკოსების: ბერი ეფრემის (XI ს.), მღვდელმონაზონ ნიკონ შავთელის (XI ს), კანონისტ პატრიარქ ბალსამონის (XII ს), პატრიარქ მაკარის (XVII ს), არაბი მღვდლის მ. ბრეკისა (XVIII ს) და სხვ. ცნობების მეცნიერულად გაანალიზების შემდეგ შეეცადა აღედგინა ანტიოქიის ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილებანი: „VIII საუკუნეში პატრიარქ ფეოფილაქტეს მიერ მოწვეული საეკლესიო კრების ძალით ქართველებმა ანტიოქიის საპატრიარქო ტახტისაგან მიიღეს ავტოკეფალია... იმ უფლებით, რომ ადგილობრივ კრებაზე თანამემამულე ეპისკოპოსთაგან ამოერჩიათ და ეკურთხებიანთ კათალიკოსი. ამასთანავე ეს ავტოკეფალია მათ აუცილებელ პირობათა გამო ებოძათ: აგარიანებმა გადაკეტეს გზა და თავისუფლად არვის ატარებდნენ მასზე“ (გვ. 8). მეორემ, ანალოგიურმა კრებამ — ანტიოქიის პატრიარქ პეტრე მესამის თაოსნობით შემდგარმა 1053 წელს — მოისმინა მცხეთას წარგზავნილი ეგზარქოსის, ვასილი გრამატიკოსის, მოხსენება, რომ ივერიის მამათმთავარმა თავი კათოლიკოს-პატრიარქად აღიარა, გაერთიანებულსა და დამოუკიდებელ საქართველოს სამეფოს მართლაც შეჭვერის მწყემსმთავრობდეს პატრიარქი და რომ; წინააღმდეგ იღუმენისეული ბრალდებისა, ივერიელი კათოლიკოს-პატრიარქი არანაირი წვალებისაყენ არ მიქცეულა. გიორგი მთაწმიდელის მიერ კრებაზე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ უფრო ნათელი გახდა, რომ საეკლესიო-კანონიკური თვალსაზრისით საქართველოს ეკლესია ღირსია სრული ავტოკეფალიისა (გვ. 90—95).

ამ გამოკვლევამ სპეციალისტთა სამართლიანი ყურადღება დაიმსახურა³¹. 1925 წლის 31 ოქტომბერს კ. ცინცაძე ეპისკოპოსად აკურთხეს. 1932 წლის 22 ივნისს კი კათოლიკოს-პატრიარქად... ამასთანავე, იგი მაინც განაგრძობდა საზოგადოებრივსა და მეცნიერულ მოღვაწეობას. მისი დამსახურება განსაკუთრებულია საქართველოს ეკლესიის შინაურ პრობლემათა მოგვარებასა³² და განახლებული ავტოკეფალიის (1917 წ. მარტი) საერთაშორისო რა-

ავითარებდა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი დეკ. ტ. ბუტკევიჩი. იხ. К. Кекелидзе, К. Цинцадзе, С. Горгадзе, Открытое письмо к прот. Т. Буткевичу, გაზ. „С.-Петербургские Ведомости“, 1906, 17.XII, № 279, აღმობეჭდილია: კ. კეკელიძე, ეტიუდები... XIII, 1974, გვ. 177—179.

³¹ იხ. ა. ხახანაშვილის რეცენზია გაზ. „Закавказье“, 1906, 20.XII. № 1; „Исторический Вестник“, С.-Пб, 1907, № 1, გვ. 709—710.

³² კ. ცინცაძე, რა საშვალებით უნდა დაკმაყოფილდეს საქართველოს ეკლესიის საჭიროებანი? გაზ. „საქართველო“, 1920, № 70. კ. ცინცაძე ავითარებდა საქართველოს ეკლესიის ტერატორიულ (არა მხოლოდ ეროვნული) ავტოკეფალიის იდეას. იხ. К. Георгиевский, Недоуменные вопросы по поводу Грузинской церковной автокефалии, газ.

ტიფიკაციის საქმეში. მან ამხილა ყურნ. „ცერკოვნოე ვედომოსტისეული“ (1919, № 7, დამატება) მონაპორი ქართველთა „სეპარატიზმსა“ თუ „ნაციონალიზმსა“ ლიზმზე“ — ვინმე „преосвященный архипастыр“-ის მიერ შეთხზული ეპისტოლების სიყალბე³³; საკათალიკოსო საბჭოს მინდობილობით შეადგინა ეპისტოლენი რუსეთისა³⁴ და კონსტანტინოპოლის³⁵ პატრიარქებისადმი, რომელთა მეცნიერული მნიშვნელობა უდავოა. მისი წინამძღვრობით საქართველოს საპატრიარქომ კავშირი დამყარა სხვა ორთოდოქსულ ეკლესიებთან და აღადგინა ურთიერთობა რუსეთის საპატრიარქოსთან³⁶.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კ. ცინცაძე ანტიფაშისტური ძალების მხარეზე იდგა: ფრონტისათვის სახელმწიფო ბანკში გახსნილი იყო მისი პირადი ანგარიში (№ 350022). პრესის საშუალებითა თუ საუბრებით მოხუცი კათალიკოსი ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა, რისთვისაც საბჭოთა მთავრობამ და პირადად ი. ბ. სტალინმა მადლობა გამოუცხადეს³⁷. ომის შემდგომაც იგი მონაწილეობდა მშვიდობის ფორუმებში (მოსკოვი 1948 და 1951 წწ.). ამ თემაზე მიმოწერა ჰქონდა უილიამ კინგთან, ყოზეფ რაიტთან და ომის საწინააღმდეგო მოძრაობის სხვა წარმომადგენლებთან³⁸.

კ. ცინცაძეს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული ისტორიული პროვინციების მოსახლეობისა და კულტურის ძეგლების საკითხი. წერილში „საქართველოს საკათალიკოსოს ზემო ქართლის ეპარქიებისათვის“³⁹ მან წარმოვედგინა „ზემო ქართლის“ სახელით ცნობილ ტერიტორიაზე ისტორიულად არსებულ ეპარქიათა სრული სია: ალაშკერტის, ანჩის, ბანის, დადაშენის, ერუშეთის, იშხანის, კარის, სატრაფელას, ტბეთის, წურწყაბისა და წყაროსთავისა, რაც უდრის ახლანდელი ოსმალეთის ოლქებს: ათონს, ალაშკერტს, ართვინს, არტანს, ბასიანს, გუმბრისს, თორთომს, ისპირს, კისკომს, ოლთისს, რიზეს, ყარსს, ყალზევანს და ხოფს, მეტწილად მუსლიმანი ქართველებით დასახლებულს. „ეს ის მხარეა — აღნიშნავდა იგი, — სადაც დაირწა აკვანი ქართული კულტურული ცხოვრებისა და სადაც ყველაზე ადრე შეიგნეს აუცილებლობა პოლიტიკურად გაერთიანებისა ცალ-ცალკე დაყოფილი საქართველოსი“.

კ. ცინცაძემ დიდი ამაგი დასდო ჩვენს ისტორიულ ძეგლებსა და სიძველეთსაცავეს. მისი მცდელობით გააუქმეს პროექტი, რომელიც სიონის მიღამოების თანამედროვე სტილში რეკონსტრუქციას ისახავდა მიზნად⁴⁰.

„Возрождение“, 1917, № 88; А. Седой, Письмо в редакцию, „Петербургские Ведомости“, 1917, № 93.

³³ К. Георгиевский, По поводу архипастырского подлога, газ. „Грузия“, 1921, I, II, № 5.

³⁴ გამოცემა წინააღმდეგ: Послание Святейшего Леониды, Католикоса-патриарха всей Грузии, к Святейшему Тихону, Патриарху Московскому и всея России, Тиф. 1920.

³⁵ კ. ცინცაძე, 97, გვ. 363—372.

³⁶ იხ. ყურნ. „ჯვარი ვახისა“, პარიზი, 1934, № 4, გვ. 3—4; „Журнал Московской Патриархии“, М., 1944, № 3, გვ. 13—19.

³⁷ „იზვესტია“, 1942, 7.XI. № 263; „პრავდა“, 1942, 7.XI. № 311, „კომუნისტი“, 1943, 3.II, № 27; 1944, V, 16, № 98. კ. ცინცაძე, 144.

³⁸ კ. ცინცაძის სიტყვა მშვიდობისმომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციაზე. იხ. „ЖМП“ 1951, № 12, გვ. 18—19. კ. ცინცაძე, 164, 165, 171.

³⁹ კ. ცინცაძე, 125.

⁴⁰ იხ. აგრეთვე მისივე „Заметка“ გაზ.: „რაბოჩაია პრავდასა“ (1930, 7.VIII, № 210) და „კომუნისტი“ (1930, 14.VIII, № 189) გამოქვეყნებული პროექტისადმი ქაშვეტის არარელიგიური მიზნით გადაკეთების შესახებ, კ. ცინცაძე, 104.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია კ. ცინცაძის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე ხელნაწერების მოპოვების თვალსაზრისით: „ეცევი ექსპრესის“ (1858—1877 წწ.) — ვკითხულობთ მის „მოგონებანში“⁴¹ — შეემჩნია, რომ მღვდლები ხელნაწერების საშვალებით ღვთისმსახურების შესრულების დროს „ბორძიობდნენ“, რის გამო გაცეა ბრძანება, — ხელნაწერები ჩამოეტანათ ტფილისში და მათ მაგიერ დაეგზავნათ დასტამბული წიგნები. ხელნაწერებს მოუყარეს თავი სემინარიის ეზოში და... შეუკეთეს ცეცხლი. როგორცაღა გადარჩენოდათ ერთი უზარმაზარი წიგნი, შეეხვიათ ტილოში და მოეტანათ სემინარიის წიგნთსაცავის ისეთ კუთხეში, სადაც ყრიდნენ მოწაფეების მიერ ნახმარ დაგლეჯილ-დაფეთილი სახელმძღვანელოებს“. 1884 წლის ზაფხულს, ბიბლიოთეკარის — ივან მათეს ძე გორტინსკის თანაშემწედ მუშაობისას, კ. ცინცაძეს დასაწვავად გამოაღებულ ამგვარ „სახელმძღვანელოებს“ შორის შეუნიშნავს „ტყავზე ასომთავრულით დაწერილი, უსათაურო, უბოლოო, შუაფურცლებ ამოგლეჯილი და დაშლილყდიანი წიგნი“, რომელიც თ. ჟორდანიასათვის უჩვენებია. უკანასკნელს იგი VIII—IX სს-ით დაუთარიღებია და „სვანური ხელნაწერი“ (მრავალთავი) დაურქმევია (Ф. Жордания, Описание... № 19)... გარდა ამისა, 1928 წელს კ. ცინცაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს შესწირა რამდენიმე ხელნაწერი (ხელნაწ. ინსტ. A ფონდის №№ 1064, 1291, 1737, 1738, 1739).

კ. ცინცაძე გამუდმებით თვალყურს ადევნებდა მშობლიური მეცნიერების წინსვლას და არაერთხელ გაუწევია სამსახური საფუძვლიანი შენიშვნებით, სამეცნიერო სესიებზე გამოსვლებითა და კონსულტაციებით. მის ყველა გამოკვლევას აჩნია ავტორის ზნეობრივი პოზიცია — უანგაროდ, საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით დაეხმაროს სპეციალისტებს შეუსწავლელ-გადაუჭრელ საკითხებზე მუშაობისას. ამ მიზნითაა შექმნილი მისი არაერთი მონოგრაფია, რომელთა უმრავლესობას „კ. მ. ეკაშვილის“ ფსევდონიმით აწერს ხელს. მათ გამოქვეყნებას კი ვერ მოესწრო.

1925 წელს კ. ცინცაძემ უნივერსიტეტის ხელნაწერთა (ყოფილ საეკლესიო მუზეუმის) №№ 9, 76 და 124 ნუსხათა მიხედვით გამოსაცემად მოამზადა „დიდი სჯულისკანონის“ ფუნდამენტური ნაწილი „კანონნი წმიდათა მოციქულთანი“⁴². გამოცემას საფუძვლად დაუდო უძველესი ხელნაწერი № 124 (XI ს.). ვარიანტული სხვაობანი აღნუსხა, ბერძნულ დედანთან შეაჯერა (ცვლილებები ტექსტშივე სათანადო ნიშნების დასმით წარმოაჩინა) და ლექსიკონიც დაურთო. საყურადღებოა ამ ძეგლის შესახებ მის მიერ გამოთქმული შემდეგი თვალსაზრისი: „მოციქულთა კანონი... ეს უძველესი კოდექსი ქრისტიანულ-კანონიკური შემეცნებისა წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურის აყვავების დროის ძეგლს — თარგმანს და დიდი ყურადღების ღირსია, როგორც ისტორიკოსების, ისე ენათმეცნიერების მხრივ. მით უფრო ყურადსაღებია იგი კანონისტ-იურისტებისათვის. არსენ იყალთოელს კი არ უთარგმნია მხოლოდ, არამედ შეუტანია შიგ თვალსაჩინო ცვლილებანი თუ განმარტებანი, შეუფარდებია თანამემამულეთა ცხოვრებასთან, და, ამ სახედ, მიუცია მათთვის ადგილობრივი ელფერი...“ (ხაზი ჩვენია — ნ. პ.). ამ თავისებურებათაგან რამდენიმე ნი-

41 კ. ცინცაძე, 109, ფ. 123—125.

42 მ. კ. ც. კანონნი წმიდათა მოციქულთანი, მეტერთმეტე საუკუნის თარგმანის გამოცემა შენიშვნებით, ტფ., 1926. (ლიტოგრაფი, კ. ცინცაძე, 101), ეგვე გამოცემა (მეცნიერული აპარტის გარეშე) გადაბეჭდილია სეკ-ში 1976 წლისათვის, გვ. 43—67.

მუშზე (კანონი 5, 19, 20, 21, 34) სათანადო კომენტარებით გამოძეგმულმა იქვე მიუთითა.



გამოკვლევის, „ნიკიფორე ირბაქის ვინაობისათვის“ (ქართული წიგნის 300 წლის იუბილეს გამო, 1929 წ.)⁴³, თავის დროზე გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მის პუბლიკაციას დღესაც ექნება გარკვეული მნიშვნელობა... კ. ცინცაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა დასაბუთა, რომ პიროვნება, ვინც აზიარა ქართული ანბანი იოანე პუტენბერგის გამოგონებას იყო იერუსალიმის ქართული მონასტრის წინამძღვარი, ნიკიფორე, რომელიც შემდგომ ეპისკოპოსის ხარისხით შეიშოსა. როგორც კ. ცინცაძე აღნიშნავს, თეიმურაზ პირველმა 1626 წელს სწორედ ის წარგზავნა ელჩად ევროპაში, სადაც მან სტეფანე პაოლინის ხელი გაუმართა „ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე“ მუშაობისას... იერუსალიმის ქართული მონასტრის იმდროინდელ (მე-17 ს. პირველი ნახევრის) დოკუმენტებზე დაკვირვებამ, ქართველ მემბატთან და კათოლიკე მისიონერთა ცნობებმა, ხსენებული ლექსიკონის გაანალიზებამ მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნიკიფორე ირბაქი იგივე ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილია⁴⁴ („ირბაქი“ ანუ „ირბახი“, ჩოლუბაქიძის) იტალიური სახეცვლილება): „ნიკიფორე ირბაქი არის კახი, ჩოლოყაშვილი, ომანის ძე, ჯვრის მამა, გოლგოთის იღუმენი, ბრძენი, ფილოსოფოსი, რიტორი, შვიდი ენის მცოდნე“. მკვლევარი არ იზიარებს მ. თამარაშვილისა და სხვათა გავრცელებულ თვალსაზრისს ნიკიფორე ირბაქის გაკათოლიკების თაობაზე და საფუძვლიანად ფიქრობს, რომ ეპისკოპოს ნიკიფორეს, რომელიც, როგორც ჩანს, იმედროულად იღუმენის მოვალეობას ასრულებდა გოლგოთას ქართულ მონასტერში, არასდროს უღიარებია პაპობი.

კ. ცინცაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისტორიულ-არქეოლოგიურ შრომებს „ქვაშვეთის“ ეკლესიის შესახებ. 1918 წელს ქაშვეთის სამრევლო საბჭოს მიუმართავს თხოვნით წინამძღვრისათვის — კ. ცინცაძისათვის, დაეწერა ამ ეკლესიისა და მისი მრევლის თავგადასავალი. კ. ცინცაძესაც 1927—30 წლებში შეუდგენია 386 გვერდიანი მონოგრაფია სათაურით: „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“⁴⁵. ამ შრომაში თავმოყრილი და გაანალიზებულია საკითხის ირგვლივ არსებული ყოველგვარი მასალა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ქრისტეფორე თბილელის, ანტონ პირველი და ანტონ მეორე კათალიკოსების, ვარლამ მიტროპოლიტისა და სხვათა სიგელ-გუჯრებს, რომელთათვისაც მას ნ. არჯევანიძის ოჯახში მიუკვლევია. მკვლევარმა გამოავლინა თბილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ადგილას სამი ტაძრის არსებობის ფაქტი: პირველ ტაძრად უნდა ჩაითვალოს 1864 წელს საბოლოოდ დანგრეულ-დაქცეული რიყის ქვისაგან ნაგები ტაძარი, ვინაიდან მასზე აღრინდელი ტაძრის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს; მეორე ტაძარი (ჯვრის ტიპისა, გუმბათოვანი) პირველი ტაძრის გვერდით აუგიათ 1753 წელს ფილიპე დეკანოზისა და გივი ამილახორის თაოსნობით. 1755 წელს ეს ტაძარი მოუხატავს ნიკოლოზ აფხაზს, მაგრამ 1810—17 წლებში ვენერალ ტორმასოვს „შეუკეთებ-გაუმშვენებია“ იგი და აღნიშნული მხატვრობაც წაუშლიათ; მესამე ტაძარ-

⁴³ კ. ცინცაძე, 127.

⁴⁴ შტრ. კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი — ინიციატორი ქართული სტამბისა რომში, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წგ. 1, 1935, გვ. 135—155; ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 71—80.

⁴⁵ კ. ცინცაძე, 117. ხელნაწერი დაცულია აგრეთვე ხელოვნების ინსტიტუტში. იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801—1917, ტ. II, თბ., 1963, გვ. 87—89.

რი, ამჟამინდელი, არქიტექტორ ლ. ბილველდის მიერ შემუშავებული გეგმით 1904—10 წლებში აღუმართავთ ძველი — უკვე სერიოზულად დაზარალებული და დანგრევის პირამდე მისული — შენობის ალგას.

აღნიშნულ შრომაში ფრიად საყურადღებოა მსჯელობა ტოპონიმ „ქვაშვეთის“ შესახებ (გვ. 5—12). ავტორი ამ სახელწოდებით 15-მდე სალოცავს აღდატურებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და გამოთქვამს აზრს, რომ „ქვაშვეთის“ („ქაშუეთის“, „ქაშვეთის“) ეტიმოლოგია უნდა აიხსნას იმ ცნობილი გადმოცემით, რომელიც „დავით გარეჯელისადმი მიძღვნილ საცისკრო კანონშიც კია ხსენებული“ (ე. ი. „ქვაშვეთი“ < „ქვა შვა“). „ქვაშვეთობა“ და მისი მენელსაცხებელთა დედათა კვირიაკეს დღესასწაულობა — ამბობს მკვლევარი — ვაგრცლებულია იქიდან, სადაც დაეღო საფუძველი „ქვაშვეთობას“, ე. ი. ტფილისიდან. ხოლო „ქვაშვეთობის“ წმ. გიორგის ტაძრებთან დაკავშირება კი გვაძლევს საბუთს, ვთქვათ გადაჭრით: გარეთუნის (ასე უწოდებდნენ ძველად ავადგილს) „მონასტრის“ ტაძარიც წმ. გიორგის სახელობაზე იყო აშენებული...“ ტოპონიმ „ქვაშვეთის“ წარმომავლობაზე მეცნიერებაში განსხვავებული აზრიც არსებობს⁴⁶, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კ. ცინცაძისეული ვარაუდები: მაგ. თბილისის ძველ „გარეთუნაში“ V—VI სს-ში ე. წ. „მოსენაკეთა“ არსებობის შესაძლებლობა (გადმოცემაში თქმული „მონასტერი“ ხომ არ უდრის „მოსენაკეთა“ საზოგადოებას?), ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში „მოსენაკობის“ კვლის დადასტურება და სხვა. ამავე შრომაში ავტორი შეეხო ქვაშვეთის ტაძრის სამხედრო-სტრატეგიულ დანიშნულებას, მის კულტურულ-საგანმანათლებლო როლს და, ამასთან დაკავშირებით, მრავალი ისტორიული დოკუმენტი თუ პიროვნება აქცია მან მეცნიერული კვლევა-ძიების საგნად. გივი ამილახორის (XVII—XVIII სს.) ცხოვრების მიმოხილვისას (შენიშვნა 24, გვ. 179—201) გულდასმით შეისწავლა „ამილახორიანთ საგვარეულოს ისტორიული გუჯრები“. გამოარკვია, რომ გივი ყოფილა ცნობილი იოთამ ზედგინიძის (XV ს.) შთამომავალი, ანდუყაფარ ამილახორის ძე... იგი ფრიად დაწინაურებულა ირანის სამეფო კარზე. უომნია ინდოეთსა და ავღანეთში. მას აუშენებია ქვაშვეთის ეკლესია, განუახლებია შიომღვიმის მონასტერი და თბილისის ბეთლემის (ფეთხაიძის) ტაძარი, გადაურჩენია მეჩეთად გადაკეთებისაგან თბილისის სიონი და განუახლებია „სვეტიცხოველის“ სამი კოშკი... საყურადღებოა აგრეთვე შენიშვნები კაბენის ეკლესია-მონასტერზე (XII ს. მდებარეობდა კოჯრის სამხრეთ-აღმოსავლეთით), რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩამოქცეულა საეგზარქოსოს უყურადღებობის გამო (შენ. 139, გვ. 254—5); ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე (შენ. 150, გვ. 259—64); დიდუბის ეკლესიასა და სამრევლოზე (შენ. 231, გვ. 329—55).

შრომა „Иверския церкви чинь хиротоний“⁴⁷ გულისხმობს მიტროპოლიტად კურთხევის წესს. ეს წესი ქართული ძველი პრაქტიკის ვათვალისწინებით დეკ. ანტონ თოთიბაძეს შეუდგენია (სამწუხაროდ, არ ვიცით, რა წყაროთი უსარგებლია მას). 1935 თუ 1936 წელს უკრაინის პრიმასს, პიმენ მიტროპოლიტს (პეგოვს) კ.პ. კალისტრატესათვის მიუმართავს თხოვნით, მიეწოდებინა მისთვის საქართველოს ეკლესიაში მიღებული წესი მიტროპოლიტად ან მთავარეპისკოპოსად ხელდასხმისა. კათალიკოსსა და პროტობრესვიტერ იოანე სმირნოვს თავსუდევრად ეს საქმე: გულდასმით გასცნობიან ა. თოთიბაძისეულ შრომას, ჩაუსწორებიათ, შეუვსიათ ახალი მასალით, უთარგმნიათ

⁴⁶ შდრ. ავ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 365—368.

⁴⁷ კ. ცინცაძე, 112.

სლავურად და გაუგზავნიათ პეგოვისათვის, რომელსაც იგი ხმარებაში მოუღია, როგორც Чинь Иверския церкви. წინასიტყვაში (დაწერილი 1941 წლის 10 აპრილს) კ. ცინცაძე აღნიშნავს: „შესატყვისი ქართული ტექსტი ჩაბარებული ჰქონდა სიონის უკანასკნელ კანდელას და ჯერ ვერ მიპოვნია“—ო. მართლაც, მისი დაკარგვა ქართული ლიტურგიის ისტორიაში სიციარელეს ანებს, მით უფრო, რომ მოგვეპოვება გამოცემა წესებისა⁴⁸: „ეპისკოპოსის ხელდასმასა ზედა“ (ანტონ პირველის რედაქციის მიხედვით) და „კურთხევა და საყდრად აღყვანება კათალიკოსისა“ (X ს. ევქლოგიონის ტრაბლიცით).

გამოკვლევაში „ქართული ოდიკისათვის“⁴⁹ (1942 წ.) განხილულია რაობა ტერმინისა (θῆσς + οἰκίᾱς—ოდიკი)⁵⁰, მისი ისტორია, საერთოდ, და, კერძოდ, ქართლისა. მკვლევარი დაწვრილებით აღწერს ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ოდიკებსა და აღნიშნავს, რომ ხელნაკეთი ჩვენამდე არ მოუღწევიათ (ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩვენ არ გვინახავს), ხოლო ნაბეჭდოვან შვიდი რედაქცია უნდა განვასხვაოთ: I დაბეჭდილია 1707 წ. (ვახტანგ მეექვსისეული); II — 1740 წ. (კათალიკოს დომენტისეული); III — 1747 წ. (ანტონ I-სეული); IV — 1768 წ. მოსკოვში (მიტრ. ათანასისეული); V — 1815 წ. საჩხერეში (მიტრ. დავითისეული); VI — 1822 წ. საჩხერეში (მთავარეპისკოპოს სოფრონისეული); VII — 1822 წ. მარტვირში (მიტრ. ბესარიონისეული). აქვე დადგენილია ქართული ორიგინალური ოდიკის არქეტიპი, რომელიც 1917 წელს კ. ცინცაძემ და პ. კარბელაშვილმა საფუძვლად დაუდეს ახალი, ეროვნული ოდიკის მაკეტს (დაბეჭდა 1925 წ. იენისში).

ეს ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა აღნიშნულ თემაზე. ბევრი აქტუალური პრობლემა წამოჭრილი მასში: მაგ. 1707 წელს დაშვადებული ოდიკის ქართული წარწერა პირადად ხომ არ არის ვახტანგ VI სტამბისა? რას წარმოადგენდა სოფ. მარტვირის სტამბა? და სხვ. გამოკვლევაზე დართულ შენიშვნებში განხილულია აგრეთვე იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოზისა (შენ. 1), ანთიმოზ ივერიელისა და გაბრიელ ქართველისა, ერისთოს (საბერძნეთი) ეპისკოპოსისა, დას. საქართველოს კათალიკოს მაქსიმე ნიუარაძისა, მიტრ. დავით წერეთლისა და მთ. ეპისკოპოს სოფრონ წულუკიძის თუ სხვათა მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები.

კ. ცინცაძის რუსთველოლოგიურ შრომათაგან გამოკვეყნებულია ძირითადი — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის“⁵¹. ავტორის

⁴⁸ წესი, რომელი იქმნების ხელდასმასა ზედა ეპისკოპოსისა, კ. კეკელიძის წინასიტყვაობით, თბ., 1917.

⁴⁹ კ. ცინცაძე, 119.

⁵⁰ შდრ. X ს. ქართულ ევქლოგიონს: „...კურთხევა ოდიკისა, რომელ არს სა/მ/გზაური მიმოსაღებელი საკურთხეველი“ („Древнегрузинский Архидиакон“, 1912, გვ. რლე). განსხვავებული წარმომავლობისა ამ საგნის ბერძნული (და რუსული) ტერმინი *ἀντιμίσαιος*: *ἀντί* + *μίσαιος* (<mensa ლათ.), ე. ი. მაგიდის, ტრაპეზის მაგიერი. იხ. К. Никольский, Об антиμисаих православной русской церкви, С.-Петербург, 1872, გვ. 2—5.

⁵¹ კ. ეკაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის, კრებულში: „შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, თბ., გვ. 227—274. ხელნაწ.: კ. ცინცაძე, 105. აღსანიშნავია, რომ ქართველ მეცნიერებს ამ შრომის პუბლიკაციის სურვილი იმთავითვე გაჩენიათ. მიხ. ზანდუკელი ერთ პირად წერილში (21.X.37) კ. ცინცაძეს ამცნობს: „...თქვენი ნაკვლევი საგულისხმეირთა და, ვფიქრობ, მეტად საჭიროც, რომ დაიბეჭდოს. ამ თვალსაზრისით, რომლითაც თქვენ უღებდით, არავის უცდია. ამასთან თქვენი საგულისხმეირთა მასალიდან, განსაკუთრებით სასულეოერო ლიტერატურიდან, ბევრს ბუნდოვან ადგილს მიუშველება „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკისა და პოეტური ფორმების ვარკვევაში. ვფიქრობ, თუ მიპმართეთ სახელგამს ან მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს... შრო-

მიერ „შემთხვევით დაკვირვებებად“ წოდებული ამ გამოკვლევით (თუმცა მასში წამოყენებულ დებულებათაგან ზოგი სადავოდაა მიჩნეული) მეცნიერული კრიტიკის თანამედროვე დონეზე გაირკვა შ. რუსთველის ორთოდოქსულ-ქრისტიანული მრწამსი. ნაწარმოების სიუჟეტიც ამ თვალსაზრისით იქნა ინტერპრეტირებული...

პოემის ფილოსოფიური კონცეფციისა და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენაზე თარგმნის პრინციპების გასარკვევად საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული კ. ცინცაძის კრიტიკულ წერილებში, რომლებიც ეხება შ. ნუცუბიძისა და მ. გოგობერიძის ამავე საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებს⁵². რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისეული თარგმანისა და მთარგმნელისავე წინასიტყვაობის შესახებ დაწერილ რეცენზიაში (დაწ. რუსულად) კრიტიკოსმა მიუთითა მკვლევარ-მთარგმნელის მიერ რუსთველის მსოფლმხედველობის უმართებულოდ განმარტებასა და, ამის გამო, თარგმანის ტენდენციურობა უზუსტობაზე. კ. ცინცაძემ უხეში ეკლექტიზმი იგრძნო განთქმული მეცნიერის განცხადებაში: „Руставели—реалист, он стоит на земле и пользуется сим-воликой неба, светил, бога, отождествляемого с солнцем... христианская догматика... и бог церковников... им целиком отвергается... лучшим подтверждением его подлинных воззрений является его атеизм и неверие в загробную жизнь“ (ხაზი ჩვენია — ნ. პ.). თუკი, აღნიშნავს კ. ცინცაძე, რუსთველი ღვთაებად აღიარებს მზეს („отожествляемого с солнцем“), მის ათეიზმზე ლაპარაკი აფსურდია: „ათეიზმი შეგნებული უარყოფაა ღვთის არსებობის თეისტური თუ პანთეისტური თვალსაზრისისა“ (ს. გლაგოლევი). შეუსაბამოდ თარგმნილი რიგი სტრიქონი თუ სტროფი (მაგ. სტრ.: 744, 797, 1456—1458, 1290—1292 და სხვ.) იქნა რეცენზენტის მიერ შენიშნული. მისი აზრით, არც ორიგინალი და არც შ. ნუცუბიძის „ტენდენციური თარგმანი“ არ გვაძლევს არავითარ საფუძველს დავსაკენათ, რომ „მსოფლმხედველობა რუსთველისა ათეიზმი და საიქიო ცხოვრების უარყოფაა“. თუ როგორ აქვს გააზრებული შოთა რუსთველს საიქიო ცხოვრების არსი, ამას, სხვათა შორის, ავთანდილიც — თვით შ. ნუცუბიძის თვალსაზრისით რუსთველის alter ego — ცხადყოფს: „ვერ ვეცრ უვები, ვერ ვუზამ საქმესა საქაბუნოსა, პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნესა“. კ. ცინცაძის თქმით, ამ წინადადებაში ჩანს საკუთრივ ორთოდოქსულ-ქრისტიანული — სიკვდილის შემდეგაც პიროვნების მთლიანობის, დაუმლელობის — მრწამსი: „Под загробною жизнью или безсмертием в истинном и собственном смысле нужно разуметь бессмертие не просто духовной сущности, но и всего ее духовного содержания, приобретенного во время связи с телом, бессмертие этой отдельной души, мыслившей, любившей, действовавшей, страдавшей в течение более или менее продолжительной земной жизни“ (Н. Малиновский). Отстоит ли Руставели далеко от такого понимания загробной жизни?...“

კ. ცინცაძემ მ. გოგობერიძის შრომაში „უზუნაეის არსის ცნება „ვეფხისტყაოსანში““ („მნათობი“, 1941, № 5) წინააღმდეგობრივად მიიჩნია დებულებები: 1) „უდავოა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქრისტიანი ავტორის მიერ არის

მა იქნება დაბეჭდონ, რაც უთუოდ ახალს შეიტანს რუსთველოლოგიაში...“ (კ. ცინცაძე, 29).

⁵² კ. ცინცაძე, 111. აღსანიშნავია, რომ შ. ნუცუბიძეს კ. ცინცაძის შენიშვნათა უმრავლესობა უარადღვია.

დაწერილი... იგი ყოველთვის ერთ ღმერთს მიმართავს, არ იცნობს არც მის თანამებუზუნ ძეს, არც სამ პირს ერთ არსებაში“. და 2) „რუსთველმა უზენაესი არსება კოსმიურ ძალად წარმოიდგინა“... და ამასთან დაკავშირებით შენიშნა⁵³

1) „ქრისტიანობა „თანამებუზუნ ძისა“ და „სამი პირის ერთ არსებაში ცნობის“ გარეშე არ არსებობს“ და 2) რომ „კოსმიური ძალა“ არის თავისუფლებას, ნებისყოფასა და წადილს მოკლებული ძალა, უზენაესი არსება კი თვით არის ნების წყარო, თავისუფალია, წადიერებით სავსეა (შდრ. ფს. 134,6; 113,11; ეფეს. 1,11)“...

პოემის ტექსტის დადგენისათვის საყურადღებოა 1934 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული კ. ცინცაძის წერილი კ. ჭიჭინაძესადმი⁵³. იგი ეწევა „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის გამოცემას. წერილში ავტორი შენიშნავს: ვინაიდან „შოთას ავტოგრაფს ჩვენამდე არ მოუღწევია, შესაძლებლად ვთვლი, ეჭვის თვალთ შევხედო ყოველ ფრაზას და სიტყვას, რომელიც ლოდიკისა და ქართული ენის კანონების შეუსაბამოა“. და გვთავაზობს მთელ რიგ კონიუნქტურას:

ა რ ი ს

უ ნ და ი ყ ო ს

34,1 : მეფე ღმრთისაგან სვიანი,
44,4 : ვით
62,4 : ხუ დასვი
73,2 : ჩემად ისრისა
84,2 : უფროსი
193,1 : დიონოსო ბრძენი, ეზროს-

მეფე ღმრთისაგან, სვიანი (=ღმრთისაგან დადგინებული)
მით
რად დასვი
ჩვენად ისრისა
ზედმეტ
დიანოსი ბრძენის ეზროს („ეს უეჭველია. იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერ. 1, 496; 2, 105“)
შეგრაძეხენითა
ვიენებ
მე ცისა... და სხვ.

232,4 : მიგრაცხენითა
239,2 : ვეენებ
753,4 : მიცისა

შეგრაძეხენითა
ვიენებ
მე ცისა... და სხვ.

საყურადღებოა კ. ცინცაძის შენიშვნა: ლექსემა „ფანოსი“ (1937, სტ. 1377,2), რომელიც განიმარტებოდა: „ფანარი“ (პ. ინგოროყვა), „აჩქარება“ (ს. კაკაბაძე), პირდაპირ გადმოღებულია ბერძნული φανος-იდან, რომელიც უნდა ითარგმნოს „სინათლედ“, „კოცონად“... კ. ცინცაძის აზრით, „ფანარს“ მეტად შორეული ნათესაობა აქვს φανος-თან, „აჩქარებას“ კი აქ არაფერი აზრი არა აქვს“.

საკითხის დასმის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს მიგნებად უნდა ჩაითვალოს „შემთხვევითი დაკვირვებების“ ერთ-ერთი დანართი, სახელდობრ, „დანართი ბ“): „ვეფხისტყაოსნის“ მერვე სტროფის პირველი სტრიქონისათვის, — მის მიერ ამგვარად რედაქტირებულისათვის: „მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა, ალამდარი“ (ე. ი. მედროშე, მეზაირადე). „თუ „ალამდარს“ დასჭირდა პროფესორის თარგმანება⁵⁴, — ამბობს კ. ცინცაძე — „რუს-

⁵³ კ. ცინცაძე, 146, აგრეთვე, „დანართი“ შრომისა „... მსოფლმხედველობისათვის“ (კ. ცინცაძე, 105, გვ. 96—98).

⁵⁴ პირველად კ. კეკელიძემ გააკრვია ამაღარ-ალამდარის პრობლემა. იხ. მისივე, ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, მნათობები, 1931, № 7—8, გვ. 156; ეტიუდები..., XII, 1973, შდრ. III. Нуцубидзе, Творчество Руставели, თბ., 1959, გვ. 231—235 (ქართ. ვარიანტი: თბ., 1950, გვ. 305 და შმდ.). კ. კეკელიძისა და ცინცაძის აზრით, ხსენე-

თველს“ არავითარი ამგვარი რამ არ სჭირდება, — „რუსთველი“ (როგორც „ტიფლელი“, „წილენელი“, „ბოდბელი“)... იყო ტიტული საქართველოში ლესიის ერთ-ერთ უძველეს ეპარქიის ეპისკოპოსისა“. ავტორი მიმოიხილს დავით მესამის, იმამყულიხანად წოდებულის, 1722 წლით დათარიღებულ განწესებას „დროშისა და სპათათვის“ („საქართველოს სიძველენი“, 1910, III, გვ. 510—14) და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს (გეოგრაფია, ბროსეს გამოც. გვ. 180, 304) და ფიქრობს, რომ რუსთველს „დროშა აქვდა“ იმ „პირველ და ძველ“ მეფეთა დროსაც, როდესაც რუსთავი ჯერ კიდევ არ იყო მოხსრებული, ე. ი. 1260 წლამდე. კ. ცინცაძის აზრით, „მერვე სტროფის დამწერს მეტი საბუთი ჭონდა, ჩაეთვალა ვ. ტ. ავტორი რუსთველ ეპისკოპოს-აოლამდარად... სსსურველია, ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წარმოება“.

სამწუხაროდ, ეს „დანართი“ გამოკვლევის ძირითად ნაწილთან ერთად არ გამოქვეყნებულა. პ. რატინი, რომელმაც მონოგრაფიულად დაამუშავა ევგენი საკიოხის⁵⁵, კ. ცინცაძის შემოხსენებულ ჰიპოთეზაზე არაფერს ამბობს.

საყურადღებოა საარქივო მასალათა კ. ცინცაძისეული კრებული „Грузинская церковь как феодал, помещик и капиталист“⁵⁶, რომელიც მოიცავს 1801—1861 წწ-ის ისტორიას. ასევე, საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულისა თუ, საერთოდ, ორთოდოქსული სამყაროს კანონიკურ-ეურიდიული წყობისა და ტრადიციების გასაცნობად ფასდაუდებელ დოკუმენტად გვესახება კ. ცინცაძის 456 გვერდიანი შრომა „ქუთაისის საეკლესიო ყრილობის გამო 1926 წლის დეკემბრის 26—27-ში“⁵⁷. ამ ნაშრომებისა და კ. ცინცაძის პირად საარქივო ფონდში დაცული, მის მიერ შეკრებილი, საისტორიო საბუთების (მაგ. „ნახარებოუს მონასტრის გუჯარისა“ — შედგენილი ანტონ ჭყონდიდელის მიერ 1801 წ.)⁵⁸. მეცნიერული შესწავლა მომავლის საქმეა.

საინტერესოა კ. ცინცაძის მოგონებანი⁵⁹ გაბრიელ ეპისკოპოსზე, ზ. ფალიაშვილზე, ნ. ზ. ცხვედაძეზე, ი. ჭავჭავაძეზე. აგრეთვე — წერილები⁶⁰: 1) აკ. შანიძისადმი (აუწყებს, რომ უგზავნის პერგამენტის სამ პალიმფესესტურ ფურცელს, სვანეთში 1917 წელს, დადგეკელიანთ სასახლის განადგურებისას, ეპ. ალექსი გერსამიას მიერ შემთხვევით მიკვლეულს: მანუსკრიფტი შეიცავს ლუკას სხარების ტექსტს: 13,34—16,29; 2) ლეონ მელიქსეთ-ბეგისადმი (შენიშნავს, რომ ალ. ხახანაშვილის წიგნში „Очерки по истории грузинской словесности“ (ბ. 1,129) ხსენებული „Годогниский“-ს წმ. გიორგი შეუძლებელია, წინააღმდეგ ადრესატის მსჯელობისა („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1,249), „გოდოლნინის“ („მოდინის“) ბაღლად, რუსულ შესა-

ბული სტრიქონი ინტერპოლაციაა, თუმცა ფრიად საყურადღებო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ხელობა“ სპეციალურ ლიტერატურაში სხვაგვარადაცაა განმარტებული. იხ. ა. ბარამიძე, ელ. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის (პ. რატინის წერილის გამო), „მნათობი“, 1968, № 8, გვ. 174—176; შდრ. „მნათობი“, 1969, № 11, გვ. 151 და 165—166.

55 პ. რატინი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის, თბ., 1969; მისივე, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, თბ., 1975. 1966 წელს მსგავსი აზრი გამოუთქვამთ კ.-პ. ეფრემი II-სა (გაზ. „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, 1966, № 1) და მ. ჭანგიძეს (გაზ. „სამგორი“, 1966, 17.IV). იხ. კოლექტ. სტატ. „რუსთაველზე კლერკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ“, „მნათობი“, 1969, № 11, გვ. 150.

56 კ. ცინცაძე, 127.

57 კ. ცინცაძე, 102.

58 კ. ცინცაძე, 255.

59 იხ. სქოლო 1; მისივე „Из мнх воспоминаний“, კ. ცინცაძე, 107.

60 კ. ცინცაძე, 109, ფ. 117—120. აგრეთვე, ი. ჯავახიშვილის არქ. № 2385

ტყვისად მივიჩნით. კ. ცინცაძის ფიქრით: „Годогниский“ უნდა იყოს დამახინჯებული თარგმანი „გოდოგანისა“ (ქუთაისის მახლ. სოფელი) — „Годоганский“-ს მაგივრად“); 3. სარგის კაკაბაძისადმი (აზუსტებს „აბდულმუსტაფის“ 98-ე სტროფის მნიშვნელობას: ფიქრობს, რომ „ამ სტროფს არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს წარსულთან; აქ მხოლოდ შედარებაა შესხმის საგნისა ნესტორ მოწამესთან (+306 წ. ახლო), რომელიც დალოცა ლიოსთან (ლეო) საბრძოლველად მისმა მოძღვარმა დიმიტრი მთავარმოწამემ); 4) ი. ჯავახიშვილისადმი (მსჯელობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თარიღთან დაკავშირებული ბიზანტიური წყაროებისა და გიორგი ხუცესმონაზვნის ცნობათა ურთიერთშეუსაბამობის თაობაზე); 5) ს. ჯანაშისადმი („საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს შესახებ) და სხვ.

კ. ცინცაძეს ბევრი ახალგაზრდისათვის გაუღვიძებია სწავლის ხალისი. იმათგან არაერთმა გაუსწორა თვალი მეცნიერებისა და ხელოვნების მწვერვალებს. იგი ეხმარებოდა უცხოეთში განათლებისათვის გაგზავნილსა და, შემდეგ, ვარშავის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორს გრ. ფერაძეს⁶¹... ქართული ინტელიგენციის მესვეურები დეწლმოსილი პედაგოგის სახელს მოკრძალებით ახსენებდნენ, აღიარებდნენ მის დამსახურებას მეცნიერებისა და კულტურის წინაშე⁶².

კალისტრატე ცინცაძე გარდაიცვალა 1959 წლის 3 თებერვალს, ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

61 ხელნაწ. ინსტ. კ. კეკელიძის არქ. № 675 (გრ. ფერაძეს კ. ცინცაძისათვის სადოქტორო შრომა გამოუგზავნია).

62 იხ. ლ. გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი (ლიტ. ჩანაწერი თ. კობალაძისა), თბ., 1979, გვ. 85—87; ქ. ნუცუბიძე, შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან), თბ., 1982, გვ. 142. აგრეთვე, ნიკო კეცხოველის, გიორგი ჯაოშვალის, ვახტანგ ბერიძისა და ერასტი ვაჩაძის მოგონებანი კალისტრატე ცინცაძეზე (კ. ცინცაძე. 279, 280, 281).

ბ. შარაშიძე

ერევანში მივლინების ანგარიში*

[1954 წ.]

მატენადარანში დაცული ქართული ხელნაწერები პირადად ჩემთვის ნა-წილობრივ ნაცნობი გახდნენ 1948 წლის შემოდგომაზე, როცა ჩვენი მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელთა ერთი ჯგუფი პროფესორ ილია აბულაძესთან ერთად ოთხიოდე დღით ერევანს გაემგზავრა.

ამ ხანმოკლე მივლინების დროს ჩვენ, სხვათა შორის, ვნახეთ მატენადარანის ქართული ხელნაწერები და ზოგიერთი ქართული საბუთის ანოტაციაც კი შევადგინეთ რუსულ ენაზე. მაშინ ჩემს ხელში გაიარა რამდენიმე ქართულ-მა საბუთმა, რომლებიც წელს მე პირადად აღარ მინახავს და, რამდენადაც ვიცი, არც მანანას** შეხვედრია ასაწერად. ეტუობა მათი 1948 წ. შედგენილი ანოტირება დამაკმაყოფილებლად სცნეს.

ამ (1948 წ. ანოტირებული) საბუთების უმეტესობა შეეხება საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ეკონომიურ საქმიანობას და, როგორც მანანა ქიქოძემ აღნიშნა, ასახავს სომეხი ვაჭრების როლს საქართველოს აღებ-მიცემობაში.

იმ ჯგუფში საყურადღებო იყო რამდენიმე საბუთი, რომლებიც ცხად-ჰყოფდნენ, რომ სომეხთა ეკლესია, საქართველოს ზოგიერთ რაიონში, თუ შეიძლება ითქვას, ფულადი თანხის გამსესხებელი დაწესებულების ფუნქციას ასრულებდა, არა მარტო სომეხი, არამედ ქართველი მოსახლეობისათვისაც.

ქრონოლოგიურად ეს საბუთები XIX ს. I ნახევრის ფარგლებს არ სცილდება. აქ საჭიროდ მიმაჩნია აღნიშნო, რომ ასეთი ფუნქციის შესრულება წარსულში მარტო სომეხ გრიგორიანთა ეკლესიისათვის დამახასიათებელ თვისებად არ შეიძლება ჩავთვალოთ. სვანეთის ერთ-ერთი ეტრატის ხელნაწერი (გრაგნილი) XV—XVI სს., რომელიც „საკვირაოს“ სახელით არის ცნობილი (H 1328) და „თვით იესო ქრისტეს ხელით დაწერილობას“ ჩემულობს (ნამდვილად იგი ეკლესიის მსახურთა შენათხს წარმოდგენს), მოუწოდებს მორწმუნე მრევლს, რომ არამც და არამც არ გაასესხონ ფული კერძო პირებზე, არამედ ეკლესიაში დაიცვან თავიანთი ფულადი თანხები. აქედან ცხადია, რომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასაც ჰქონია ფულადი თანხების შემნახველი (და საფიქრებელია, გამსესხებელი) ფუნქციის შესრულების ტენდენცია.

1948 წელს წაკითხული საბუთების ჯგუფში შეიმჩნეოდა ის მჭიდრო კავშირი საქართველოს სომეხ მოსახლეობასა და სრულიად სომეხთა კათალიკოს შორის, რაც აღნიშნული იყო წინა მომხსენებელის მიერ***. მეტიად საყურადღე-

* წაკითხული იყო მოხსენების სახით. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. შარაშიძის არქივი, № 965.

** იგულისხმება მანანა ქიქოძე, რომელიც, ჩანს, აღრე გაეცნო მატენადარანის ფონდს.

*** იგულისხმება მანანა ქიქოძე.

ბოა სომეხთა კათალიკოსის ნერსესის ჰუმანური პიროვნება (1760—1857 წწ.). სომხური ეკლესიის ეს თვალსაჩინო მოღვაწე XVIII ს. მიწურულში ხდება ცნობილი თავისი ფართო საქველმოქმედო და განმანათლებელი საქმიანობით. ეს მაღალი თანამდებობის სასულიერო პირი (არქიეპისკოპოსი თბილისში, შემდეგ ნახიჩევანსა და ბესარაბიაში, ხოლო 1843 წლიდან სრულიად სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსი), ნამდვილად აღმავალი ბურჟუაზიული კლასის მეტად საინტერესო წარმომადგენელი იყო.

თავის თანამემამულეთა სწავლა-განათლების აყვავებისათვის ზრუნვასთან ერთად (მან დააარსა სომხური სემინარია, დაწყებითი სკოლები თბილისში და უმაღლესი სასწავლებელი) იგი ენერგიულად უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას და ფაბრიკა-ქარხნების მოწყობას. ჩვენს ხელში მოხვედრილი ერთ-ერთი საბუთი მოწმობს, რომ ნერსესი პირადად აწარმოებდა სავაჭრო საქმიანობას, რა თქმა უნდა, თავისი აგენტების მეშვეობით. წერილში მას (№ 6 — ჩემი)* აცნობებენ სხვადასხვა საქონლის ფასს (7 სახის ქაონელი).

ნერსესის დახმარების ხელს უწყვდის ქვრივ-ობლებს. თელაველი ქვრივის, სომხის ქალის მიმართვა ხსენებული პიროვნებისადმი მოწმობს, რომ ნერსესის დახმარებით იზრდებიან, შესაბამის ასაკში მზითვდებიან და ქორწინდებიან ქვრივის ობოლი გოგონები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ნერსესის ქველმოქმედება არ არის შემოფარგლული ნაციონალური და რელიგიური ზღუდეებით.

ნერსესმა ჩინებულად იცის ქართული, რასაც მოწმობს მისი საკუთარი ხელით დაწერილი ქართული ტექსტები. რამდენიმე საბუთი მოწმობს, რომ სომეხთა არქიეპისკოპოსს და კათალიკოსს საქართველოს ეკლესიის საკეთმპყრობლებთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონია. მას საქმიანი მიმოწერა აქვს სომეხ მორწმუნეთა შესახებ საქართველოს ეგზარქოსთან (უეჭველია ვარლამ ერისთავთან) და თბილისში მოქმედ დიკასტერიასთან, მეგობრული ურთიერთობა აქვს ნერსესს ახლად დამყარებული რუსული მმართველობის ქართველ თანამდებობის პირებთან (შუშის მაზრის უფროსი, კაპიტანი გიორგი ბარათაშვილი). ამთ ნერსესი უბრალოდ მიმართავს, როცა მას თავის თანამემამულეთა მფარველობა და ჩავგრისაგან დაცვა სჭირდება. საყურადღებოა, რომ ნერსესი ეტყობა პირადად მიდიოდა ქართლის სოფლებში ზოგიერთი საქმის მოსაგვარებლად.

XIX ს. I ნახევარში ამ კათალიკოსს ნივთიერი დახმარებისა და მფარველობისათვის ქართველებიც მიმართავენ.

ერთი და ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა ნერსესისადმი ასეთი მიმართვისა თქვენ მანანა ქიქოძისაგან მოისმინეთ — მარიამ დედოფლის; მეორე მიმართვა ჩემს მასალებში შემხვდა — ნერსესს მიმართავს ვინმე თამარი, ეტყობა დიდი თავადის მეუღლე (გვარი არ არის), რომლის ქმარიც ტყვეობაში დაღუპულა; დაღუპული, ჩანს, გარკვეულ პოლიტიკურ როლს თამაშობდა, ვინაიდან მისი ოჯახისათვის ჩამოუერთმევეიათ ყმა და მამული, ქვრივი სასტიკ სიღარიბეში ჩავარდნილა. თამარი მეტად თავდახრილად სთხოვს ნერსესს ნუგეშს და დახმარებას.

ნერსესის ფართო თვალსაზრისი, სხვათა შორის, აშკარად გამოსჭვივის მის ერთ-ერთ განმარტებაში, რომელსაც იგი სწერს 1818 წ. სოფელ ქვეშის მრევლს — მისი საჩივრის პასუხად — სოფელი ქვეშის ქვრივი სომხის ქალის

* ივლისხმება მატენადარანის საბუთები, გადმოწერილი და დანომრილი ქ. შარაშიძის მიერ. ინახება მის არქივში (ქვემოთაც ყველგან ასეთი საბუთებია მითითებული).

გაქართველების განზრახვის შესახებ (№ 1351). ნერსეი დამწვიდებით განმარტავს, რომ ხელმწიფე-იმპერატორის ამა და ამ კანონის (указ) მიხედვით, ძალდატანებით სარწმუნოების შეცვლა დაუშვებელია. მაგრამ, მეორე მხრით, თუ პირადად ქერვის სარწმუნოების გამოცვლა სურს, ასევე შეუძლებელია მისთვის ამის დაშლა.

ჩვენ არ შევჩერდებით იმ საბუთებზე, რომლებიც სომხური ეკლესიის შინაურ საქმეებს შეეხება. აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ ერთ-ერთ მიმართვაში კავთისხეველი სომხები აცხადებენ, რომ თუ მათ არ მოაშორეს მათი მჩავერელი მღვდელი უზანა ჯანიანი, ისინი იძულებული იქნებიან სარწმუნოება გამოიცვალონ.

ნერსესის მოღვაწეობის წლები შემოფარგლულია XVIII ს მიწურულით და XIX ს I ნახევრით (გარდაიცვალა 1857 წ.).

საბუთებში ასახულია XIX ს. დასაწყისის ეკონომიური ვითარებისათვის დამახასიათებელი მოვლენები: მაგ. ორიოდე საბუთი, ხე-ტყის მრეწველთა პატარა ბარათები მოწმობს, რომ სოფ. გომის მცხოვრებ მეტივეს, ვინმე ბიძინას, ოთხი ტივის მოტანისათვის, ვილაც „ბატონისაგან“ 9 მინალთუნი უნდა მიეღო გასამრჯელოდ. მსგავსივე საბუთის მიხედვით, თელეთელ გაბრიელ დანდუროვს ეგზავნება 30 ხისაგან შეკრული ტივები და ეცნობება, რომ მეტივემ, კასპელმა თევდორე შულტაშვილმა გასამრჯელოდ 4 (მანეთი?) ნახევარი უნდა მიიღოს, ვინაიდან მეტივეების შოვნა ძნელია.

სოციალურისა და ეკონომიური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ყმების მიტაცების ფაქტი, რასაც გვამცნობს ქარგლის, აბაზოვის, შვილის მიმართვა 1803 წ. ნორაშენს მცხოვრები დედისადმი. შვილი აცნობებს დედას, რომ ივანე სარდარი (ორბელიანი?) ირწმუნება, თითქოს აბაზოვები მისი ყმები ყოფილიყვნენ; იმ დროს, როცა ისინი წმ. გიორგის გლეხები იყვნენ და არა ივანე სარდარისა (№ 20, ჩემი).

მეტად საყურადღებო საბუთია „ბორჩალოს დისტანციის სოფლის დიდი შულავარის საზოგადოების აღმარჩეულთა“ მივირტუმ სანიბეგოვის, ოპანეზ არუთინოვისა და სხვ. მიმართვა გუბერნატორისადმი.

აქ აღნიშნულია, რომ სოფელი დიდი შულავარი 23 კომლისაგან შედგება. წლიურად სახელმწიფოს მახთას 150 „თეთრეულს“ აძლევს, სურსათის სახით — 400 კოდ ხორბალს, 200 კოდ ქერს.

მადნის მორიგეს წინათ 40 მუშას აძლევდნენ „ჩვენი ხარჯით“, „ყოველ დღე, ერგას თვესა“, „ერთს წელიწადსა შინა“ (ალბათ შეცდომით თვე წერია დღის მაგივრად). შემდეგ მათი სიღარიბისათვის ანგარიში გაუწევიათ და 40 მუშის ნაცვლად 20 მოუთხოვიათ, მაგრამ სამი წლის შემდეგ სამი კაცი მიუმატებიათ, მიზეზის განუმარტავად.

გარდა სახელმწიფო ხარჯის სიმძიმისა დიდშულავრელები უჩივიან „გლავნის პრისტავის“, „მალაზინის ყარაულისა“, იასაულების და სხვ. შენახვის სამძიმეს — ჩვენს სოფელზე გამველ-გამომველის სათხოვარს და ხარჯს სულ უფასოდ ვასრულებთო, — ჩივიან ისინი — სახელმწიფოსათვის უკანონო გამოსაღებს დაუზოგავად გვაწერენო, ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ „გლეხურის მუშაკობისათვის“ დრო აღარ გვრჩება და „მიწევილ ვართ უკანასკნელ სიგლახესა შინა“-ო; „გლავნი პრისტავი“ არათუ არ გვიმსუბუქებს მდგომარეობას, არამედ ხაზინიდან ჩვენთვის განკუთვნილ პრავიანტის ფულიდან კომლზე 6—6 შაური თავის სასარგებლოდ აიღოო.

მთხოვნელები შუამდგომლობენ მათი საქმის გამოძიებას, პრისტავის მონაწილეობის გარეშე. საბუთი თავდება განცხადებით: „წარმოვადგენთ ნუსხას

ავტორი თავის სახელს საიდუმლოდ ინახავს და სთხოვს ნერსესს სასტიკი ზაიდუმლოებით დაიცვას წერილის შინაარსი. უცნობი პირი სთხოვს ნერსესს, რომ ამ უკანასკნელმა აუხსნას მას, რა მიზეზით შეწყდა რუსეთ-სპარსეთის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება, რომლის მონაწილე რუსეთის მხრიდან იყო ალექსეი პეტროვიჩი (ერმოლოვი, თუმცა მამის სახელი სწორად არა აქვს), ხოლო სპარსეთის მხრიდან, როგორც ეტყობა, წერილის ავტორი.

უცნობი პირი შემფოთებულია რუსეთ-სპარსეთის ომის განახლებით და მწუხარებას გამოთქვამს, რომ აღდენი სისხლი უბრალოდ იღვრება.

ჩვენთვის ეს საბუთი საყურადღებოა იმიტომ, რომ აქ ქართული ენა დიპლომატიურ ურთიერთობაში არის გამოყენებული 1826 წლის ახლოს, როდესაც რუსეთის მმართველობა საქართველოში მეოთხედი საუკუნის წინ იყო შემოღებული.

გადავდივართ მატენადარანში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე.

მატენადარანის ქართული ხელნაწერები, კერძოდ ფრაგმენტები, აკად. ნ. მარის მოწმობით, პირველად მოხსენიებული ყოფილა 1904 წ. ახლოს სააკ ამატუნის ხელით შედგენილ საძიებელში.

ნ. მარი დაინტერესდა ერთ-ერთი ფრაგმენტით — ოშკური ანუ ე. წ. ათონური ბიბლიის ნაწყვეტებით და „Христианский Восток“-ის 1913 წ. II ტ. III ნაწილში ათგვერდიანი წერილი უძღვნა მას სათაურით: „Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого завета“. პროფესორმა ილია აბულაძემ ხსენებული ნაწყვეტის სხვა ფურცლებიც მოძებნა მატენადარანის ფონდებში.

ბატონმა ილიამ გამოავლინა მატენადარანში 30 მნიშვნელოვანი ფრაგმენტი, გაარკვია მათი რაობა და გადაიღო ფოტო-პირები.

ამ მასალაზე ჩვენ აღარ შევჩერებულვართ; ვადმოვიწერეთ მხოლოდ № 2 ფრაგმენტის — XI ს., ეტრატის სვინაქსარის — XVI ს. დასაწყისის მინაწერი, რომელიც „ათაბაგის ორავკანდას“ (ყვარყვარე დიდის შვილის) ასულს ქეთარს და მის გამდელს იხსენიებს.

ფრაგმენტებს გარდა, მატენადარანში სულ 6 ქართული ხელნაწერია დაცული:

1. XVIII ს. უამნი (№ 14). მინაწერებისა და პასქალის ცხრილის მიხედვით იგი გადაწერილი უნდა იყოს 1730—35 წწ. მოსკოვს მყოფი ქართველების წრეში.

ხელნაწერს საყურადღებო მინაწერები აქვს:

I. „1745 წელს, თებერვალს 8 წამოვედით მოსკოვიდამ; დღე იყო პარასკევი...“

II. „1753 წელს, მარტის ოთხს, შუადღითგან მეათე საათს, მეხუთე მიწუტს გასულს მიიცივალა ქრისტეფორე ყიზლარს“.

ჩვენ ვიცით, რომ სწორედ 1745 წელს სამისიონერო მიზნით მოსკოვიდან ჩრდილოეთ კავკასიაში წამოვიდა ქართველების ჯგუფი. ამ ჯგუფს მეთაურობდა მოსკოვის ქართული სტამბის დიდი მოამავე, დავით გურამიშვილის ძმა, ქრისტეფორე ბერ-მონაზონი.

ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ ქრისტეფორეს გარდაცვალების თარიღი უნდა იყოს ფიქსირებული ხსენებულ მინაწერში.

ამავე ხელნაწერის ერთი მინაწერი, XVIII ს. № I ნახევრის, აფხაზეთის საკათალიკოსოში არსებულ საეპისკოპოსო კათედრების ნუსხას უნდა წარმოადგენდეს.

2. ცეცხლისაგან(?) მეტად დაზიანებული (ეტრატის) ხელნაწერი № 15 სა-
გალობლების კრებულია. ოდესღაც იგი შემკული ყოფილა საკმარისად შეფუთვით
სებური თავბოლო კაზმულობით.

დამწერლობის მიხედვით ხელნაწერი XIII—XIV სს-სა ჩანს. იგი საყუ-
რადღებოა თავისი მინაწერებით, ტექსტის ხელით: ამ მინაწერების მიხედვით
ხელნაწერი კულტის საგანს წარმოადგენდა. ხელნაწერს სწირავენ შესაწირავს
ისე, როგორც მაგალითად მონასტერს. ან ტაძარს: „შეწვია და შემოსწირა ოქ-
რო ხიწყუაჲ [48?] ბოტონატი წმიდასა ამას საგალობელსა, სულთა და ხორც-
თა განმანათლებელსა...“ და სხვ.

ხელნაწერის კიდეებზე XIV—XV სს. მხედრულით მიწერილია საბუთები.
ერთგან ლექსიც არის მიწერილი, მეტად ძნელად გასარჩევი ნუსხურით:

„ავთა ჟამთა გარდასრულთა თვთ ბრძენინცა სხდეს დაწერად“ და სხვ.

3. მესამე ხელნაწერი (№ 16) ქალაღისაა, XVII—XVIII სს. ნაკლული
ჟამნი. იგი ჩვენ ნაკლებ საყურადღებოდ გვეჩვენა.

4. ხელნაწერი № 17 — ნიკოლოზ მოსეს ძე ბაღინოვის ხელით 1824 წ.
გადაწერილი სამკურნალო კრებული — ზედმიწევნით ისეთივეა, როგორც
ჩვენი Q ფონდის 281, იმავე გადამწერის ხელით შესრულებული ხელნაწერი,
და იმაზე აღარ შევჩერდებით.

5. მატენადარანის ხელნაწერმა (№ 13) ჩვენი ყურადღება ჯერ კიდევ 1948
წელს მიიპყრო.

ეს 59 გვერდიანი პატარა ხელნაწერი XVIII ს. ქართული სასწავლო წიგ-
ნის მეტად იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

იგი დაწერილია მსხვილი, მრგვალი, გარკვეული, ლამაზი მხედრულით.
მისი შინაარსი კომპლექსურია — სახელმძღვანელოს პირველი გვერდი უჭი-
რავს ქართული ანბანის ტაბულას, ღვთისადმი ვედრებით: „უფალო ღმერთო
იესო ქრისტეჲ! სწავლა კეთილად მოუხდინე მონასა შენსა, რაჲთა ისწავლოს
წიგნი, გაქოს და გადიდოს ყოველთა ჟამთა ცხოვრებისა მისისათა...“ და სხვ.

ასეთი დასაწყისი, ეტყობა, სავალდებულო იყო ყოველი სასწავლო სა-
ვარჯიშოსათვის. შემდეგ ანბანი, საბას წესით სასწავლებელი. აქ არის ნიმუ-
შები საბუთებისა: არზების, თამასუქების და სხვ. ნიმუშებში მოხსენებული
გეოგრაფიული და საკუთარი სახელები სრულიად რეალურ ადგილებს და
ადამიანებს გვიჩვენებს.

საბუთებს თარიღებიც უზის — ისინი XVIII ს. 60—70-იანი წლებს შუა
დაწერილი ჩანან.

სახელმძღვანელოში მოკლედ მოცემულია ქართული წელთაღრიცხვისა
და კალენდრის სწავლა; ჩამოწერილია ქართული ანბანის რიცხვითი მნიშვნე-
ლობა, XVIII ს. II ნახ. საქართველოში გავრცელებული მონეტების სახელე-
ბი და მათი განმარტება და სხვ.

მეტად საყურადღებოა, რომ ლოცვების გვერდით სახელმძღვანელოს ბო-
ლო ნაწილში შეტანილია დ. გურამიშვილის ლექსის ნაწყვეტი.

ეს უნიკალური სახელმძღვანელო ფასდაუდებელი მნიშვნელობის არის
ძველი ქართული სწავლა-განათლების ზოგიერთი დამახასიათებელი მხარის
გასარკვევად; იგი გვიჩვენებს სწავლების მეთოდს — მკაცრად შემოხაზული,
მოცულობით პატარა მასალაზე ხანგრძლივი ვარჯიშობით დიდი შედეგების
შიღწევა (რასაც XIX—XX სს. პედაგოგები უწოდებდნენ მასალის მინიმუმზე
მაქსიმუმი შედეგების მიღებას).

ჩვენ იმედი გვაქვს მივიღებთ მთელი ამ ხელნაწერის ფოტო ან როტო-
პირს და დეტალურად შევისწავლით მას.



6. სულ ბოლოს უნდა შევეხოთ მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა ბატარა ჯგუფის ყველაზე საყურადღებო ერთეულს — სამკურნალო კრებულს. ამ კრებულმა დიდი ხანია მიიპყრო პროფესორ ილია აბულაძის ყურადღება. მისი დასკვნით: 1. კრებული X ს. ხელნაწერს უნდა წარმოადგენდეს. მეორე საყურადღებო დაკვირვება, რომელიც ბატონმა ილიამ გადმოგვცა კრებულის შესახებ ის არის, რომ იგი არ მისდევს ჩვენ ხელნაწერთა საცავებში დაცულ არცერთ სამკურნალო წიგნსა და კარაბადინს, და ამგვარად, განცალკევებულად მდგომია.

ბატონ ილიას არ დარჩა შეუძენველი, რომ ხელნაწერის ერთ-ერთ ავტორად იხსენიება ვინმე ხუარაზშმაჰი და სხვ. ბატონმა ილიამ სავანებოდ ჩაიყვანა ერევანს ახალგაზრდა მკურნალი და ძველი ქართული სამედიცინო ლიტერატურის მკვლევარი ბაადურ რაჭველიშვილი. ამ უკანასკნელს დაწყებული აქვს ხელნაწერის შესწავლა — ამ საქმის განსახორციელებლად ბაადურ რაჭველიშვილს აუცილებლად მიიჩნია ხელნაწერის ტექსტის მთლიანად მიღება, ფოტო-პირების ან ტექსტის სრული გადმონაწერის სახით.

ჩვენ ქვემოთ მოგახსენებთ ჩვენი, როგორც არასპეციალისტის, შთაბეჭდილებას.

როგორც ეს წესად აქვს მიღებული მატენადარანს, მეტად დაზიანებული და ნაკლული ხელნაწერი რესტავირებულია და მას ახალი ყდა აქვს გაკეთებული. მომავალში საჭირო იქნება მისი დაშლა, ვინაიდან რვეულების აღნიშვნის მიხედვით ხელნაწერი არეული სახით არის აკონსული, რაც აძნელებს როგორც მისი თავისა და ბოლოს დადგენას, აგრეთვე მისი შინაგანი ფურცლების თანამიმდევრობის სისწორის აღდგენას. მაგ. მეცხრე ფურცლის I-ს უხის კზ- ე. ი. 27-ე რვეულის აღნიშვნა; მას მისდევს კდ- 24-ე რვეულის ფურცელი, მეექვსე და მ რვეულის ფურცლებს კიდევ უფრო შორს ვხედავთ; ბოლოში მოთავსებულია 22-ე რვეული (213v).

ერთი სიტყვით, სრულიად არეულია რვეულები და ფურცლები და ამ სახით დაწყობილი ხელნაწერის აღწერა მეტად ძნელდება.

ჩვენ მოკლედ ჩამოვთვლით იმ ავტორებს, რომელთაც მიეწერება ხელნაწერის ზოგიერთი ნაწილის ავტორობა და რომლებიც იხსენიებიან ტექსტში.

1. ხუარაზშმაჰ-დახირა: „დარიგება მეორე წიგნი ხუარაზშ-შაჰისა დახირა-საგან, ნათქომი პირველი: ცნობა მართლად სიმთელის და მართლად სნეულობის და [კარა?] და ფერი სნეულობისა და ესე ნათქომი თორმეტი კარი არის“ — აკითხულობთ 126r-ზე. ხოლო ხელნაწერის ამ ნაწილის ბოლოს ვხედავთ 12v-ზე, სადაც სწერია: „გათავდა მეორე წიგნი ხუარაზშ-შაჰისა დახირასაგან...“

ამ ყველაზე საყურადღებო ავტორის გარდა, ხელნაწერში მოხსენიებულია მანსური, რომლის ნაშრომიდანაც კრებულში შეტანილია ავადმყოფობის გამოცნობის შესახებ თავი. 13v — რა თქმა უნდა, მოხსენებულია ჯალინოზი, ერთგან ჯალინოზის სახით

ავიცენა ხოჯა აბულ სინანი|ავსინა ბულ ყასიმ აქიმი — 62v.

ხოჯა ბულ ყასიმ ბუსა დიკ ნიშბორი.

ბალი ყისმი ბუსადი.

დანოვლის აქიმი.

ზაქარეიშვილი აქიმი.

არისტოტელი აქიმი.

ჩვენ აქ ვასახელებთ მხოლოდ იმათ, ვისი სახელიც შევამჩნიეთ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო დაახლოებით 65 სიტყვისაგან შემდგარმა ლექსიკონმა, რომელიც ხელნაწერის გვერდების ნაპირებზეა მიწერილი, ტექსტში ნახმარი

უცხო, უძნელესი სიტყვების განმარტებების სახით, ქართული შესატყვისების მიწერით. ჩვენ გადმოვწერეთ ეს ლექსიკონი*.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო, აგრეთვე, შემდეგმა მინაწერებმა: ტექსტის ხელით: „თუ გინდა, რომე კარგად იცოდე, ეს დაისწავლე“.

აქედან ცხადია, რომ სააქიმო წიგნი არა თუ იკითხებოდა, არამედ ისწავლებოდა; აქ ცხადად ჩანს, რომ მისი ასე ვთქვათ შტუდირება ყოფილა მიჩნეული საჭიროდ.

ანდა 229r-ს მარჯვენა ნაპირზე მიწერილი:

„ეს კარი ბატარასა წიგნშიგან უკეთ სწერია“ — ტექსტის ხელით.

ეს მინაწერი მოწმობს, რომ სასწავლებლად აღებული ყოფილა სხვადასხვა სააქიმო წიგნი, სხვადასხვა მოცულობის.

ან ასეთი შენიშვნა (16r-ზე) — „ეს კარი ერთობ ღრმა არის“.

ყურადღებას იპყრობს ტექსტის მკაცრად მეცნიერული (იმდროინდელი თვალსაზრისით) ხასიათი.

ზოგან მოცემულია მეტად საყურადღებო მსჯელობა არა მარტო ადამიანის, არამედ მთელი ორგანული სამყაროს შესახებ: მაგ., „იცოდე, რომე პირუტყვი ბალახთაგან და ადამიშვილი — ორითა რასმითა გაყრილი არს: ერთი ცნობა და მეორე ძრვა ნებითა და სასა“ (მიწერილი აქვს „ტყუინი“).

ეს აზრი, ძირითადად, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ წარმოდგენას ადამიანის მიმართებაზე ორგანული სამყაროსადმი. აქ ადამიანი, პირუტყვებთან ერთად, ჩართულია სამყაროში, რომელთანაც მას მოძრაობის უნარი აერთებს.

მოძრაობის უნარი მიეწერება ბალახსაც. ადამიანი და პირუტყვი კი მით განირჩევიან მცენარისაგან, რომ მათ გააჩნიათ ცნობა (გონება) და ნებისმიერი მოძრაობის უნარი („ცნობა და მეორე ძრვა ნებითა“).

თანამედროვე მეცნიერული აზრის შუქზე, რომლის მიხედვითაც არ არსებობს არც ერთი ნიშანი, რომელიც შეიძლება საიმედო კრიტერიუმად გამოვიყენოთ ცხოველის მცენარისაგან გასარჩევად, სამკურნალო წიგნის ხსენებული აზრი, რა თქმა უნდა, ჩამორჩენილია. მაგრამ თუ საისტორიო კვლევისათვის სავალდებულო პერსპექტივას გავითვალისწინებთ, ძველ, არა ქრისტიან, ფილოსოფოსთაგან მომდინარე ხსენებული აზრი მეტად საყურადღებოდ უნდა ჩავთვალოთ (შეიძლება იგი ეკუთვნოდეს აბულ სინას, რომელმაც, როგორც ცნობილია, შეისწავლა სხეულთა მოძრაობა, ცხოველების ცხოვრება, მცენარეებიდან ცხოველებზე გადასვლა და სხვ.).

ჩვენ ძალიან დაგვიინტერესა ხუარაზმშა დახირას ვინაობამ. საკითხის გასარკვევად საჭიროდ დავინახეთ მოგვეძებნა მისი სახელი შუა აზიის მეცნიერთა შორის.

ცნობილი არქეოლოგის ს. ტოლსტოვის წიგნში „По следам древне-хорезмийской цивилизации“ М.-Л., 1948, გვ. 257), ჩვენ ასეთ ცნობას წავაწყდით: „Недавно открыт В. Ф. Минорским в библиотеке Министерства по делам Индии в Лондоне арабский текст книги среднеазиатского врача-естествоиспытателя XI—XII столетия Шарафа-ал-Замана Тахира Марвази...“

ვფიქრობთ, რომ ეს შუააზიელი ტახირი XI—XII სს. ექიმ-ბუნებისმეტყველი უნდა იყოს ჩვენი ხუარაზმშა დახირა. მინორსკის, ეტყობა, ჯერ არ გამოუქვეყნებია; სხვა ვერაფერი დავადგინე.

* ავტორისული შენიშვნა: რომ სხვა სააქიმო წიგნებსაც აქვს ეს, უნდა ვთქვა.

1955 წლის სამუშაო გეგმაში, მე სხვათა შორის, შეტანილი მქონდა მივლინება მოსკოვისა და ლენინგრადის წიგნთსაცავებსა და არქივებში დაცული ქართული მასალების გასაცნობად.

როგორც მოგვხსენებთ, 1955 წლის ჩვენს გეგმაში შემოიჭრა დავით გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლის საიუბილეო გამოფენის გამართვა, რამაც საქმარისად დიდი დრო მოითხოვა. გამოფენის გამართვაში მონაწილეობასთან ერთად პირადად მე, გეგმის გარეშე, მიხედვითა და დ. გურამიშვილის დროინდელ თბილისში არსებული სტამბის თავგადასავლის ბეჭდვისათვის თვალყურის დევნება (იხ. „პირველი სტამბა საქართველოში 1709—1722“ — თბილისი. 1955. ამ წიგნის გამოცემაც დ. გურამიშვილის იუბილესთან იყო დაკავშირებული).

ამ საქმიანობამ შეუმჩნევლად შთანთქა მიმდინარე საწარმოო წლის დიდი ნაწილი და ოქტომბრის [შუა] რიცხვებში, როდესაც დ. გურამიშვილის გამოფენა გაიხსნა და ხსენებული ჩემი ნაშრომიც დაბეჭდილი იყო, უკიდურესი დაღლილობის გამო არ შემეძლო არ გამომეყენებინა ჩემი შევებულების ნაწილი მაინც (12 დღე) დასასვენებლად.

დასვენების შემდეგ ნოემბერიც კარზე მოგვადგა. ან ხელი უნდა ამეღო მივლინებაზე, ან უნდა საჩქაროდ წავსულიყავი მოსკოვ-ლენინგრადს, ვინაიდან ზამთრისა და ყინვების შიში მქონდა. მე წასვლა ვარჩიე. ჩემი წლიური გეგმიდან გურამიშვილის გამოფენაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ამოღებული იყო კიდევაც „საქართველოს ისტორიის მასალების“ 4 თაბახის დამზადება. ამის გამო მივლინების გამოუყენებლობა უხერხულად ჩავთვალე და ნოემბრის 12-ს მოსკოვს ვავემგზავრე.

ჩემი მივლინების მთავარი მიზანი იყო მოსკოვ-ლენინგრადში დაცული ქართული ხელნაწერების საქმიანი გაცნობა, თემა კი [იყო] „რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობანი XVII—XVIII სს.“. სამხედრო-ისტორიულ არქივში მინდოდა მომეძებნა ცნობები არჩილის ვაჟის ალექსანდრეს, პეტრე I-ლის გენერალ-ფელცენგმეისტერის საქმიანობის შესახებ. როგორც ცნობილია, ალ. არჩილის ძე პეტრე პირველთან ერთად იზრდებოდა მოსკოვს. პეტრემ თავის საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს თან წაიყვანა ალექსანდრე, სხვა ახალგაზრდებთან ერთად. ალექსანდრეს მან საარტილერიო საქმის შესწავლა დაავალა და უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე დანიშნა იგი რუსეთის არტილერიის უფროსად — გენერალ-ფელცენგმეისტერად. პეტრეს ისტორიკოსის უსტრიალოვის მიხედვით, ალექსანდრე ბატონიშვილი, უცხოელების ცნობებით, გამოირჩეოდა სხვა ახალგაზრდებში თავისი მუყაითობით. ამ მუყაითობას, სხვათა შორის, მოწმობს ალექსანდრესაგან ქართულად თარგმნილი „საარტილერიო წიგნი“, მეტად საყურადღებო ნახაზებით. ამ წიგნის ერთ-ერთი ნუსხა დაცულია H ფონდში 1069 №-ით. საინტერესო იყო გარკვევა, რომელი ენიდან თარგმნა ეს წიგნი ალექსანდრემ და რამდენად მაღალ დონეზე იდგა მისი დედანი იმდროინდელი სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით. სასურველი იყო აგრეთვე ალ. არჩილის ძის ბიოგრაფიული ცნობების დაძებნაც.

* კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქ. შარაშიძის არქივი, № 970.



ალ. არჩილის ძის სამხედრო კარიერა სულ ორიოდ წლით განისაზღვრება. როგორც ითქვა, 1698 წ., უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე, პეტრე რუსეთის არტილერიის უფროსად, გენერალ-ფელდციხმეისტერად დანიშნა. ალექსანდრეს არ დასცალდა პეტრეს წინა რუსეთის არტილერიის ევროპულ ყაიდაზე გადახალისება. [1700] წელს დაიწყო ე. წ. ჩრდილოეთის ომი შვედეთთან, რომელიც თითქმის 21 წელიწადს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში საბოლოოდ გამოიწრთო განახლებული რუსეთის სამხედრო ძლიერება, რომელმაც არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვა პეტრეს და 1721 წელს რუსეთისათვის სასახელო ნიშნად ტის ზავით დამთავრდა. მაგრამ შვედეთთან ომის დასაწყისში, 1700 წ. რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად მისთვის. ამის შედეგად 1700 წლის 19 ნოემბერს ძვ. სტ. ნარვასთან რუსეთის ჯარს დიდი მარცხი მოუვიდა. აქ შვედებმა ტყვედ წაიყვანეს რუსეთის 70 გენერალი და ოფიცერი, ათეული ათასობით უბრალო ჯარისკაცი და მთელი არტელერია.

მოსკოვის სამხედრო საისტორიო არქივში ორი დღის მუშაობის შედეგად [მოპოვებული] პეტრე I-ლის ხელით შედგენილ „Журнал о шведской войне“ 1698—1708 წწ-დან გადმონაბეჭდში ალექსანდრე არჩილის ძის სახელი მხოლოდ ერთგან არის მოხსენიებული: ნარვასთან ტყვედ ჩავარდნილ გენერლების ნუსხაში მას მეორე ადგილი უჭირავს. გენერალ-ფელდმარშლის გერცოგ ფონ-კრონის შემდეგ მოხსენებულია „Генерал фельтцехмейстер-принц Александр Имеретинский“. მას მისდევს გენერალ-კომისარის — იაკობ დოლგორუკისა და სხვა გენერლების — გოლოვინის, ვეიდის, ნოვგოროდის გუბერნატორის თავად ივანე ტრუბეცკოის, გენერალ-მაიორ ბუტუჩრინისა და სხვების სახელები.

აქ ჩამოთვლილია ნარვასთან ჩავარდნილი არტილერიის — ზარბაზნებისა (63) და სხვა სამხედრო საჭურველის რაოდენობა.

ამ მეტად მდიდარ არქივში, რომელშიაც ძვირფასი ცნობები მოიპოვება XVIII—XIX სს. საქართველოს შესახებ, ჩემთვის ამჟამად საინტერესო სხვა ვერაფერი ვნახე.

მოსკოვში ორი დღე მთლიანად მოვანდომე საისტორიო მუზეუმის დარბაზების გულდასმით დათვალიერებას.

ლენინგრადში მისვლის პირველ დღესვე გამოცხადდი სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბ-კის ხელნაწერთა განყოფილებაში.

აქ ჩემი ყურადღება არაერთმა ხელნაწერმა მიიპყრო. განსაკუთრებით მწყუროდა მენახა ა. ნ. გრენის კოლექციის № 6 ხელნაწერი. აღწერილობის მიხედვით ეს უნდა ყოფილიყო ეტრატის ხელნაწერის ფრაგმენტი, მოპოვებული გურიასში, ჯუმათის მონასტრის ახლოს, სადაც იგი XIX ს. 60—70 წწ. ბავშვების სათამაშოდ ყოფილა ქცეული. ამ ფრაგმენტს კატალოგი X ს. ათხრილებს; მისი ტექსტი დაწერილი ყოფილა ორ სვეტად და აბო ტფილელის წამების შემცველი ყოფილა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ფრაგმენტი პატივცემულ ა. შანიძის მზრუნველობით უდაბნოს მონასტრიდან მოტანილი, IX ს. მიჩნეული მრავალთავის (A 1109) ფრაგმენტი იქნებოდა. სწორედ ამ ხელნაწერს აკლია აბოს წამების უძველესი ტექსტის ფურცლები. აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ თ. ყორდანის მინაწერი „უდაბნოს მრავალთავის“ ერთ-ერთ ფრაგმენტზე: „1890 წელს ეს ნაწყვეტი ოზურგეთში შაგირდებს ჰქონდათ ყდისათვის; შემოქმედიდან მოეტანათ. გამოვართვი... დიად საჭიროა“ (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა A კოლექციისა, ტ. IV, თბ., 1954, № 1109, გვ. 95). მღელვარებით მოველოდი ფრაგმენტს, მაგრამ ახალგაზრდა, მეტად სიმპათიურმა ბიბლიო-



თეკარმა მომართა შეკითხვით: „რა კავშირი უნდა ჰქონდეს X ს. ხელნაწერის ფრაგმენტს თქვენ თემასთან — Русско-грузинские культурные связи XVII—XVIII вв.“ მე ვუთხარი: „ერთი რომ ძველ ხელნაწერებს მეტად გვიანდელი და მეტად საყურადღებო მინაწერები აქვთ. გარდა ამისა, მე მინდა ვნახო ეს შესანიშნავი ფრაგმენტი-მეთქი“ (აქ უნდა ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ჩემი მივლინების მიმართვაში ამომიშალეს „Общее ознакомление с фондами грузинских рукописей“, (რამაც საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს საკმარისად შემზღულა).

ბიბლიოთეკარი თითქმის დამეთანხმა, მაგრამ საბოლოოდ (მესამე დღეს) გამიცხადა: „ეს ფრაგმენტი ადგილზე არ აღმოჩნდა“*.

გაბრიელ საბინინისაგან მიძღვნილი ფონდიდან მოვითხოვე კატალოგში XIII საუკუნით დათარიღებული ხელნაწერი № 14, წამოღებული ზაქარია კიქინაძის მიერ, მასწავლებელ შაქრო გულისაშვილის თანდასწრებით 1880 წ. გორის მაზრის მეტეხიდან**, [თუ] კავთისხევის ღვთისმშობლის ბეთლემის ტაძრიდან (მეტეხის?, ბეთლემის?, კავთისხევის?). მის გადამწერად ზოსიმე ვალელი იხსენიება. ეს არის ეტრატის დიდი 443 ფურცლის ხელნაწერი, რომლის მეტად დაზიანებული ნაკლული ფურცლები ნაწილობრივად აღდგენილია შემდეგში.

ჯერ კიდევ ხელნაწერის გასინჯვამდის დამაინტერესა ხელნაწერის XIII ს. დათარიღებამ, რაც საეჭვოდ მეჩვენა.

მართლაც, ხელნაწერის წერილი ნუსხური ხელი მოკლებული აღმოჩნდა კლასიკური პერიოდის ნუსხურისათვის დამახასიათებელ სისრულეს. ეს საკმარისად ლამაზი, მოხდენილი ხელი ნაცნობი მეჩვენა. ნაცნობად გაისმოდა აგრეთვე ერთ-ერთი (მთავარი) გადამწერის ზოსიმე ვალელის სახელი.

საინტერესო უნდა ყოფილიყო ხელნაწერას დამკვეთის — „მეფეთ-მეფის დავითის“ ვინაობის გარკვევა. მისი მოსახსენებლები უხვად არის ჩართული დიდი ხელნაწერის ტექსტში და ნაპირებზე, თითქმის ყოველ ფურცელზე. ხელნაწერის შესწავლამ ცხადჰყო, რომ იგი გადაწერილი უნდა იყოს მეფე ქსენოპეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართლის მეფის დავითის (1505—1525) ბრძანებით. საკითხავია — საიდან გაჩნდა ქართლის მეფის კარზე გადამწერი „დეკანოზის შვილი ვალელი ზოსიმე“.

როგორც ორი წლის წინ წაკითხულ მოხსენებაში — „საქართველოს ისტორიის მასალებში“ — გავარკვეე, ქართლის მეფეს, დავითს, ცოლად ჰყავდა ყვარყვარე დიდის ასული მეორე ცოლისაგან (სახელი არ ვიცი). ყვარყვარე ათაბაგის ასულს დავით მეფის მეუღლეს და მის დედას, ყვარყვარე დიდის გარდაცვალების შემდეგ (1498), XVI ს. I-ლ ნახევარში ჩვენ ქართლში ვხვდავთ. ქართლის მეფის დავითის სიღვდრის სახელს (ნესტან-დარეჯან ყოფილი, ნინო) ქართლის საბუთებში ვპოულობთ. ეჭვს გარეშეა, რომ ყვარყვარეს მეორე მეუღლეს თან, სხვათა შორის, მწერალი ზოსიმე ვალელიც გაჰყოლია.

საბინინისეული ხელნაწერების კატალოგში ჩემი ყურადღება მიიპყრო თამარის ასულის, რუსუდან მეფის მწერლის, ნიკოლოზ ქერხელის ხელით გადაწერილმა პატარა ტანის 9×8 სანტ. ზომის ხელნაწერმა სახარებამ (№ 25). ეს ხელნაწერი, როგორც იშვიათი ძეგლი, რამდენადაც მომიხებრბდა აწვერე. რუსუდანის დროინდელი, პირადად მე, მხოლოდ ერთი ხელნაწერი მინახავს აქამდის (№ არ მახსოვს, არც ფონდი).

* ჩამატება: ჩემი ეჭვები და რაკიტინას განმარტება.
 ** ჩამატებულია: ესე წიგნი მოვიპოვეთ სოფელი მეტეხის ეკლესიაში, 1880.

რამდენადაც მომიხერხდა-მეთქი, ვამბობ, მიტომ რომ, მიუხედავად ელექტრონის შუქისა, იქაური სინათლე ჩემთვის საკმარისი არ იყო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ძველი ხელნაწერის ეტრადი მთლად გაწყვეტილი ფრებული და ასოები ზოგჯერ გადასული იყო და ვეღარ ირჩეოდა.

გარდა ამისა, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ხელნაწერთა განყოფილებაში არსებული, მეტად მოსაწონი წესის წყალობით, დავინახე, რომ ამ ხელნაწერზე ჩემზე ადრე ქეთევან.....-ს* უმუშაენია, მას გადაუწერია, ხელნაწერის ბოლოს დაცული გიორგი მთაწმიდელის ანდერძი, ჩემი წაკითხვით, ასეთია:

„სრულ იქმნა წ'ა ესე ო-
თხთავი სრულითა და მა-
რთლითა საძიებლითა,
ველითა რუსუდან მეფე-
ისა მწერლისა ნკ'ზ [ნიკოლოზ] ქე-
რხელისაჲთა, რომელი ესე და-
ვწერე სულკურთხეულისა გა-
მზრდელისა ჩემისა (აქ დაახლოვებით 6—7 ასო ამოფხეკილია)
სა ოთხთავისაგან (ნი?) (აქაც არ იმჩნევა; ალბათ — რომელნი იგი)
მ[ა]ს დიდად ჰ[თ]ქდად [საქადად] აქ[უნ]-
და სიმართლისათჳს ყ'თა
მეცნიერთა წინა“.

საბინინისეული კოლექციის არის აგრეთვე ქვენიფლეველთა სვინაქსარი, საბინინის მინაწერით: „ეს სვინაქსარი მოვიპოვე ქართლს, ყანვეთს ჩყეშ [1898], ოდეს მრავალმთის უდაბნოს წ. დავითისა ვიყავი და ს'დ განვაახლე“. დაწერილია კლასიკური პერიოდის ნუსხურით (XII—XIII სს. ხელით). მისი გამაწერია ბერი ბასილი, რომლის შესანდობარს ხელნაწერის არაერთ ადგილას ვკითხულობთ.

გვიანდელ მინაწერში იხსენიება „ბერი ანდრია სამთენელი“.

თვით სვინაქსარი ნაკლულია, მასში ჩართულია ექვთიმე მთაწმიდელის სვინაქსარული ცხოვრება (იანვრის 20-ის თარიღ ქვეშ). 66r-ზე, ქვემო კიდე-ზე, მუქი მელნით, მიწერილია:

„ერისთავმან ქვენიფლეველმან დავით შემოწირა, ყ'დ
წ'ო ღთისმშობელო,

მფარველ ექმენ... ქ'ნიფნეველსა, ძეთა და ძმათა მისთა“.

მინაწერებში საყურადღებოა დათარიღებული აღაპები (ასეთი ორი ვნა-ზე). ერთი მათგანი კარგად იკითხება; იგი მოთავსებულია სვინაქსრის რვა (E) ნოემბრის ტექსტის ქვეშ, 27r-ზე:

„ამას დღესა აღაპი არის ერისთვისა ქუჭნიფნეველისა[ა], ორისა მღღელ-მონაზონისა და სამისა მღღელის წირვა და პანაშვილითა...“

ამ ტექსტს მარჯვენა ნაპირზე აწერია:

„ქ'კნი [იყო] თუ ჩვენი წაკითხვა სწორია:

÷ რი 110

1312

1422 წელი

* შეიძლება ვიგულისხმობთ აწ გარდაცვლილი მეცნიერები ან ქეთევან ლორთქიფანიძე ან ქეთევან ძოწენიძე.

სვინაქსარს შემონახული აქვს ჩინებული ძეგლი (XV ს.) მხედრული ზე-
ლით დაწერილი საბუთები: მაგ. რატისშვილის სეფედავლესი, რომელსაც
ვისი „აღალითა საქონლითა კასბურისა [ძ?]ამროსაგან უყიდა ვენაჯი და „მო-
ვეც თქუენ, ვაშპას ძეთა და კასბურთა კრებულთა საერთოდ“ და ჰირობით
შეკრულია მათთან, რომ კრებული მას აღაპს გადაუხდის.

საბინინის კოლექციაში ავწერე, აგრეთვე, სულ პატარა, 5 ფურცლიანი,
მრგვლოვანი და ნუსხური ანბანის სასწავლად საგანგებოდ გაფორმებული
ხელნაწერი, რომელზედაც აღარ შევჩერდებით (№ 24).

სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების, იოანე
ბატონიშვილის ფონდში № 313-ით დაცულია მოსკოვს ვახტანგ VI-ს ბრძანე-
ბით თარგმნილი და გადაწერილი ხელნაწერი, რომლის (ვფიქრობ ადრინდელი)
ნუსხა დაცულია ჩვენი განყოფილების S ფონდში, 167 №-ით.

ხელნაწერი, როგორც ამას მისი მთარგმნელი გვამცნობს, ვახტანგის ნას-
წორები და შევსებულია. როგორც ეს ჩვენს „გზამკვლევაში“ აღნიშნული,
უცხოური და რუსული ტერმინების ქართული განმარტებები ამ ხელნაწერის
ტექსტში თვითონ ვახტანგისაგან არის ჩართული. მოსკოვის ხელნაწერი, შე-
იძლება ითქვას, წიგნის გაფორმების ერთ-ერთ უშესანიშნავეს ნიმუშს წარმო-
ადგენს. ეს ხელნაწერი დაწვრილებით მაქვს აღწერილი. იგი დაწერილია მელ-
ქისედევ კავკასიძის კალიგრაფიული მხედრულით, ჩინებულ, უჭკირანიშნო
(სპარსულ) ქაღალდზე; მისი საგანგებოდ ნაყთები ყდა, ტეფრული, ღია ყა-
ვისფერი ტყავით შემოსილი, მოოქროვილია; მას მოოქროვილი აქვს კიდეებიც.
ხელნაწერის თავსა და ბოლოში ბლომად არის ჩაყინებული შესავსები ცარიელი
ფურცლები, ერთ-ერთ მათგანზე 1912 წ. თავისი სახელი წაუწერია „სტუდენტ
ელექტროტექნიკს გ. დ. მიქელაძეს“.

პაგინირებულია ფურცლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც ტექსტი
აქვს (182 ფ.).

იწყება: „ქ. წიგნი მე, მიხაილ ელივიჩ (აღბათ Ильич-ი იქნებოდა!)
ვთარგმნე რუსულისაგან ქართულად, ოდეს მობრძანდა მეფე ვახტანგ ქართლი-
სა მოსკოვს, მან მიბრძანა და თვით მანვე ქართულის ენით გაასწორა და
ვრცლად დასწერა — საუკუნომცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მისი-
სანი. ამინ“. ამას მოსდევს ხელნაწერის გადაწერის თარიღი, რომელსაც, რო-
გორც ეტყობა, მისი თავისებური დამწერლობის წყალობით, არასწორად
კითხულობენ, როგორც 1724 წელს.

ამ თარიღით არის იგი აღნიშნული კატალოგში. თავისთავად ცხადია, რომ
საქართველოდან 1724 წლის ზაფხულზე წასული, სოლახს 1724 წლის აგვის-
ტოს 28-ს მისული, ასტრახანს 1724 წლისვე ნოემბრის 8-ს მისული ვახტანგ
VI მოსკოვში 1724 წლის სექტემბრის ი (10-ს) ვერ იქნებოდა.

ქართული ასოებით დაწერილი თარიღის წაკითხვის შეცდომა იმის შედე-
გია, რომ კე-ს (25-ს) მ. კავკასიძე წერს ჩართვით... მაგრამ იგიზიდან იგი ტექსტ-
შიაც წერს მაგალითად, სიტყვა „გაკეთებას“ კე-ს სწორედ ამსახიფვე, სიტყვა
„რიცხვებში“ ვე-ს, სიტყვა „ფევი“ ფე-ს ამგვარადვე — კავკასიძის თარიღი
უნდა იკითხებოდეს არა, როგორც ჩლკდ, არამედ ჩლკე — ე. ი. 1725 წელი.
(შესაძლებელია ამავე კავკასიძის ხელით, ამგვარადვე იყოს მიწერილი ს. ს.
ორბელიანის გარდაცვალების თარიღი, რომელსაც შეცდომით 1724 წ. თვლი-
დენ).

რალა თქმა უნდა, მცდარი თარიღები ჩვენ შევასწორეთ, რაც შენიშვნე-
ბისათვის ცალკე მიწოდებულ ქაღალდზე აღგანიშნინეს.

ვახტანგის ბრძანებით თარგმნილ-გადაწერილი ხელნაწერი თავისი ჩანათ-
თებითა, შენიშვნებით და ლექსიკონებით იმდენად შესახიშნავია, რომ აქვეყნულ
ლებული ვართ სულ ვაკვრით აღვნიშნოთ ეს, თუმცა, რამდენადაც მოგვსწავ
რით, ვცადეთ მისი უფრო დაწვრილებით აღწერა.

ხელნაწერში, სხვათა შორის, ნათლად გამოჩნდა ვახტანგის პედაგოგიური
მეთოდი, რომლის საბოლოოდ შესწავლა შეუძლებელია, სანამ თარგმანი ლე-
დანს არ შეუდარდება.

მაგრამ უეჭველად ორიგინალურია ვახტანგის ლექსიკონები და საერთოდ
ტერმინოლოგიის განმარტებები: „პუნქტი — წინწყალი; კრივია — მოხრილი;
სპირალი — ხვეულხაზი; პერპედიალარი — ბოძთა პარალელია; წყუილენი
გინა ჭუფთი — ორი ხაზი ასე გასწიო, რომ რაც სიშორე თავსა ჰქონდეს, ის
ბოლომდი სწორად ჰქონდეს.

სფერა ანუ გლობუსი. ქართულადაც სფერო ჰქუნიან. ეს ის არის, რომ
ერთი რამ ასე სწორი მრგვალი რამ იყოს, არაფერი სიმრუდე არა ჰქონდეს.
აქსის ღერძი — ეს ის არის, რომ სფეროშია ერთი ღერძი რომ სწორად
ცქიტზედ გაავლო.

პირამედი ქართულადაც პირამედი ჰქუნიან“ და სხვ.

აქვეა მოთავსებული არითმეტიკული მოქმედების ქართული ტერმინები.
ყურადღებას იპყრობს სავესებით გადმოქართულებული ამოცანები.

ამავე ხელნაწერში ხედავთ ულუდი ბეგის ქართულ თარგმანში ცხრილებს.
იოანე ბაგრატიონისეულ კოლექციაში დაცულია მხედრული ხელით, გვიან
გადაწერილი კრებული, რომელშიც მოთავსებულია „მეფის ერეკლეს ქორო-
ნიკონი“, როგორც მახსოვს, იგი ლენინგრადს ერთ-ერთი მივლინების დროს
ელენე მეტრეველს უნდა ჰქონდეს გადმოწერილი. ამაზე აღარ შევჩერდებით.

აღსანიშნავია, რომ ამავე კრებულში, 142r-ზე მოთავსებულია ერეკლე
მეფის მიმართვა „ქართლ-კახეთის ყოველთა ერთა“ ახალციხეზე ლაშქრობის
წინ(?) 1770 წ. ეს მიმართვა მთლიანად დაბეჭდილი გვაქვს A ფონდის IV
ტომის № 1221-ში.

ამავე იოანე ბაგრატიონის ფონდში დაცულია ვახტანგის ძმის დომენტი
კათალიკოზის (დომენტი III) ბრძანებით 1711 წ. „აღწერილი“ ოთხთავი
(№ 298) მეტად თავისებური უცნაური მოხატულობით. წმინდანების სახეები
რაღაც პირუტყვების სახეებს წააგავს (ანდერძი გადმოწ. მაქვს).

გადავდივარ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწე-
რებზე.

ვინაიდან აქ ყოფნისას დიდხანს ვიმუშავე და მასალები გაცილებით მეტი
მაქვს, იძულებული ვარ, მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდე.

მატახელის ხეობის დემოგრაფიული კიბლი*

[1961 წ.]

1. ძეგლის მოპოვება. 1955 წ. ოქტომბერ-ნოემბერში ლენინგრადში,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის

* ნარკვევი შესრულებულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის 1961 წლის
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით, როგორც შესავალი ძეგლის ტექსტისათვის. ეს
უკანასკნელი ავტორის მიერ წარმოდგენილი იქნა მანქანაზე გადაბეჭდილი თ. ვნუქიძის ხელ-
ნაწერიდან. ტექსტს ახლავს ავტორისეული შენიშვნები და დართული აქვს პირთა საძიებე-
ლი (რედ.). კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქ. შარაშიძის არქივი, № 586.

დროს ჩემი ყურადღება დიდი ზომის ეტრატის გრაგნილმა P 10 მიიპყრო იგი მთლად დაფარულია მაჭახელის ხეობის ექვსი სოფლის მცხოვრებთა ხელებითა და გვარებით, დაწერილით უმეტეს ნაწილად XIV—XV სს. ჩინებული ნუსხური ხელით. მაღალი ხარისხის არის გრაგნილის ეტრატიც, რომლის ზოგიერთი კეფი პალიმფსესტს წარმოადგენს. საბუთის რუსული სახელწოდება: „Грамота Мачахелского ущелья“.

ჩემი მივლინება მიწურულში იყო და 23⁰-იანი ყინვებიც ლენინგრადიდან მერეკებოდა. ამის გამო ძლივს მოვასწარი ცხრამეტკეფიანი გრაგნილისთვის თვალის გადავლება.

გვარები: კახაბერის ძე, ტბელის ძე, ვარდანეთ ვარდან, ქუაბულის ძე შავთელი (ორ სხვადასხვა ადგილას) და სხვ. და ძეგლში შეტანილ ქალ-ვაჟთა სახელებიც საყურადღებოდ მეჩვენა.

სახელდახელო ანგარიშით ძეგლი 935-ზე მეტი პიროვნების სახელს უნდა შეიცავდეს.

ინტერესს მოკლებული არ არის, აგრეთვე, ძეგლის რამდენიმე ენობრივი თავისებურება. მაგ. გორგაძის გვარისა და სახელის ამ ფორმით წარმოდგენა: „გორგაზიეთ მახარებელსა“, „გორგაზიეთ კუ[ი]რიკესა“, ანდა ვაცაძის — „ვაცაეთ ნიკოლოზსა“, „ქუაბლიეთ“, „იაბედეეთ“, „როსტომეთ“ და სხვა მრავალი; ძეგლის ნუსხის დიდი ნაწილი ასეა წარმოდგენილი. მსგავსი მოვლენა შეიმჩნევა ჩვენი დროის მოხვევთა მეტყველებაში.

ძეგლში შეიმჩნევა, აგრეთვე, გურიაში დღემდის ცოცხალი ფორმა: ქალის გვარის „ფხე“-დ დაბოლოება (მაგ. მაძვაფხე, ნიკოლაფხე და სხვ.).

გრაგნილის მასალის (ეტრატი, ხელი, სინგური, ჩვეულებრივი მელანი) მაღალი ხარისხისა და სხვა ნიშნების მიხედვით იგი XV ს. გვიანდელი არ უნდა იყოს.

ცხადი იყო ამ ძეგლის მთლიანად გადმოწერის და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ფოტო-პირის გადმოღების საჭიროება.

მივლინებიდან დაბრუნებისთანავე შევეცადე დამინტერესებინა მაჭახელის საბუთით ისტორიის ინსტიტუტის ღირეჭია. თუმცა ძეგლმა ინტერესი გამოიწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი პირის გადმოღებისათვის საგანგებოდ არავინ იყო მივლინებული.

ამის გამო, მიემართე თხოვნით ლენინგრადში მივლინებაში მიმავალ თინათინ ენუქიძეს — მან სიტყვა მომცა, რომ თუ თავისი პირდაპირი მიზნების დროზე შესრულებას მოასწრებდა, ძეგლის პირს გადმოიღებდა.

თ. ენუქიძემ თავგანწირვით მოჰკიდა ხელი ამ რთულ საქმეს. მიუხედავად ლენინგრადის ღრუბლიანი დღეებისა, მან მოახერხა გადმოწერა 29 გვერდიანი მეტად ძნელად ამოსაკითხავი ტექსტი და გზა-გზა ძეგლის 19 კეფის r—v-ს აღწერილობაც ჩაურთო.

არც თ. ენუქიძეს და არც მას, ვინც ეს ძეგლი მიუთითა, გადმოწერის საქმე დასრულებულად არ მიაჩნია. აუცილებელია საგანგებო მივლინებით გაემგზავროს თ. ენუქიძე და თავიდან ბოლომდის შეადაროს გადმოწერილი დედანს*.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რაც თ. ენუქიძემ გააკეთა ამ ძეგლის შესწავლის საქმისათვის, ეს მას ძეგლის გამოკვლევის თანაავტორობის უფლებას

* აღნიშნულ ძეგლზე ქრ. შარაშიძეს მუშაობა აღარ გაუგრძელებია. შემდგომ იგი თ. ენუქიძის მიერ შესწავლილი და გამოკვეყნებული იქნა. იხ. ტბეთის სულთა მაჭახანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977 წ. (რედ.).

ანიჭებს. ძეგლის გადმომღების მონაწილეობის გარეშე არ დაიწერება. მაგალითად, მისი აღწერილობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ძეგლის მოხვედრა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რა თქმაობისა და, ისტორიკოსისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ბაქრაძის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

დ. ბაქრაძის „Археологическое путешествие“—ს 197 გვ-ზე მოთაგებულია მაჭახელის გრაგნილის ასეთი აღწერილობა: „Длинный свиток, сшитый из нескольких пергаментных кусков, имеющий 6 аршин длины и с обеих сторон исписанный преимущественно церковным письмом различного почерка. Он заключает в себе перечень множества фамилий, делающих приношения в память о себе и об усопших и живых своих родственниках. Это т. н. в Грузии агапы (...поминки).“

Свиток этот напоминает агапы Тисельского монастыря, имеющиеся в виде приписок в древнем его манускрипте „Свинаксари“ (СНГОН. Georg., 107—125, груз. часть, 113—128).

В нашем свитке Тбети не поименован и не известно к какой эпохе он относится. Фамилии его группируются по местностям, из которых я разобрал только шесть: Зеда-Ваке, Чикунети, Чхутунети, Абхазети, Евфрати и Хертвиси.

Каждой группе предшествует следующая формула: „ყ^ალთა ზედგაკით შემომწირველთა ამის ეკლესიისათა შ^ან ღ^ან—ყ^ალთა, ხერთვისით შემომწირველთა...“ (რუსული თარგმანი).

„Ни в одной группе нет исторических имен, но в разных группах есть такие фамилии, из которых одни встречаются лишь в прошлые времена, а другие существуют и поныне. Таковы: Ахсартани-швили, Кобуладзе, Камкидзе, Хуцисдзе, Кахаберидзе, Варданели, Джавахидзе, Сумбатишвили, Гогоберидзе, Мортуладзе и пр.“

Здесь, к стати, я укажу другой подобный свиток“.

აქ დ. ბაქრაძე დაწვრილებით აღწერს სვანეთის „სულთა მატიანეს“, რომელიც ნაწილობრივ გადმოწერილიც აქვს და შეტანილი თავისი შრომის ამ ადგილას რუსული თარგმანითურთ.

უმადურობა იქნება, რომ დეაწლომოსილ მეცნიერს უსაყვედუროთ მეტის უთქმელობა ამ უეჭველად მნიშვნელოვანი ძეგლის შესახებ. იმდროინდელი ქართული საისტორიო მწერლობა ჯერ კიდევ არ აფასებდა ჯეროვნად ეკონომიური და ზოგადი ისტორიის ისეთ მასალებს, როგორც გარკვეული ეპოქის მოსახლეობის ნუსხებია.

ასეა თუ ისე, დ. ბაქრაძემ დაღუპვას გადაარჩინა ეს ძეგლი, რომელიც თამამად შეიძლება დავაყენოთ ე. წ. „მატიანე სუანეთისა კრებისა“—ს გვერდით!

დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ა თ უ ა რ ა ე ს ძ ე გ ლ ი? სტატისტიკის იმ განყოფილებისათვის, რომელიც მოსახლეობის შედგენილობასა და ე. წ. „მომართობას“ არკვევს, მაჭახელის ხეობის XIV—XV სს. გრაგნილი ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს. მისი შესწავლა ჯერ დასაწყის სტადიაშია. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, რამდენად სრულია მაჭახელის ხეობის ექვსი სოფლის

1 ბ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ტექსტები, თბ., 1941, გვ. 115—160.

მცხოვრებთა სიები აქ; მოსახლეობის რამდენი ნაწილი შეგვიძლია ვიგულისხმოდ. სიებში შეტანილად. გაღრმავებული კვლევა ახლო მომავლის საქმეებზე ამჯერად კი შეიძლება ითქვას, რომ აქ მოხვედრილი არიან ე. წ. კომლუხის ოჯახის უფროსი თაობის დედ-მამისა, ანუ უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ ცოლ-ქმარის სახელები; ზოგჯერ მხოლოდ მიცვალებულები (მაგ. „სულსა თეჟირის ძესა, რომე ქალაქს მოკუდა შნ ღნ“, ან „შეწირულების საგანგებო სახის გამღებნი(?)“ (მაგ. „კიბელის ძესა კრიკესსა და მეუღლესა მისსა დუდასა და მისთა მშობელთა შნ ღნ. ამა შტომსა შენებასა შიგან დიდი ჭირი ნახა“). ასე, რომ „შემომწირველთა“ ნუსხა არ უნდა ფარავდეს მოსახლეობის სრულ შედგენილობას და მხოლოდ ნაწილობრივ უნდა ასახავდეს მას. მით უფრო შესანიშნავია, რომ ექვსი სოფლის მთლიანად ქართული მოსახლეობის ნაწილი (ვფიქრობთ — უმცირესი) ათასამდე სულის სახით არის აქ ფიქსირებული.

მოსახლეობის ამ ძეგლში წარმოდგენილი აღრიცხვა მიგვითითებს ყოველი მათგანის სახელსა და გვარს და ნათესაურ ურთიერთობასაც.

სოციალური შედგენილობა. დ. ბაქრაძე ჩივის, რომ „მატიანეში“ არ არიან მოხვედრილი ისტორიული პირები. ეს მართლაც დემოსის, ხალხის, დაბალი ფენის აღწერაა. საყურადღებოა, რომ გვარებში ხშირად ასახულია წინაპართა ხელობა. მაგ.: „სულსა ოქრომკედლისა არსლანისსა შნ ღნ“. იხსენიება „მკეციისძე მკედელი მიქაელ“, „მეფუტკრეთ ივანე“, „მაკერვალი(!) დემეტრე“.

ხელოსნების სიმრავლე ამ კუთხის მოსახლეობაში, რომელიც შემდეგში თოფის წამლისა და თოფების კეთებით მთელ დასავლეთ საქართველოში იყო განთქმული (მაჭახელა — თოფი) ბუნებრივია.

აღაპები თუ მოსახსენებლები? დ. ბაქრაძე ძეგლის ტექსტისათვის ამბობს: „Что т. н. в Грузии агани“ (გვ. 197). ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიის“ II B-ში (გვ. 436—37) განარჩევს აღაპს სახსენებლისაგან: „საჯსენებელი“ ვისიმე სახელის წირვის დროს შევედრებამოსხენებას ნიშნავდა. „აღაპი“ კიდევ ეწოდებოდა იმ სერობას, რომელსაც ჰპართავდნენ ხოლმე ამა თუ იმ პირის ხსენების დღეს შესანდობარის დასაღვევად“ და სხვ.

„შეწირულება განსაზღვრული პირობით გაცემულ ქონებას წარმოადგენდა“.

ამის მიხედვით აღაპი დიდი და მნიშვნელოვანი შეწირულებისათვის სრულდებოდა, მოსახსენებელი კი შედარებით მცირედი შეწირულების გაღების შედეგად იწერებოდა.

მაჭახელის გრაგნილი, ისევე, როგორც „მატიანე სუანეთისა კრებისა“ და „გერგეტის სამების სულთა მატიანის“ დიდი ნაწილი მოსახსენებლების ტექსტებს წარმოადგენენ.

სად არის შედგენილი მაჭახელის ხეობის ნუსხები? ტექსტი პირდაპირ მიგვითითებს იმ სოფლებს, რომელთა მოსახლეობის გვარებიც შეტანილია მოსახსენებლებში. ყოფილ მაჭახელის ნაფში, დღევანდელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დღესაც შენახულია გრაგნილში ფიქსირებული სოფლების ძველი სახელები: ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, აფხაზეთი, ევფრატი, ხერთვისი.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ: „მაჭახელის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში არის ხერთვისი... ზედვაკე, ევფრატი“.

გასარკვევია მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელსაც აღძრავს ახლად
მოპოვებული (!!) ძეგლი. უპირველეს ყოვლისა, რომელი ეჭვგარეშე
ლესიის მრევლს წარმოადგენენ ექვსი სოფლის მცხოვ-
რები (ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, აფხაზეთი, ეფტრათი, ხერთვისი).
ეს საკითხი რთული და მნიშვნელოვანია. გრაგნილის ტექსტი დაწერილია
ქართული ფეოდალური კულტურის გაფურჩქნისა და აღმავლობის პერიოდ-
ში, როცა კულტურის გავრცელების მთავარი კერები ეკლესიის მეთაურობით
მოქმედებენ.

ინფორმაცია

ბასილი კესარიელის ბარდაცვალების 1600 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალები, ტორონტო, 1981*

1974 წელს ბასილიანელმა მამებმა გადაწყვიტეს ბასილი კესარიელის თქვესმეტსაუკუნოვანი იუბილე სიმპოზიუმით აღენიშნათ. 1976 წლის შემოდგომაზე გადაწყდა სიმპოზიუმი ჩატარებულიყო შემდეგი სახელწოდებით: „ბასილი კესარიელი, ქრისტიანი, ჰუმანისტი, ასკეტი“, რამაც განსაზღვრა სიმპოზიუმზე წარმოდგენილ მოხსენებათა ხასიათი.

სიმპოზიუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა, ერთგვარად შეაჯამა მრავალსაუკუნოვანი კვლევის შედეგები და ნათლად წარმოაჩინა ბასილი კესარიელის გავლენა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ცივილიზაციაზე.

სიმპოზიუმის მასალები ორ ტომად გამოიცა 1981 წელს ქალაქ ტორონტოში. 1982 წელს კი შუა საუკუნეების კვლევის პაპის ინსტიტუტმა აღნიშნული გამოცემა საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც დაცულია ბასილი კესარიელის თხზულებათა შემცველი 400-ზე მეტი ქართული ხელნაწერი.

ერთ სტატიაში შეუძლებელია გადმოიციეს და შეფასდეს ამ შრომების არსი და მნიშვნელობა, ამიტომ ჩვენ მოკლე ინფორმაციით შემოვიფარგლეთ და საგანგებოდ შევჩერდით მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რომელიც ბასილის თხზულებათა ქართულ თარგმანებს ეხება.

პირველ წიგნს ხსნის პაპი იოანე პავლე II-ისა და მსოფლიო პატრიარქის დემეტრიოსის მისალმებანი სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი (XI—XVII). ამას მოჰყვება ბასილის, ფსევდობასილურ და სხვა თხზულებების სახელწოდებათა შემოკლებების სია (XIX—XXXVII) და შესავალი, რომლის ავტორია პ. პლატი (XXIX—XLIV). განყოფილება ცხოვრება, შემოქმედება, მოძღვრება შედგება 13 თავისაგან (3—436); მეორე ნაწილი (ტრადიცია) შეიცავს ზუთ გამოკვლევას (439—588). ტომის დამატებას წარმოადგენს პაპი იოანე-პავლე II სამოციქულო ეპისტოლე მიმართული სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი (589—621), სიმპოზიუმის მომხსენებელთა სია (623), სიმპოზიუმის მონაწილეთა სია (624—626), ბასილის და სხვა ავტორთა თხზულებების ბიბლიოგრაფია (627—699); წიგნს დართული აქვს საძიებლები: ბასილის ასკეტურ თხზულებათა (701), ბასილის თხზულებებიდან მოტანილი ციტატების (703—715), სხვა წყაროებიდან მოტანილი ციტატების (717—726), ბიბლიური მუხლების (727—729), ხელნაწერთა (731—737), ბერძნულ სიტყვათა (739—740). წიგნს ბოლოში ერთვის ვრცელი საერთო საძიებელი (741—764).

პირველი სტატია, რომლის ავტორია პ. ჯ. ფედვიკი წარმოადგენს ბასილი კესარიელის ცხოვრებისა და შემოქმედების ახალ ქრონოლოგიას¹.

* ბასილი კესარიელი ქრისტიანი, ჰუმანისტი, ასკეტი. ბასილი კესარიელის გარდაცვალების 1600 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალები; ტორონტო (კანადა), 1979 წლის 10—16 ივნისი. გამომცემელი პ. ჯ. ფედვიკი, ნაწილი 1—2, ტორონტო, 1981 წ.

¹ იგივე გამოკლევა იხ.: P. J. Fedwick, The church and the charisma of leadership in Basil of Caesarea, Appendix A, pp. 133—155.

თავის საინტერესო გამოკვლევაში „შენიშვნები ბასილი დიდის ბიოგრაფიის შესახებ“ უ. გრიბომონი აღნიშნავს, რომ ბასილის ცხოვრებას საეკლესიო და ინტელექტუალურ წრეებში უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი თვითონ იყო შთაგონების წყარო თავის თანამედროვეთათვის. ამგვარად, ბასილის ცხოვრება დღეს დაწვრილებით არის შესწავლილი იმ მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც შუქს ჰფენენ მის პიროვნებას. მეცნიერი არ უარყოფს, რომ მას არ გააჩნია ახალი მასალა ბასილის ბიოგრაფიის შესავსებად, მაგრამ დღემდე ცნობილ წყაროებზე დაყრდნობით, იგი გვთავაზობს შეტად საინტერესო, ორიგინალურ დაკვირვებებს ბასილის ბიოგრაფიაზე. ამ თვალსაზრისით არის შესწავლილი ბასილის ლიტერატურული მემკვიდრეობა. თავისი შრომის ქვეთავში — „ბასილი კრიზისებისა და შევიწროვების ცენტრში“ — მეცნიერი ეძებს „სული წმიდის“ თემაზე დაწერილ თხზულებათა სოციალურ და ფსიქოლოგიურ საფუძველს. მისი აზრით, აუცილებელია ყველა იმ პირობის გათვალისწინება, რაც პირობებშიც იქმნებოდა ეს ნაწარმოებები, რადგან ბასილის მოძღვრება სული წმიდის ღვთაებრივი არსის შესახებ შეიქმნა არა ბიბლიოთეკებისა და სენაკების სიწყნარეში, არამედ კამათსა და დიალოგებში მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე. უ. გრიბომონის შრომა წარმოადგენს ბასილის თხზულებების ღრმა ცოდნისა და ანალიზის შედეგს.

სტიგ. ი. რუღბერგის შრომა „ბასილი კესარიელის თხზულებათა ხელნაწერები და გამოცემები“ ორ ნაწილად არის წარმოდგენილი. პირველ ნაწილში ავტორი ბასილის თხზულებათა შემცველ ხელნაწერებს ჰყოფს მისი თხზულებების ოთხი ძირითადი ჯგუფის მიხედვით. ეს თხზულებებია: „ექუსთა დღეთა“, ჰომილიები, ასკეტური თხზულებები და ეპისტოლეები. ამ თხზულებათა შემცველ ხელნაწერთა რიცხვი 500-ს აღწევს, ამთგან ორი ყველაზე უძველესი IX საუკუნით არის დათარიღებული. ხელნაწერთა შესწავლის თვალსაზრისით მეცნიერი ცალკ-ცალკე იხილავს თხზულებათა თვითოეულ ჯგუფს და ითვალისწინებს ყველა იმ კოდოლოგიურ გამოკვლევას, რომელიც ეძღვნება ბასილის ამა თუ იმ თხზულებას. რაც შეეხება გამოცემებს, მეცნიერი მადლობით მოიხსენიებს აწ გარდაცვლილ ემანუელ ამანდ დე მენდიეტას, რომლის ფუნდამენტური შრომა ბასილის გამოცემათა შესახებ საფუძვლად დაედო მის გამოკვლევას². მეცნიერი იმედოვნებს, რომ მისი სტატია ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სპეციალისტებს იმ ფილოლოგიურ და საგამომცემლო საქმიანობაზე, რომელიც მიეძღვნა ბასილს უკანასკნელი წლების განმავლობაში.

სტატიაში „ბასილის ევენომიოსის წინააღმდეგ“. კრიტიკული ანალიზი“, ავტორი მ. ანასტოსი ძირითადად ბასილის მსჯელობების ანალიზით შემოიფარგლა. ადრეული ქრისტიანული ეკლესიის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სამების სამსახოვანი არსის ახსნა, რომელიც უნდა განხილულიყო როგორც ერთიანი ღმერთი. ამ საკითხებს ეძღვნება ბასილის ზემოაღნიშნული თხზულება, რომელიც მიმართულია არიოზის ყველაზე ჰკვიანი მიმდევრის, სიზიკუსის ეპისკოპოსის ევენომიოსისა და მისი ნაშრომის „აპოლოგიის“ წინააღმდეგ. ბასილის თხზულებას „ევენომიოსის წინააღმდეგ“ ევენომიოსმა უპასუხა თავისი მეორე ნაშრომით „აპოლოგიის აპოლოგია“. ფილოსტორგიუსი

² Emmanuel Amad de Mendieta, Essai d'une histoire critique des éditions générales grecques et gréco-latines de saint Basile de Césarée, Revue Pénitence, 52 (1940) 141—161; 53 (1941) 119—151; 54 (1942) 124—144; 56 (1945—1946) 126—173.

თავის „ეკლესიის ისტორიაში“ გადმოგვცემს, რომ ევენომიოსის ეს თხზულება გახდა ბასილის სიკვდილის მიზეზი.

ევენომიოსი ორთოდოქსული მოძღვრების მიხედვით „დამნაშავე“ იყო მთელ რიგ გაუგებრობებში, რომლებზედაც ჩვენ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ თხზულებაში „ევენომიოსის წინააღმდეგ“ ბასილი შეუდარებელია როგორც ღვთისმეტყველი, იგი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს თავის მოწინააღმდეგეს. ბასილი აკრიტიკებს ევენომიოსს ნიკიის სიმბოლოს არასწორად გამოყენებისათვის, ებრძვის მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სული წმიდა არ არის ღმერთი. ბასილი, ხოლო შემდეგ მისი ძმა გრიგოლი ევენომიოსს ებრძოდნენ არა მარტო ერთეულ შეხედულებებისათვის, არამედ იმისთვისაც რომ იგი მთლიანად დამოკიდებული იყო ძველ რიტორიკაზე, ლოგიკასა და დიალექტიკაზე. სამართლიანია ევენომიოსის შენიშვნა, რომ მისი ოპონენტებიც ასევე თავისუფლად მიმართავდნენ წარმართულ ლიტერატურას.

სტატიაში მკვლევარი განიხილავს ბასილის ძმის, გრიგოლ ნოსელის, როლს ამ კამათში და აღნიშნავს, რომ ნისის ეპისკოპოსმა სხვადასხვა დროს დაწერა 12 თხზულება ევენომიოსის წინააღმდეგ. ამ თხზულებებში (3—12) იგი იგერიებს ბასილზე ევენომიოსის შემოტევებს. ავტორი აღნიშნავს, რომ ძირითად ნაწილში გრიგოლის შრომები ახლოს მიჰყვება ბასილის თხზულებებს, მაგრამ ისინი უფრო ვრცელია და დაწვრილებითი. ამავე დროს აშკარაა, რომ გრიგოლს ჰქონდა უფრო ორიგინალური აზროვნება და შეეძლო გამოეგონებინა უფრო ემპიკური სილოგიზმები, რომელთა დახმარებით გრიგოლს წონასწორობიდან გამოჰყავდა ოპოზიცია. უფრო მეტიც, ერთ შემთხვევაში ძმებმა ვერ გაიგეს ან შეგნებულად მოიყრუეს ყური ევენომიოსის ერთ არგუმენტზე.

მ. ანასტოსის საინტერესო სტატიაში კრიტიკულად არის შესწავლილი ბასილის ცხოვრების საინტერესო პერიოდი, მისი ღვთისმეტყველება ძის შესახებ და მისი ბრძოლა არიოზული ერესის წინააღმდეგ.

ჯ. რისტის შრომა „ბასილის „ნეოპლატონიზმი“ საფუძველი და ხასიათი“ სამი თავისაგან შედგება: I. პლატონიზმი და ქრისტიანობა 270—325 წწ. II. პლატონიზმი და ქრისტიანობა 325—355 წწ. III. ბასილი კესარიელი. პირველ ორ თავში, რომელშიც შესწავლილია ძველი ფილოსოფიის კარდინალური საკითხები, გაანალიზებულია პლოტინის, პორფირის, იამბლიხეს, არიოზის, არიოზის მიმდევრების აქტიუისა და ევენომიოსის ფილოსოფიური მემკვიდრეობა. მესამე თავი მთლიანად ეხება ბასილი კესარიელის ფილოსოფიურ შეხედულებებს. ამ თვალსაზრისით ჯ. რისტმა განიხილა ბასილის თხზულებები „სული წმიდისათვის“ და „სულისათვის“, თუმცა ამ უკანასკნელის ბასილისადმი მიკუთვნება საეჭვოდ არის მიჩნეული. სტატიაში გადმოცემულია საინტერესო მოსაზრებები ბასილის შრომათა წყაროებზე, თარიღზე, მათ ავტორობაზე, მათ კავშირზე თანამედროვეობასთან.

სტატიის ავტორის მიერ ბასილისა და ნეოპლატონური ტექსტების პარალელური შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდ ნაწილზე ნეოპლატონურ ფილოსოფიას გავლენა არ მოუხდენია.

ის იყო ნიკიის მრწამსის მტკიცე მიმდევარი და არ იგრძნობა არავითარი კვალი ნეოპლატონიზმის გავლენისა სამების თეოლოგიაში, საიდანაც ნიკიის კრებამ პლატონიზმი სამუდამოდ გააძევა.

უნდა აღინიშნოს, რომ მორალურ-ასკეტურ სფეროებში პლატონიზმი ისევ ყვაოდა და ბასილს შესაძლოა სიცოცხლის ბოლოს გაუჩნდა ინტერესი პლოტინის ფილოსოფიის მიმართ. მათი გამონათქვამები ერთმანეთის მსგავსია ში-



ნაარსით, იმისდა მიუხედავად, კითხულობდა თუ არა კესარიის ეპისკოპოსი პლოტინს პირველწყაროში. ბასილის გამოხატულებები, დასკვნის სტატუსით, ტორი, წარმოადგენს პლატონიზმისა და სტოიციზმის ადრეული ვერსიების სინთეზს. ჯ. რისტის სტატიაში ბასილის კავშირი კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიასთან გამოკვლეულია III და IV საუკუნეების ინტელექტუალური ისტორიის ფონზე.

გ. კუსტასის შრომაში „წმინდა ბასილი და რიტორიკული ტრადიციები“ ნაჩვენებია, როგორ იყენებს და ავითარებს ბასილი ქრისტიანულ მწერლობაში კლასიკურ რიტორიკას. იგი ციკერონის მიმდევარია, რომელიც რიტორიკას განიხილავდა როგორც არა მარტო დარწმუნების, არამედ სწავლების საშუალებასაც. ბასილი არაჩვეულებრივი ხელოვნებით იყენებდა წარმართულ მჭერმეტყველებას და ჩამოაყალიბა მოძღვრება სწავლებაში მისი ეფექტიანობის შესახებ. მისი შემოქმედება წარმართული ხელოვნებისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ბედნიერ შერწყმას წარმოადგენს.

კ. გ. ბონისის ვრცელი სტატია „ბასილი კესარიელი და ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია IV საუკუნეში“ რამდენიმე თავისაგან შედგება. მასში შესწავლილია ორთოდოქსული ეკლესიის ბრძოლა ჯერ წარმართობასა, ხოლო შემდეგ უფრო საშიშ მტერთან, ერესთან. მასში განხილულია ბასილის ბიოგრაფია იმ ეპოქის სოციალურ და ისტორიულ ფონზე, მისი ასკეტური, სამღვდლო და საეპისკოპოსო მოღვაწეობა.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბასილის ურთიერთობას მრევლთან, რაშიც გამოიხატება სწორედ, ეკლესიის ორგანიზაცია. აქ საქმე გვაქვს სამსახურებრივ სფეროსთან. ბასილი იყო მასწავლებელი, დიდი ფილოსოფიური ცოდნითა და რიტორიკული ხელოვნებით აღჭურვილი, რაც განაპირობებდა მის პოპულარობას მრევლის წინაშე. ის იყო წამყვანი დოგმატიკოსი IV საუკუნის ეკლესიაში, თუმცა დოგმატიკის თვალსაზრისით მას გადამწყვეტად ახალი არაფერი გაუყვებოდა. თავის სიღიად საეკლესიო სამსახურში მან დაამტკიცა როგორც საეკლესიო ღვთისმეტყველმა. თუ ბასილმა ნიკიის სიმბოლოში თავისი წვლილი შეიტანა, მაგრამ არ განუვითარებია ახალი ხაზი, სამაგიეროდ იგი არის და რჩება ეკლესიის და სამონასტრო ცხოვრების კანონმდებლად. კ. ბონისის აზრით ბასილი საეკლესიო პოლიტიკოსია. ის ისევე გაბედული იყო როგორც ათანასე ალექსანდრიელი, ცდილობდა შეენარჩუნებინა ეკლესიის ერთიანობა და სადაც იგი დარღვეული იყო — აღდგინა. კესარიის ეპისკოპოსი იყო დიდი შემრიგებელი და სასტიკად ილაშქრებდა ყოველგვარი საეკლესიო დაჯგუფებების წინააღმდეგ. იგი დიდი შემრიგებელი უფრო იყო, ვიდრე დიდი ღვთისმეტყველი, რასაც საეკლესიო კონფლიქტების დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამგვარად, კ. ბონისის შრომა ბასილი კესარიელს გვიხასიათებს როგორც თავისი დროის დიდ საეკლესიო მოღვაწეს.

სტატიის — „სულისათვის“ ბასილის ნაწერებში, სული წმიდის შესახებ ბასილის მოძღვრების ეგზეგეტიკური საფუძველი“ — ავტორი ი. პელიკანი ბასილის დამსახურებად მიიჩნევს იმ თეოლოგიური მეთოდის ჩამოყალიბებას, რომლის დახმარებითა და მომარჯვებით ეპისკოპოსი ადგენს სულიწმიდის თანასწორობას მამასთან და ძესთან. ამ შემთხვევაში, ი. პელიკანი გულისხმობს შემდეგ მომენტებს: მორწმუნეთა ყოველდღიური ლიტურგიული პრაქტიკა, მამათა შრომები, წმიდა წერილი. ამ სამი მომენტიდან ბასილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირველს. ბასილის სწავლება სულიწმიდის შე-

სახებ არის ყველაზე მთავარი და ძირითადი ქრისტიანული მოძღვრების ისტორიაში.

ბასილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისას სამონასტრო ცხოვრების საკითხი ცენტრალური საკითხია. „მონასტრული სახელმწიფო მოწყობილია ბასილის წესების მიხედვით“ წერდა XI ს. მოღვაწე ნიკონ შავმთელი. ეს სიტყვები კარგად მოწმობს ბასილის ასკეტური წესების ღრმა გავლენას სამონაზვნო ცხოვრებაზე აღმოსავლეთ და დასავლეთ სამყაროში. თ. შმიდლიკი თავის სტატიაში „ბასილური მონაზვნობის იდეალი“ იკვლევს კავშირს ასკეტიზმსა და წმიდა წერილის არსს შორის, მორალისა და ასკეტიზმის ურთიერთდამოკიდებულებას.

ი. კარაიანოპულოსმა თავის სტატიაში — „წმინდა ბასილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, წესები და ჩვეულებები“ — შეისწავლა ბასილის პირტუნება საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფონზე, რადგან იგი თანაბრად საინტერესოა, როგორც მწერალი და როგორც საზოგადო მოღვაწე. მეცნიერმა დაასკვნა, რომ ბასილი იყო ქრისტიანული წინამძღოლი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. თვითონ გაბატონებული კლასის წარმომადგენელი, უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული ღარიბი ხალხის მიმართ, ცდილობდა მათი მოქმედება სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ წარემართა, რადგან არათანასწორობას ადამიანთა შორის იგი არაბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდა.

საეკლესიო მოძღვრებისა და პრაქტიკის გავლენამ მონობასა და მონობის ინსტიტუტის ევოლუციაზე დასაბამი მისცა მრავალრიცხოვან გამოკვლევებს. რაიმონ ტეხა სტატიაში „წმინდა ბასილი და მონობა, თეორია და პრაქტიკა“ ეხება ბასილის შეხედულებებს მონობაზე. ბასილის პოზიცია თანხვედბა იმდროინდელი ეკლესიის თეორიასა და პრაქტიკას. კესარიის ეპისკოპოსი რეკომენდაციას არ უწევს მონების გათავისუფლებას, როგორც აქტს, რომელიც შეესაბამება ქრისტიანულ სათნოებას. ამგვარად, სტატიის ავტორის აზრით, ბასილი იღებდა მონობას, როგორც ნორმალურ მოვლენას. მისთვის მიუღებელი იყო მხოლოდ სიღარიბე და ქონების არათანაბარი განაწილება, მაშინ, როდესაც მისი ძმა გრიგოლ ნოსელი აშკარად ილაშქრებდა მონობის ინსტიტუტის წინააღმდეგ.

ბ. ტრევერი თავის მოკლე სტატიაში „შენიშვნა ბასილის სარეკომენდაციო წერილებზე“ აღნიშნავს, რომ მის წერილებში მოჩანს სამხედრო და სამოქალაქო პირების მთელი თანავარსკვლავედი. კესარიის ეპისკოპოსი მათ დასახმარებლად მოუხმობს. ამ წერილების თემატიკა მრავალფეროვანია. საქმე ეხება მემკვიდრეობას, კერძო საკუთრებას, დასჯილთა გასამართლებას... სარეკომენდაციო წერილები, რომლებიც გამოიწვია იმდროინდელმა ბიუროკრატიულმა ეპოქამ, მოწმობენ ბასილის ბრძოლას ადმინისტრაციული არბიტრის შემოკლებისათვის. მეცნიერის აზრით, ბასილის ოჯახი ეკუთვნოდა იმ პროვინციულ მიწათმფლობელურ ფენას, რომელიც წარმოშობდა სენატის ახალ წევრებს, ხოლო ეპისკოპოსებად ხშირად ირჩევდნენ ამ რანგის მოხელეებს. ბ. ტრევერმა თავის სტატიაში ხელახლა გადასინჯა ადრე გამოთქმული მოსაზრება ბასილის სენატორული წარმოშობის შესახებ. კესარიის ეპისკოპოსის შთამომავლობა იყო საწინდარი იმისა, რომ მან პირნათლად მოიხადა ვალი თავისი სუფრაგუიმების (ამომრჩევლების) წინაშე.

სტატიაში „დასკვნის მაგიერ. ბასილის ღმრთისმეტყველება სახელმწიფო ეკლესიასთან კავშირში ქარიზმის გაგების მაგალითზე“ მისი ავტორი ა. მ. რიტერი არ აპირებს შეაჯამოს სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებები. იგი მხოლოდ აღნიშნავს ზოგიერთ მოხსენებაში კავშირს სახელმწიფო ეკლე-



სიის მდგომარეობასა და ბასილის ბიოგრაფიასა და მის მოღვაწეობას შორის. ბასილის ბიოგრაფია არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც ზოგადი საფუძვლესიო ისტორიული ფონის, ისე კონკრეტული სიტუაციების გარეშე. ამ თვალსაზრისით ბასილი ბერი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

ა. მ. რიტერი თავის სტატიაში მონასტრულ ცხოვრებას განიხილავს როგორც ეკლესიის განახლების მნიშვნელოვან ფაქტორს.

რ. რეინოლდსის ნაშრომი „ბასილი და ადრეული შუა საუკუნეების ლათინური კანონიკური კრებულები“ ძირითადია იმათთვის, ვისაც სურს შეისწავლოს ბასილის გავლენა დასავლეთზე. სტატიაში განხილულია დასავლური კანონიკური კოლექციების ორი ჯგუფი: 1. ქრონოლოგიური ანუ ისტორიულად დაჯგუფებული კოლექციები. 2. სისტემატური ანუ თემატიკის მიხედვით დაჯგუფებული კოლექციები. დასავლეთში ბასილის კანონიკური ტექსტები გაჩნდა IX საუკუნის ბოლოს. რ. რეინოლდსი ჩამოთვლის აგრეთვე ბასილის იმ თხზულებათა ლათინურ თარგმანებს, რომლებიც დასავლური კანონიკური კოლექციების მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ.

ასევე ვარაუდობს, რომ კანონიკები ბასილის ტექსტებს ეცნობოდნენ ბერძნულ-სირიულ წყაროებშიც. ეს უნდა ეხებოდეს მის სამ კანონიკურ ეპისტოლეს (188, 199, 217), რომელთა ლათინური თარგმანი ბოლო წლებამდე ცნობილი არ იყო და ფსევდო-ამფილოქე იკონიელის მიერ დაწერილ ბასილის ცხოვრებას, რომლის ლათინური თარგმანი დღესდღეობით გამოვლენილი არ არის. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ადრეული შუა საუკუნეების ხელნაწერებში კვლავ აღმოჩნდება ბასილის თხზულებათა დღემდე უცნობი ლათინური თარგმანები.

ვ. ფიტცჯერალდის ნაშრომში „შენიშვნები ბასილი დიდის იკონოგრაფიაზე“ გაანალიზებულია მის მიერ მოპოვებული უმდიდრესი მასალა. ბასილის გამოსახულება ხშირად გვხვდება აღმოსავლურ და დასავლურ ხელოვნებაში: საეკლესიო მოზაიკა, ფრესკები, ხატები, მოხატული ხელნაწერები, ნაქარგები, სპილოს ძვალი, მეტალი, საფოსტო მარკები. ამ მასალას ვ. ფიტცჯერალდი ორ ნაწილად აჯგუფებს. ამდენად, მისი სტატიაც ორი ნაწილისაგან შედგება: ბასილი ოფიციალური და ბასილი პოპულარული. პირველი სახით მისი პორტრეტული გამოსახულებანი გვხვდება მის ნაწერებში, ლიტურგიულ ძეგლებში და ხატებზე, ლიტურგიული თემებით. ოფიციალური ბასილის უძველეს გამოსახულებას წარმოადგენს VII საუკუნის ხატური პორტრეტი წმ. ეკატერინეს მონასტრიდან.

პოპულარულ ბასილს ხელოვნებაში ჩვეულებრივ წარმოადგენენ მის ბიოგრაფიულ თხზულებებზე დაყრდნობით, რომელთა ავტორებია გრიგოლ ნაზიანზელი და ფსევდო-ამფილოქე. ხელოვანთ განსაკუთრებით იზიდავთ ბასილის სიკვდილის შემდგომი თემატიკა. შტრიხები მისი პორტრეტისათვის შეიძლება დაიძებნოს მისსავე ნაწერებშიც. თავის წერილებში ბასილი აღნიშნავს რომ იგი ბავშვობიდან იყო ავადმყოფი, მის ძმას, გრიგოლ ნოსელს იგი ახსოვს ასკეტი, ხოლო მისი მეგობარი გრიგოლ ნაზიანზელი წერს, რომ ბასილი ფილოსოფოსად გახდომამდე იყო მხიარული, პოულობდა საერთოს მეგობრებთან, იყო ლამაზი სულიერად და ფიზიკურად.

ვ. ფიტცჯერალდის ყურადღების არეშია თბილისში დაცული ხელნაწერები. ერთ-ერთი მათგანის (Gr 48, X ს.)³. მინიატურაზე გამოსახულია ოფიცია-

³ ამ ხელნაწერის შესახებ იხ.: E. Э. Гранстрем, Неизвестный греческий сборник бесед Василия Великого, Матне, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, I, გვ. 173—178. ამ



ლური ბასილი. ოფიციალური ბასილის გამოსახულება გვხვდება ქართულ ხელნაწერშიც (A 109, XII ს. 70v). ამ მინიატურის კომპოზიციის მხედველი ვ. ფიტცჯერალდი ქართულ კრებულს განიხილავს რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერთან კავშირში⁴. გაერთიანების პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: მინიატურისტებს უყვართ ბასილის ცხედართან ორი გრიგოლის (ძმისა და მეგობრის) გაერთიანება, თუმცა ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს ბასილის დაკრძალვაში მონაწილეობა არ მიუღია. აქ საქმე უნდა გვექონდეს გრიგოლის ენკომიის გავლენასთან. ამ თვალსაზრისით ქართული ხელნაწერი ენათესავება ზემოჩამოთვლილ კრებულებს. მინიატურაზე ბასილის სხეული დევს საკაცზე ბალდახინის წინ. გვერდებზე არის არქიტექტურული კომპლექსი ჭერით და ფანჯრებით. წინა პლანზე გრიგოლი ეხვევა თავისი მკვდარი მეგობრის სხეულს. ორი ეპისკოპოსიდან ერთი დგას მიცვალებულის თავთან, მეორე — ფეხებთან. შარავანი აქვს მხოლოდ გრიგოლ ნაზიანზელს. მინიატურის ეს კომპოზიცია განსხვავდება მეორე, გავრცელებული ტიპის მინიატურისაგან, სადაც ხშირად გამოხატულია ეკლესიის მამათა უფრო დიდი რაოდენობა.

ს. ვოიკუ თავის სტატიაში „პაპირუსი Antin 111. ერთი უცნობი მოწმობა ბასილის „მოკლე კითხვების“ შესახებ“, გვამცნობს ბასილის ასკეტური თხზულებების შემცველი პაპირუსის (VI—VII სს.) შესწავლის შედეგებს. როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ ტექსტს მეცნიერები დიდხანს მიაწერდნენ იოანე ოქრობირის კალამს და არგუმენტად ასახელებდნენ ერთ-ერთ ფრაგმენტს ახალი აღთქმიდან (მთ. 12,47—48), რომელზე დაყრდნობაც თითქოს იოანე ოქრობირისათვის იყო დამახასიათებელი. პაპირუსის ტექსტის იდენტიფიკაციის კიდევ ერთი ცდა წარმატებით დასრულდა. მეცნიერმა ამ ციტატის კვალს ბასილის ასკეტურ თხზულებაში მიაგნო. პაპირუსის ტექსტი არ წარმოადგენს „ასკეტიკონის“ ვულგატის რედაქციას. ს. ვოიკუს მიერ შედგენილი კონკორდანსი უჩვენებს შედგენილობის მიხედვით ურთიერთდამოკიდებულებას ამ პაპირუსსა და „კითხვების“ ორ უძველეს რედაქციას (V და X) შორის⁵.

ბოლო, მეფერამეტე თავს წარმოადგენს გ. ულუპოვიანის ნაშრომი: „წმინდა ბასილი კესარიელის სომხური ვერსიების შემცველ ხელნაწერთა კატალოგი“.

პ. ჯ. ფედვიკმა თავის ნაშრომში „ბასილის თხზულებათა 1400 წლამდე შესრულებული თარგმანები“ შეისწავლა და ტრადიციების მიხედვით დაპყო ბასილის თხზულებათა თარგმანები სირიულ, ლათინურ, სომხურ, კობტურ, არაბულ, ქართულ და სლავურ ენებზე. ეს თარგმანები შესრულებულია IV—XIV საუკუნეებში და მოიცავს ბასილის 5000-მდე ხელნაწერს.

აქ მოხმობილი უმდიდრესი მასალა მოწმობს, რა დიდი და მრავალმხრივი სამუშაო ჩაუტარებია სტატიის ავტორს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამ შრომით მან საფუძველი ჩაუყარა ბასილი კესარიელის ნათარგმნი ლიტერატურული მემკვიდრეობის იმ ფუნდამენტურ და კომპლექსურ კვლევას, რომელსაც იგი დღესაც აგრძელებს.

კრებულში მოთავსებულ ორ მინიატურას ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანაშრომელი ე. მაკავარიანი XIII—XIV საუკუნეებით ათარიღებს.

⁴ Paris BN gr. 543, f. 130; Oxford BL Canon. gr. 103, f. 90v; Florence BML Plut. VII. 32, f. 70; Jerusalem PB Taphou 14, f. 114.

⁵ ამ რედაქციების შესახებ იხ.: J. Gribomont, Histoire du texte des ascétiques de s. Basile, Louvain, 1953, pp. 165—170.; ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968, გვ. 104—116.



ჩვენ ვრცლად შევეხებით ამ შრომის ერთ ნაწილს: „ბასილი კესარიელის თხზულებათა ქართული თარგმანები“. ამიტომ აღნიშნული სტატია საგანგებოდ გამოვყავით და ბოლოში გადმოვიტანეთ.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ XI საუკუნემდე ქართული ლიტერატურა რელიგიურ-თეოლოგიურია და ემსახურება ქართველი ასკეტების სულიერ და ინტელექტუალურ საჭიროებას. მეცნიერი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში სამ პერიოდს გამოპყოფს: I პერიოდი მოიცავს V—VII საუკუნეებს. ამ დროს, ლიტერატურული ძეგლები, ძირითადად, ითარგმნება სომხურიდან და სირიულიდან. II პერიოდში (750—975 წწ.) სომხურსა და სირიულს სცვლის არაბული გავლენა. III პერიოდი მოიცავს 975—1250 წლებს და თარგმნილ ლიტერატურას საფუძვლად ბერძნული დედნები უდევს. ნაციონალური აღორძინების პერიოდში, VIII ს. თარგმნილი ტექსტები შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლებია. სომხური და სირიული გავლენა თითქმის არ იგრძნობა, ან მინიმუმამდეა დაყვანილი, მაშინ, როდესაც, პალესტინაში არაბული ენიდან შესრულებულ თარგმანებში აშკარად იგრძნობა არაბული დედნების გავლენა.

II პერიოდში თარგმნილ ბასილის თხზულებათაგან შემოგვრჩა „ექუსთა დღეთს“ უძველესი თარგმანი. პ. ფედვიკი იცნობს ამ თარგმანის ილ. აბულაძისეულ გამოცემას⁶ და გამომცემლის მოსაზრებას ამ ძეგლის არაბული წარმომავლობისა და გადაწერის თარიღის (VIII—X სს.) შესახებ და მასთან დაკავშირებით გვაწვდის ცნობას ჩვენთვის დღემდე უცნობი, ბასილის „ექუსთა დღეთს“ უძველესი არაბული თარგმანის შესახებ, რომელიც შესრულებულია 964 წელს კოპტი ბერის მიერ წმ. მაკარის მონასტერში ნიტრიაში. სტატიის ავტორის აზრით, არაბული ვერსია, რომელსაც იყენებდა ქართველი მთარგმნელი, შესაძლოა, ყოფილიყო სწორედ ეს ზემოაღნიშნული თარგმანი.

პ. ფედვიკი ასახელებს II პერიოდში შესრულებულ სხვა თარგმანებს. ესენია: ბასილის ჰომილიათა შემცველი კრებული „მამათა სწავლანი“⁷, თარგმნილი პალესტინაში არაბულიდან IX საუკუნეში⁸, ორი ჰომილია „მარხვისათჳს I“ (უდაბნოს მრავალთაჳი, IX ს.) და „ორმოცთა მარტვილობა“ (სინური მრავალთაჳი, 864 წ.). ბასილს მიეწერება, აგრეთვე, სვანურ მრავალთაჳი (A 19) შესული რამდენიმე თხზულება. ამავე პერიოდში ითარგმნა პროკოპის მიერ ბასილის „ასკეტიკონი“ (Sin 35).

III, ე. წ. ბერძნულ პერიოდში თარგმნილი ძეგლები განიცდიან ბიზანტიური ლიტერატურის გავლენას. ქართული კულტურის კერებმა გადაინაცვლეს დასავლეთში. ავტორი ჩამოთვლის იმ სამწერლობო კერებს, სადაც წარმოებდა ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობა. ესენია: ათონის ქართველთა მონასტერი ქალკედონის ნახევარკუნძულზე, საბას ლავრა და ჯვრის მონასტერი პალესტინაში, სინას მთა და შავი მთა ანტიოქიის მახლობლად.

პ. ფედვიკი საგანგებოდ ეხება ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მთარგმნელობით შემოქმედებას, კერძოდ, ბასილის თხზულებათა თარგმანებს.

⁶ უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჳსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1964.

⁷ მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955.

⁸ B. Outtier, Les Enseignements des Pères un recueil géorgien traduit de l'arabe, Bedi Kartlisa, Ravue de Kartvéologie, vol. XXXI, Paris, 1973, pp. 36—47.

ექვთიმე ათონელის მოკლე ბიოგრაფიის შემდეგ, სტატიის ავტორი მალე შეფასებას აძლევს ბასილი დიდის „ითიკის“ ექვთიმე ათონელის თარგმანს. მის მთარგმნელობით თავისებურებებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ექვთიმეს თარგმანი არ არის სიტყვა-სიტყვითი. იგი შემოკლებული და ზედაპირულია. მთარგმნელი ხშირ შემთხვევაში გვერდსაც კი უვლის ორიგინალს. იგი ადაპტირებულ ტექსტს უფრო იძლევა, ვიდრე თარგმანს⁹.

ამის შემდეგ ავტორი წარმოადგენს „ითიკის“ ტაბულას ოთხი ხელნაწერის — A 100, Jer 14, A 181 და A 394-ის მიხედვით. ექვთიმეს თარგმნილად მიიჩნევს, აგრეთვე, მეცნიერი იმ კანონიკურ ეპისტოლეებს, რომლებიც შესულია „დიდ სჯულისკანონში“.

3. ფედვიკი გიორგი მთაწმიდელს ახსიათებს როგორც თავისი მასწავლებლის, ექვთიმე ათონელის შრომათა გამგრძელებელსა და რედაქტორს. ჩამოთვლის ბასილის თუ ფსევდო-ბასილის თხზულებათა მისეულ თარგმანებს: 115-ე ეპისტოლეს, ორ აპოკრიფულ თხზულებას (A 584) და „ექუსთა დღეთას“. მისი აზრით, ცდებიან მეცნიერები და მათ შორის კ. კეკელიძე, როდესაც ბასილის „ჟამისწირვის“ ქართულ თარგმანს გიორგი მთაწმიდლისეულად მიიჩნევენ. როგორც მთარგმნელი, გიორგი მთაწმიდელი უფრო ახლოს მისდევს დედანს, მაგრამ არ არის ისე სანდო, როგორც ეფრემ მცირე.

ეფრემ მცირის მთარგმნელობით შემოქმედებაზე მეკლევარი საგანგებოდ ჩერდება. აღნიშნავს მის, როგორც მთარგმნელის, მაღალ პროფესიონალიზმს. მიუთითებს, რომ შავი მთის კასტანას მონასტრის წინამძღვარმა თარგმნა ბასილის ეპისტოლური მემკვიდრეობა, მეორედ თარგმნა თხზულებები მარხვისათვის I და მარხვისათვის II და ბასილის „ასკეტიკონი“ (რედაქცია E), რადგან უფრო ადრეული, პროკოპის თარგმანი მისთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა. 3. ფედვიკი თავის შრომაში წარმოგიდგენს ამ რედაქციის შედგენილობას. ასევე შედარებით ვრცლად მიმოიხილავს იგი „ასკეტიკონის“ მეორე, ე. წ. C რედაქციის შედგენილობასაც, რომელიც ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი რედაქციიდან გამოკრებილ ტექსტს წარმოადგენს, გადაწერილია იოანე გაბაშვილის მიერ 1788 წელს და დაცულია ერთადერთ ხელნაწერში — ქუთ 61¹⁰.

ასევე იყალთოელის თარგმანთაგან სტატიის დისახელებულია ფსევდო-ბასილის ერთი თხზულება¹¹.

ამავე გამოკვლევის III ქვეთავში ავტორი კვლავ უბრუნდება ბასილის „ასკეტიკონის“ ერთ-ერთ ქართულ თარგმანს ე. წ. P რედაქციას, რომელიც დაცულია ხელნაწერ A 63-ში. იგი განიხილავს ამ რედაქციის შედგენილობას და ეყრდნობა რა ცნობას იმის შესახებ, რომ გელათისა და ათონის ქართველთა მონასტრის ბერმა იოსებ კანდელაკმა (XVII ს.) თარგმნა ბასილის „ასკე-

⁹ ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა შემდეგ გამოკვლევებს: R. Blake, *Georgian Theological Literature, Journal of Theological Studies*, 26 (1925), pp. 50—64; G. Peradze, *L'activité littéraire des moine géorgiens au monastère Ivirion, au Mont Athos, Revue d'histoire ecclésiastique*, 23 (1927) pp. 530—539; J. Karsti, *Littérature géorgienne chrétienne*, Paris, 1934; J. Kirchmeyer, *Futhyme l'Hagiorite, Dictionnaire de la spiritualite*, Paris, 1961, p. 1722.

¹⁰ ამ რედაქციების შესახებ დაწერილებით იხ.: ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის ქართული რედაქციები“, თბ., 1968, გვ. 73—82.

¹¹ იგულისხმება ბასილის სახელით ცნობილი თხზულება „მცნება მღდელთა მიმართ...“ იხ.: კ. კეკელიძე, *ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან V*, თბ., 1957, გვ. 21.

ტიკონი¹², სვამს კითხვას: ხომ არ ეკუთვნის ამ რედაქციის თარგმანი ილია
კანდელაკის კალამს?¹²

IV ქვეთავში, სადაც განხილულია ბასილის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები, ავტორი დამატებით გვაწვდის ცნობას გაიოზ რექტორის მიერ 1799 წელს რუსული ენიდან შესრულებულ ბასილის ეპისტოლეთა მრავალრიცხოვან თარგმანებზე.

საგანგებოდ ეხება მეცნიერი ეფრემ მცირის ნაშრომში „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (1080 წ.) შეტანილ ნაწყვეტებს ბასილის ფსალმუნთა კომენტარებიდან. ისინი ეფრემს თვითონ უთარგმნია და არ უსარგებლია ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „ითიკით“.

ცალკე, VI ქვეთავში, ჩამოთვლის მეცნიერი იმ თხზულებათა ქართულ თარგმანებს, რომელთაც ტრადიცია მიაწერს ბასილს.

VII ქვეთავი ეხება ბასილის ჟამისწირვის ქართულ თარგმანებს. პ. ფედვიკი აღნიშნავს, რომ მეათე საუკუნემდე ბერძნული ენა იყო ქართული ეკლესიის ლიტურგიის ენა. პირველად უნდა ეთარგმნათ ბასილის ჟამისწირვა, შემდეგ იოანე ოქროპირის ჟამისწირვა და წესი განახლებისა (ცნობილი ბასილის სახელთ). ეს თარგმანები ეკუთვნოდათ ბერებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ პალესტინაში და ათონზე. ძველ ხელნაწერებში (Sin 89 და H 531) ბასილის ჟამისწირვა წინ უსწრებს იოანე ოქროპირის ჟამისწირვას, რაც მოწმობს იმას, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ლიტურგია ქართული ეკლესიისათვის. არ არსებობს სხვა უფრო ძველი ვერსიები. გვიან გაკეთებული თარგმანები დათარიღებულია XVIII საუკუნით. ქართული ხელნაწერი Sin. 78, II ს. შეიცავს ლოცვას ზიარებისათვის, რომელიც მიეწერება ბასილს.

პ. ფედვიკის სტატიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის სრული სახით გაცნობა მოწმობს, რომ ავტორი იცნობს და გამოყენებული აქვს მისთვის ხელმისაწვდომი თითქმის ყველა საჭირო წყარო ქართულ და ევროპულ ენებზე. ზოგიერთი მონაკვეთი თუ შრომაში მაინც მკრთალად არის წარმოდგენილი, ამის მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ეს მასალა ან საერთოდ, ან სათანადოდ არ არის შესწავლილი ქართულ მეცნიერებაშიც.

მისი შრომის ეს ნაწილი არის ბასილი დიდის თხზულებათა ყველა ქართული თარგმანის ერთად თავმოყრისა და შესწავლის პირველი სერიოზული ცდა. ამ ხასიათის შრომა არ არსებობს ქართულ ენაზე, თუმცა ბასილის ზოგიერთი თხზულების ქართული თარგმანი გამოცემული და შესწავლილია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ტექსტთა გარკვეული ნაწილი იდენტიფიცირებულია, ხოლო შრომა გამდიდრებულია ჩვენთვის უცნობი წყაროებით

პ. ფედვიკის სტატიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობა ბასილის „ექქსთა დღეთას“ უძველესი ქართული თარგმანის სავარაუდო არაბული დედნის შესახებ. მხოლოდ არაბულ-ქართული ტექსტების პარალელური შესწავლის შედეგად შეიძლება გაირკვეს არაბული ტექსტისა და ქართული თარგმანის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა: ამ შრომაში წარმოდგენილია ბასილის ქართული თარგმანების შევსების მიზნით ჩვენ მიუუთითებთ, აგრეთვე, არსენ იყალთოელის სხვა თარგმანებზეც. ესენია ბასილის კანონიკური ეპისტოლეები, რომლებიც შესულია მის მიერ თარგმნილ „დიდ სჯულისკანონში“¹³.

12 ეს საკითხი ქართულ მეცნიერებაში სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა.
13 „დიდი სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, პ. დოლაჭიძემ, გ. ნინუამ. თბ., 1975, გვ. 472—509.

გადასინჯვას თხოულობს ძველი ქართული ლიტერატურის ის პერიოდი-ზაცია, რომელსაც რ. ბლეიკის შრომაზე¹⁴ დაყრდნობით გვთავაზობს პ. ფედვიკი. როგორც ცნობილია, რ. ბლეიკის ამ შრომაში განხილულია კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია, გამოცემული 1923 წელს თბილისში. მოგვიანებით კ. კეკელიძემ გადასინჯა თავისი აღრიხილი შეხედულებები, შეასწორა, განავრცო ისინი და მოგვცა ძველი ქართული მწერლობის ახალი პერიოდიზაცია¹⁵. სასურველი იქნებოდა, პ. ფედვიკს გაეთვალისწინებინა ეს სახელენი.

პ. ფედვიკის აზრით, ცდებიან მეცნიერები და მათ შორის კ. კეკელიძე, რომელთაც ბასილის „ჟამისწირვის“ ქართული თარგმანი გიორგი მთაწმიდლისეულად მიაჩნიათ და ამასთან დაკავშირებით მიუთითებს ხელნაწერ H 531-ს (XI ს.).

კ. კეკელიძე კი, პირიქით, ეყრდნობა რა იმავე ხელნაწერს, რომლის მიცვალებულთა მოსახსენებელში ნათქვამია: „მოიხსენე, უფალო, სული გიორგისა თარგმანისაჲ“, დაასკვნის, რომ გიორგი აქ მოხსენიებულია არა საზოგადო მნიშვნელობით, არამედ როგორც წირვის წესის მთარგმნელი ან გადამომღებელი. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს მისი გარდაცვალების (1066 წ.) შემდეგ¹⁶.

ბასილის ჟამისწირვის ქართული თარგმანის ტექსტები დღეს სათანადოდ შესწავლილი არ არის. ქართულ მეცნიერებაში არ არსებობს განსხვავებული და უფრო დასაბუთებული ვარაუდი ბასილის ჟამისწირვის აღნიშნული ტექსტის მთარგმნელის შესახებ. სასურველი იქნებოდა სტატიის ავტორს შემოეთავაზებინა ის არგუმენტები, რომელთა დაყრდნობით იგი ექვემდებარება ამ ტრადიციულ შეხედულებას.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გიორგის მთელი მთარგმნელობითი მოღვაწეობა მისი, როგორც ჟამისწირვის მთარგმნელის სასარგებლოდ მეტყველებს. გიორგის თარგმანების ზედაპირული შესწავლაც კი მოწმობს, რომ მას „გადმოუთარგმნია თითქმის მთელი კომპლექსი საღვთისმსახურო წიგნებისა და ამ მხრივ ქართული ეკლესია სავესებით უზრუნველუყვია“¹⁷. ეს ფაქტიც კ. კეკელიძის მოსაზრების არაპირდაპირ მტკიცებას წარმოადგენს.

ბასილის ჟამისწირვის ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით პ. ფედვიკი აღნიშნავს, რომ მეათე საუკუნემდე ბერძნული ენა იყო ქართული ლიტურჯიის ენა.

ჯერ კიდევ საბა განწმენდილის ანდერძი მოწმობს, რომ VI საუკუნეში ქართველებს თავისი ლიტურჯიული რეპერტუარი ჰქონდათ. VI საუკუნის ბოლოს, კირიონ კათალიკოსის დროს, საქართველოს ეკლესიის 35 ეპარქიაში ღვთისმსახურება, გარდა ერთისა, ცურტავისა, ქართულად სრულდებოდა¹⁸.

ჩვენს მიერ მოხმობილი მასალა მოწმობს, რომ მათი გათვალისწინების გარეშე ქართულ ლიტურჯიაზე ზემოაღნიშნული ზოგადი დასკვნის გაკეთება ძნელია.

¹⁴ R. Blace, Georgian...

¹⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 42—79.

¹⁶ К. С. Кекелидзе, Древне-грузинский Архиепистопа, Тифлис, 1912, с. XI; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია... გვ. 229.

¹⁷ იქვე.

¹⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 573—574.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართული ნათარგმნი ლიტერატურის სი-
კითხები სულ უფრო და უფრო იზყრობენ უცხოელ მეცნიერთა ყურადღებას.
ამჟამად, კანადაში მზადდება ბასილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მასშვე-
ლი მრავალტომეული. პ. ფედვიკის მეცნიერული ავტორიტეტი საწინდარია
იმისა, რომ ქართული ლიტერატურა მასში ისე იქნება წარმოდგენილი, რო-
გორც მის მდიდარ და მრავალსაუკუნოვან ისტორიას შეეფერება.

ნინო ქაჭაია

ს ა რ ჩ ე ვ ი — ОГЛАВЛЕНИЕ

ბ. მელიქიშვილი — კალკები იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში	3
Н. Г. Меликишвили — Кальки в грузинском переводе «Иудейских древностей» Иосифа Флавия	16
მ. სურგულაძე — ორწევრიანი გვარსახელები ქართულ ისტორიულ საბუთებში	17
М. К. Сургуладзе — Двухкомпонентные фамилии в грузинских исторических документах	25
დ. ლომიძე — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (დოკუმენტური წყაროები ელენე დედოფლის შესახებ)	26
Д. А. Ломидзе — Из истории грузино-русских взаимоотношений в I половине XVIII века (документальные источники о царице Елене)	43
ე. ხოშტარია (ბროსე) — „წიგნის“, როგორც დიპლომატიკური ტერმინის, მნიშვნელობის გაგებისათვის	44
Э. В. Хоштария (Броссе) — О значении «цигни» (букв. «книга») как дипломатического термина	52
გ. შვედლიძე — გუდარეხის მონასტრის ისტორისათვის	53
Г. Д. Мчедлидзе — К истории Гударехского монастыря	63
დ. კლდიაშვილი — ხოვლეს (ზესხევის) წარწერები	64
Д. К. Клдიაшвили — Граффиты Ховлейской церкви	70

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის პირადი საარქივო ფონდების მასალები

გ. ოთხმეზური — ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული ეპიგრაფიკული ძეგლები	71
ე. ქავთარაძე — იროდიონ სონღულაშვილის არქივიდან	96
ნ. პაპუაშვილი — კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა	96

ქრ. შარაშიძის არქივიდან

ერევანში მივლინების ანგარიში (1954 წ.)	114
მოსკოვ-ლენინგრადში მივლინების ანგარიში (1955 წ.)	122
მაჭახლის ხეობის დემოგრაფიული ძეგლი (1961 წ.)	127

ინფორმაცია — Информация

ნ. ქაჯაია — ბასილი კესარიელის გარდაცვალების 1600 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალები, ტორონტო, 1981 წ.	132
---	-----

მრავალთავი, XIII

Историко-филологические разьскания
(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3097

*

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ე ბ რ ა ლ ი ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ნ. ფ ი ფ ი ა

გადაეცა წარმოებას 7.7.1985; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.2.1986;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 1; ბეჭედა მალალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 12.6;
პირ. სააღ-გატ. 12.8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.6;
უე 01045; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 3927;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

7/16



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿՈՒՆԿԵՐՈՒԹՅԱՆ ԿՈՄԻՏԵ

(ՄԱՍ 2 ՄԱՐՏՈՒՆՅԱՆ 20)

ՄԱՍԻՆԻ

«ԱՐԽԱՆԻՑ»

1998 թ.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿՈՒՆԿԵՐՈՒԹՅԱՆ ԿՈՄԻՏԵ
ՄԱՍԻՆԻ
«ԱՐԽԱՆԻՑ»

ՄԱՍԻՆԻ
«ԱՐԽԱՆԻՑ»

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿՈՒՆԿԵՐՈՒԹՅԱՆ ԿՈՄԻՏԵ